„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს სახელმწიფო ზედამხედველობას“- ვკითხულობთ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულებაში. ამავე დებულებაში ნათქვამია, რომ „სამსახური თავისი ფუნქციების განხორციელებისას მოქმედებს სახელმწიფოს სახელით“.

აღნიშნული დებულება დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბერის №223 ბრძანებით.

მანამდე სახელმწიფო ეფექტურად და მკაცრად ვერ აკონტროლებდა აუდიტორულ საქმიანობას და ეს როლი მინდობილი ქონდა პროფესიულ ორგანიზაციას-საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციას (ბაფ-ს), უფრო ადრე კი არსებობდა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო.

ეს საბჭო შეიქმნა „საქართველოს კანონით აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საფუძველზე (საქართველოს 1997 წლის 27 ივნისის კანონი №810) და მისი საქმიანობა შეწყდა საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონით №6598.

აუდიტორული საქმიანობის ლიცენზიას იძლეოდა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო. აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნებოდა:

ა) აუდიტის ჩატარების სტანდარტებისა და მეთოდური რეკომენდაციების შემუშავება; ბ) აუდიტორთა ატესტაციისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება და დამტკიცება, ატესტაციის ჩატარების დებულების დამტკიცება; გ) აუდიტორული საქმიანობის ლიცენზირების დებულების შემუშავება და დამტკიცება; დ) აუდიტორთა კადრების მომზადებისა და გადამზადების (კვალიფიკაციის ამაღლების) სისტემის შექმნა, აუდიტორთა ატესტაცია, აუდიტორული საქმიანობის ლიცენზირება; ე) აუდიტორთა და აუდიტური ფირმების ერთიანი სახელმწიფო რეესტრის წარმოება; ვ) აუდიტორულ საქმიანობაზე სხვა სახელმწიფოების მიერ გაცემული დოკუმენტების ლეგალიზაცია საქართველოს ტერიტორიაზე და უცხო სახელმწიფოთა აუდიტორების (აუდიტური ფირმების) ლიცენზირება; ზ) აუდიტორული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაწყვეტა ამასთანავე აუდიტორების (აუდიტური ფირმის) მუშაობის ხარისხის კონტროლი, მათ მიერ საქართველოს კანონმდებლობის, აუდიტორული სტანდარტების, აუდიტორის ეთიკის კოდექსის მოთხოვნების, დებულებებისა და ნორმატიული აქტების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება; თ) ინდივიდუალური აუდიტორების და აუდიტური ფირმების საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის მიღება და მისი შემდგომი

ანალიზი; ი) აუდიტორული საქმიანობის საკანონმდებლო უზრუნველყოფის მიზნით ამ მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე ნორმატიული აქტების გამოცემა. აუდიტორული საქმიანობის საბჭოს ნორმატიული აქტია აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის დადგენილება.

ზემოთხსენებულ კანონში აღნიშნული იყო, რომ ასევე „დასაშვებია აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული ზოგიერთი საკითხის დელეგირება აუდიტორთა თვითმმართველობის საზოგადოებრივი გაერთიანებებისათვის“.

ეს დელეგირება მოხდა სწორედ ბუღალტერთა და აუდიტორთა საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილ ორგანიზაციასთან-საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციასთან. ამ ფედერაციის მიერ სპეციალური პროგრამით გადამზადებული ბუღალტრები, ვისაც მიენიჭა „პროფესიონალი ბუღალტრის“ სტატუსი, ავტომატურად ითვლებოდნენ სერთიფიცირებულ აუდიტორებად ზოგადი აუდიტის განხრით და საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო ავტომატურად ცნობდა მათ აუდიტორებად.

1999 წლიდან მოყოლებული, ბაფ-მა პროფესიონალი ბუღალტრების და შესაბამისად, აუდიტორების (ზოგად აუდიტში) რამდენიმე ნაკადის გამოშვება მოახერხა ე.წ. „ძველი პროგრამით“, ხოლო 2002 წლიდან პროგრამა დაიხვეწა და ბრიტანეთის სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) სასწავლო პროგრამის ქართულ ენაზე ACCA-ს ოფიციალური ნებართვით ნათარგმნი სახელმძღვანელოებიც გამოჩნდა.

საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს გაუქმებიდან, 2012 წლიდან, 2016 წლამდე-ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის შექმნამდე, პროფესიული ორგანიზაცია ბაფ-ი აკონტროლებდა მარეგულირებელ საქმიანობას.

ასეთი იყო უახლესი წარსული და გზა, რაც გამოიარა აუდიტორული საქმიანობის რეგულირების საკითხის გადაჭრამ. მაგრამ წარსულის გამოცდილებამ აჩვენა, რომ საქართველოში აუდიტის ჩატარების პროცესის ხარისხობრივი მაჩვენებლები და თვით აუდიტორული საქმიანობის რეგულირების საკითხები მიუხედავად იმისა, რომ ვითარდებოდა და ნელ-ნელა იხვეწებოდა, მაინც ვერ იდგა სათანადო დონეზე-იმ დონეზე, რასაც ახლა მოითხოვს ევროკავშირი. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის შექმნამ დაჩქარებული ტემპით დახვეწა საბუღალტრო და აუდიტორული საქმიანობა, გაამკაცრა ხარისხის კონტროლის მოთხოვნები.

მაგრამ ამ დადებითმა მოვლენამ გამოიწვია თანმდევი უარყოფითი მოვლენებიც, როგორცაა, ჩემი კონკრეტული მოსაზრებით, შემიძლია მივიჩნიო:

1. სახელმწიფოს ერთობ ძლიერი მონოპოლიზებული როლი და პროფესიული ორგანიზაციების როლის დასუსტება;
2. მცირე და საშუალო აუდიტორული ფირმების ლიკვიდაციის სერიოზული საფრთხე და მსხვილი აუდიტორული ფირმების ხელში აუდიტორული მომსახურების განხორციელების ოლიგოპოლიზაცია; მცირე და საშუალო აუდიტორულ ფირმებში დასაქმებული აუდიტორების უმუშევრად დარჩენის რეალური პერსპექტიული საფრთხე.

ამ თემის კვლევის საგანია სწორედ პროფესიული ორგანიზაციების როლი აუდიტორული საქმიანობის რეგულირების პროცესში.

**საკვანძო სიტყვები:** აუდიტი, აუდიტის რეგულირება, აუდიტის სტანდარტები, აუდიტის ზედამხედველობის სისტემა, პროფესიული სერტიფიცირება

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (მიღების თარიღი 08/06/2016)
2. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება #223 „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ (მიღების თარიღი 14/09/2016)



## MODERN TRENDS OF EMPLOYMENT IN GEORGIAN INDUSTRY<sup>2</sup>

**Simon Gelashvili**

Doctor of Economics, Professor  
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia*  
Email: [simon.gelashvili@tsu.ge](mailto:simon.gelashvili@tsu.ge)

**Nino Abesadze**

Doctor of Economics, Associate Professor  
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia*  
Email: [nino.abesadze@tsu.ge](mailto:nino.abesadze@tsu.ge)

**Marine Mindorashvili**

Doctor of Economics, Associate Professor  
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia*  
Email: [maia.mindorashvili@tsu.ge](mailto:maia.mindorashvili@tsu.ge)

**Lia Dzebisauri**

Doctor of Economics, Assistant Professor  
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia*  
Email: [lia.dzebisauri@tsu.ge](mailto:lia.dzebisauri@tsu.ge)

Industry is the main branch of the country's economy. It faces many strategic challenges, the solution of which is vital, because without its effective functioning, economic progress and, accordingly, the rational use of the labor force in the country are impossible.

Many methods of statistical science are widely used in the research process, such as: relative and averages, time series analysis, variational analysis, etc. The calculation of appropriate indicators was carried out using the statistical computer program SPSS.

It is an indisputable fact that the pandemic had a negative impact on the business sector as a whole. Restrictions and related regulations, lockdowns have put the activities of some companies in a framework of uncertainty. Accordingly, the number of jobs decreased and the level of unemployment increased. In general, before the pandemic, the number of employees in the business sector was characterized by an increasing trend from 2010, the average annual growth rate in 2010-2019 was at the level of 107%, however, in 2020, the number of employees decreased by 7%. According to the official data of 2021, 663,473 people are employed in the business sector, which is 5.8% less than the figure of 2020. Of these, 129,000 are employed in industry, which is 19.3% of those employed in the business sector.

High employment rates in industry are found in manufacturing, electricity, gas, steam and air conditioning, water supply, sewage, waste management and decontamination activities. The dynamics of the number of employees in these branches of industry is characterized by an upward trend. Under such conditions, employment rates in private industrial enterprises increase. In 2020, the largest part of those employed in the industry, i.e. 89%, is employed in private enterprises, of which 67% is privately owned by local individuals and/or legal entities, and the remaining 33% belongs to foreign individuals and/or legal entities. More than half of those employed in industry, i.e. 68.7%, are employed in processing industry, 9% in beverage production, 7.8% in mining industry and quarrying, 7.3% in basic metals production. As for the distribution of employees in industrial enterprises according to organizational-legal forms, the predominant employment in limited liability companies is clearly defined here. So, for example, according to the official data of 2020, 78.2% of the employees in the country's industry are employed in limited liability companies,

---

<sup>2</sup> The article was prepared by IV. Javakhishvili house Within the framework of the TSU Faculty of Economics and Business grant research project - "Comparative statistical study of business sectoral activity under the conditions of the Covid-19 pandemic".

16.2% - in joint-stock companies, 6.5% - individual entrepreneurs. The mentioned trend applies to the entire analysis period (2010-2020), taking into account small percentage changes depending on the years, which did not have a significant impact on the structure of industrial enterprises according to organizational and legal forms.

According to the analysis of the employment indicators according to the regions of Georgia, it is established that the most, i.e. 45%, are employed in the industry in Tbilisi; Then in Imereti - 12.9%, and Kvemo Kartli - 11.7%. The lowest figures were recorded in Racha-Lechkhumi and Kvemo Svaneti (0.5%), Shida Kartli (3.7%), Mtskheta-Mtianeti (3.8%).

If in general, in 2010-2020, the average annual growth rate of the number of employees in the industry was 102.5%, for Tbilisi this figure was 102.7%, for Imereti 101.5%, and for Kvemo Kartli 100.7%. In Georgia, by 2020, 50% of those employed in industry are employed in large enterprises, 28.3% in small enterprises, and 21.7% in medium-sized enterprises. This trend is unchanged in the entire analysis period.

As of 2020, 97% of those employed in industry are hired workers, of which 51% are employed in large companies and enterprises. 68% of the hired workers are employed in manufacturing industry, 13% in electricity, gas steam and air conditioning supply, and 11% in water supply; Which is 66%, 12%, 11% of those employed in the industry.

In general, the trends expressed in the regional structure of employees in industry are maintained among the hired employees as well. So, for example, the rates of employment by hiring are high in the regions of Tbilisi, Kvemo Kartli, Imereti and Ajara. According to the organizational-legal form, the hired employees in the industry are mostly in limited liability companies, where their share is up to 80% as of 2021. 88% of the hired workers in the industry are employed in private enterprises, of which 65.5% are owned by local individuals and/or legal entities, and 34.5% by foreigners.

In conclusion, we can say that

- 19.3% of employees in the business sector are employed in industry;
- Among the employed, 68.7% are employed in the processing industry;
- In 2021, the largest number of people were employed in wholesale and retail trade and the construction sector;
- The largest part of those employed in industry, i.e. 89%, are employed in private enterprises;
- High rates of employment in limited liability companies are clearly visible;
- 97% of the employees in the field of industry are hired, of which 67% come from the manufacturing industry;
- 45% of those employed by hiring in industry are in Tbilisi;
- 50% of those employed in industry are employed in large enterprises, and 88% are employed in private enterprises.

**Key words:** *employment structure, industry, region, range of variation, statistical analysis.*

## REFERENCES

1. Abesadze, N., Mindorashvili, M., Kutsurua, K., (2021) Statistical study of employment and unemployment of students during the pandemic. Proceedings of the international scientific conference of Ivane Javakishvili Tbilisi State University Faculty of Economics and Business: "Challenges of Globalization in Economics and Business". Tbilisi,
2. Gelashvili, S., Abesadze, N., Mindorashvili, M. (2022) A Statistical study of the impact of the COVID-19 pandemic on the employment and unemployment of students' parents. Collection of papers of Akaki Tsereteli State University international scientific-practical conference "New challenges of the labor market: the context of the COVID-19 pandemic". pp. 12-23
3. Abesadze N., Mindorashvili M., Faresashvili N. (2018) Tourist expenses of foreign visitors in Georgia. Monograph, Tbilisi, TSU.

[https://www.tsu.ge/data/file\\_db/economist\\_faculty/ucxoeli.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/ucxoeli.pdf)

4. Gelashvili S. (2020) On the formation of a system of coronostatics indicators. Journal. "Globalization and Business", # 10, Tbilisi, p. 63-69.

5. Gelashvili, S. Mindorashvili M., Abesadze N., (2021) Journal „Transformacje/Transformations“3 (110) Pp. 122-133, E-Issn 2719-715

6. Mindorashvili M., Abesadze N., Giorgobiani M. (2019) Statistical analysis of students' socio-demographic characteristics. Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business, IV International Scientific Conference "Challenges of Globalization in Economics and Business." Proceedings, Tbilisi, November 1-2, p. 265-269. [https://old.tsu.ge/data/file\\_db/economist\\_faculty/konf%20IV.pdf](https://old.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf%20IV.pdf)

7. Mindorashvili M., Abesadze N., Gelashvili S. (2021) Program-methodological issues of the statistical study of the impact of COVID-19 on the standard of living of the population. Proceedings of the Paata Gugushvili Institute of Economics International Scientific Conference "Economic, Social, Ecological and Technological Challenges of the XXI Century".

[https://www.tsu.ge/data/file\\_db/economist\\_faculty/konference.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konference.pdf)

8. Mindorashvili M. The role of key indicators of the household sector in macroeconomic analysis. Scientific publication "Teaching Statistics and Statistical Studies in Georgia", Universal Publishing House, Tbilisi, p. 122-130, 2018, ISBN 978-9941-26-270-8

[https://www.tsu.ge/data/file\\_db/economist\\_faculty/statistika\\_61265.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/statistika_61265.pdf)

9. Simon Gelaschwili, Matthias Theodor Vogt. Aspects of Armor in Modern Georgia. GÖRLITZ-ZGORZELEC JG. XIX (2015/16), BEITRAG 1.

10. Demographic mood of Georgian student youth. Monograph, Collective of Authors. Tbilisi, TSU, 2020, ISBN 978-9941-13-937-

11. [https://old.tsu.ge/data/file\\_db/economist\\_faculty/demografia.pdf](https://old.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/demografia.pdf)

12. Higher education <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/61/umaghlesi-ganatileba>

13. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

## ინოვაციებში ინვესტირების სტიმულირების მექანიზმი

ალეკო მელაძე

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო  
E-mail: [aleko.meladze@bsu.edu.ge](mailto:aleko.meladze@bsu.edu.ge)

გლობალიზაციის პირობებში ქვეყნების განვითარებას მნიშვნელოვნად განაპირობებს თვისებრივი ცვლილებები ეკონომიკაში - ეკონომიკის თვისებრივ-ხარისხობრივი სრულყოფა, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ ქვეყნებში. თვისებრივ-ხარისხობრივი ცვლილებებისა და შესაბამისად, ეკონომიკური განვითარების მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს ინოვაციური საქმიანობა წარმოადგენს. ინოვაცია კომერციალიზირებული გამოგონებაა, ანუ გამოგონება, რომელიც უკვე დანერგილია პრაქტიკაში. მის დიდ მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში მიუთითებდა გამოჩენილი ავსტრიელი მეცნიერი იოზეფ ალიოს შუმპეტერი. მან თავის ნაშრომში - „ეკონომიკური განვითარების თეორია“ ეკონომიკური განვითარების საფუძვლად სიახლეთა გამოყენება მიიჩნია და ინოვაცია განსაზღვრა, როგორც უფრო მაღალი მოგებისა და ეკონომიკური ეფექტის მიღების მთავარი საშუალება მიკრო და მაკრო დონეებზე. (Шумпетер, 2007)

თანამედროვე ეკონომიკურ გარემოში კონკურენტული უპირატესობის მოპოვების მთავარი საშუალება მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის სწრაფი ათვისება და ინოვაციური პროცესების აქტივიზაციაა, სადაც ცოდნა ინტელექტუალური რესურსის ფორმასღებულობს, რომელიც უახლეს პროდუქტებად, ტექნოლოგიებად, ბიზნესის ორგანიზებისა და წარმოების მართვის საშუალებებად გვევლინება. ამიტომაც, ნებისმიერ ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოში განვითარების ინოვაციური გზა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებაა, სადაც ახალი იდეებისა და უახლესი ტექნოლოგიების პრაქტიკული გამოყენება უზრუნველყოფს საზოგადოების მუდმივად მზარდი მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას, საზოგადოების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

ეკონომიკურ მეცნიერებაში ინოვაციების მრავალ ფორმას გამოყოფენ, რომლებიც შეიძლება კლასიფიცირდეს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით: 1. საქმიანობის სფეროების მიხედვით - პროდუქტიული, პროცესული, მმართველობითი; 2. საქმიანობის მასშტაბების მიხედვით - ლოკალური, სისტემური, სტრატეგიული; 3. სიახლის სიღრმის მიხედვით - რადიკალური, გაუმჯობესებელი, ფსევდოინოვაციური; 4. სიახლის მასშტაბების მიხედვით - მსოფლიო მნიშვნელობის, ეროვნული მნიშვნელობის (ქვეყნის არეალის), საწარმოო მნიშვნელობის (zverev, 2009). ტექნოლოგიების განვითარება დღითიდღე უფრო აღრმავებს და ყოვლისმომცველს ხდის გლობალურ კონკურენტუნარიანობას, ამათან, ინოვაციის თითოეული ფორმა წარმოადგენს ბიზნეს სუბიექტების კონკურენტუნარიანობისა და სიცოცხლისუნარიანობის განმსაზღვრელ უმთავრეს ფაქტორს, რაც მთლიანობაში ეკონომიკური განვითარების საფუძველია.

რაოდენ ღირებული და ორიგინალურიც არ უნდა იყოს კონკრეტული გამოგონება ან ინოვაციური პროექტი საქმიანობის მასშტაბებისა თუ სიახლის სიღრმის მიხედვით, ბუნებრივია იგი დადებით ეკონომიკურ ეფექტს ვერ მოიტანს, ვერც საწარმოო დონეზე და რასაკვირველია, ვერც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, სათანადო ფინანსური უზრუნველყოფის (ინოვაციების კომერციალიზაციის) გარეშე. ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების მრავალი არხი არსებობს, რომელთა ხასიათიც განსხვავებულია ქვეყნის ინოვაციური განვითარების დონის, სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის მიმართულებებისა და ინოვაციების სტიმულირების მექანიზმების გამოყენების მიხედვით. ზოგადი სახით კი ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების წყაროები კლასიფიცირდება შემდეგნაირად: 1. საკუთარი სახსრები; 2. ნასესხები სახსრები; 3. მოზიდული სახსრები; 4. არაპირდაპირი დაფინანსება (სახელმწიფოს მხარდამჭერი პროგრამები).

ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, და ამავდროულად, გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს მოზიდული სახსრები - ინვესტიციური დაფინანსების მექანიზმის გამოყენებით.

საინვესტიციო საქმიანობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნისათვის ეკონომიკური ზრდის ტემპების უზრუნველყოფის საკითხში, ხოლო ინვესტიციები ინოვაციებში ეკონომიკის ხარისხობრივ განვითარებას განაპირობებს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში წინაპირობაა ეკონომიკური ზრდისა. ეკონომიკური ზრდის ტემპები დაკავშირებულია განუწყვეტლივ ცვლილებებთან ეკონომიკაში, ტექნიკური პროგრესთან და გამოგონებებთან. ამ შემთხვევაში ინვესტიცია განიხილება ძირითადი ცვლილებების დაფინანსებისა და გამოგონებების კომერციალიზაციის ინსტრუმენტი, რაც მათ ინოვაციად აქცევს. გამომდინარე აქედან, ამ ორ ეკონომიკურ კატეგორიას - ინოვაციასა და ინვესტიციას შორის მჭიდრო, ურთიერთშემავსებელი დამოკიდებულება არსებობს. ინვესტიცია, როგორც ეკონომიკური კატეგორია ეკონომიკური ზრდის საფუძველია, ხოლო ინოვაცია - ეკონომიკური განვითარების. ინვესტირება ინოვაციებში კი ერთდროულად განაპირობებს ეკონომიკურ ზრდასაც და ეკონომიკურ განვითარებასაც, რაც მის მნიშვნელობას ერთიორად ზრდის.

ეკონომიკის ინოვაციურ სექტორში განხორციელებული ინვესტიციების ხვედრითი წილი ინვესტიციების საერთო მოცულობაში ქვეყნის ინოვაციური განვითარების მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია. რაც უფრო მაღალია ის, მით უფრო განვითარებულია ქვეყნის ეკონომიკა (ჩიქავა, 2006: 54-55). ინვესტირება ტექნოლოგიებსა და ინოვაციებში ეკონომიკურად მომგებიანი, თუმცა ამავე დროს საკმაოდ მაღალი რისკის შემცველი ქმედებაა. ამიტომაც, ხშირად ეკონომიკურ სივრცეებში ინოვაციებში ინვესტირებას ვენჩურულ დაფინანსებას უწოდებენ. ინოვაციებში ინვესტირების შედეგად ყოველწლიურად იქმნება უფრო მეტ სამუშაო ადგილები, ვიდრე მსხვილი კორპორაციების საქმიანობის შედეგად.

ვენჩურული კაპიტალის ევროპული ასოციაციის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, უმსხვილესი ევროპული კორპორაციების საქმიანობის შედეგად სამუშაო ადგილები წლიურად მხოლოდ 2%-ით იზრდება, მაშინ როცა ვენჩურული კომპანიები ინოვაციებსა და ტექნოლოგიებში სახსრების ინვესტირებით სამუშაო ადგილებს დაახლოებით 15%-ით ზრდიან (Макии, 2001: 57-58).

ინვესტორი სახსრებს დებს არა ინოვაციებში, არამედ ბიზნესში. ცხადია, ტექნოლოგიებისა და გამოგონებების ინოვაციებად ქვეყნისათვის ინვესტიციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, როგორც მაკროეკონომიკური, ასევე კომპანიის კონკურენტუნარიანობისა და გრძელვადიანი რენტაბელობის თვალსაზრისით, თუმცა კონკრეტული ინვესტორისათვის ამ ფაქტზე უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ მის მიერ დაფინანსებულმა საინვესტიციო პროექტმა უმოკლეს დროში მოუტანოს მას ფინანსური სარგებელი, ამასთან, უმცირესი რისკის პირობებში. მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია ინტერესთა თანხვედრა, ერთის მხრივ კერძო ინვესტორებსა და მეორეს მხრივ - სახელმწიფოს შორის, რისთვისაც აუცილებელია, სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკისა და სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის ფარგლებში შემუშავებულ და გამოყენებულ იქნეს ინოვაციებში ინვესტირების სტიმულირების საშუალებები.

ინოვაციებში ინვესტირების სტიმულირების მიზნით, ჩვენი აზრით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებები:

საინვესტიციო რისკების დაზღვევის მექანიზმი. გამომდინარე იქედან, რომ ინოვაციური საქმიანობა და მისი დაფინანსება უკავშირდება მაღალ რისკებს, ინვესტორისათვის უმნიშვნელოვანესია აღნიშნული რისკების დაზღვევის მექანიზმის არსებობა. დაზღვევის მექანიზმში ვგულისხმობთ, როგორც სახელმწიფო, თუნდაც სავალდებულო, სადაზღვევო პაკეტის შემუშავებას და მის სახელმწიფო მხარდაჭერას, ასევე სადაზღვევო ბაზარზე შესაბამისი სადაზღვევო პროდუქტის შემოტანას სადაზღვევო კომპანიების მხრიდან და მის პოპულარიზაციას სახელმწიფოს მხარდაჭერით.

იაფი ფულის პოლიტიკა (საპროცენტო განაკვეთების დაწვევა). იაფი ფულის პოლიტიკა სახელმწიფო მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომელიც, სხვა ყველაფერთან ერთად, ინვესტიციების მოცულობის ზრდას ასტიმულირებს, რაც ორგვარ დამოკიდებულებაში გამოინახება. პირველი, დაბალი საპროცენტო განაკვეთების შემთხვევაში საინვესტიციო რესურსებზე წვდომა უფრო მოსახერხებელია, და მეორე, ინვესტორებს ურჩევნიათ რესურსების სასესხო კაპიტალის ბაზარზე განთავსების ნაცვლად მათი საინვესტიციო პროექტებში დაბანდება, რომლებიც ფინანსური თვალსაზრისით უფრო მომგებიანია, მით უფრო ინოვაციური საინვესტიციო პროექტები, რომლებიც მართალია მაღალრისკიანი დაბანდება, თუმცა სამომავლოდ მაღალი მოგების პერსპექტივა ახასიათებთ.

საგადასახადო შეღავათები. აქ ვგლისხმობთ რეინვესტირებულ მოგებაზე საგადასახადო შეღავათების გამოყენებას, კერძოდ მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებას. აღნიშნული შეღავათის ნორმა სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკის ფარგლებში შეიძლება მოქმედებდეს ბიზნესის ზრდის ტემპების უზრუნველყოფის მიზნით, თუმცა ამასთან ერთად, აქ საუბარია კომპანიის მოგებით რეინვესტირებული ინოვაციური პროექტებიდან მომავალში მისაღები შემოსავლებისა და მოგების რაღაც პერიოდით გადასახადებისაგან გათავისუფლებაზე. ამასთან ერთად საგადასახადო სტიმულირების ფარგლებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს საგადასახადო არდადეგები, საგადასახადო კრედიტი, დაჩქარებული ამორტიზაცია ინოვაციური პროექტების ინვესტირებისას გამოყენებულ ძირითად საშუალებებზე და საბაჟო გადასახდელებისაგან განთავისუფლება ტექნოლოგიების იმპორტირებისას.

ინოვაციური პროექტების ინვესტირებისას სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობა. ვინაიდან აღნიშნული ნორმა ფინანსური სტიმულირების ხასიათს მიეკუთვნება და იგი მნიშვნელოვან ფულად დანახარჯებს გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან, პრაქტიკაში მისი გამოყენება უფრო განვითარებულ ქვეყნებშია გავრცელებული, თუმცა განვითარებად ქვეყნებში მისი გამოყენება მნიშვნელოვანი სტიმულის მიმცემია კერძო ინვესტორისთვის რისკების დივერსიფიკაციისა და პასუხისმგებლობის გაზიარების თვალსაზრისით.

კონკურენციის წახალისება. ინოვაციური საქმიანობა კონკურენტული უპირატესობების მოპოვების საფუძველია და გარკვეულწილად განსაზღვრავს ფირმების კონკურენტუნარიანობას ბაზარზე, ამიტომაც, თუ ინვესტორის მიზანს, მაღალი მოგების მიღებასთან ერთად, კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაც წარმოადგენს (რაც გრძელვადიან პერიოდში უფრო მეტად გაზრდის მოგებას), მაშინ ანტიმონოპოლიური პოლიტიკა და კონკურენციის გაძლიერება ინოვაციებში ინვესტირების ხელშემწყობი ღონისძიებების როლში გამოდის.

ინოვაციური საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა. სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ფარგლებში აუცილებელია პრიორიტეტული დარგებისა და მიმართულებების განსაზღვრა, როგორც ინოვაციური განვითარების მიზნებიდან გამომდინარე, ასევე ინვესტიციების სტიმულირების თვალსაზრისით.

ინოვაციების ცნობადობა და მარკეტინგი. კონკრეტული საინოვაციო პროექტის ინვესტირებისას შექმნილი პროდუქტის რეალიზაცია შეიძლება შეფერხდეს რეკლამების, გასაღების სისტემების და მომხმარებლის სათანადო მომზადების გარეშე, რადგან ასეთი პროდუქტი ხასიათდება ორიგინალურობითა და სიძვირით, ამიტომაც მარკეტინგს ენიჭება მნიშვნელოვანი როლი ამ სირთულის დაძლევაში. ასევე, ინოვაციების ცნობადობა საზოგადოებაში დადებით ეფექტს ახდენს მარკეტინგული ინსტრუმენტების ეფექტურობაზე და ინვესტორების სტიმულირებაზე.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების კომპლექსური და სისტემური გამოყენება გაზრდის ინვესტორების დაინტერესებას ინოვაციური პროექტების დაფინანსების მიმართ, რაც იმოქმედებს ინოვაციური პროექტების დაფინანსებაში ინვესტიციური დაფინანსების წილის ზრდაზე. შედეგად, შეზღუდული საინვესტიციო რესურსების პირობებში ინოვაციური პროექტების ინვესტი-

ციური დაფინანსება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორი შეიძლება გახდეს.

**საკვანძო სიტყვები:** ინოვაციური საქმიანობა, ინვესტიციები, ინვესტიციური დაფინანსება, ინვესტიციები ინოვაციებში, ინოვაციებში ინვესტირების სტიმულირება.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. აბესაძე, ა. (2014). ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი. თბილისი: პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა;
2. აბრალავა, ა. (2016). ინოვაციური პროცესების მართვის მოდელები. ბათუმი: ჟურნალი „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“;
3. ბარათაშვილი, ე., დათაშვილი, ვ., ნაკაიძე, გ., ქუთათელაძე, რ. (2008). ინოვაციების მენეჯმენტი. თბილისი;
4. ჩიქავა, ლ. (2006). ინოვაციური ეკონომიკა. თბილისი: საგამომცემლო ფირმა „სიანლე“;
5. Макки, Д. (2001). Вклад венчурного капитала в экономику Великобритании. Общество и экономика. Москва;
6. Шумпетер, Й. А. (2007) Теория экономического развития. Москва: Эксмо
7. Zverev, A. V. (2009). Formation of national innovation system: Global experience and Russian Prospects. Autoreferat of Dissertation N. E. N. M.;

## POTENTIAL BENEFITS OF USING SMART CONTRACTS IN GEORGIA'S REAL ESTATE SECTOR

**Sulkhan Khalvashi**

Faculty of Economics and Business. Ph.D. Student  
Batumi Shota Rustaveli State University  
Batumi, Georgia  
E-mail: sulkhan.khalvashi@bsu.edu.ge

The real estate business is currently one of the fastest-growing fields in Georgia. The number of transactions related to real estate is increasing every year. Transactions on the purchase of residential real estate stand out quantitatively among them. Investing in residential real estate is often an alternative to investing in financial assets since real estate is a more or less stable asset than bonds or a specific currency. Real estate transactions are also a kind of economic indicator. We can evaluate the economic activity according to the increase or decrease in transactions. As the economy grows, the number of transactions increases and vice versa. We can consider the impact of investing in real estate on economic activity in two directions: First: investing in real estate has a positive impact on economic growth. Second: Investing in real estate motivates households to increase spending on housing improvements.

With the increase in the number of real estate transactions, the issue of simplifying these transactions becomes relevant. Real estate deals and financial transactions involve several intermediaries and third parties. As a result, these arrangements are usually time-consuming and involve additional complexities, especially in international operations. Consequently, the financial costs of the real estate transaction parties increase, and additional time is spent. Dropping the above-mentioned third party from the transaction will save considerable time and financial resources for the transaction parties.

This is where the issue of relevance and need for blockchain technology, in particular smart contracts, arises. Blockchain was originally created as a means of carrying out transactions for digital payment systems. However, over time, its potential to be used in other business sectors appeared. From these sectors, we can single out the real estate sector.

With the advent of new technologies, it is no longer necessary to conduct real estate transactions the way it was done 20 years ago. We are in the phase of the 4th industrial revolution and this phase is characterized by cyber-physical systems. Accordingly, we have the opportunity to improve business processes in the field of real estate. The solution is the integration of "smart contracts", and this technology is the ideal technology needed not only to reduce the need for intermediaries but also to create a stable ecosystem where the terms of transactions are transparent and cannot be violated or changed. A smart contract acts as an automatic regulator that ensures that the parties involved in the contract fulfill the conditions specified in the contract before a financial transaction takes place. Through smart contracts, all transactions are strictly between the real estate buyer and seller, without any third-party involvement. This makes the transfer of real estate easier and faster. The process can be completed in a few minutes. In addition to reducing the time and costs required to complete a transaction, smart contracts mitigate the risks of fraud and also enable stakeholders to complete their transactions remotely without having to physically meet to sign documents.

A smart contract is a win-win solution for both sides of a real estate transaction (buyer and seller) in terms of financial costs, time, and efficiency.

**Keywords:** *real estate transaction, blockchain technology, smart contract, decentralized finance.*

### REFERENCES:

1. Hewa, T., Ylianttila, M., & Liyanage, M. (2021). Survey on blockchain-based smart contracts: Applications, opportunities, and challenges. *Journal of Network and Computer Applications*, 177, 102857. <https://doi.org/10.1016/j.jnca.2020.102857>
2. Sladic, G., Milosavlevic, B., Nikolic, S., & Sladic, D. (2021). A Blockchain Solution for Securing Real Property Transactions: A Case Study for Serbia. Retrieved 1 July 2022, from <https://doi.org/10.3390/ijgi10010035>



3. Uzair, M., Karim, E., Sultan, S., & Ahmed, S. (2018). The Impact of Blockchain Technology on the Real Estate Sector Using Smart Contracts. Retrieved 1 July 2022, from <https://mp.ra.ub.uni-muenchen.de/89038/>
4. Darwish, Mohamed Saleh, and Belal, Mohamed Belal (2021) "APPLICABILITY OF SMART CONTRACTS FOR REAL ESTATE: A LITERATURE REVIEW," *Future Computing and Informatics Journal*: Vol. 7: Iss. 1, Article 2. DOI: <https://doi.org/10.54623/fue.fcij.7.1.2> Available at: <https://digitalcommons.aaru.edu.jo/fcij/vol7/iss1/2>
5. Norta, A., Fernandez, C., & Hickmott, S. (2018). Commercial Property Tokenizing with Smart Contracts. *2018 International Joint Conference On Neural Networks (IJCNN)*. doi: 10.1109/ijcnn.2018.8489534
6. Garcia-Teruel, R. M. (2020). Legal challenges and opportunities of blockchain technology in the real estate sector. *Journal of Property, Planning and Environmental Law*, 12(2), 129–145. <https://doi.org/10.1108/JPEL-07-2019-0039>
7. Pankratov, E., Grigoryev, V., & Pankratov, O. (2020). The blockchain technology in real estate sector: Experience and prospects. *IOP Conference Series: Materials Science and Engineering*, 869, 062010. <https://doi.org/10.1088/1757-899X/869/6/062010>
8. Tilbury, J. L., de la Rey, E., & van der Schyff, K. (2019). Business Process Models of Blockchain and South African Real Estate Transactions. *2019 International Conference on Advances in Big Data, Computing and Data Communication Systems (IcABCD)*, 1–7. <https://doi.org/10.1109/ICABCD.2019.8851014>
9. Uzsoki, D. (2019). *Tokenizing Real Assets: Examples from Switzerland* (Tokenization of Infrastructure, pp. 18–24). International Institute for Sustainable Development (IISD). <https://www.jstor.org/stable/resrep22004.6>
10. Spielman, A. (2016). *Blockchain: digitally rebuilding the real estate industry* [Thesis, Massachusetts Institute of Technology]. <https://dspace.mit.edu/handle/1721.1/106753>

# სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორების ემპირიული ანალიზი

*ასიე ცინცაძე*

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო. asie.tsintsadze@bsu.edu.ge

*თამარ ლოდობერიძე*

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასისტენტ პროფესორი  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო. gogoberidzet@gmail.com

დაზღვევის ინდუსტრია თანამედროვე მსოფლიოს ერთერთი წამყვანი დარგია. მისი განვითარება და გადახდელი სახელმწიფო გადასახადების მოცულობა პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის ცხოვრების დონესთან. ეკონომიკური და ფინანსური კრიზისები ართულებენ მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას, მაშინ როდესაც სადაზღვევო მომსახურება მოცემული მდგომარეობის შესარბილებლად აუცილებელ წყაროს წარმოადგენს. ე.ი ცხოვრების დონე და სადაზღვევო კომპანიის განვითარება ურთიერთკავშირშია, როდესაც ეცემა ცხოვრების დონე, უარესდება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა, შესაბამისად მეტი მოთხოვნა ჩნდება სადაზღვევო კომპანიების მიმართ დაზღვეული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებისათვის. კრიზისული სიტუაციების გაგრძელება იწვევს სპირალურად სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მდგრადობის შემცირებას, ხელშეკრულებათა რაოდენობის შემცირების შედეგად და ჩნდება გაკოტრების რისკ - ფაქტორების გაუარესება. ამას ერთვის სადაზღვევო კომპანიების დაბეგვრა, რომელიც განსხვავდება სხვა ბიზნეს სუბიექტების დაბეგვრის წესისაგან. ევროკავშირის ფისკალური სპეციალისტების აზრით სადაზღვევო კომპანიების დაბეგვრის წესის სრულყოფა მნიშვნელოვანია, მათი გადახდისუნარიანობის წესთან ჰარმონიზაციის მიზნით. ეს მიდგომა არ გულისხმობს მიღებული მოგების დაბეგვრის განსხვავებულ განაკვეთს, არამედ პრობლემად ითვლება სადაზღვევო ხარჯების განსაზღვრა საგადასახადო ანგარიშსწორების მომენტისათვის.

სადაზღვევო კომპანიების დაბეგვრა უნდა გაანალიზდეს (მთლიანი პრემია), გაფორმებულ ხელშეკრულებებზე გადახდელი შენატანებით, რომელიც ამ ტიპის სუბიექტებისათვის შესაძლებელია მიღებული იქნას ერთდროულად ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, შეიძლება - პერიოდულად, რაც აჩენს სადაზღვევო კომპანიებს მიერ ზარალის ანაზღაურებასა და მიღებულ შემოსავლებს შორის ექვივალენტურობის დარღვევის საფრთხეს.

ევროკომისიის მიერ შემუშავებული სამართლებრივი ბაზა სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფისათვის დაფუძნებული იქნა (IAS/IFRS) საერთაშორისო აღრიცხვის სტანდარტებზე, რომლის თანახმად სადაზღვევო კომპანიები ვალდებული არიან აწარმოონ ამ სტანდარტების დაცვით ბუღალტრული აღრიცხვა და მოამზადონ ფინანსური ანგარიშგება გასაგებ ენაზე. აღნიშნული მიდგომა აუცილებელია იმისათვის, რომ დადგინდეს გადახდისუნარიანობას, კანონმდებლობას, დაბეგვრის წესებს შორის რეალური კავშირი, რაც გარკვეულ წარმოდგენას ქმნის მოსახლეობის ცხოვრების დონეზე.

საგადასახადო ტვირთი არ უნდა იწვევდეს სადაზღვევო კომპანიის გადახდისუნარიანობის გაუარესებას, პირიქით მას განვითარების შესაძლებლობა უნდა მისცეს. ყურადსაღებია ადამ სმიტისა და მისი მიმდევრების შეხედულება გადასახადებზე. ისინი გადასახადებს მხოლოდ სახელმწიფოს არსებობას უკავშირებდნენ და ეკონომიკური სუბიექტების მიერ დაბეგვრის შედეგების მათ განვითარებაზე გავლენას სამართლებრივი დარეგულირების ამოცანად მიიჩნევდნენ (ა.სმიტი, 1962). ნეოკლასიკური მიმდევრობის წარმომადგენლები გადასახადების ოპტიმიზაციის მომხრე იყვნენ. ეს მიდგომები მაღალი სიზუსტით ვერ შეესაბამება სადაზღვევო დარგის სპეციფიკას აქ

მნიშვნელოვანია განხილული იქნას ფულადი რესურსების დანიშნულება, მათი მოძრაობის პერიოდებს და საანგარიშო პერიოდს შორის განსხვავება, დაზღვევის არა მხოლოდ ბიზნესის, არამედ სოციალური დაცვის ფუნქციის გათვალისწინება (ფრიდმანი, 1982). სადაზღვევო საქმიანობის განვითარებით სახელმწიფოს სოციალური მიმართულებით ხარჯების დაზოგვის შესაძლებლობა იქმნება. ეს კი ადასტურებს, რომ სადაზღვევო ბაზრის და მისი ცალკეული მონაწილის გადახდისუნარიანობის შენარჩუნება საერთო - სახელმწიფო საზრუნავი უნდა იყოს.

2002 წელს საბანკო სექტორის ზედამხედველობის დოკუმენტის ბაზელი II-ის ინიცირების შემდეგ ევროკომისიის მიერ შემუშავდა სადაზღვევო კომპანიების ფინანსური რესურსების, რისკების მართვის, ზედამხედველობის და ფინანსური ანგარიშგების შესრულების სტანდარტები სოლვენსი II დირექტივების სახით. აღნიშნული დოკუმენტი პერიოდულად, დაზღვევის სექტორში გამოვლენილი პრობლემების მიხედვით გადაიხედება და ემატება შესაბამისი რეგულირების მუხლი. მაგ. 2018 წელს დაემატა პროფესიული პენსიის მოთხოვნის დირექტივა და ა.შ.

სტატიაში შესწავლილია საქართველოს და განვითარებული ქვეყნების სადაზღვევო სექტორის ცხოვრების დონეზე გავლენის მდგომარეობა, ემპირიული კვლევით დადგენილია სადაზღვევო კომპანიის გადახდისუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა და გამოტანილია დასკვნა, რომ სადაზღვევო კომპანიებმა უნდა მოახდინონ შემოსავლების ოპტიმიზაცია ახალი პროდუქტების შექმნის გზით, პრეტენზიების სამართლებრივი რეგულირებით შეამცირონ საგადასახადო რისკი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სამართალდარღვევების შედეგად და გამოიწვიოს რეპუტაციის რისკი, ასევე სანქციებითა და ჯარიმებით შეიძლება აღმოჩნდეს ფინანსური პრობლემის წინაშე, რაც გადახდისუნარიანობის შემცირებას გამოიწვევს.

**საკვანძო სიტყვები:** *პრემია, გადახდისუნარიანობა, ცხოვრების დონე, სოლვენსი, საგადასახადო რისკი.*

# რეგიონული ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა: საქართველოს პოზიციონირება

## **ბადრი გეჩბაია**

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ბათუმი  
E-mail: [gechbaia.badri@bsu.edu.ge](mailto:gechbaia.badri@bsu.edu.ge)

## **ვლადიმერ გლონტი**

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ბათუმი  
E-mail: [vladimer.ghlonti@bsu.edu.ge](mailto:vladimer.ghlonti@bsu.edu.ge)

## **ლევან გვარიშვილი**

დოქტორანტი  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ბათუმი  
E-mail: [levan.gvarishvuli@bsu.edu.ge](mailto:levan.gvarishvuli@bsu.edu.ge)

რეგიონები, მათი სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსები ობიექტურად არის ქვეყნის მოწყობის და განვითარების საწყისი, პირველადი რგოლი. რეგიონები წარმოადგენენ სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური სტრუქტურების სივრცობრივ-ტერიტორიულ ჭრილს, მისი ერთიანი მეურნეობრივ და სოციალური კომპლექსის შემადგენელ ნაწილებს. ობიექტურად, ყველა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესები მიმდინარეობს, საგნობრივად ვლინდება და იმართება ადგილებზე, რეგიონებში. საქართველოს ტერიტორიული მოწყობა მოიცავს ორ ავტონომიურ რესპუბლიკას და 69 მუნიციპალიტეტს, აქედან 5 არის თვითმმართველი ქალაქი, 64 კი თვითმმართველი ოლქი. მუნიციპალიტეტები გეოგრაფიულად გადანაწილებული არიან რეგიონებში, რომლებიც ცალკე თვითმმართველობას არ წარმოადგენენ, თუმცა სტატისტიკური მონაცემების წარმოების დროს მნიშვნელოვან ფუნქციას იძენენ.

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ ეკონომიკის და ზოგადად მისი დარგების კონკურენტუნარიანობის შეფასება რეგიონულ ჭრილში აღნიშნული მიმართულების მკვლევართა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი არის.

ბიბლიოგრაფიულ კვლევაზე დაყრდნობით გაანალიზებულია რეგიონული ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის გამოწვევები და მათი მნიშვნელობა საქართველოს პირობებში.

შესწავლილია რეგიონული ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის საკითხები საქართველოს რეალობაში მათი თეორიული და პრაქტიკული ასპექტები.

ნაშრომში გამოკვეთილია რომ რეგიონებს შორის არსებული კონკურენციის ძირითადი მიზეზი არის შრომის დანაწილების საზოგადოებრივი პროცესები, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც ეკონომიკური სუბიექტების სპეციალიზაციას, ასევე კომპანიებისა და წარმოების კომბინირების ფორმებს.

ნაშრომში ასევე შეფასებულია ქართველ და უცხოელ მეცნიერ-მკვლევართა მოსაზრებები რეგიონული პოლიტიკისა და რეგიონების კონკურენტუნარიანობის საკითხებზე ქვეყნის მდგრად განვითარებაში.

რაოდენობრივი კვლევის შედეგების ანალიზისა და ფოკუს ჯგუფებთან დისკუსიის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები და შემუშავებულია კონკრეტული რეკომენდაციები რეგიონული ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის და საქართველოს პოზიციონირების საკითხებთან დაკავშირებით.

**საკვანძო სიტყვები:** რეგიონი, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, რეგიონების კონკურენტუნარიანობა

# კომპანიის საინვესტიციო პოლიტიკა: პრობლემები და პერსპექტივები

**ხათუნა ბარბაქაძე**

ასოცირებული პროფესორი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი  
[Khatuna.barbakadze@tsu.ge](mailto:Khatuna.barbakadze@tsu.ge)

**ნატო კაკაშვილი**

ასისტენტ პროფესორი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი  
[Nato.kakashvili@tsu.ge](mailto:Nato.kakashvili@tsu.ge)

საინვესტიციო პოლიტიკა კომპანიის ფინანსური სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს და გულისხმობს როგორც რეალური, ასევე, ფინანსური ინვესტიციების ყველაზე ეფექტიანი ფორმების შერჩევასა და რეალიზაციას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კომპანიის საბაზრო ღირებულების მუდმივი ზრდა.

კომპანიის საინვესტიციო საქმიანობას განსაზღვრავს მისი გრძელვადიანი მიზნები, რომლის განხორციელებაც ხდება შემუშავებული საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისად. კომპანიის ფინანსური სტრატეგია მოიცავს საინვესტიციო პოლიტიკას, როგორც დამოუკიდებელ ბლოკს, რომელიც მიმართულია როგორც ფინანსური, ასევე, კორპორატიული სტრატეგიის რეალიზაციისაკენ. კომპანიის არაეფექტიანი საინვესტიციო პოლიტიკა საფრთხეს უქმნის მთლიანად სტრატეგიული მიზნების რეალიზაციას.

კომპანიის საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისას აუცილებელია გარკვეული ეტაპების გათვალისწინება, რომელიც მნიშვნელოვანია ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების დროს, კერძოდ:

**კომპანიის საინვესტიციო საქმიანობის ანალიზი წინა პერიოდში**, რომლის ძირითად მიზანს კომპანიის შიდა საინვესტიციო პოტენციალისა და მისი საინვესტიციო საქმიანობის ეფექტიანობის შესწავლა წარმოადგენს. ამ მიზნით გამოიყენება მთლიანად საინვესტიციო საქმიანობის რენტაბელობის მაჩვენებლების სისტემა, მათ შორის ინვესტირების მიმართულებების მიხედვით; ამ მაჩვენებლების შედარება ხდება აქტივების და საკუთარი კაპიტალის რენტაბელობასთან; განიხილება საინვესტიციო რესურსების ბრუნვალობის მაჩვენებლები; ფაქტორული ანალიზის მეთოდებით დგინდება საინვესტიციო საქმიანობის ეფექტიანობის ცალკეული მაჩვენებლების გავლენის ხარისხი კომპანიის საბაზრო ღირებულების ზრდაზე.

**გარე საინვესტიციო გარემოსა და საინვესტიციო ბაზრის კონიუნქტურის როგორც შესწავლა, ასევე, აღრიცხვა.** საინვესტიციო ბაზრის კონიუნქტურის კვლევის პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნეს, როგორც ფინანსური ბაზრის გარკვეული ტიპები - ფასიანი ქაღალდების, ინვესტირების ფულადი ინსტრუმენტების, ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ბაზარი, ასევე, რეალური ინვესტირების ობიექტების ბაზარი. გარე საინვესტიციო გარემოს და საინვესტიციო ბაზრის კონიუნქტურის კვლევა ხორციელდება სტრატეგიული, ტექნიკური და ფუნდამენტური ანალიზის მეთოდებით.

**მომავალი საინვესტიციო საქმიანობის უზრუნველსაყოფად განვითარების სტრატეგიული მიზნების გათვალისწინება.** კომპანიის კორპორატიული და ფინანსური სტრატეგიების მიზნები განხილული უნდა იყოს, როგორც საინვესტიციო საქმიანობის სტრატეგიული მიზნების სისტემა, რომელიც აისახება საინვესტიციო პოლიტიკაში. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის, რომ კომ-

პანიის საინვესტიციო პოლიტიკის მიმართულების განმსაზღვრელ ობიექტურ ფაქტორს წარმოადგენს სასაცოცხლო ციკლის სტადია, რომელშიც კომპანია იმყოფება.

**ფინანსური რესურსების დაბანდების მიზნით, საინვესტიციო პოლიტიკის დასაბუთება, რისკიანი უპირატესობების გათვალისწინებით.** კომპანიის საერთო საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირების ამ ეტაპზე განისაზღვრება მისი საინვესტიციო საქმიანობის მიზნობრივი ფუნქცია მისი შემოსავლიანობის დონის და რისკის თანაფარდობის მიხედვით. რისკიანი უპირატესობების მიხედვით, არსებობს კომპანიის საინვესტიციო პოლიტიკის სამი ტიპი - კონსერვატიული, ზომიერი და აგრესიული.

- კონსერვატიული საინვესტიციო პოლიტიკის მიზანია საინვესტიციო რისკის მინიმიზაცია;
- ზომიერი საინვესტიციო პოლიტიკა გულისხმობს ინვესტირების ისეთი ობიექტების შერჩევას, რომლის მიმდინარე შემოსავლიანობა, კაპიტალის ზრდის ტემპები და რისკის დონე უახლოვდება საშუალო საბაზროს;
- აგრესიული საინვესტიციო პოლიტიკის მიზანია კაპიტალის დაბანდებიდან უახლოეს პერიოდში მიმდინარე შემოსავლის მაქსიმიზაცია.

**საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირება ინვესტირების ძირითადი მიმართულებების მიხედვით.** კომპანიის საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირების ამ ეტაპზე განისაზღვრება რეალური და ფინანსური ინვესტირების მოცულობების თანაფარდობა მისი მომავალი საინვესტიციო საქმიანობის პროცესში. ამ თანაფარდობის ოპტიმიზაცია გულისხმობს ობიექტური გარე და შიდა ფაქტორების გათვალისწინებას.

**კომპანიის საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირება დარგობრივ ჭრილში.** საინვესტიციო საქმიანობის დარგობრივი მიმართულების განსაზღვრა საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავების ყველაზე რთულ ამოცანას წარმოადგენს, რადგან ის საჭიროებს საინვესტიციო საქმიანობის პროგნოზირებისადმი თანამიმდევრულ მიდგომას კომპანიის განვითარების საერთო კორპორატიულ სტრატეგიასთან კავშირში.

**კომპანიის საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირება რეგიონალურ ჭრილში.** კომპანიის საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობას განსაზღვრავს, როგორც, **კომპანიის სიდიდე.** ასევე, **კომპანიის სიცოცხლის ციკლი.** საინვესტიციო საქმიანობის რეგიონული მიმართულების შემუშავების დროს აუცილებელია შეფასდეს ცალკეული რეგიონების საინვესტიციო მიმზიდველობა.

**საინვესტიციო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ურთიერთდაკავშირება.** ამ პროცესში მიიღწევა კომპანიის საინვესტიციო პოლიტიკის ცალკეული მიმართულებების შეთანხმება მოცულობების, რეალიზაციის ვადებისა და სხვა პარამეტრების მიხედვით. კომპანიის საინვესტიციო საქმიანობის დიდი მოცულობების დროს მისი საინვესტიციო პოლიტიკა დიფერენცირებულია რეალური და ფინანსური ინვესტირების ჭრილში.

**საკვანძო სიტყვები:** კომპანია, საინვესტიციო პოლიტიკა, საინვესტიციო საქმიანობა, საინვესტიციო მიმზიდველობა, ფინანსური სტრატეგია, რეალური და ფინანსური ინვესტიციები.

## ინოვაციური მიდგომები და გამოწვევები ჯანდაცვის ეკონომიკაში

**გია ზოიძე**

ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო  
ელ. ფოსტა: [gia.zoidze@bsu.edu.ge](mailto:gia.zoidze@bsu.edu.ge)

**გიორგი აბუსელიძე**

ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო  
ელ. ფოსტა: [abuselize@gmail.com](mailto:abuselize@gmail.com)

**კვლევის მიზანი.** განისაზღვროს ინოვაციური პროცესების მასტიმულირებელი გავლენა ჯანდაცვის ეკონომიკის განვითარებასა და ქვეყნის სამედიცინო დაწესებულებების მართვის ხარისხის გაუმჯობესებაში; მოხდეს ინოვაციური მენეჯმენტის უმთავრესი პრინციპების იმპლემენტაციის წინააღმდეგობათა ანალიზი და მათი დაძლევის სტრატეგიების დადგენა; გამოვლინდეს ქვეყანაში ინოვაციური მიდგომების ფორმირების სამომავლო მოლოდინები; შემუშავდეს მისი გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანი პრაქტიკული და მეთოდური რეკომენდაციები.

**კვლევის საგანი.** ქვეყანაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში ინოვაციური მიდგომების ფორმირების პროცესის ძირითადი გამოწვევების განხილვა.

**სამეცნიერო სიახლე.** თეორიული სიახლეებისა და პრაქტიკული კვლევითი მეთოდების საფუძველზე შემუშავებულია საქართველოში ჯანდაცვის ეკონომიკის ინოვაციური განვითარებისათვის აუცილებელი ძირითადი ინიციატივები.

**კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.** შემოთავაზებული ცალკეული წინადადებები და რეკომენდაციები სასურველ სტიმულს გააჩენს ქვეყნის სამედიცინო სფეროს ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით. ეს ყოველივე გაზრდის ადგილობრივი სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობის ხარისხს, ხელს შეუწყობს მათ კონკურენტული უპირატესობის მოპოვებასა და გრძელვადიანი წარმატების მიღწევაში.

### შესავალი

მსოფლიოში მიმდინარე მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი, ასევე ეკონომიკისა და ჯანდაცვის სფეროში მოქმედი ორგანიზაციების მიერ ინოვაციებზე აქცენტირება პირდაპირ კავშირშია საქართველოს ეკონომიკისა და ჯანდაცვის სფეროებში არსებულ კონკურენტუნარიანობასთან, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზარზე.

იმისათვის, რომ საქართველოს ჯანდაცვის სისტემა მომზადებით შეხვდეს ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევებს, საჭიროა მენეჯმენტის ეფექტიანობის გაზრდისათვის აუცილებელი თანამედროვე ინოვაციური კანონზომიერებების კომპლექსური შესწავლა და ინოვაციური და წარმატებული სამედიცინო სისტემის მქონე პატარა ზომის ქვეყნების გამოცდილების მუდმივი კვლევა, რის საფუძველზეც აღნიშნული მიმართულებით უნდა მოხდეს პრაქტიკული ღირებულების მქონე კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება.

### ლიტერატურის მიმოხილვა

ჯანდაცვის ეკონომიკაში ინოვაციური მიდგომების ეფექტიანობასთან დაკავშირებული საკითხებისა და პრობლემების შესწავლას უცხოელ მეცნიერთა მრავალი ფუნდამენტური კვლევა ეძღვნება. მათ შორისაა: Arrow, K. J. (1978), Becker, G. S. (2009), Enthoven, A., & Kronick, R. (1989), Feldstein, P. J. (2012), Ginter, P. M., Duncan, W. J., & Swayne, L. E. (2018), Grossman, M. (2017), Manning, W. G. *et al.* (1987), Menvielle, L., Audrain-Pontevia, A. F., & Menvielle, W. (Eds.). (2017), Newhouse, J. P. (1992), Phelps, C. E. (2017), Verulava, T. (2009) და სხვ. აგრეთვე, მოცემული მიმართულების ირგვლივ მნიშვნელოვან ინფორმაციათა მოპოვება შესაძლებელია მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციისა და კვლევითი დაწესებულებების შესაბამის ანგარიშებში.

სამწუხაროდ, სამეცნიერო ნაშრომების სიმრავლის მიუხედავად, ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ნაკლებია სამეცნიერო კვლევები, რომლებიც კომპლექსურად განიხილავენ ჯანდაცვის ეკონომიკაში ინოვაციური მიდგომების ჩამოყალიბებას.

### **მეთოდები**

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს, როგორც ზოგად-სამეცნიერო, ასევე ჯანდაცვის ეკონომიკური კვლევის მეთოდები, კერძოდ: პოზიტიური და ნორმატიული ანალიზი, მოთხოვნა-მიწოდების ანალიზი, სისტემური და ლოგიკური მიდგომების, დაჯგუფების, შედარებისა და შეფასების მეთოდები.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ პოლიტიკოსი აკეთებს განაცხადს იმის შესახებ თუ როგორი უნდა იყოს ჯანდაცვა, ანუ რას ისურვებდა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად (ნორმატიული ანალიზი), ხოლო ეკონომისტი აკეთებს მეცნიერულ განაცხადს იმის შესახებ თუ როგორია რეალურად მდგომარეობა (პოზიტიური ანალიზი).

ამასთან, ნაშრომში განხილულია ჯანდაცვის ეკონომიკის ძირითადი კონცეფციები, ალტერნატიული მიდგომების შედარებითი ანალიზი (მიკროეკონომიკა), ჯანდაცვის დაფინანსებისა და რესურსების განაწილებასთან დაკავშირებული საკითხები (მაკროეკონომიკა), ჯანდაცვის ბაზრის ნაკლოვანებები, სამედიცინო სფეროში დაზღვევის როლისა და სადაზღვევო რისკების კვლევა, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით ინოვაციური მიდგომების ჯანდაცვის სფეროში დროული ინტეგრირებისა და არსებული პრიორიტეტების ეტაპობრივი ოპტიმიზირება.

### **შედეგები და დისკუსია**

სამედიცინო ბაზარზე გარკვეული სერვისები საზოგადოებრივი სიკეთის ნიშნებით ხასიათდება. ადამიანური რესურსი ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსია ნებისმიერი ქვეყნისთვის (Becker, 2009), ხოლო ჯანსაღი, შრომისუნარიანი ადამიანების სიმრავლე უფრო მეტ ეკონომიკურად აქტიურ ადამიანს უდრის.

დღესდღეობით ქართული ჯანდაცვის სისტემა მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. სამწუხაროდ, არის შემთხვევები როდესაც ადამიანები ოჯახის წევრთა ან ახლობელთა გადასარჩენად (სამედიცინო ოპერაციისთვის ან მკურნალობისთვის) ყველანაირ ფინანსურ რესურსს ხარჯავენ, ყიდიან უძრავ თუ მოძრავ ქონებას (Feldstein, 2012). ვითარება კიდევ უფრო რთული აღმოჩნდება, როდესაც ავადმყოფთა გადარჩენა ვერ ხდება, ხოლო ოჯახის წევრები და/ან ახლობლები ყველანაირი კაპიტალის გარეშე რჩებიან. ამ დროს ბუნებრივია ჩნდება შემდეგი რიტორიკული შეკითხვა: შეიცავს თუ არა ჰიპოკრატეს ფიცის თანამედროვე ტექსტი პუნქტს პაციენტთა მკურნალობის უსასყიდლოდ შესახებ? (Arrow, 1978).

სამედიცინო ბაზარზე, სადაც პაციენტი მცირედ არის ინფორმირებული სამედიცინო მომსახურების საჭიროებაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობას (Newhouse, 1992). სამწუხაროდ, დღევანდელ რეალობაში არის შემთხვევები, როდესაც სამედიცინო დაწესებულებები და/ან სამედიცინო დაწესებულებების პერსონალი ცდილობენ პაციენტის არაინფორმირებულობის გამო მიიღონ დამატებითი სარგებელი.

ვითარებას კიდევ უფრო ის ართულებს, რომ ზოგადად სამედიცინო სფერო საკმაოდ რთულად გასაკონტროლებელ ბაზარს წარმოადგენს, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში რთულია მედიცინის სფეროს ინდივიდთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების (მკურნალობისა თუ საოპერაციო შემთხვევების) მიზნობრიობის და ქმედითუნარიანობის ზუსტი დადგენა (შეფასება) (Enthoven and Kronick, 1989). შედეგად, ბოლო პერიოდში საზოგადოების მხრიდან ქართული სამედიცინო დაწესებულებებისადმი გაზრდილი უნდობლობის პირობებში, მოხდა ალტერნატიული ბაზრების მოძიება, მეტწილად მეზობელი თურქეთის საკმაოდ მაღალტექნოლოგიურ კლინიკებში, რომელთა პერსონალიც გამოირჩევა უფრო მეტი გამოცდილებითა და მაღალი პროფესიონალიზმით, ხოლო სამედიცინო მომსახურების ფასები (მათ შორის, სამკურნალო პრეპარატების) საკმაოდ დაბალი და მისაღებია (Zoidze and Veshapidze, 2022).



არსებული გამოწვევების გათვალისწინებით ჯანდაცვის სისტემის წარმომადგენლებს და უფლებამოსილ პირებს ვთავაზობთ სასურველობის ხასიათის ინიციატივებს:

1. ჯანდაცვის ბაზარზე სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს არაკომერციული და სახელმწიფო-კერძო პარტნიორული დაწესებულებების განვითარებას.

2. სამედიცინო დაწესებულებები სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდნენ სახელმწიფო გადასახადებისგან (Verulava, 2009).

3. უნდა შეიქმნას სამედიცინო ქალაქი, სასურველია საქართველოს გეოგრაფიული ცენტრის მიდამოებში, რათა ქვეყნის ყველა ტერიტორიიდან მეტ-ნაკლებად დროულად მოხდეს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ პაციენტთა გადაყვანა და სრულყოფილი მომსახურების გაწევა.

4. ჯანდაცვის სისტემის სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით საქველმოქმედო ხასიათის ელექტრონული დახმარების პორტალის შექმნა მათვის, ვისაც გადაუდებელი მკურნალობა სჭირდება, რასაკვირველია, ჯანდაცვის სამინისტროს, მასმედიისა და კერძო ბიზნესის აქტიური ჩართულობით.

5. სამედიცინო პერსონალის პერიოდული გადამზადება/კვალიფიკაციის ამაღლება უცხოეთში (Phelps, 2017), განსაკუთრებით ქართული მედიცინისთვის პრობლემურ, თუმცა პრიორიტეტულ მიმართულებებში; აგრეთვე, პროფესიონალ პერსონალთა კომპეტენციის ამაღლების მობილური მოკლევადიანი პროგრამების შემუშავება.

6. უცხოელი ჯანდაცვის სფეროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების საქართველოში ჩამოყვანა (გაცვლითი პროგრამების საფუძველზე), დასაქმება და მათ მიერ დაგროვილი ცოდნის გაზიარება ადგილობრივი მედ-პერსონალისთვის.

7. სამედიცინო დაზღვევის ინსტიტუტის ქმედითუნარიანობის რეალური ზრდა (Manning *et al*, 1987).

8. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ეროვნული გრძელვადიანი (და მოკლევადიანი) სტრატეგიების შემუშავება. ამასთან, ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ზრდა არ უნდა გახდეს ჯანდაცვის დაფინანსების პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა და ამ მიმართულებით უნდა განხორციელდეს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების მიზნობრიობისა და ეფექტიანობის პერიოდული კვლევა (Ginter *et al*, 2018; Abuselidze, 2021).

9. სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით გამჭვირვალობის ზრდა.

10. სამედიცინო ტურიზმის განვითარების სტიმულირება.

არაკომერციულმა საავადმყოფოებმა ძირითადად უნდა მოემსახურონ ღარიბ და დაბალ-შემოსავლიან პაციენტებს. მათი საქმიანობა განხილული უნდა იქნას, როგორც საქველმოქმედო. შესაბამისად, მათი შემოსავალი და ქონება უმთავრესად გათავისუფლებული უნდა იყოს სახელმწიფო გადასახადისგან. მათი დაფინანსების უმთავრესი წყარო უნდა გახდეს საზოგადოების შემოწირულობები, რაც გააძლიერებს საზოგადოების სოციალურ პასუხისმგებლობას და მათ მისცემს თავისებურ მოტივაციას, სოციალურად დაუცველ ფენებს გაუწიონ სამედიცინო მომსახურება. აღნიშნული ტიპის საავადმყოფოების შემოსავლებში შესაძლოა მოხდეს სახელმწიფო და კერძო დაზღვევის ეფექტიანი დაფინანსების სისტემის შემოღება.

### **დასკვნა**

საქართველოში სამედიცინო ბაზარზე არაკომერციული დაწესებულებების განუვითარებლობა ადასტურებს, რომ არ არსებობს საავადმყოფოების არამომგებიანი სახით ფუნქციონირების საკმარისი მოტივაცია. საჭიროა სამედიცინო დაწესებულებებისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესება.

ვფიქრობთ, რომ ზემოთაღნიშნული ინიციატივების განსახორციელება და ჯანდაცვის სფეროში მაქსიმალურად რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება სამომავლოდ კიდევ უფრო მეტ დეტალურ განხილვას, კვლევასა და ანალიზს მოითხოვს. ამ მხრივ უთუოდ საინტერესო იქნება წარმატებული ჯანდაცვის სისტემის მქონე პატარა ზომის ქვეყნების გამოცდილებისა და გამოწვე-

ვების ფუნდამენტური შესწავლა და მათი ჰარმონიული გადმოღება ქართულ ჯანდაცვის სისტემაში.

**საკვანძო სიტყვები:** ჯანდაცვის ეკონომიკა, ადამიანური კაპიტალი, პოზიტიური ანალიზი, ნორმატიული ანალიზი, სამედიცინო დაზღვევა.

### გამოყენებული ლიტერატურა

- Abuselidze, G. (2021). Empirical Investigation of Healthcare Financing and Its Influence on Social Security: Peculiarities, Problems and Challenges. *E3SWOC*, vol. 319, 01030.
- Arrow, K. J. (1978). Uncertainty and the welfare economics of medical care. In *Uncertainty in economics* (pp. 345-375). Academic Press.
- Becker, G. S. (2009). *Human capital: A theoretical and empirical analysis, with special reference to education*. University of Chicago press.
- Enthoven, A., & Kronick, R. (1989). A consumer-choice health plan for the 1990s. *New England Journal of Medicine*, 320(2), 94-101.
- Feldstein, P. J. (2012). *Health care economics*. Cengage Learning.
- Ginter, P. M., Duncan, W. J., & Swayne, L. E. (2018). *The strategic management of health care organizations*. John Wiley & Sons.
- Grossman, M. (2017). *The demand for health: a theoretical and empirical investigation*. Columbia university press.
- Manning, W. G., Newhouse, J. P., Duan, N., Keeler, E. B., & Leibowitz, A. (1987). Health insurance and the demand for medical care: evidence from a randomized experiment. *The American economic review*, 251-277.
- Newhouse, J. P. (1992). Medical care costs: how much welfare loss?. *Journal of Economic perspectives*, 6(3), 3-21.
- Phelps, C. E. (2017). *Health economics*. Routledge.
- Verulava, T. (2009). *Healthcare Economics*. University of Georgia.
- Zoidze, G., & Veshapidze, S. (2022). TRANSFORMATION OF ECONOMIC POLICY PRIORITIES UNDER COVID-19. *Three Seas Economic Journal*, 3(2), 35-43.

# ჯანმრთელობის ტურიზმისა და სპა ინდუსტრიის ისტორიის საკითხები და მისი მდგომარეობა კოვიდ 19-ის პანდემიამდე

**გიგი ყუფარაძე**

პროფესორი, საქართველო, თბილისი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
gigi.kuparadze@gruni.edu.ge

**ნიკო კვარაცხელია**

პროფესორი, საქართველო, თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი  
niko.kvaratskhelia@sangu.edu.ge

COVID-19 პანდემიამ მოგზაურობებისა და ტურიზმის სექტორი მთელს მსოფლიოში ღრმა კრიზისში ჩააგდო. ასეთივე ძლიერი დარტყმა განიცადა ჯანმრთელობის ტურიზმისა და სპა ინდუსტრიის სეგმენტმა. ამ კრიზისის შედეგები პოსტპანდემიურ პერიოდშიც დიდ გავლენას მოახდენს ჯანმრთელობისა და ველნესი ტურიზმის ბაზრების როგორც მოთხოვნის, ასევე მიწოდების მხარეებზე. არადა, პანდემიამდელ პერიოდში განვითარების ტემპებით, ტურიზმის ინდუსტრიაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი სწორედ ჯანმრთელობის ტურიზმის, ველნეს ტურიზმისა და სპა ინდუსტრიას ეჭირა.

მსოფლიოში გამაჯანსაღებელი ტურიზმის მოცულობა 2017 წელს შეფასებულია 639.4 მლრდ. აშშ დოლარად. ეს ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი ტურიზმის სეგმენტი იყო, რომელიც 2015-2017 წწ-ში ყოველწლიურად იზრდებოდა 6.5%-ით. 2017 წელს განხორციელდა 830 მილიონი ველნეს მოგზაურობა, რაც 139 მილიონით მეტი იყო, ვიდრე 2015 წელს. გამაჯანსაღებელი ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს სპა ინდუსტრია, რომელიც განვითარების საკმაოდ მაღლი ტემპებით ხასიათდებოდა. 2017 წელს სპა ინდუსტრიიდან მიღებული შემოსავლებმა შეადგინა 118,8 მლრდ. დოლარი, ხოლო ზრდის ტემპი 9,9%. ხოლო თერმული და მინერალური წყლების ბიზნესის მოცულობა 56,2 მლრდ. დოლარი იყო. [1]

ზემოთ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები ნათლად ადასტურებენ, რომ სპა და ველნეს ინდუსტრია მუდმივად იზრდება და დღეისათვის მსოფლიოში უკვე 150 ათასამდე კურორტი და სპა ცენტრია. სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ეძებს ბუნებრივ და ავთენტურ გზებს, რათა გაიუმჯობესოს საკუთარი ჯანმრთელობა. ამ გზებიდან კი ყველაზე ძველი, აპრობირებული და ეფექტური სპა პროცედურები ჰიდროთერმული აბაზანებია, რომლებიც აუმჯობესებენ იმუნური სისტემის მდგომარეობას, ხელს უწყობენ წონის დაკლებას, არეგულირებენ მაღალ არტერიულ წნევას, ახდენენ სხეულის დეტოქსიკაციას.

ათასწლეულების განმავლობაში სხვადასხვა კულტურები ესწრაფოდნენ გამოეყენებინათ წყალი და სითბო სისუფთავისა და მკურნალობისათვის. ამ ხნის მანძილზე ორივე მათგანი ძნელად ხელმისაწვდომი იყო და ფუფუნების საგნად ითვლებოდა. ამან განაპირობა შედარებით ცივილიზებული საზოგადოებების მისწრაფება მთელ მსოფლიოში, გამოეძებნათ შემოქმედებითი გზები ჰიდროთერმული რესურსების საკუთარი მოქალაქეებისთვის მისაწოდებლად. ხშირად, ყველაზე იოლი გზა ამის მისაღწევად იყო ბუნებრივი ცხელი წყლის წყაროები. დღეისათვის უკვე მეცნიერულად დადასტურებულია, რომ დედამიწის გულიდან ამოფრქვეული გეო-თერმული წყლები გამოიყენებოდა, არა მხოლოდ მომხმარებელთა ჰიგიენისათვის, არამედ აგრეთვე მათი ორგანიზმის სხვადასხვა მინერალებით შესავსებად, კანის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და სახსრებისა და კუნთების დაავადებებით გამოწვეული ტკივილების შესამცირებლად.

ჩინურ ისტორიულ წყაროებში, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-7 საუკუნეში, ნახსენებია ცხელი წყლის წყარო, რომელიც შეიცავს გოგირდს დაავადებების სამკურნალოდ. შემდეგ

რომში გამოჩნდა საზოგადოებრივი აბანოები, თავისი მოწინავე ტექნოლოგიებითა და დიდებული არქიტექტურით. ისტორიული წყაროების მიხედვით, ჯერ კიდევ ძვ. წ. 339 წელს, ზოგიერთი რომაული აბანო სპეციალურად გამოიყენებოდა სამკურნალო მიზნებისათვის და ადამიანები მათ სტუმრობდნენ ტრავმების რეაბილიტაციისათვის და რევმატული დაავადებებისა და დამბლის მკურნალობისათვის. სწორედ, რომაული აბანოები უნდა მოვიანოთ თანამედროვე ჰიდროთერმული საბაზანოების წინამორბედებად. [2]

თუმცა, არსებობენ სხვა კულტურებიც, რომლებიც რომაელებთან ერთად, ასევე, აცხადებენ პრეტენზიას თანამედროვე პოპულარული ჰიდროთერმული პროგრამების გამოგონებაზე. მაგალითად, ძალიან პოპულარული და ხანგრძლივი ჰიდროთერმული ზემოქმედების მქონე ფინური საუნა. მაღალი ტემპერატურის შექმნა საკმაოდ ძვირადღირებულია ცივი კლიმატით ცნობილ ფინეთში, ამიტომ ფინელებმა გამოძებნეს საშუალება, ხის კაბინის მაღალ ტემპერატურამდე გასაცხელებლად და შედეგად მასში მყოფი ადამიანების მაქიმალურად გასახურებლად. კაბინის დატოვების შემდეგ, გაოფლილი ფინელები იყენებდნენ გარეთ არსებულ თოვლს, რათა მოეცილებინათ ოფლი და ჭუჭყი. მიუხედავად იმისა, რომ ფინეთი აღიარებულია საუნის სამშობლოდ, მთელ ჩრდილოეთ ევროპაში არსებობდა ანალოგიური ტიპის აბაზანები, მაგალითად, რუსული „ბანია“ პრაქტიკულად მათი იდენტურია კონსტრუქციითა და მიზნებით.

მე-16 საუკუნეში ოსმალეთის იმპერიაში წარმოიშვა საყოველთაოდ ცნობილი ჰამამი ანუ თურქული აბანო. თუმცა, არსებობს მტკიცებულებები, რომ ამ ტიპის აბაზანები ოსმალებამდე გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ ისლამის წარმოშობამდე, ფართოდ გამოიყენებოდა ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში: სირიაში, ლიბანში, იორდანიაში, ტუნისში, ლიბიაში, ალჟირსა და მაროკოში.

იაპონია, ასევე, ცნობილია ბანაობის დიდი ტრადიციით და შესაბამისად სისუფთავის ეთიკას ღრმად აქვს გადგმული ფესვები მის კულტურაში. აქ 20 ათასზე მეტი ბუნებრივი ცხელი წყლის წყაროა, რომელთა ბაზაზე ჩამოყალიბდა იაპონური ონსენები (ინგლ. ონსენ, იაპონურად 温泉). ონსენი \_ ცხელი წყლის წყაროს სახელწოდებაა იაპონიაში. ხშირად, ასევე უწოდებენ ცხელი წყლის წყაროსა და მასთან დაკავშირებულ ტურისტული ინფრასტრუქტურასაც -სასტუმროებს, რესტორნებს, რომლებიც წყაროს გარშემოა აშენებული.

სპა ინდუსტრია საქართველოში. საინტარულ-ჰიგიენური ტექნიკის ნაშთების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამ ეპოქაში მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონეზე და, შესაბამისად, მაღალ ჰიგიენურ კულტურაზე. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთან არსებული ძალისის ნაქალაქარი. ძალისის არქიტექტურა, განსაკუთრებით აბანოებისა და აუზების გეგმარება, ცივი და ცხელი წყლით წყლით მომარაგებისა და ჰიპოკაუსტების პრინციპზე აგებული გათბობის სისტემები, კანალიზაცია, იატაკის მოზაიკით მოპირკეთების ტექნიკა, აუზის შესაღესად ჰიდრავლიკური ხსნარისა და სხვა იმ დროისთვის მაღალტექნოლოგიური სამშენებლო მასალების გამოყენება უდავოდ აღტაცებას იწვევს მნახველებში. სხვათაშორის აბანო აგებული უნდა იყოს ახ.წ. III საუკუნის დასაწყისში. [3]

საინტერესოა, თურქული ჰამამის ტიპის აბანო კურორტ აბასთუმანში, რომელიც XVII საუკუნეში, ოსმალების ბატონობისას არის აგებული. ყველასათვის ცნობილია, რომ თბილის-ქალაქის ისტორია იწყება გოგირდოვანი წყლებით, საუკუნეების განმავლობაში ხალხი იყენებდა მას აბანოების სახით.

ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტი სამკურნალო ტურიზმში მოხდა 2016 წელს, როდესაც გერმანიამ სამკურნალო ტურიზმის ერთ-ერთი მეთოდი - კნაიპპეტრაპია - აღიარა არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად. კნაიპპე სამკურნალო აბაზანები (Kneippheilbad) ან კნაიპპკურორტები (Kneippkurort) ანალოგებისგან იმით გამოირჩევა, რომ ამ შემთხვევაში წყლით მკურნალობა ხორციელდება ბავარიელი მღვდლის, სებასტიან კნაიპპეს (1821-1897)

მეთოდით, რომელმაც გაითქვა სახელი, როგორც „წყლის ექიმმა“ და მე -19 საუკუნის 50-იან წლებში დაიმკვიდრა ცივი აბაზანებით უებარი მკურნალის სახელით.

ამრიგად, რომაული თერმას, ჰამამის, საუნის, ონსენის და სხვა ჰიდროთერმულ სპა პროცედურათა წარმოშობა, საბოლოო ჯამში დაკავშირებული იყო სხეულის გაწმენდასა და სისუფთავესთან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბუნებრივი ცივი და ცხელი წლების გამოყენება ჰიგიენისა და რელაქსაციის მიზნით ფართოდ ხდებოდა როგორც ევროპაში, ისე აზიის ქვეყნებში. მოგვიანებით გამოყენებულ იქნა ორთქლის აბანოები.

დღეისათვის საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ყველა ტიპის ჰიდროთერმული აბაზანა ასოცირდება ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და ესთეტიურ სარგებელთან. მედიკოსი მეცნიერების მიერ ხდებოდა მაღალ ტემპერატურებამდე გახურებულ სხეულზე სიცივის მოქმედების შედეგის კვლევა და დადგინდა, რომ ტემპერატურის ასეთი რყევის მთავარი უპირატესობა არის დეტოქსიკაცია. სხეულის გაცხელება და ოფლიანობა განაპირობებს შლაკებისაგან განთავისუფლებას, ხოლო ტემპერატურის ექსტრემალური ცვლილება აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და ორგანიზმის ფუნქციებს აძლევს დადებით ბიძგს. [2]

მთელ რიგ ქვეყნებში მკურნალობისა და გაჯასანდების ბევრი ფორმა იქცა ტრადიციად. ტრადიციული მეთოდების აღიარებად უნდა ჩაითვალოს 2016 წელს კნაიპეს მეთოდის არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად აღიარება.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ჰიდროთერმული სპა პროცედურების დიდი და მდიდარი ისტორია გააჩნია. მაგრამ ასევე უნდა შევნიშნოთ ის სამწუხარო ფაქტიც, რომ ქვეყნის უნიკალური ბუნებრივი ფაქტორები უფრო აქტიურად უნდა იქნას გამოყენებული ტურიზმის ინდუსტრიის მიერ. ხოლო ტურისტული მარკეტინგის თვალსაზრისით ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი ველნეს და სპა ეკონომიკის განვითარებისათვის, თანამედროვე მარკეტინგული მეთოდებით ინდუსტრიის წინწაწევისათვის.

ახლა, როდესაც ქართული ტურიზმი სტაგნაციიდან გამოსვლას იწყებს ინდუსტრია უნდა მოემზადოს საქმიანი აქტიურობის აღდგენისათვის ველნეს და სამედიცინო ტურიზმის ბაზრებზე. სავარაუდოა, რომ ამ სექტორის ზრდა, რომელიც პანდემიამდე პერიოდში 2-ჯერ აღემატებოდა ზოგადად ტურიზმის განვითარების ტემპებს, კვლავ შენარჩუნებული იქნება. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ ამ უპრეცედენტო კრიზისმა ადამიანები კიდევ ერთხელ დარწმუნა ჯანმრთელობისა და გამაჯანსაღებელი პროცედურების მნიშვნელობაში.

**საკვანძო სიტყვები:** *ჯანმრთელობის ტურიზმი, ველნესი, სპა, ჰიდროთერმული, ძალისა, კნაიპე*

### **ბიბლიოგრაფია**

1. Global Wellness Institute, Global Wellness Tourism Economy, 2018.
2. Cassandra Cavanah. Guide to Hydrothermal Spa & Wellness development standarts. Maiami, FL 33131, United States, 2016.
3. ციციშვილი ირ. ქართული ხელოვნების ისტორია. ადრეკლასობრივი საზოგადოების პერიოდის ხელოვნება: ძალისა. თბ. 1955 გვ. 33-34; 41-43.

## ციფრული ეკონომიკა - საგანმანათლებლო სექტორის ციფრული ტრანსფორმაციის მიმდინარე ტენდენციები

გიორგი აბაშიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

დოქტორანტი

[abashidzegiorgi@outlook.com](mailto:abashidzegiorgi@outlook.com)

ციფრული ტრანსფორმაცია არის თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში მიმდინარე ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც იწვევს ეკონომიკის ყველა სექტორის გაციფრულებასა და ციფრული ეკონომიკის ჩამოყალიბებას. ეს არის ეკონომიკის განვითარების მიმდინარე ეტაპი, რომელმაც მოიცვა ადამიანის ცხოვრების ყველა სფერო და შეცვალა გზა თუ როგორ ფუნქციონირებს ეკონომიკა და როგორ ცხოვრობენ ადამიანები.

მოცემულ ნაშრომში განხილულია ციფრული ეკონომიკისა და ციფრული განათლების კონცეფცია. წარმოდგენილი ტრადიციული სექტორების გაციფრულების შესაძლებლობები, ტექნოლოგიური საშუალებები და შედეგები. შეფასებულია საქართველოში არსებული მდგომარეობა და ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. წარმოჩენილია ციფრული ეკონომიკის განვითარების გავლენა შრომის ბაზარზე. შეფასებულია განათლების სექტორში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობები და არსებული მოდელები.

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეფასებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გაციფრულების დონე და განსაზღვრულია მისი მნიშვნელობა შრომის ბაზრისა და მთლიანად ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში. Covid-19 - ის პანდემიამ ნათლად გვაჩვენა, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანი ისეთი განათლების სისტემის არსებობა, რომელიც პასუხობს თანამედროვე ციფრულ გამოწვევებს. მნიშვნელოვანია არა მარტო განათლების სისტემის ციფრული ტრანსფორმაცია, არამედ თანამედროვე ციფრული შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობა, რაც გულისხმობს შესაბამისი ციფრული უნარების (მომავლის უნარების) მქონე ადამიანისეული კაპიტალის ჩამოყალიბებას. ციფრული კომპეტენციისა და უნარების ქონა გახდა აუცილებელი ყველა მიმართულებით და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს იმდენად საბაზისო და მნიშვნელოვანია როგორც კითხვის, წერისა და არითმეტიკის უნარები. მომავალში ნებისმიერი სამუშაო მოითხოვს ციფრულ უნარებს. შესაბამისად, მუდმივი პროცესი ტექნოლოგიური ცვლილებებისა, ადამიანებისგან მოითხოვს მუდმივად სწავლების პროცესში ყოფნასა და მუდმივად ახალი უნარების დაუფლებას. მოცემული ფაქტორების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია გაციფრულების პროცესი დაიწყოს სწორედ საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია შევავსოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის, ციფრული ეკონომიკის სასწავლო პროგრამების ადაპტირების, სტუდენტური სერვისებისა და ადმინისტრაციული პროცესების გაციფრულების დონე.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში, კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებული პრობლემების საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციების პაკეტი, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვანია ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად.

**საკვანძო სიტყვები:** ციფრული ეკონომიკა, ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი, ინდუსტრია 4.0. საზოგადოება 5.0.

## BUSINESS AND THE POSITIVE EFFECTS OF THE COVID 19 PANDEMIC ON BUSINESS DEVELOPMENT

**Giorgi Katamadze**

Doctor of business administration,  
Assistant-Professor,  
Batumi Shota Rustaveli State university  
[Giorgi.katamadze@bsu.edu.ge](mailto:Giorgi.katamadze@bsu.edu.ge)

In recent years, COVID-19 has only been associated with disruption, stagnation, failure, socio-economic, personal and health problems. However, the world became able to manage the pandemic with a united effort and a common approach, the direct results of which are relaxed regulations and a reduction in the spread of the virus.

Pandemic restrictions have made uneven changes in the rhythm of the world life and have had a negative impact on almost all directions. However, now, while the restrictions have begun to be eased and the world is returning to the old, pre-pandemic rhythm of life, it is possible to partially analyze the economic consequences of the COVID 19 pandemic and reveal the positive moments for business that the pandemic lifestyle has led to.

However, each amendment to the legislation and adoption of a new regulation necessitates adaptation of particular directions of the business to these normative acts, that, in its own way, is connected to the change of business strategies and extra expenses (Katamadze, 2020).

To the extent that business entities are the leading, main actors in the country's economy and at the same time an important component of the country's development, it is interesting how the force majeure situation affected it in general and what positive role it played in terms of both institutional and general development of business.

Business, as an important part of the economy, is especially affected by the political and economic processes. The state has a crucial role in the process of development of business entities; the role of business entities, in its turn, is also of great importance for the process and results of economic development of the country (Katamadze, 2022).

The paper is based on an in-depth research conducted with active business entities, which included both quantitative and qualitative analysis, research area Adjara Autonomous Region, business sector: trade, services, production.

**Key words:** *Business development, COVID 19 pandemic, positive effects, business strategies;*  
*Abstract*

### REFERENCES:

- [1] Katamadze, G. The Analysis of Influence of the Monetary Policy Carried out by The National Bank of Georgia on the Local Business Entities (Based on the Cases of Development Business. Journal of Economics, Business and Management vol. 8, no. 2, pp. 2020, 129-132;
- [2] Katamadze, G. Business Entity's Preventive-Anti-Crisis Strategy Model and Possibilities of Its Implementation in Georgia. Journal Economics. Ecology. Socium 2022, 6, 38-45;
- [3] National Statistics Office of Georgia 2022, <https://www.geostat.ge/en/modules/categories/22/national-accounts>
- [4] MINISTRY OF HEALTH, 2021. stopcov.ge.  
<https://stopcov.ge/ka/Recommendation> [Online]
- [5] Order of the President of Georgia, 2020. Edict No 2, On the Declaration of the State of Emergency throughout the Whole Territory of Georgia.  
<https://matsne.gov.ge/en/document/view/4853172?publication=0> [Online]

## აგრობიზნესის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში

**გოდერძი შანიძე**

ბიზნესისა და მართვის დოქტორი,  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და  
ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
საქართველო, ქუთაისი  
Goderdzi.shanidze@atsu.edu.ge

აგრობიზნესის განვითარება ქვეყანაში ხელს უწყობს ექსპორტის გაზრდას, თანამედროვე ინოვაციების დანერგვას, ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას, სამეწარმეო კულტურის შექმნას და ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას. თანამედროვე პირობებში, როცა ქვეყანაში მკვეთრად შეინიშნება ტურისტული ნაკადების ზრდა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და არსებულ პროდუქციაზე გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

მხოლოდ ტურისტული ნაკადების ზრდა ქვეყანას ვერ მოუტანს წარმატებას, თუკი ამ ტურისტების შედეგად გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილება, არ მოხდება ჩენთან წამოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციით.

დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, გასაკეთებელია საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია და მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან უფრო მეტად აქტიურ ვაჭრობაზე გადასვლა.

დავსვათ საკითხი, თუ რა როლი უნდა ჰქონდეს ხელისუფლებას ამ მიმართულებით? უპირველეს ყოვლისა ხელისუფლებას ევალება დაიცვას საზოგადოებრივი ინტერესები, ხელი შეუწყოს მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფას, ბიზნესის განვითარებას, ბიზნეს სესხებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და ა.შ.

ბოლო წლებში ჩვენმა ქვეყანამ გაატარა მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები სოფლის მეურნეობის მიმართულებით, რომელიც ითვალისწინებდა აგრობიზნესის განვითარებას და უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ხელსაყრელი გარემოს შექმნას.

კერძო სექტორის და განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, რომელიც აისახება საქართველოს სოციალურ - ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში.

რეფორმების მთავარი მიზანი უნდა იყოს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი გარემოს შექმნა, მათი კონკურენტუნარიანობის და ინოვაციური შესაძლებლობების გაზრდა, სამუშაო ადგილების შექმნა, ქვეყნის მუშეყვადი ეკონომიკური ზრდა და ა.შ. სოფლის მეურნეობაში 250 000-მდე ადამიანი დასაქმებული, რაც დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 20%-მდეა, ეკონომიკაში შეტანილი წვლილი სოფლის მეურნეობაზე მოდის მხოლოდ 7 პროცენტი, რაც ნაკლები შრომის მწარმოებლურობით აიხსება.

ქვეყნის აგრარული პოლიტიკის მთავარი მიზანია სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის გაზრდა და იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება, თუმცა გლობალურმა პანდემიამ და მისგან გამოწვეულმა კრიზისმა მკვეთრი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, დააზიანა ბიზნესსაქმიანობა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას პრობლემები შეექმნა. ასევე, ამას დაემატა რუსეთ - უკრაინის ომი და ქვეყანა ახალი გამოწვევების წინაშე დადგა სასურსათო უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ერთ-ერთი გამოსავალი ამ პერიოდში ბაზრების დივერსიფიცირების შესაძლებლობაა, სწორედ საიმპორტო და საექსპორტო ბაზრები ისე უნდა ავარჩიოთ, რომ ნაკლები კრიზისები შეგვიქმნას ფორსმაჟორულმა სიტუაციებმა.

აგრობიზნესის განვითარებაზე ქვეყნის ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა იზრუნოს, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მეტად გამორჩევადა დასაქმებული ადამიანთა რაოდენობით. აგრარუ-



ლი სექტორი არის ეკონომიკის რამდენიმე დარგისათვის სანდლეულო ბაზა, როგორც ცნობილია ეს დარგი მაღალი მულტიპლიკატორული ეფექტით დამოირჩევა და თუკი მეტი მხარდაჭერა ექნება სახელმწიფოს მხრიდან, მთელი ეკონომიკის განვითარების აჩქარებას გამოიწვევს და შესაბამისადც საზოგადოების სოციალურ მდგომარეობას და კეთილდღეობას გაუმჯობესებს.

**საკვანძო სიტყვები:** აგრობიზნესი; ტურისტული ნაკადები; ბაზრების დივერსიფიცირება; საქსორტო და საიმპორტო ბაზრები; ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფა;

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური <https://www.geostat.ge/>
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო <http://www.economy.ge/>
3. საქართველოს მთავრობა [https://www.gov.ge/files/68\\_78117\\_645287\\_govprogramme2021-2024.pdf](https://www.gov.ge/files/68_78117_645287_govprogramme2021-2024.pdf)
4. სურსათით უზრუნველყოფის ხილული საფრთხეები (2022) <https://act-global.com/ka/georgia/insight/sursatit-uzrunvelqofis-khiluli-safrtkheebi> (28.03.2022)
5. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო <https://mepa.gov.ge/>

## თანამედროვე საბაკალავო საშუალებების ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობები ელექტრონულ ვაჭრობაში

*გულიკო ქათამაძე,*

ბიზნესისა და მართვის აკადემიური დოქტორი  
ასოცირებული პროფესორი,

საქართველო, ბათუმი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
[gatamadze.guliko@bsu.edu.ge](mailto:gatamadze.guliko@bsu.edu.ge)

თანამედროვე ქვეყნების ეკონომიკების ინტერნაციონალიზაციამ, ინტერნეტ-ტექნოლოგიების განვითარებამ, მათი სარგებლობის თვალსაზრისით, მომხმარებელთა გათვითცნობიერებამ და COVID 19-ის პანდემიამ წარმოაჩინა ელექტრონული ვაჭრობის უპირატესობები, რომელთა მაქსიმალურად გამოყენების შესაძლებლობები დამოკიდებულია თანამედროვე სარეკლამო საშუალებების ეფექტიანობის ამაღლებაზე. 2020 წლამდე ინტერნეტ-სარეკლამო საშუალებები შედარებით განვითარებული იყო ინდუსტრიულ ქვეყნებში. კორონავირუსის გლობალურმა გავრცელებამ და, შედეგად, ქვეყნებს შორის ადამიანთა მოგზაურობის შეზღუდვამ აიძულა განვითარებადი ქვეყნების მომხმარებელი, უფრო კარგად შეესწავლათ საქონლის ონლაინ-გამოწერის ტექნოლოგია, უნაღდო ანგარიშსწორების მექანიზმი, ინტერნეტ-მარკეტინგთან და ელექტრონულ ბიზნესთან დაკავშირებული სხვა საკითხები. იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველოც. პანდემიის გავრცელებამდე ქართველ მომხმარებელთა მხოლოდ ინტერნეტ-ტექნოლოგიებში გათვითცნობიერებული ნაწილი სარგებლობდა ელექტრონული ვაჭრობის სიკეთით: არჩევანის მრავალფეროვნებით, პროდუქციის უფრო იაფად გამოწერით, საზღვარგარეთის ბაზრებისა და ბაზრობების ვირტუალური დათვალიერებით, დროის ეკონომიით და ა. შ.

მხოლოდ COVID 19-ის პანდემიის მასობრივად გავრცელების შემდეგ საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დაიწყო თანამედროვე სარეკლამო საშუალებებით საზღვარგარეთ არსებული, მათთვის საინტერესო საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოძიება, ალტერნატიული ვარიანტების ურთიერთშედარება და ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა ფასის, ხარისხისა და მოწოდების დროის ეკონომიის მიხედვით. შესაბამისად, თანამედროვე პირობებში კომპანიების მარკეტინგული მიზნების ჩამონათვალში უნდა შედიოდეს თანამედროვე სარეკლამო საშუალებების არა უბრალოდ ჩართვა, არამედ მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებაზე ზრუნვა. მიუხედავად ამისა, ქართულ კომპანიებს ჯერ კიდევ არა აქვთ სრულყოფილად ათვისებული თანამედროვე სარეკლამო საშუალებების პოტენციალი. „ქართულ სარეკლამო ბაზარზე თანამედროვე სარეკლამო საშუალებების პრაქტიკაში დანერგვის დინამიკა მზარდია, თუმცა ჯერ კიდევ დიდია ის თავისუფალი ნიშა, რომლის შევსების შემთხვევაში, შესაძლებელია ჩვენს ქვეყანაში რადიკალურად შეიცვალოს შესყიდვისადმი მიდგომები“ (აბაშიძე ი., ქათამაძე გ. 2017).

ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ინტერნეტ-სარეკლამო საშუალებების გამოყენება არის სწრაფად ცვალებადი და მუდმივი სიახლეების მომცველი სფერო. ამიტომ, „ის ქართული კომპანიები, რომლებიც მოახერხებენ თავიანთი საქმიანობის გარკვეული ნაწილის ელექტრონულ ფორმატში გადატანას (web-გვერდების შექმნით, მათი დიზაინის სრულყოფით, ვიდეო-კლავების უზრუნველყოფით თავიანთი საქონლის ელექტრონულად გამოწერებთან ოპერატიული კავშირების დამყარებით, ონლაინ-გადახდების მოქნილი მექანიზმის დანერგვით, გამოწერილი საქონლის მოთხოვნილი ფერის, ზომის, ხარისხის ზუსტად უზრუნველყოფით, სწრაფად მიწოდებით და ა. შ.), მოიპოვებენ მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას“ (პირდაპირი...2020).

ჯერ კიდევ ოცდამეერთე საუკუნის პირველ ათწლეულში საქართველოში ინტერნეტ რეკლამა განიხილებოდა როგორც მარკეტინგის მომავალი პერსპექტივა და არა პრაქტიკაში ხშირად გამოყენებადი სარეკლამო საშუალება, მაგრამ დღეისათვის ინტერნეტ-ტექნოლოგიებზე წვდომის ზრდამ და სოციალური მედიის განვითარებამ გამოიწვია ელექტრონულ მომხმარებელთა აუდიტორიის მკვეთრი გაფართოება. შესაბამისად, გაჩნდა იმის აუცილებლობა, რომ ქართულმა კომპანიებმა უფრო მეტი რესურსები წარმართონ თავიანთი პროდუქტებით ინტერნეტ-რეკლამირებასა და ელექტრონული ვაჭრობისაკენ.

ქართული კომპანიებისათვის ელექტრონული სარეკლამო საშუალებების გამოყენება მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების დამატებითი შესაძლებლობაა, რადგან მომხმარებელთან უკუკავშირის დამყარების ეს ფორმა გაცილებით უფრო მაღალი ეფექტიანობითა და ინტერაქტიულობით ხასიათდება, ვიდრე კომუნიკაციის სხვა არხები, რაც საშუალებას იძლევა მცირე დანახარჯებით მოხდეს არსებულ და პოტენციურ აუდიტორიაზე ეფექტური წვდომა. ასეთ ვითარებაში ის ქართული კომპანიები, რომლებიც უარს იტყვიან ინტერნეტ სივრცეში მარკეტინგულ აქტივობებზე, სერიოზულ უპირატესობას დაუთმობენ იმ კონკურენტებს, რომლებიც აქტიურად ახორციელებენ სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაციას თანამედროვე სარეკლამო საშუალებების გამოყენებით. „შესაბამისად, თანამედროვე სარეკლამო საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება, სხვა მეთოდებთან ერთად, არის არა არჩევანი, არამედ - შესაძლებლობა კონკურენციული უპირატესობის მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად“ (ავალიანი მ. 2021: გვ.45).

ქართული კომპანიების მიერ თანამედროვე სარეკლამო საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ზრდის შესაძლებლობათა განხილვისას საჭიროა ყურადღება გამახვილდეს შემდეგ ასპექტებზე: 1. „ტრადიციულ“ სარეკლამო საშუალებებთან შედარებით, ელექტრონული სარეკლამო საშუალებები ხასიათდება დანახარჯების სიმცირით და გაცილებით უფრო მაღალი უკუგებით; 2. შესაძლებელია უფრო ფართო აუდიტორიასთან წვდომა; 3. კომპანიის მიერ გასაყიდი პროდუქტის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია ასევე, მიზნობრივი სეგმენტის მიხედვით, აუდიტორიის ფილტრაცია, რაც საშუალებას იძლევა კომპანიამ მოიცვას სწორედ პოტენციურ მომხმარებელთა აუდიტორია; 4. შესაძლებელია ელექტრონული ბიზნესში ჩართული ქართული კომპანიების საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფა, რაც საშუალებას იძლევა გაკეთდეს განხორციელებული სარეკლამო კამპანიისა თუ ჩატარებული მარკეტინგული კვლევის დეტალური ანალიტიკა.

ამრიგად, „თანამედროვე სარეკლამო საშუალებების გამოყენება იძლევა ქართული კომპანიების საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის შესაძლებლობას, რადგან ინტერნეტ-რეკლამების გამოყენების შემთხვევაში მონაცემების ტიპი, რაოდენობა და ხარისხი რადიკალურად განსხვავდება „ტრადიციულ“ ბიზნესში გამოყენებული მონაცემებისგან და იძლევა დამატებით ისეთი ინფორმაციების მოპოვება-გადამუშავების შესაძლებლობას, რის მიღწევაც შეუძლებელია ინტერნეტ ტექნოლოგიების გარეშე“ (ქართული კომპანიები....2020).

თანამედროვე სარეკლამო საშუალებების გამოყენების კიდევ ერთ უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს სარეკლამო კამპანიის საბოლოო მიზნის მრავალფეროვანი არჩევის შესაძლებლობა. თანამედროვე სარეკლამო საშუალებების კომბინაციით ქართულ კომპანიებს შეუძლიათ გაზარდონ ბრენდის ცნობადობა და ღირებულება, გაყიდვების სტიმულირება, გააუმჯობესონ საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვა, გაზარდონ ლოიალურ მომხმარებელთა რაოდენობა, გააუმჯობესონ რებრენდინგის პროცესის მხარდაჭერა და ა.შ.

მართალია, თანამედროვე სარეკლამო საშუალებები ფართო შესაძლებლობებს იძლევა, მაგრამ შეუძლებელია მისი გამოყენება საბაზისო მარკეტინგულ უნარების ფლობის გარეშე. შეიძლება ითქვას, რომ ელექტრონულ ვაჭრობაში იგივე პრინციპები მოქმედებს, რაც „ტრადიციული“ ვაჭრობის სფეროში, დამატებითი შესაძლებლობებითა და აუდიტორიასთან ინტერაქციის გაცილებით უფრო მაღალი ინტენსივობით. სასაქონლო ბაზარზე მოქმედი ფაქტორები იგივე რჩება და ემატება ინტერნეტ აუდიტორიისთვის დამახასიათებელი უპირატესობები, რაშიც იგულისხმება

ინტერნეტ საზოგადოების განწყობის განსაკუთრებული არაპროგნოზირებადობა. ასევე, ის ფსიქოლოგიური თუ სხვა მოტივები, რაც განაპირობებს აუდიტორიის ქცევის თავისებურებებს. თანამედროვე სარეკლამო საშუალებები თითოეულ მომხმარებელს აძლევს პროდუქტზე გავლენის მოხდენისა და მისი მოდიფიცირებული სახით მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, თანამედროვე სარეკლამო საშუალებებით შექმნილი პროდუქტი აღარ არის ერთიანი სტანდარტის.

ამდენად, თანამედროვე სარეკლამო საშუალებების გამოყენებით, ქართულ კომპანიებს შეუძლიათ მათ მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებული პროდუქტი ან მომსახურება გახადონ მაქსიმალურად პერსონალიზებული, ხშირად თითოეული მომხმარებლის დონეზეც კი. საქონლის ფასი კონკურენტული ბრძოლის ერთ-ერთი ძირითად საშუალებად რჩება ელექტრონულ ვაჭრობაშიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ კონკურენციის ინტენსივობა გაცილებით უფრო მაღალია. „მომხმარებლებს საშუალება აქვთ სხვადასხვა კატალოგებისა თუ პროდუქტების განხილვების საშუალებით ძალიან მარტივად შეადარონ ერთმანეთს კონკურენტი კომპანიების შეთავაზებები და ამის შემდეგ მიიღონ გადაწყვეტილება შესყიდვის შესახებ“ (აბაშიძე, 2018). მომხმარებლის მიერ შედარების ძალიან მარტივად გაკეთების შესაძლებლობა პროდუქტზე ფასის განსაზღვრის ერთ-ერთი ქმედითი ინსტრუმენტია. ამ შემთხვევაში ქართულ პატარა კომპანიებს კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობები ეძლევათ კონკურენცია გაუწიონ უცხოურ დიდ ბრენდებს. მომხმარებელსა და მიმწოდებელს შორის ტერიტორიულ დაშორებას ელექტრონულ ვაჭრობაში დიდი მნიშვნელობა არ აქვს. შემკვეთმა იცის, რომ განსაზღვრულ ვადაში მისი პროდუქტი მასთან იქნება. ეს პრინციპი ვრცელდება პროდუქციის როგორც საბოლოო მომხმარებელზე, ისე მისი შემდგომი გადამუშავებისა და გაყიდვის მიზნით შემდეგ კომპანიებზეც.

**საკვანძო სიტყვები:** სარეკლამო საშუალებები, ელექტრონული ვაჭრობა, ინტერნეტ რეკლამა, სოციალური მედია, ინტერნეტ მარკეტინგი, ინტერნეტ რეკლამა.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. აბაშიძე ი. ინტერნეტ რეკლამის განვითარების თავისებურებები და მისი გავლენა მომხმარებლის ქცევაზე. ბათუმი, 2018. გვ.- 169
2. აბაშიძე ი., ქათამაძე გ. სოციალური მედიის მარკეტინგი როგორც მცირე ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ხელშემწყობი ფაქტორი. ინოვაციური ეკონომიკა და მართვა/ №4, 2017; გვ. – 27-33;
3. ავალიანი მ. ინტერნეტ-მარკეტინგი და მისი განვითარება საქართველოში <https://openscience.ge/bitstream/1/417/1>
4. ბერიძე ნ. ინტერნეტ მარკეტინგის განვითარების თავისებურებები საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები, ბათუმი, 2018, გვ. 160;
5. პირდაპირი და ონლაინმარკეტინგი [https://old.tsu.ge/data/file\\_db/economist\\_faculty/tema10](https://old.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/tema10).
6. ქართული კომპანიები Covid-19-ის პანდემიის გამოწვევის წინაშე. [https://www.pwc.com/ge/en/assets/pdf/may-2020/Georgia\\_Covid\\_19\\_survey\\_Report\\_Final\\_Georgian](https://www.pwc.com/ge/en/assets/pdf/may-2020/Georgia_Covid_19_survey_Report_Final_Georgian) (ატვირთულია 21.05.20.)
7. ჯოლია, გ., გეჩბაია, ბ., სეხნიაშვილი, დ., დევაძე, ა., „ინტერნეტ-ეკონომიკა“, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, (2014);
8. Ballings M., Van den Poel D., Bogaert M. Social media optimization: Identifying an optimal strategy for increasing network size on Facebook. Omega 59 (2016)

## მრეწველობის განვითარების სტრატეგია საქართველოში

**გულნაზ ერკომაიშვილი**

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი  
[gulnazi.erkomaishvili@tsu.ge](mailto:gulnazi.erkomaishvili@tsu.ge)

ნაშრომში გადმოცემულია მრეწველობის დარგის როლი და მნიშვნელობა, გაანალიზებულია სამრეწველო წარმოების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში, ნაჩვენებია სამრეწველო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი, შეფასებულია სამრეწველო პოლიტიკის განმახორციელებელი ინსტიტუტების საქმიანობის შედეგები, განხილულია დარგში პანდემიის პერიოდში შექმნილი გამოწვევები. სტატისტიკური მონაცემების ანალიზით ნაჩვენებია, რომ ქვეყანაში მრეწველობის განვითარების დონე და მისი საექსპორტო პოტენციალი საკმაოდ დაბალია.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით საბჭოთა ეკონომიკიდან მემკვიდრეობით მიღებული სამრეწველო ინდუსტრია თითქმის მთლიანად მოიშალა. 1990-1994 წლებში საბჭოთა პერიოდთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის წარმოება ხუთჯერ, ხოლო სამუშაო ადგილების რაოდენობა ოთხჯერ შემცირდა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 1995). სამრეწველო პროდუქცია არაკონკურენტუნარიანი გახდა როგორც შიდა, ისე საგარეო ბაზრებზე. შეწყდა მანქანების, მოწყობილობების, ხელსაწყოების, ელექტრომანქანების, სატრანსპორტო საშუალებების, მსუბუქი და ნაწილობრივი კვების მრეწველობის პროდუქციის გამოშვება. შესაბამისად, დაეცა სამრეწველო წარმოების დონე, შემცირდა მთლიან სამამულო პროდუქტში მრეწველობის ხვედრითი წილი, მოიშალა სამეურნეო კავშირები. ყოველივე ამან ქვეყნის დეინდუსტრიალიზაცია გამოიწვია.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საქართველოს მრეწველობის წინაშე მდგარი უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანების დროულად გადაჭრისა და მისი შემდგომი განვითარების მიზნით საქართველოს მრეწველობის სამინისტროს მიერ 1999 წელს შემუშავდა: საქართველოს სამრეწველო კონცეფცია და „2000-2005 წლებში საქართველოს სამრეწველო საწარმოების განვითარების სტრატეგიული პროგრამები“. თუმცა მათ დიდი გავლენა ვერ მოახდინეს სამრეწველო სექტორის რეაბილიტაციაზე.

2003-2012 წლებში მთლიან სამამულო პროდუქტში მრეწველობის წილი შემცირდა. 2020 წლამდე მნიშვნელოვნად გაიზარდა სამრეწველო პროდუქციის ბრუნვა და გამოშვებული პროდუქცია, მაგრამ პანდემიამ სერიოზული გავლენა მოახდინა ორივე მაჩვენებელზე. 2022 წელს 2020 წელთან შედარებით ბრუნვა 2,6 -ჯერ, ხოლო გამოშვება 2.9-ჯერ შემცირდა. დასაქმებულთა რაოდენობა ბოლო წლებში უმნიშვნელოდ გაიზარდა, პანდემიის პერიოდში დიდი ცვლილება არ მომხდარა. შრომის ანაზღაურება 2022 წელს 2014 წელთან შედარებით 1.9-ჯერ გაიზარდა, პანდემიის შემდგომ პერიოდში უმნიშვნელოდ გაიზარდა.

მრეწველობაში ყველაზე დიდი ქვესექტორია დამამუშავებელი მრეწველობა, რომლის წილი წინა წლებთან შედარებით გაიზარდა (2018 წ. – 18,4%, 2019 წ.- 18.4%, 2020 წ. -20%). უმნიშვნელოდ გაიზარდა სამთომომპოვებელი მრეწველობის წილიც (2018 წ. – 1.2%, 2019 წ. – 1.4%, 2020 წ. – 1.9%). შემდეგ მოდის ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდება, რომლის წილი შემცირების ტენდენციით ხასიათდება (2018 წ.- 2.3%, 2019 წ. – 2.1%, 2020 წ. – 2,1%). შემცირების ტენდენციით ხასიათდება ასევე წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების სამუშაოები (2018 წ.- 0.7%, 2019 წ. – 0.7%, 2020 წ. – 0,6%) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021).

მრეწველობის განვითარებაში სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას არსებითი როლი ეკისრება. 2012 წლიდან საქართველოში შეიქმნა ინსტიტუტები, რომელთა ერთ-ერთ მიზანს მრეწველობის სხვადასხვა დარგების განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენდა. დღემდე საქართველოს მთავრობა არაერთ პროგრამას ახორციელებს ამ მიმართულებით. კერძოდ, „აწარმოე საქართველოში“, „საპარტნიორო ფონდი“, ინდუსტრიული განვითარების ჯგუფი, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტო, „სტარტაპ საქართველო“. სამრეწველო სექტორის ხელშეწყობის პროგრამების განხორციელების კვალდაკვალ, გარკვეული დადებითი შედეგები სახეზეა, როგორც დასაქმების, ისე საწარმოთა განვითარების თვალსაზრისით.

მრეწველობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ქვეყანამ უნდა აირჩიოს ტექნოლოგიურ განვითარებაზე და საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურ ზრდაზე ორიენტირებული მოდელი. სახელმწიფოში უნდა შემუშავდეს სამრეწველო პოლიტიკა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოყენებული იქნეს ინოვაციური მიდგომები მრეწველობის პრიორიტეტული დარგებისადმი. აუცილებელია სამრეწველო პოლიტიკის ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, როგორცაა: ინოვაციები და ტექნოლოგიები, განათლება და უნარების ფორმირება, საგარეო ვაჭრობაზე ორიენტირება, მრეწველობის პრიორიტეტული დარგების მხარდაჭერი მექანიზმის შემუშავება, კონკურენტუნარიანობა და კონკურენციის დაცვა.

მრეწველობის დარგში გამოვლენილი გამოწვევების საფუძველზე შემუშავებულია აქტიური სამრეწველო პოლიტიკის განხორციელების რეკომენდაციები მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში. კერძოდ: ხელისუფლების მხრიდან მრეწველობის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად გამოყოფა; განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა გადამამუშავებელი მრეწველობის იმ დარგებზე, რომლის წარმოების პოტენციალიც საქართველოს გააჩნია; მეცნიერებატევადი დარგების განვითარების მხარდაჭერა; იმ ინვესტიციებისათვის, რომლებიც სამრეწველო წარმოებაში დააბანდებენ თანხებს, გარკვეული შეღავათების დაწესება; კერძო ბიზნესთან სახელმწიფოს პარტნიორობა, რაც გამოიხატება ბიუროკრატიასთან, კორუფციასა და კრიმინალთან ბრძოლით, მეწარმეებისათვის ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნით; ქვეყანაში უნდა განხორციელდეს განათლება - მეცნიერება - წარმოებას შორის კოორდინაცია. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ფუნდამენტურ მეცნიერულ კვლევებს, რომელსაც არ მოეთხოვება მოკლევადიან პერიოდში წმინდა კომერციული უკუგება, მეცნიერება უნდა გადაიქცეს რეალურ საწარმოო ძალად; განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ისეთი სამეწარმეო ეკოსისტემის ფორმირებას, რომელიც ხელს შეუწყობს ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების გაფართოებას; საექსპორტო ბაზრებზე შესვლის ბარიერების გადალახვას.

**საკვანძო სიტყვები:** მრეწველობა, მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა, სამრეწველო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი, სამრეწველო პოლიტიკის განმახორციელებელი ინსტიტუტები, მრეწველობის განვითარების სტრატეგია.

#### **ლიტერატურა:**

1. ერქომაიშვილი გ. (2004). მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი საქართველოში. თბილისი, თსუ გამომცემლობა.
2. თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქუშელაშვილი გ., გეგია დ. (2011). საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“.
3. სამრეწველო და საწარმოო პოლიტიკა (2018). ევროკავშირი საქართველოსთვის. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. თბილისი
4. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხუთწლიანი პროგრამა „სტრატეგია-2020“. საქართველოს ინდუსტრიული პოლიტიკის გამოწვევები. (2016). საზოგადოებრივი კვლევის ცენტრი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი.

5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2021). [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
6. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო /ბოლო ნახვა 22.12.2021/
7. სააგენტო „აწარმოე საქართველოში“. წლიური ანგარიში 2020.  
<http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/606ea449f3169-Annual-Report-2020.pdf>
8. სტარტაპ საქართველო (2021). <http://startup.gov.ge/geo/program>, / ბოლო ნახვა 22.12.2021/
9. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/77/mretsveloba>
10. <https://tradingeconomics.com/georgia/industrial-production>

# ინტელექტუალური მიგრაციის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

დალი სეხნიაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
საქართველო, თბილისი, d.sekhniashvili@gtu.ge

განათლებული და კვალიფიციური ადამიანების მიგრაცია განვითარებულ ქვეყნებში გაგრძელდება მანამ, სანამ საერთაშორისო უთანასწორობა ცხოვრების სტანდარტებში დარჩება ისეთი, როგორც არის ახლა. რაც უფრო პატარა და ნაკლებად განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო რთული იქნება მისთვის გლობალური კონკურენციის გაწევა და კვალიფიციური სამუშაო ძალის შენარჩუნება.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომ ეკონომიკურ ზრდაზე ინტელექტუალური მიგრაციის ნეგატიური ეფექტი, ძირითადად, განპირობებულია ისეთი ინსტიტუტების არ არსებობით, რომლებსაც შეუძლიათ წაახალისონ მიგრანტები, რათა ისინი დარჩნენ სამშობლოში და ინვესტიციები საკუთარი ქვეყნის ეკონომიკაში განახორციელონ.

კვლევა გვაწვდის იმ მნიშვნელოვანი არხების იდენტიფიცირების საშუალებას, რომელთა მეშვეობითაც ინტელექტუალური მიგრაცია გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე.

დეტალურად გავეცანით სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა მიერ გამოყენებულ მეთოდებს ეკონომიკურ ზრდაზე ინტელექტუალური მიგრაციის გავლენის კვლევისთვის. მათ უმრავლესობაში გამოიყენება დინამიური ჩვეულებრივი უმცირესი კვადრატის მეთოდი. ანალოგიურად, საქართველოში ეკონომიკურ ზრდაზე ინტელექტუალური მიგრაციის გავლენის გამოსაკვლევად, ჩვენც იგივე მეთოდს დავყრდენით. ცვლადებად ავიღეთ: მშპ, ტვინების გადინება, ფულადი გზავნილები და ადამიანური კაპიტალი. ცვლადებს შორის გრძელვადიანი ურთიერთობა შემოწმდა იოჰანსენის კოინტეგრაციის ტესტის გამოყენებით, ხოლო გრეინჯერის მიზეზობრიობის ტესტი გამოყენებული იყო იმის დასადგენად, არის თუ არა მიზეზობრივი კავშირი ცვლადებს შორის. კვლევის შედეგმა აჩვენა, რომ ტვინის გადინება, ფულადი გზავნილები და ადამიანური კაპიტალი ერთობლივად აჩვენებენ ეკონომიკურ ზრდას 0.75 პუნქტით. ტვინების გადინების მაჩვენებლის ერთი პუნქტით ზრდა იწვევს ეკონომიკური ზრდის  $1.16E+11$  შემცირებას. ეს გარემოება ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ტვინების გადინება გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე და მისი ეფექტი ცალსახად ნეგატიური ხდება, როდესაც ემიგრაციის მაჩვენებელი მაღალია.

მეორე, ეკონომიკური ზრდის დაბალი მაჩვენებელი უმაღლესდამთავრებულებს ემიგრაციისკენ უბიძგებს. ეს არის მიზეზი იმისა, რომ ბევრი კურსდამთავრებული ტოვებს საქართველოს და მიემგზავრება იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკური კეთილდღეობა უფრო მაღალია.

გარდა ამისა, ხელფასების დონეებს შორის არსებული განსხვავების გამო, ინტელექტუალური მიგრანტების ნაწილი სამშობლოში არ ბრუნდება. ამასთან, ბიზნეს რისკების მაღალი დონე, არასათანადო ინფრასტრუქტურა და ინსტიტუტები, ეკონომიკური და პოლიტიკური გაურკვევლობა არ ახალისებს ემიგრანტებს, რომ მათ ინვესტიციები საქართველოში განახორციელონ, რის გამოც, ფულადი გზავნილები არ განაპირობებს საქართველოს რეალურ ეკონომიკურ განვითარებას.

ადამიანური კაპიტალი მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. ჩვენი კვლევის თანახმად, ადამიანური განვითარების ერთი ერთეულით ზრდა იწვევს ეკონომიკური ზრდის  $2.35E+11$ -ით ზრდას.

ვინაიდან არსებობს ნეგატიური კავშირი ტვინების გადინებას, ფულადი გზავნილებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის, ჩვენი მოსაზრებით, საქართველოში ტვინების გადინების შესამცირებლად მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკის შემქმნელებმა დანერგონ საკმარისი სტიმული და მექანიზმები მიგრანტებისთვის და მათი ოჯახებისთვის, რათა მათ განახორციელონ ფულადი გზავნილების



ინვესტიცია სხვადასხვა პროექტში, რომლებიც სარგებელს მოუტანს არა მხოლოდ მათ, არამედ საქართველოს მთელ ეკონომიკას.

მეორე, საჭიროა მთავრობამ შექმნას პროგრამები, რომლებიც საშუალებას მისცემს ახალგაზრდებს გააცნობიერონ თავიანთი პოტენციალი, მაგალითად, IT ინოვაციების ცენტრები და წახალისონ ადგილობრივი იდეები.

მესამე, უნდა განხორციელდეს ჯანსაღი მაკროეკონომიკური პოლიტიკა.

თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტი, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ უფრო ფართო კონტექსტი, რომლის ფარგლებშიც ხდება იმიგრაცია, მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილება მაინც ინდივიდუალურია.

**საკვანძო სიტყვები:** ინტელექტუალური მიგრაცია, ეკონომიკური ზრდა, ტვინების გადინება, ფულადი გზავნილები.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. სილაგაძე ს. ინტელექტუალური მიგრაციის თანამედროვე ტენდენციები, ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, 2020, [https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Salome\\_Silagadze.pdf](https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Salome_Silagadze.pdf), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 08.05.2022
2. ფანოზიშვილი რ. ტვინების გადინება, <http://liberali.ge/articles/view/436/tvinebis-gadineba>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 05.05.2022
3. Bhagwati J., In Defense of Globalization, Oxford, Oxford University Press. 2004
4. Piabuo S. & Tieguhong J. Health expenditure and economic growth. Health economics review, 7(1), 2017
5. Tukhashvili M., Shelia M., Zubiashvili T., Chelidze N.. Socio-Economic Problems Of Return Migration In Georgia. Tbilisi. Socio-Economic Problems Of Return. 2012. [https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/11050/1/Dabrunebul\\_Migrantta\\_Kvleva.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/11050/1/Dabrunebul_Migrantta_Kvleva.pdf), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 08.05.2022

# სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები თანამედროვე საქართველოს ღია ეკონომიკის პირობებში

**დავით ქათამაძე**

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ბათუმი  
[gatamadze.davit@bsu.edu.ge](mailto:gatamadze.davit@bsu.edu.ge)

**მარიამ ქათამაძე**

ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის პირველი კურსის მაგისტრანტი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, ბათუმი,  
[Mariam.katamadze.99@gmail.com](mailto:Mariam.katamadze.99@gmail.com)

საქართველოს ღია ეკონომიკის მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა სასურსათო უსაფრთხოების დონის ამაღლება. ამ პრობლემის არსებითობა დაადასტურა COVID 19-ის პანდემიის შედეგად შექმნილმა ვითარებამაც. საბედნიეროდ ვირუსის გავრცელება ქვეყნებს შორის ტვირთნაკადების გატარებით არ ხდება, რის გამოც ქვეყნებს შორის საზღვრების გადაკვეთის შეზღუდვამ გავლენა არ იქონია იმპორტული სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფაზე. შესაბამისად, პანდემიურ სიტუაციაში სასურსათო უსაფრთხოების ამაღლებამ სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა. სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის წინაშე საქართველო კიდევ ერთხელ დადგა 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთსა და უკრაინას შორის საომარ მოქმედებათა დაწყებისა და შესაბამისად, ამ ქვეყნებიდან სურსათის/კვების პროდუქტების მოწოდების შეფერხების გამო.

პრობლემა გაამწვავა იმ გარემოებამ, რომ რუსეთი და უკრაინა ჩვენი ქვეყნისათვის სურსათის და კვების პროდუქტის უმთავრესი მომწოდებლები იყვნენ. ამიტომ საქართველო იძულებული გახდა, შავი ზღვის რეგიონში მშვიდობის დამყარებამდე, სურსათისა და კვების პროდუქტების მომარაგება გადაერთოთ თურქეთზე, ირანზე, ყაზახეთზე, თურქმენეთსა და ევროპულ ქვეყნებზე. თუმცა რუსეთისა და უკრაინის მიერ სურსათის მომარაგების შეწყვეტით გამოწვეული დეფიციტის ძველ ფასებში შევსება ვერ მოხერხდა, რადგან საომარ პირობებში, ახალმა მომწოდებლებმა თავიანთი სურსათი და კვების პროდუქტები გააძვირეს. ამას ხელი შეუწყო პოსტპანდემიურ პერიოდში მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მონეტარული პოლიტიკის ექსპანსიამ და შესაბამისად, მსოფლიო ინფლაციის ტემპების დაჩქარებამ.

რუსეთ-უკრაინის ომის, გლობალური კლიმატის ცვლილებისა და მსოფლიოში პანდემიის მასობრივად გავრცელების პირობებში, საქართველოსათვის მნიშვნელოვანია არსებული აგრო-სასურსათო პროდუქტის რესურსული პოტენციალის სრულად ათვისება და ეფექტიანად გამოყენება. „საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების დონის ამაღლების მიზნით საჭიროა ქვეყნის შიგნით მარცვლეულის წარმოების გადიდების ყველა რეზერვის ამოქმედება. ამასთან, მარცვლეულის, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის სურსათის წარმოება პრიორიტეტულად უნდა იქნეს მიჩნეული“ (კოდუაშვილი პ., ჩიხლაძე ნ., 2021).

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების დონის შესაფასებლად გამოყენებული უნდა იქნეს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სასურსათო უსაფრთხოების შეფასების 4 ინდიკატორი: სურსათის არსებობა, სტაბილურობა, ხელმისაწვდომობა და მოხმარება. ამ ინდიკატორების გარდა, ჩვენი ქვეყნისათვის ასევე, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს სურსათის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტზე. მისი გათვალისწინება იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ სასურსათო დამოუკიდებლობა შეიძლება იყოს სასურსათო უსაფრთხოების განმაპირობებელი ფაქტორი. გარდა ამისა, სასურსათო დამოუკიდებლობა, ხშირად, სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის მთავარი ამოცანაა (ჯეოველ რისერჩი, 2017:). სხვა სიტყვებ-

ბით, სასურსათო უსაფრთხოების მთავარი კრიტერიუმი, ერთი მხრივ, მოსახლეობის უსაფრთხო საკვები პროდუქტით უზრუნველყოფაა, ხოლო, მეორე მხრივ, ის სურსათით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელია, რომელიც გულისხმობს ქვეყნის მოსახლეობის სურსათით მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენების ხარჯზე.

სურსათის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რა დონეზე უზრუნველყოფს ქვეყანა სურსათზე მოთხოვნებს საკუთარი რესურსით და რამდენადაა დამოკიდებული იმპორტზე. გამომდინარე აქედან, ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დაშვება, სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობებში, სურსათისა და კვების პროდუქტების ადგილობრივი წარმოებისა და ექსპორტის ზრდა აუმჯობესებს სურსათით თვითუზრუნველყოფის დონეს, ხოლო მათი იმპორტის ზრდაკი პირიქით - აუარესებს მას.

ამდენად, საქართველოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სურსათისა და კვების პროდუქტების (ხორბალის, სიმინდის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ყურძნის, ხორცის, რძის, რძის პროდუქტებისა და კვერცხის) ადგილობრივი წარმოების განვითარება, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერჯერობით ჩვენს ქვეყანაში დაბალია აუცილებელი აგრო-სასურსათო პროდუქტებით დაკმაყოფილების დონე. 2021 წელს, თვითუზრუნველყოფის დაბალი კოეფიციენტები დაფიქსირდა შემდეგ პროდუქტებზე: ხორბალზე - 15% და ხორცზე - 49% (<http://www.geostat.ge> სასურსათო უსაფრთხოება). საქართველოში აგროსასურსათო პროდუქტების იმპორტი, წლების მანძილზე, სტაბილურად (ღირებულებით 3,5-ჯერ, ხოლო რაოდენობრივად 2,6-ჯერ) აღემატება ექსპორტს, რაც განპირობებულია ამ პროდუქტების ადგილობრივი წარმოების დაბალი მოცულობით და შესაბამისი სექტორის სუსტი კონკურენტუნარიანობით უცხოელ მწარმოებლებთან შედარებით.

2006-2021 წლების მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, სურსათით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტის მიხედვით, ჩვენს ქვეყანაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება კარტოფილი, ყურძენი, კვერცხი და ხორბალი. ხოლო კვების ტენდენციით - სიმინდი, ბოსტნეული, რძე და რძის პროდუქტები და ხორცი. ასეთ პირობებში საქართველოს არ შეუძლია სხვა ქვეყნებისგან დამოუკიდებლად სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრა, მხოლოდ ეროვნული წარმოებით, ამიტომ, სურსათის იმპორტი მნიშვნელოვანი კომპონენტია ჩვენი ქვეყნისათვის.

საქართველოს სურსათით თვითუზრუნველყოფის საკითხი განვიხილოთ ხორბლის მაგალითზე. როგორც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიდან ჩანს, 2006 წელს, ხორბლის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 8% იყო, 2021 წელს კი ის 15%-მდე გაიზარდა. მართალია ხორბალს თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს, მაგრამ ზოგადად იგი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. თუ ერთმანეთს შევადარებთ 2017-2021 წლებს დავინახავთ, რომ ხორბლის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ბოლო ოთხი წლის მანძილზე არ შეცვლილა. COVID 19-ის პანდემიის გამო, 2020 წელს არ ფიქსირდება ხორბლის ექსპორტი. თუ შესადარებლად ავიღებთ 2019 წელს, მაშინ, ექსპორტი შემცირებულია, 2006 წელთან შედარებით - 89%-ით, 2018 წელთან შედარებით -83%-ით. ბოლო 4 წელიწადში ადგილობრივი წარმოების საშუალო ყოველწლიური მატება შეადგენდა 2.6 ათას ტონას. დაბალი მაჩვენებლებია ასევე სიმინდით, კარტოფილით, ბოსტნეულით, ხორცით, რძის პროდუქტებითა და კვერცხით თვითუზრუნველყოფის სფეროშიც. „მართალია, სასურსათო დაუცველობა საქართველოში არასახარბიელოა, მაგრამ ეს იმასაც ნიშნავს, რომ წარმოების გაუმჯობესების პოტენციალიც მაღალია“ (ჯეოველ რისერჩი, 2017: 6). რეკომენდაციების სახით შეიძლება დავასკვნათ:

1. ყურადღება უნდა გამახვილდეს ძირითადი აგროსასურსათო პროდუქტების -ხორბლის, სიმინდის, ბოსტნეულის, რძის და რძის პროდუქტების, ხორცისა და ხორც-პროდუქტების წარმოების მასშტაბის ზრდაზე, რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი პრობლემები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაზე ახდენენ გავლენას;

2. სურსათით თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლების მიზნით საჭიროა სურსათის ადგილობრივ წარმოებაში არსებული, აუმოქმედებელი რესურსების ათვისება, სწორი დარგობრივი პრიორიტეტების შერჩევა და მათი განვითარების სტრატეგიის დასახვა;

3. საჭიროა კვების პროდუქტების სამამულო წარმოების სახელმწიფო მხარდაჭერის ახალი პროგრამების ამოქმედება, რომელიც მიმართული უნდა იყოს ფერმერებისათვის არა მხოლოდ მინერალური სასუქების დარიგებაზე ან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვის თანადაფინანსებაზე, არამედ აგრარული წარმოებიდან დაწყებული, მის ტრანსპორტირებით, რეკლამირებითა და ბაზარზე რეალიზების პროცესის ჩათვლით, მთელ ლოგისტიკურ ჯაჭვში სახელმწიფოს თანადგომაზე, რაც უნდა გამოიხატოს სახელმწიფოს მხრიდან, როგორც სასუქებითა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფაში, ისე ჭარბი აგრარული მოსავლის საბაზრო ფასად შესყიდვაში, საგარეო ბაზარზე სამამულო სასურსათო და კვების პროდუქტების ცნობადობის ამაღლებაში, რეალიზების ორგანიზების მხარდაჭერაში, მალე ფუჭებადი პროდუქტების გაფუჭებით მიღებული ზარალისაგან ფერმერების დაზღვევაში.

**საკვანძო სიტყვები:** სასურსათო უსაფრთხოება, სურსათით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, სურსათის ხელმისაწვდომობის ინდექსი, საარსებო მინიმუმი, მდგრადი განვითარების მიზნები.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი ს. 2010. სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკა და რეგულირება საქართველოში: [https://www.ibsu.edu.ge/Upload/Menu\\_items/Doctorate-Defence/salome%20asatiani/abstract\\_salome\\_asatiani\\_geo.pdf](https://www.ibsu.edu.ge/Upload/Menu_items/Doctorate-Defence/salome%20asatiani/abstract_salome_asatiani_geo.pdf)
2. ახალაძე, შალამბერიძე. 2014. სასურსათო უსაფრთხოების შეფასების საკითხები: <https://atsu.edu.ge/EJournal/BLSS2015/eJournal/Papers/Business/AkhaladzeZeinab.pdf>
3. კოდუაშვილი პ., ჩიხლაძე ნ. სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგიის სრულყოფის საკითხისათვის. ეკონომიკური პროფილი, ტომი 16, 1(21), 2021. გვ - 63; <http://economicprofile.org/pdf/c55adab2b158091db1de77a326946da8>
4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. 2017. სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა, ტენდენციები ციფრებში.
5. ტალიკაძე ნ. სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა - უახლესი ტენდენციები ციფრებში. ჟურნალი „ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა“ (ატვირთულია 17 იანვარი 2022), [https://idfi.ge/ge/food\\_security\\_latest\\_trends\\_in\\_numbers](https://idfi.ge/ge/food_security_latest_trends_in_numbers);
6. ჯეოველ რისერჩი. 2017. სასურსათო უსაფრთხოების და კვების სტატუსის კვლევა, ბრიჯ-ინოვაცია და განვითარება.
7. [http://www.geostat.ge/index.php?action=page&p\\_id=751&lang=geo](http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=751&lang=geo) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სასურსათო უსაფრთხოება.
8. Colin Sage. 2018. Food Security, Revised and updated version to appear in the next edition of The International Encyclopaedia of Geography. 2019 [D. Richardson, N. Castree, M. Goodchild, A. Kobayashi, W. Liu, R. Marston (eds.)]. John Wiley & Sons, Ltd. , New York.
9. Kharashvili E., 2017. Challenges for sustainable food security in Georgia, XV EAAE Congress in Parma: Towards Sustainable Agri-Food Systems: Balancing between Markets and Society
10. Naveen Kumar Arora. 2018. Agricultural sustainability and food security, Society for Environmental Sustainability 2018
11. World Development Report. 2008. "Agriculture for Development," International Bank for Reconstruction and Development/The World Bank, Washington, DC.

# შიდა კონტროლის სისტემის ინტეგრაცია საბიუჯეტო სახსრების ეფექტურ მართვაში

## **დალი სოლოღაშვილი**

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი,  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, ქუთაისი  
[dali.sologhashvili-udesiani@atsu.edu.ge](mailto:dali.sologhashvili-udesiani@atsu.edu.ge)

## **თათია უდესიანი**

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი,  
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო, თბილისი  
[tatia.udesiani@btu.edu.ge](mailto:tatia.udesiani@btu.edu.ge)

## **თეა უდესიანი**

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.  
უფროსი აუდიტორი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური.  
საქართველო, ქუთაისი.  
[udesiani.tea@atsu.edu.ge](mailto:udesiani.tea@atsu.edu.ge)

საჯარო მმართველობის რეფორმა წარმოადგენს ევროკავშირში გაწევრიანების ერთ-ერთ ფუნდამენტურ წინაპირობას, რომლის მიზანია გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული საბიუჯეტო სისტემის ჩამოყალიბება. საჯარო ფინანსების მართვა აღნიშნული რეფორმის შემადგენელი კომპონენტია, რომელსაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი უკავია ქვეყნის განვითარებაში, რადგან იგი არის საფუძველი „კარგი მმართველობის“ დამკვიდრების. თვის მხრივ, შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება და განვითარებაც საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის შემადგენელი ნაწილია, რომელიც გათვალისწინებულია საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების და საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმებში.

შიდა კონტროლის სისტემის მნიშვნელობას ისიც განაპირობებს, რომ მისი საშუალებით ხდება საჯარო სექტორში რესურსების შექმნის, გამოყენებისა და დაცვის კონტროლის შესაძლებლობა და განიხილება საბიუჯეტო დაწესებულებების საქმიანობის ეფექტურად წარმართვისა და მართვის პროცესების გაუმჯობესების მნიშვნელოვან საშუალებად.

შიდა კონტროლის სისტემის სარგებლიანობის შეფასება რთულ და კომპლექსურ საკითხს წარმოადგენს, რადგან იგი მოიცავს კომპონენტებს, რომელთა სარგებელი ხშირად ხარისხობრივი მაჩვენებლით ვლინდება, მაგალითად, სახელმწიფო სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილება, გაუმჯობესებული მომსახურების ხარისხი ან/და პროცესები, ეფექტიანი კონტროლის მექანიზმების არსებობა და სხვა.

აღნიშნული შეზღუდვის მიუხედავად, მიზანშეწონილად მივიჩნით გაგვეანგარიშებინა და შეგვეფასებინა შიდა კონტროლის სისტემის სარგებლიანობა, რისთვისაც გამოვიყენეთ ერთ-ერთი კომპონენტი - შიდა აუდიტი და შესაბამისად, მისი შემოწმების ანგარიში. კვლევის პროცესში ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის მოდელებიდან გამოვიყენეთ სარგებელი-ღირებულების თანაფარდობის ფორმულა (Benefit-Cost Ratio (BCR)).

ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზისთვის გამოვიყენეთ მხოლოდ ისეთი მიგნებები, რომელთა იდენტიფიცირების საფუძველზე შიდა აუდიტის ობიექტისთვის მათი უკან დაბრუნება და შესაბამისად, შემოსავლად მიღება იყო შესაძლებელი.

ჩატარებული კვლევის ფარგლებში მიღებულ შედეგთან ერთად განვიხილავთ იმ ხარისხობრივი მაჩვენებლებს, რაც ეფექტიან შიდა აუდიტთან არის დაკავშირებული. ეს იქნება: ადეკვატური და ეფექტიანი კონტროლის მექანიზმების დანერგვის შესაძლებლობა, რისკების მართვის შეფასების შესაძლებლობა და მის გაუმჯობესებაზე ეფექტიანი რეკომენდაციების შემუშავება, ფინანსური ზიანისა და სამართლებრივი დავის მინიმიაზაციის შესაძლებლობა და სხვა.

შიდა კონტროლის სისტემის ინტერვენცია საბიუჯეტო სახსრების მართვაში საშუალებას იძლევა ეკონომიურად, პროდუქტიულად და ეფექტურად იმართოს საბიუჯეტო რესურსები და შესაბამისად მიღწეულ იქნას ორგანიზაციის დასახული მიზნები და ამოცანები.

**საკვანძო სიტყვები:** საჯარო ფინანსები, რისკი, შიდა კონტროლი, შიდა აუდიტი, ხარჯ-სარგებელი.

# პანდემია და შრომის ბაზრის პრობლემები საქართველოში

დარეჯან ჩხუბაძე

სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
darejan.chkhubadze@bsu.edu.ge

თანამედროვე მსოფლიოში და, განსაკუთრებით საქართველოში, რთულია პანდემიაზე უფრო აქტუალური თემის დასახელება. ამ მოვლენამ უზარმაზარი ზიანი მიაყენა ჯანდაცვის სისტემას, დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა ეკონომიკური სექტორიც. გაჩერებული ბიზნესი, ლოქდაუნი, ტურიზმის შემცირება, უმუშევრობის მატება, სიღარიბის მაჩვენებლის ზრდა, ეროვნული ვალუტის გაუფასურება და ა.შ. დაკარგული სამსახური – ყველაფერი ეს დააწვა ისეც გარდამავალ სტადიაში მყოფ ეკონომიკას.

პანდემიის პირდაპირი, უარყოფითი გავლენა მკაფიოდ გამოვლინდა შრომის გლობალურ ბაზარზე. ამ ვითარებამ თითქმის ყველა ქვეყნის ეკონომიკურ პროცესებზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა შემცირდა ეკონომიკური ზრდა, გაიზარდა უმუშევრობის რიცხვი, თანამედროვე ეტაპზე საქართველოს შრომის ბაზრისათვის დამახასიათებელი თავისებურებებია ის რომ,

–დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობებია (სამუშაო ადგილების მცირე რაოდენობა) რაც, განვითარების დაბალი დონით არის განპირობებული;

–მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული მკვეთრი დისბალანსია;

–მოქმედების შეზღუდული არეალია;

–ნაკლები ელასტიურობაა.

კოვიდ 19-ით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი ცხადია ქართულ ეკონომიკასაც შეეხო და იგი დღითიდღე უფრო მწვავე ხდება. ეკონომიკური საქმიანობის დიდი ნაწილის შეჩერება, უარყოფითად აისახა დასაქმებულებზე, თუმცა პანდემიის უარყოფითი გავლენა ყველა მშრომელზე თანაბრად არ ვრცელდება და შესაბამისად შრომის ბაზრის განვითარებაში შემდეგი სამი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა: 1. დასაქმებულთა ნაწილი გადავიდნენ დისტანციურ სამუშაოზე (სკოლები/ინსტიტუტები, საფინანსო ინსტიტუტები და აშ)

2. ჯგუფი რომელიც არ გადასულა დისტანციურ სამუშაოზე (სუპერმარკეტების, ავთიაქებისა და სამედიცინო დაწესებულებების და აშ. თანამშრომლები-საციცოცხლო დანიშნულების ობიექტები);

3. ჯგუფი- რომლებიც სამსახურის გარეშე დარჩნენ სახლში (და წესებულებების სრულყოფით დახურვის გამო- ტურიზმის, სასტუმროს და მსგავსი სფეროებში დასაქმებულები).

ყველაზე დიდი პრობლემა იმ დასაქმებულებს შეეხო, რომლებმაც კრიზისის გამო სამუშაო დაკარგეს. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, უმუშევრობის დონე 0.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 18.5% შეადგინა. დასაქმების დონე კი წინა წელთან შედარებით 42.7%-დან 41.1%-მდე შემცირდა. 2022 წლის I კვარტალში უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 21.9% შეადგინა. 2021 წლის I კვარტალში დასაქმების დონე წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით 4.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 37.7% შეადგინა.

დიდია პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. საქართველოში პანდემიის საწყის პერიოდში ყველაზე დაზარალებულ ჯგუფებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი სექტორები: განთავსების საშუალებები და საკვების მიწოდების საქმიანობები. ეს ის სექტორია, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა. დაიხურა სასტუმროები და რესტორნები, ასევე დაიხურა საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორის ობიექტების დიდი ნაწილი, მაგალითად, ტანსაცმლის, ტექნიკის, საყოფაცხოვრებო ნივთებისა და სხვა სახის მაღაზიები. რაც შეეხება

მცირე, თუმცა არანაკლებ დაზარალებულად ჩაითვალა ხელოვნების, დასვენებისა და გართობის სექტორებიც. მნიშვნელოვანი ზარალი მიაღწა სოფლის მეურნეობასაც. განსაკუთრებით დაზარალდა ტურიზი.

ყველა გამოკითხვის მიხედვით ბოლო წლების მთავარი პრობლემა დასაქმებაა საქართველოში, მოსახლეობის დიდი ნაწილი თვლის, რომ მათი უმუშევრობის მთავარი მიზეზი სახელმწიფოა, მან არ მისცა დასაქმების საშუალება და იმის ნაცვლად, რომ საკუთარი უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაზე იფიქროს, ელოდება სახელმწიფოსგან ხსნას. ბიზნესი საქართველოში ერთ-ერთ პრობლემად არაკვალიფიციურ კადრებს ასახელებს, მაშინ როდესაც შრომის ბაზარზე მიწოდება ჭარბია. სამუშაო ძალის ჭარბი მიწოდება განაპირობებს მათი კაპიტალის ღირებულების შემცირებას, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდებში დასაქმების შემცირებას.

დღეის მდგომარეობით საქართველოში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ღარიბ-ღატაკია, მათი თვიური მოხმარება საარსებო მინიმუმის ქვევითაა, მისთვის დამახასიათებელია უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, სახელმწიფო სოციალური პროგრამების დაბალი ეფექტიანობა, ინვესტიციების ნაკლებობა, მწარმოებლურობის დაბალი დონე, ეკონომიკური ზრდის არასაკმარისი ტემპები, ინფლაციის ზრდა, მაღალი შიდა და გარე მიგრაცია, საქართველოს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი გვევლინება, როგორც დასაქმების შემცირების განმაპირობებელ, ისე ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად. შრომის ბაზრის არაელასტიურობა, ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა, ინფორმაციის ხელმიუწვდომლობა, ეკონომიკის ხანგრძლივი სტაგნაცია განსაკუთრებით გლობალური პანდემიის პირობებში, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სამუშაო ძალის დაბალ პროფესიულ მობილურობას.

მართალია პანდემიის პოსტკრიზისულ პერიოდში თვითდასაქმება ძირეულ მიმართულებად იქცა, თავის გადარჩენის მიზნით შინამეურნეობებში როგორც ფორმალური ისე არაფორმალური დასაქმება, ერთობ ხსნა იყო, მაგრამ თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში საჭიროა საერთაშორისო ბაზარზე გასვლა, არეალის გაფართოება, შესაბამისად საქართველოს ბაზარზე მოქმედ სუბიექტების მაღალი კვალიფიკაცია იწვევს შუზღუდვების მოხსნას საერთაშორისო ბაზარზე, მით უფრო მარტივია მისთვის კონკურენციასთან გამკლავება.

ასეთ ვითარებაში წარმატების საილუმლო, სახელმწიფოს მიერ შემუშავებული გზაა, შექმნილი გარემოა ადამიანთა დასაქმებისათვის. პანდემიის პირობებში აუცილებელია სახელმწიფო სოციალური პროგრამების არსებობა.

**საკვანძო სიტყვები:** პანდემია და შრომის გლობალური ბაზარი, ეკონომიკური კრიზისი, დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემები, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი, სახელმწიფო სოციალური პროგრამები.



# თურქეთის სამრეწველო პოლიტიკა: წარმატებული გამოცდილება საქართველოსთვის

**ეკა ლეკაშვილი**

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო, თბილისი, [eka.lekashvili@tu.ge](mailto:eka.lekashvili@tu.ge)

**გიორგი კრავეიშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი [giorgi.kraveishvili@gmail.com](mailto:giorgi.kraveishvili@gmail.com)

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრაზე საფაკულტეტო საგრანტო კონკურსის ფარგლებში მუშავდება კვლევითი პროექტი „ევროკავშირში ინტეგრაციის მოთხოვნებთან კოორდინირებული სამრეწველო პოლიტიკის ფორმირება და მისი გატარების შესაძლებლობები საქართველოში“. საკვლევო პრობლემის აქტუალურობა განპირობებულია საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნების იმპლემენტაციის მიზნებიდან გამომდინარე. აღნიშნული საგრანტო პროექტის მიზანია გაანალიზოს ევროკავშირის მოთხოვნებთან კოორდინირებული სამრეწველო პოლიტიკის ფორმირებისა და მისი გატარების შესაძლებლობები საქართველოში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სხვა ამოცანებთან ერთად, დასახულია ისეთი ამოცანის გადაწყვეტა, როგორცაა ევროკავშირის წევრი, კანდიდატი და პოტენციური კანდიდატი ქვეყნების სამრეწველო პოლიტიკის შემუშავების, კოორდინირებისა და იმპლემენტაციის წარმატებული და წარუმატებელი გამოცდილების გაანალიზება.

საკონფერენციო ნაშრომში განხილულია თურქეთის, როგორც ევროკავშირის ასოცირებული ქვეყნის სამრეწველო პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებები და რეფორმები, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებას, განვითარებას და ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის შედეგად ხელი. თურქეთის, როგორც საქართველოს მეზობელი, ძირითადი სავაჭრო-ეკონომიკური და სტრატეგიული პარტნიორის, სამრეწველო პოლიტიკის წარმატებული გამოცდილების შესწავლა ხელს შეუწყობს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრირების პროცესს არა მარტო სუვერენული, არამედ რეგიონული კონტექსტის გათვალისწინებით.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, სამრეწველო პოლიტიკა, ევროკავშირი.

## REFERENCES:

1. ასოცირების შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის. კონსოლიდირებული ვერსია. ([https://www.asocireba.ge/show\\_article.php?id=30&id=30#kari6tavi5](https://www.asocireba.ge/show_article.php?id=30&id=30#kari6tavi5) წვდომა. 7.01.2021)
2. The World Bank, Exports of goods and services (constant 2015 US\$) - <https://api.worldbank.org/v2/en/indicator/NE.EXP.GNFS.KD?downloadformat=excel> (გაცნობის თარიღი: 04.04.2022);
3. The World Bank, Imports of goods and services (constant 2015 US\$) - <https://api.worldbank.org/v2/en/indicator/NE.IMP.GNFS.KD?downloadformat=excel> (გაცნობის თარიღი: 04.04.2022);

4. The World Bank, Unemployment, total (% of total labor force) (modeled ILO estimate) - <https://api.worldbank.org/v2/en/indicator/SL.UEM.TOTL.ZS?downloadformat=excel> (გაცემობის თარიღი: 04.04.2022);
5. United Nations Industrial Development Organization, Manufacturing value added as a proportion of GDP (%) - <https://stat.unido.org/SDG/TUR> (გაცემობის თარიღი: 05.04.2022);
6. United Nations Industrial Development Organization, Competitive Industrial Performance Index (CIP) - <https://stat.unido.org/cip/> (გაცემობის თარიღი: 05.04.2022);
7. The World Bank, GDP (constant 2015 US\$) - <https://api.worldbank.org/v2/en/indicator/NY.GDP.MKTP.KD?downloadformat=excel>
8. The World Bank, Foreign direct investment, net inflows (BoP, current US\$) - <https://api.worldbank.org/v2/en/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD?downloadformat=excel> (გაცემობის თარიღი: 05.04.2022);
9. İzak Atiyas, Ozan Bakis - Structural Change and Industrial Policy in Turkey, 2014;
10. Erol Taymaz, and Kamil Yilmaz - Political economy of industrial policy in Turkey: The case of the automotive industry, 2017;
11. Deniz Güverc - Boundaries on Turkish export-oriented industrialization, 2020;
12. Ozaslan, Metin - Spatial Development Tendencies and Emergence of New Industrial Districts in Turkey in the Post-1980 Era, 2006 - [https://www.econstor.eu/bitstream/10419/118523/1/ERSA2006\\_834.pdf](https://www.econstor.eu/bitstream/10419/118523/1/ERSA2006_834.pdf)
13. Sudi Apak , Erhan Atay - Industrial Policy and Climate Change Management of Turkey as an EU candidate country, 2013
14. Republic of Turkey, Ministry of industry and trade - Turkish industrial strategy document 2011-2014, 2010 - [https://www.ab.gov.tr/files/haberler/2011/turkish\\_industrial\\_strategy.pdf](https://www.ab.gov.tr/files/haberler/2011/turkish_industrial_strategy.pdf) (გაცემობის თარიღი: 29.04.2022)
15. Turkish Entrepreneurship Strategy & Action Plan 2015-2018 - [https://webdosya.kosgeb.gov.tr/Content/Upload/Dosya/Mali%20Tablolar/Gisep\\_2015-2018\\_EN.pdf](https://webdosya.kosgeb.gov.tr/Content/Upload/Dosya/Mali%20Tablolar/Gisep_2015-2018_EN.pdf) (გაცემობის თარიღი: 29.04.2022)
16. EUROPE 2020 A strategy for smart, sustainable and inclusive growth /\* COM/2010/2020 final / Brussels, 3.3.2010;
17. European Commission (2010, 2011, 2012) OECD (2012);
18. General Principles of EU Industrial Policy. Article 173 of the Treaty on the Functioning of the European Union. Fact Sheets in the European Union – 2021. [www.europarl.europa.eu/factsheets/en](http://www.europarl.europa.eu/factsheets/en)
19. Lekashvili, E. *Current issues of new economic policy. International Scientific and Practical Internet Conference Business Strategy: Futurological Challenges, November 20-22, 2019, Kyiv, pp.19-24. KHEY, 2019. 495. ISBN 978–966–926–310–0; УДК 005.21:001.18]:004.773.7.* <https://www.bsfucon.org/>

## მომსახურების ხარისხი და ადამიანური რესურსის უნარები სარესტორნო ინდუსტრიაში: ატსაბული გამოწვევების ანალიზი

*ეკატერინე ბახტაძე*

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ტურიზმის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

მომსახურების სექტორის მთავარი მიზანი მომხმარებლის კმაყოფილების მიღწევაა, რაც პირდაპირ კავშირშია მომსახურების ხარისხთან და ადამიანური რესურსის პროფესიულ უნარებთან. აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის კვლევებმა აჩვენა მომსახურების ის ძირითადი ნეგატიური ასპექტები, რაც მომსახურების პროცესში ვლინდება. მაღალკონკურენტულ გარემოში მდგრადი განვითარების შესანარჩუნებლად, აუცილებელია ხარისხიანი მომსახურების მიწოდება, რასაც უზრუნველყოფს პროფესიული და უმაღლესი განათლება, კომპანიაში დასაქმებული პერსონალის განვითარების შესაძლებლობები და კარგი მენეჯმენტი.

საქართველოში მოქმედი პროფესიული სასწავლებლების საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფენ საჭირო უნარების მიცემას. კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმ გამოწვევების იდენტიფიცირება, რომლებიც ხელს უშლის კვების ინდუსტრიაში წინა ხაზის თანამშრომლების მხრიდან ხარისხიანი მომსახურების მიწოდებას.

გეპ-ანალიზის საშუალებით შესწავლილი იქნა პერსონალის უნარების ის ხარვეზები, რომელსაც ადგილი აქვს სარესტორნო ინდუსტრიაში მოლოდინებსა და არსებულ მდგომარეობას შორის. პროფესიული სასწავლებლების საგანმანათლებლო მოდულების და კომპანიების მიერ გამოცხადებული ვაკანსიების მოთხოვნების შესწავლის საფუძველზე შეიქმნა ძირითადი უნარების ჩამონათვალი. შესწავლილი იქნა თუ რას მოელის ბიზნესი კურსდამთავრებულებისგან და რეალურად რა უნარებს ამჟღავნებენ წინა ხაზის დასაქმებულები. გამოყენებული იქნა თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევითი მეთოდები. შესწავლილი იქნა ის არსებული სიტუაცია და ტენდენციები, რომლებიც უკავშირდება საკადრო პოლიტიკას მასპინძლობის ინდუსტრიაში. გეპ-ანალიზის დროს გამოიკვეთა ის უნარები, რომელთა ნეგატიური მნიშვნელობა მაღალია, კერძოდ კომუნიკაციის, დროის მართვის და მომხმარებლის მომსახურების უნარები. აღნიშნული უნარები კრიტიკულ გავლენას ახდენენ მომხმარებლის კმაყოფილებაზე.

**საკვანძო სიტყვები:** მასპინძლობის ინდუსტრია, Gap -ანალიზი, მომსახურების ხარისხი, ადამიანური რესურსები, უნარები

## კომპანიათა სიცოცხლისუნარიანობა და ორგანიზაციული არქიტექტურა

ემზარ ჯულაკიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ეკონ. აკად. დოქტორი, პროფესორი  
ქუთაისი, საქართველო  
[Emzar.julakidze@atsu.edu.ge](mailto:Emzar.julakidze@atsu.edu.ge)

ყველა ორგანიზაცია ისეთივე ცოცხალი ორგანიზმია, როგორც ნებისმიერი ჩვენგანი. თუმცა, ჩვენგან განსხვავებით ის შესაძლოა გავხადოთ უკვდავიც. ორგანიზაციის უკვდავობის ერთადერთი „წამალი“ - მისი სწორი განვითარებაა, რაც საბოლოო ანგარიშით ორგანიზაციულ არქიტექტურაში აისახება. ორგანიზაციულ არქიტექტურის მდგენელებს შორის კი ყველაზე მეტ ყურადღებას პერსონალის კომპეტენცია და კორპორატიული კულტურა ითხოვს, რადგან კონკურენტებზე უკეთესი კვალიფიციური პერსონალი, მათი შესაძლებლობების უკეთ გამოყენების უნარი არის წარმატებული სტრატეგიის შემუშავებისა და მისი ეფექტიანი რეალიზების უმნიშვნელოვანესი წინაპირობა.

წარმატების ამ ორი მდგენელის საერთო შედეგი უნდა იყოს კომპანიის კომპეტენციის ამაღლება, განსაკუთრებით კი მისი იმ ნაწილის, რასაც საკვანძო კომპეტენციები ჰქვია და რომლის საფუძველზეც კონკურენტული უპირატესობა მიიღწევა. თუმცა, განსხვავებულია მათი ზემოქმედების შედეგები. კერძოდ, პერსონალის კომპეტენცია შეიძლება წაადგეს ან არ წაადგეს კომპანიის განვითარებას, კულტურა კი - ეხმარება ან ხელს უშლის განვითარების სტრატეგიის რეალიზებას. შესაბამისად, პერსონალური კომპეტენციების შეფასება უნდა მოხდეს კომპანიის მიზნებიდან და განვითარების სტრატეგიიდან გამომდინარე; ხოლო, კორპორატიული კულტურის შეფასება კი - იმ პოზიციიდან თუ რამდენად შესაბამისობაშია ის კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისა და განვითარების სტრატეგიასთან.

ცხადია, რომ საკვანძო კომპეტენციების შექმნა არ არის მარტივი საქმე. ვითარებას ართულებს ისიც, რომ მისი შექმნა, როგორც წესი, შეუძლებელია. ამ საქმეში წარმატებულ კომპანიათა შესაძლებლობების კოპირებაც არ იძლევა შედეგს. ის კომპანიაში უნდა შეიქმნას და იქვე განვითარდეს, რაც პერსონალის კომპეტენციის ამაღლებაზე და ჯანსაღი კორპორატიული კულტურის დამკვიდრებაზე ზრუნვას მოაქვს.

კიდევ უფრო რთულია ჯანსაღი კორპორატიული კულტურის დამკვიდრება და სტრატეგიასთან მისი ადეკვატურობის უზრუნველყოფა. კორპორატიული კულტურა - ეს არის ის ატმოსფერო, რომელიც ორგანიზაციაში სუფევს და ასე იოლად არ იცვლება. არადა, თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელი მუდმივად ცვლადი გარემო და კონკურენციის ინტენსივობა, კომპანიის მენეჯმენტს აიძულებს შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს კორპორატიულ კულტურაშიც. საქმე იმაშია, რომ ყველა ახალი პრობლემა, ახალი მიზნები, ახალი ფასეულობები, ახალი ტექნოლოგია, მენეჯმენტის ახალი მიდგომა ადეკვატურ კორპორატიულ კულტურას ითხოვს. და საერთოდ, თუ კორპორატიული კულტურა და ახალი სტრატეგია არ შეესაბამება ერთმანეთს, სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს კულტურა.

კონკურენტული სტრატეგიის რეალიზების ხარისხს და საერთოდ, კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებასა და განვითარებას, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მისი ორგანიზაციული სტრუქტურა. საქმე იმაშია, რომ ყველაზე კარგად მუშაობს ისეთი სტრუქტურა, რომელიც კომპანიის განვითარების სტრატეგიის მიხედვით კეთდება. თუმცა, უნდა ვადიაროთ რომ მსოფლიო პრაქტიკას არ აქვს ისეთი რეცეპტი, რომლის მიხედვით რომელ სტრატეგიას რომელი სტრუქტურა უნდა მიესადაგოს. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ თუ გვინდა ორგანიზაციული სტრუქტურა კომპანიის განვითარების მხარდამჭერი გახდეს, მასში ასახვა უნდა ჰქონდეს კომპანიის ფუნქციონირების ისეთ-მა პრიორიტეტებმა, რასაც შესაძლოა „სტრატეგიული კომპეტენციები“ და „სტრატეგიული კულტურა“

რა“ დავარქვათ. ჩვენი აზრით, მათ გარეშე კომპანიის გრძელვადიანი განვითარება საეჭვო გახდება. ხოლო, თუ შევქმნით ასეთ სტრუქტურებს, ისინი დაკისრებული მიმართულებით ცოდნის დაგროვებას მნიშვნელოვნად დააჩქარებს. ამასთან, რაც უფრო მეტ რესურსს გამოუყოფთ მათ, მით უფრო სწრაფი იქნება სტრატეგიის ადეკვატური კულტურისა და კომპეტენციის დაგროვების ტემპიც, რასაც დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის.

***საკვანძო სიტყვები:** კომპანიის სიცოცხლისუნარიანობა; ორგანიზაციული არქიტექტურა; პერსონალური კომპეტენცია; კორპორატიული კულტურა; სტრატეგიული კომპეტენციები; სტრატეგიული კულტურა.*

## მოგების გადასახადის რეფორმის შედეგები საქართველოში

**ვაჟა ვერულიძე**

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
vazha.verulidze@bsu.edu.ge

**ეკატერინე შაინიძე**

ფინანსების დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ekaterine.shainidze@bsu.edu.ge

საქართველოს ეკონომიკის წინაშე, წლების განმავლობაში არსებული პერმანენტული გამოწვევების ფონზე, ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა, ეკონომიკის რეალურ სექტორში მობილიზებული შიდა და უცხოური ინვესტიციები, შესაბამისად, მიმზიდველი საინვესტიციო და ეკონომიკური გარემოს ფორმირების მიზნით, საგადასახადო ლიბერალიზაციის გზით, განხორციელდა მოგების გადასახადის რეფორმა, რომლის მთავარი დანიშნულება, ეკონომიკის სტიმულირება და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება იყო, რაც განაპირობებდა ადგილობრივი და უცხოური ბიზნეს სუბიექტების მიერ, წარმოების გაფართოების სტიმულირებას, რეინვესტირების მეშვეობით.

მოგების გადასახადის რეფორმა, 2017 წლის 1-ლი იანვრიდან, მოგების გადასახადისაგან, მოგების მხოლოდ იმ ნაწილის გათავისუფლებას გულისხმობდა, რომელსაც საწარმო ეკონომიკაში მიაბრუნებდა, ხოლო მოგების სხვა მიზნით გამოყენება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ექვემდებარებოდა დაბეგვრას.

საინვესტიციო აქტიურობის დამატებითი სტიმულირების მოლოდინი გააჩინა ასევე ევროკავშირთან გაფორმებულმა ღრმა და ყოვლისმომცველმა თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმებამ, რომელიც ძალაში 2016 წლიდან შევიდა.

მოგების გადასახადის ლიბერალიზაცია, ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმების პირობებში, უნდა გამხდარიყო ეკონომიკის ზრდის ტემპის დაჩქარებისა და ექსპორტის წახალისების საფუძველი.

სტატიის მიზანია შეაფასოს რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებული თავდაპირველი მოლოდინები და რეფორმის შედეგები.

მოგების გადასახადის რეფორმამ, გაამარტივა მოგების გადასახადის საგადასახადო ადმინისტრირება და საწარმოები გაათავისუფლა მიმდინარე გადასახდელეების გადახდის ვალდებულებისაგან.

კვლევის პროცესში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რამდენად აისახა მოგების გადასახადის რეფორმა ეკონომიკის რეალურ სექტორზე. შესაბამისი მაჩვენებლების ანალიზის შედეგად დადასტურდა, რომ ეკონომიკისა და ექსპორტის ზრდის ტემპი რეფორმის შემდგომ პერიოდში გაიზარდა, კერძოდ, ეკონომიკის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 2012 -2016 წლებში იყო 3.55%, ხოლო 2017 -2019 წლებში 5.11%, რომელიც 2020 წლისათვის შემცირდა კოვიდ პანდემიით გამოწვეული კრიზისის გამო. ექსპორტის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 2012 -2016 წლებში იყო -9.57% ხოლო ხოლო 2017 -2019 წლებში 12.39%. თუმცა, კვლევის პროცესში გამოიკვეთა ისიც, რომ ეკონომიკის ზრდა არ იყო მხოლოდ საგადასახადო რეფორმის შედეგი, ვინაიდან 2017 წლიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი მოდიოდა საფინანსო სექტორზე, რომელსაც არ შეეხო მოგების გადასახადის რეფორმა, ხოლო დანარჩენი სექტორები რომლებიც ასევე გამოირეოდნენ ინვესტირების მხრიდან მაღალი ინტერესით, იყო ენერჯეტიკა, ვაჭრობა და უძრავი ქონება და არა ეკონომიკის რეალური სექტორი, თუმცა, ეკონომიკის აღნიშნული სექტორების განვითარებაც მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. იმავე პერიოდში, დაიწყო პირდაპირ

უცხოურ ინვესტიციებში სააქციო კაპიტალის წილის შემცირება და რეინვესტიციების წილის ზრდა, რაც ქვეყანაში ახალი ინვესტიციების შემოდინების ტემპის შენელებაზე მიუთითებს.

შექმნილ ვითარებაში, როდესაც მოგების გადასახადის რეფორმა სათანადოდ ვერ აისახა ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაზე, საქართველოს სჭირდება მიზნობრივი რეფორმების დაჩქარებული ტემპი, აღნიშნული სექტორის მოდერნიზებისა და განვითარებისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** მოგების გადასახადი; პირდაპირი უცხოური ინვესტიციები; ეკონომიკის ზრდა.

# ეკონომიკისა და ბიზნესის გამორწმუნება საქართველოში COVID 19-ის ფონზე

ვერა ძველია  
ეკონომიკის დოქტორი

პანდემიამ და პანდემიით გამოწვეულმა პრობლემებმა საქართველოს ეკონომიკას ისევე, როგორც მთელი მსოფლიოსას, დიდი ზიანი მოუტანა. ის ეკონომიკის ყველა სფეროს შეეხო. ვირუსით გამოწვეული პრობლემების მოგვარება განსაკუთრებით დიდი სირთულის აღმოჩნდა განვითარებადი ქვეყნებისათვის. სახელმწიფოების მიერ საზღვრების ჩაკეტვამ, ქალაქებს შორის მოძრაობის შეზღუდვამ, საგანგებო მდგომარეობამ და ზოგიერთი ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ეკონომიკას. პანდემიამ გამოიწვია ტურიზმისა და, ზოგადად, მომსახურების სფეროში ჩართული ბიზნესების გაჩერება, შეამცირა საგარეო ვაჭრობა, გაზარდა უმუშევრობა, გააუარესა მოსახლეობის ცხოვრების დონე და, ზოგადად, სრულიად გარდაქმნა ეკონომიკა. საქართველოში შეიზღუდა, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ტურიზმი, გაუქმდა ტურისტული ჯავშნები ავიატრანსპორტზე, აიკრძალა ტურისტული გადაადგილებები, შესაბამისად, გაჩერდა ამ სექტორში მომუშავე საწარმოები და უმუშევრად დარჩნენ მათი თანამშრომლები, რაც უმუშევრობის ზრდაზეც აისახა. 2020 წელს საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვა რეკორდულად 15 %-ით შემცირდა და 11,3 მილიარდი დოლარი შეადგინა. ექსპორტი 12 %-ით ( 456 მლნ \$-ით) შემცირდა, ხოლო იმპორტი 16 %-ით (1, 511 მლნ \$-ით). 2017-2019 წლებში საქართველოს ექსპორტი ნორმალური ტემპით იზრდებოდა და ჯამში 79 %-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი - 30 %-ით.

მიუხედავად ჩამოთვლილი პრობლემებისა, აუცილებელია, აღვნიშნოთ ახალი შესაძლებლობებიც, რაც პანდემიამ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას მოუტანა. ნებისმიერი გამოწვევა ხომ ახალი შესაძლებლობაა. პანდემიამ დააჩქარა ბევრი პრობლემის მოგვარება. მან კიდევ უფრო გაამყარა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადამიანს სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე ჭირდება. ეპიდემიამ ხელი შეუწყო განათლების სექტორში, სწავლის პროცესში ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებასა და მის ადაპტაციას, რეგიონებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ზრდას, ზოგადად, ციფრულ ტექნოლოგიებზე აქტიურად გადასვლას. პანდემიის მიზეზით შეიქმნა უამრავი სასწავლო ინტერნეტ-პლათფორმა, რაც კიდევ უფრო განავითარებს განვითარებადი ქვეყნების წინსვლას. დისტანციური სწავლება სხვადასხვა სფეროში მოსახერხებელია ჩვენი ქვეყნისთვის საჭირო და დეფიციტური სპეციალისტების გადასამზადებლად.

პანდემიის დროს დაწესებულმა შეზღუდვებმა არნახული სისწრაფით განავითარა ონლაინ-მოპინგი, ონლაინ შესყიდვებმა თითქმის ყველა სფერო მოიცვა, როგორც საყოფაცხოვრებო საქონელი, ასევე კვების პროდუქტები და ფარმაცია.

ამრიგად, კომპლექსური და გონივრული, ფრთხილი ღონისძიებების გატარების შედეგად, სახელმწიფო, ბიზნესთან და საზოგადოებასთან ერთად, მათთან თანამშრომლობით ეტაპობრივად შეძლებს პოსტპანდემიური პრობლემების მოგვარებას და ქვეყნის ეკონომიკის დაყენებას სწორ რელსებზე.



## კოვიდ 19 - ის გავლენა აგროტურიზმზე და თანამედროვე გამოწვევები

**თამარ ლაზარიაშვილი**

ასისტენტ პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი  
საქართველო, თბილისი  
[Tamar.lazariashvili@tsu.ge](mailto:Tamar.lazariashvili@tsu.ge)

სტატიაში განხილულია კოვიდ 19-ის გავლენა აგროტურიზმზე, გაანალიზებულია პანდემიის პირობებში ამ სექტორში არსებული მდგომარეობა, გამოვლენილია ის შედეგები, რომელმაც ნეგატიური გავლენა მოახდინა ტურისტული პროდუქტების როგორც მიწოდებაზე, ასევე, მოთხოვნაზე.

პანდემიამ ნეგატიური ზეგავლენა იქონია ზოგადად ტურისტული ქვეყნების ეკონომიკაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ აგროპროდუქტებზე გაზრდილი მოთხოვნა, უმუშევრობის ზრდა, სიღარიბის მზარდი მაჩვენებლები, ეროვნულ ვალუტაზე სხვადასხვა ფაქტორების ზეწოლა, საერთაშორისო გზავნილების შემცირება, ყველაზე ნეგატიურად აისახა ტურიზმზე. სერიოზულად დაზარალდა სასტუმრო სექტორი, რესტორნები და კაფეები, რომლებიც პრაქტიკულად დროებით დაიკეტა. ასევე, შემცირდა მოთხოვნა ქვეყნის შიგნით ტრანსპორტირებაზე, გიდების, თარჯიმნების და ტურისტების სხვა მომსახურებაზე. ამ ყველაფერმა გავლენა მოახდინა აგროპროდუქტების წარმოებაზე. შედეგად, ფერმერული ნაწარმი, რომელიც იყიდებოდა რესტორნებსა და სასტუმროებში, შემცირდა.

პანდემიის შემდგომი პერიოდის ეკონომიკური პრობლემების დასაძლევად გადამწყვეტი როლი სახელმწიფოს ენიჭება, რომელმაც, პირველ რიგში, დახმარება უნდა გაუწიოს აგროტურიზმის სფეროს. აგროტურიზმის განვითარებით საქართველოში შესაძლებელია მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, სივრცული და გარემოს დაცვითი პრობლემების გადაჭრა. ამ სფეროს განვითარებით მოხდება სოფლის მეურნეობის დარგისა და სასურსათო ბაზრების დივერსიფიკაცია; წვრილმასშტაბური ფერმერული მეურნეობების განვითარება და გაფართოება; ქართული ტრადიციების აღდგენა და პოპულარიზაცია; მოთხოვნის გაზრდა ქართული სამზარეულოსა და აგროსასურსათო ბრენდულ პროდუქტებზე; მიგრაციული პროცესების შეჩერება; ახალი უნარების შექმნა და სხვა.

აგროტურიზმის განვითარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიწათსარგებლობის ეფექტიანი გამოყენება და ბიოლოგიური სისტემების დაცვა.

აგროტურიზმის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კერძო საკუთრების უფლებისა და მისი რეგულირების მექანიზმების შეფასებაც. მიზანშეწონილია ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული დარგების მდგრადი განვითარებისათვის რეგულირება საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით წარმართოს, განსაკუთრებით საგადასახადო თვალსაზრისით. უპირველესად, მხედველობაში გვაქვს გარემოს დაცვითი ღონისძიებების ეფექტიანად წარმართვა ეკოგადასახადების საშუალებით. აღნიშნულ გადასახადებს არაერთი სახელმწიფო იყენებს, რითაც ახალისებს ინოვაციების დანერგვას.

აუცილებელია მოხდეს შიდა ტურიზმის განვითარების სტიმულირება სავალდებულო უსაფრთხოებისა და სანიტარული ნორმების დაცვის რეკომენდაციების გათვალისწინებით. სასურველია, ამ სფეროს შემდგომი განვითარებისათვის საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაცია და საბანკო სესხებზე ხელმისაწვდომობა. ასევე, საყურადღებოა, სწორად შეირჩეს ის ტურისტული დესტინაციები, სადაც მაქსიმალურად იქნება შესაძლებელი ტურისტული ობიექტების გადატვირთვის აღმოფხვრა, მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვა. ეს, საშუალებას მოგვცემს, ზუსტად შესრულდეს სახელმწიფო სანიტარულ-ჰიგიენური უსაფრთხოების დაცვის ნორმების რეკომენდაციები.

**საკვანძო სიტყვები:** პანდემია, აგროტურიზმი, აგროპროდუქტი, ტურისტული უსაფრთხოება, პოსტკრიზისული პერიოდი.

## ცირკულარული ეკონომიკის განვითარების საკითხისათვის

**თენგიზ ლაჭყვიანი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი  
საქართველო, თბილისი  
t.latchkepani@gtu.ge

**მაია ლომიშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი,  
აგროინჟინერიის აკადემიური დოქტორი  
საქართველო, თბილისი  
m.lomishvili@gtu.ge

დღეს ერთგვარ ფორსირებულად ვითარდება ცირკულარული ეკონომიკის თეორია და მისი ფორმირება ეკონომიკურ სისტემაში. მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციებს და ქვეყნებს აქვთ ამ ეკონომიკის განვითარების თავიანთი პროგრამები. სტატიაში ხაზგასმულია, რომ ბევრ ქვეყანაში ეკონომიკის არსებული ხერხებს ეკონომიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. შრომაში გაანალიზებულია და ადაპტირებულია მაჩვენებელთა მიზნები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ცირკულარულ ეკონომიკასთან. ასევე აღნიშნულია, რომ ცირკულარულ ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანია ნარჩენების მდგრადობის გათვალისწინება და ჩატარდეს შიდა საერთო ანალიზი სხვა ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებთან.

**შესავალი.** ცირკულარული ეკონომიკის კონცეფცია, რომელიც ძალზე ხშირად განიხილება მეწარმეების მიერ. მასალების ხელმეორედ გამოყენების შესაძლებლობა მიმზიდველი პერსპექტივაა, არა მხოლოდ ფინანსური თვალსაზრისით, არამედ გარემოს დაცვისთვის. თავდაპირველად, როდესაც საზოგადოებრივი მოდელი ჭარბობდა - პირველად აუცილებელი იყო საჭირო ნედლეულის მოგროვება, ხოლო შემდეგ მისი პროდუქტად გარდაქმნა, განაწილება და მისი ექსპლუატირება, საბოლოოდ კი გადაყრა.

ცირკულარულ ეკონომიკის განვითარების დროს იცვლებოდა მისი მიზანი და მათი მასშტაბები, რომელიც გამოხატავდა თვითკონცეფციის ევოლუციას. მათი დამოკიდებულებიდან გამომდინარე ისტორიულ კონტექსტში შეიძლება გამოყოფილ იქნეს ცირკულარული ეკონომიკის ოთხი კონცეფცია (fziart et.al 2020):

**1.** ცირკულარული ეკონომიკი, როგორც ანარჩენების მართვის მოდელი. ეს შედარებით ვიწრო მიდგომაა, მიმართული ანარჩენების გადამუშავების პრობლემების გადასაწყვეტად. მისი წარმოქმნა გახდა რეაქცია დაბინძურების ზრდაზე და რამაც განაპირობა ცირკულარული ეკონომიკის გამოჩენა;

**2.** ცირკულარული ეკონომია, როგორც რესურსეფექტიანობის ამალღების მეთოდი. ამ კონცეფციის ფარგლებში ცირკულარული ეკონომიკის მიზანია ტექნოლოგიებისა და პროდუქტების დაწერვა (ჩანერგვა), რომლებიც უზრუნველყოფენ მატერიალური ნაკადების დახურულ ციკლს. იგი გამოხატავს ტექნოლოგიურ მიდგომას, რომელიც უმთავრესად შეეფარდება სამრეწველო ტექნოლოგიებს, ეკოდიზაინსა და ა.შ. დღევანდელ ეტაპზე ეს კონცეფცია პრაქტიკაში ყველაზე მოთხოვნადია.

**3.** ცირკულარული ეკონომიკა, როგორც ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციის ხერხი მთლიანად. ეს მიდგომა ტექნოლოგიურ საზღვრებს ცილდება. ცირკულარული ეკონომიკას განიხილავს, როგორც წარმოებასა და მოთხოვნის მოდელს, ორიენტირებულს ეკონომიკურ ბაზარზე ეკოლოგიური მდგრადობის (მწვანე ზრდის) მოთხოვნათა დაცვისას. წინა კონცეფციისგან განსხვავებით ეს კონცეფცია ორგანიზებულია არა მარტო ტექნიკურ გადაწყვეტილებებზე, არამედ ინტიტუციონალურ ცვლილებებზე, მომხმარებელთა ქცევის ახალ მიდგომებზე (კერძოდ sharing ekonomika)

ცირკულარული ეკონომიკის ასეთი მიდგომის გამოხატულება შეიძლება იყოს ისეთი ტერმინი, როგორცაა ეკოლოგიური კაპიტალიზმი (Natural capitalism, regenerative capitalism).

4. ცირკულარული ეკონომიკა, როგორც თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური მოდელი. ეს შედარებით რადიკალური მიდგომაა ცირკულარული ეკონომიკისადმი, რომლის დროსაც ეკონომიკური ზრდა არ არის პრიორიტეტი. ამ შემთხვევაში ცირკულარული ეკონომიკის ძირითადი მიზანია საზოგადოების და გარემოს სრული ჰარმონიზაცია. მაშინ, როცა ეკონომიკური ზრდის პრობლემა დღის წესრიგიდან მოხსნილია.

მიდგომების ევოლუციების ანალიზი გვაძლევს საშუალებას, რომ დავასკვნავთ ცირკულარული ეკონომიკის დაქვემდებარებულობის როლზე. მისი შემადგენლობა დამოკიდებულია დასახული მიზნების ხასიათსა და როლზე და შესაბამისად იქიდან, თუ როგორი როლი მიეკუთვნება რესურსეფექტიანობის პრობლემებს ეკონომიკურ პოლიტიკაში, რამდენადაა მზად სახელმწიფო და საზოგადოება გადაწყვიტოს ეს პრობლემა.

ეკონომიკურ პოლიტიკასა და ასევე საერთაშორისო დონეზე და ცალკეულ სახელმწიფოთა დონეებზე თანამედროვე პრიორიტეტების გათვალისწინებით, ყველაზე მისაღებია ცირკულარული ეკონომიკის მესამე კონცეფცია. ამ შემთხვევაში იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მწვანე ზრდის ინსტრუმენტად, რომლის შედეგნილობა მდგრადი განვითარების მიზანია და გულისხმობს ზრდის მიღწევას ბუნებრივი კაპიტალის შენარჩუნებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის შენარჩუნებას.

ცირკულარული ეკონომიკის განვითარების ევროპული გეგმის შესაბამისად, საქართველოში მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოყოფილ იქნეს საქმიანობის საკუთარი პრიორიტეტული სახეები, ასეთად შეიძლება განვიხილოთ:

1. სფეროები, რომლებიც გარკვეულწილად დაკავშირებული არიან ბუნებრივ კომპლექსებთან და პირველად მატერიალურ რესურსების წარმოებასთან: სატყეო მეურნეობა, სოფლის მეურნეობა, წყლის გამოყენება, მომპოვებელთა მრეწველობა.

2. სფეროები, დაკავშირებული ნარჩენების წარმოებასა და გადამუშავებასთან;

3. ტექნოლოგიები და ბიზნეს მოდელები, რომლებიც საშუალებას იძლევიან მნიშვნელოვნად გაზარდონ რესურსეფექტიანობა და შეარბილონ გარემოზე ზეგავლენა (პირველ რიგში ციფრული სექტორი, აგრეთვე სხვა ტექნოლოგიები და ბიზნეს მოდელები, რომლებიც შეიძლება დაინერგოს სხვადასხვა დარგებში მთლიანად, როგორცაა sharing და სხვა).

4. ცირკულარული ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის აუცილებელი ასპექტია ინფორმაციული უზრუნველყოფა. ეს კომპონენტი უნდა მოიცავდეს ორ შემდეგ ნაწილს :

- რელევანტური სტატისტიკური ინფორმაციის არსებობა და მიღწევადობათა აუცილებლობას. ეფექტიანობის მაჩვენებელთა შემუშავებასა და ანალიზისათვის ამ პირობის შესასრულებლად აუცილებელია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან თანამშრომლობა.

- ინფორმირებული და მეთოდური მასალების დამუშავება და გავრცელება, რომლებიც ხელს შეუწყობს მომხმარებელთა, მწარმოებელთა, სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ცირკულარული ეკონომიკის პრობლემების აღქმისა და გარემოს გაუმჯობესებაში. ამ მხრივ ძალზედ საინტერესო კვლევაა ჩატარებული BEPOC -ს სპეციალისტების მიერ.

**დასკვნა:** ციფრული ტრანსფორმაციის განვითარებასთან და ციფრულ ტექნოლოგიების გამოყენებასთან ერთად, რომლებმაც გააძვირა დახურული ჯაჭვის ფორმირების გამარტივების შესაძლებლობები და პრაქტიკაში ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების პრაქტიკაში დანერგვა. უკანასკნელ წლებში ყველა კომპანია ნერგავს ცირკულარულ ბიზნეს მოდელებს. ეს ბიზნესმოდელები ორიენტირებულია მიწოდების ჯაჭვში ცირკულარულ მიმწოდებლებზე, რომლებიც აწვდიან გადამუშავებულ მასალებს და მონაწილეობენ საწარმოო სარეალიზაციო ჯაჭვის დახურულ ციკლში; პროდუქტის სიცოცხლის უნარიანობის გაზრდა-აღდგენისა და ხელმეორედ გამოყენების საფუძველზე; ადრე არსებული პროდუქტის ხელმეორედ გამოყენება.

ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა ეს დიდი შესაძლებლობაა ჩვენი ეკონომიკის ტრანს-ფორმირებისათვის, გარდაქმნას იგი უფრო მდგრადად, რაც ხელს შეუწყობს ცირკულარული მიზნების მიღწევას, შენარჩუნდეს ბუნებრივი რესურსები, შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები და კონკურენტული უპირატესობები.

ცხადია, რომ ცირკულარული ეკონომიკის მიმართ მომგებიანი და ეფექტიანი ბიზნესმოდელე-ბი არჩეულ იქნება ბაზრების მიერ, გადაღებაც იქნება, გაიზრება და სტიმულს მისცემს ფირმებს და მომხმარებლებს. მეორე მხრივ მეურნეობრიობის ცირკულარულ ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლა დარგისა და ფორმის დონეზე მოითხოვს მნიშვნელოვან და სერიოზულ ძალისხმევას, ასევე ბევრ ინოვაციურ ცვლილებებს.

ცირკულარულ ეკონომიკას აქვს კოლოსარული პოტენციალი სამმართველო, ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებათა ოპტიმიზაციისათვისა და რესურსსფეროში ეკოლოგიურ - ეკონომიკური კომპ-ლექსური პრობლემების აღმოფხვრისათვის. მისი თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბებაზე გავ-ლენა იქონია სოციალურ - ეკონომიკური ინდუსტრიალიზაციის განვითარების ეკონომიკურმა თეო-რიებმა.

ცირკულარული ეკონომიკის კონცეპტი ქვეყნის განვითარების მწვანე ზრდის უნივერსალური ხერხია, რომელიც საშუალებას იძლევა შეიცვალოს ხაზობრივი მოდელი, რითაც შემცირდება წარ-მოების რესურსდამოკიდებულება, გადაწყდება ეკოლოგიის პრობლემები გამოწვეული გლობალუ-რი კრიზისით და სამომავლოდ მიიღწევა პლანეტის მდგრადი მდგომარეობა და შენარჩუნდება პლანეტაზე (დედამიწაზე) სიცოცხლე.

**საკვანძო სიტყვები:** ცირკულარული ეკონომიკა, ბუნებრივი კაპიტალის შენარჩუნება, ნედლეუ-ლის მოგროვება, გლობალური კრიზისი, ანარეხები.

### გამოყენებული ლიტერატურა

I. Tochitskaya, N. Batava, Y. Shershunovich, Circular Economy in Belarus: What Hinders the Transformation?, BEROC, December 2020;

II. ს. პავლიაშვილი, დ. გუბელაძე -სოფლის მეურნეობა, ეკონომიკური ეფექტიანი მართვა და ცირკულარული ეკონომიკა, თბილისი გამომცემლობა მწიგნობარი 2020წ. გვ. 424

# ექსპატრიატი თანამშრომლების რთლი კომპანიაში და გლობალური ცვლილებებით გამომწვეული სიტუაციები

*თამთა ვარშანიძე*

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ბათუმი  
Tamta.varshanidze@bsu.edu.ge

გლობალურ და ციფრულ საზოგადოებაში ბიზნესი ყოველთვის დგას გამოწვევების წინაშე, რაშიც იგულისხმება მენეჯმენტის თანამედროვე და ინოვაციური მიდგომების მუდმივი ცვლილება. ჩვენს საუკუნეში მომხდარმა დრამატულმა ცვლილებებმა, რომელიც განვითარდა მსოფლიოს ყველა კუთხეში, რაც გამოწვეული იყო COVID-19 პანდემიით, დაადასტურა რომ კამპანიებმა მუდმივად უნდა განაახლონ მათ ხელთ არსებული რესურსები და განჭვრიტონ თანამედროვე ტენდენციები.

ცვლილებები რომლებიც თან ახლავს დიგიტალიზაციას კომპანიებს სთავაზობს ინოვაციურ სცენართა მრავალფეროვნებას და სტრატეგიულ შესაძლებლობებს, მაგრამ ასევე მოითხოვს ამ ტრანსფორმაციის პროცესში წარმატების განმსაზღვრელი ძალების, მოტივაციისა და ფაქტორების სტრუქტურირებულ და ზუსტ ანალიზს მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

როდესაც კომპანიები განიხილავენ თავიანთი გლობალური სტრატეგიების კორექტირებას, მნიშვნელოვანია უწყვეტობის პრინციპის აღიარება. გლობალიზაცია ყოველთვის იყო და იქნება არათანაბარი პროცესი, ვინაიდან ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებები და საერთაშორისო კონფლიქტები მნიშვნელოვნად აფერხებს საერთაშორისო ნაკადებს.

გარემო პირობების ცვლილებასთან ერთად აუცილებელია გლობალური სტრატეგიების განახლება, მაგრამ კომპანიის მენეჯერებმა თავიდან უნდა აიცილონ ძვირადღირებული გადაწყვეტილებები, რაც შეიძლება მოჰყვეს გლობალურ შოკს. გარდა პანდემიისა გასათვალისწინებელია რუსეთ-უკრაინის ომი, რამაც წარმოშვა გლობალური პროცესების პროგნოზირების ახალი ეტაპი. მიუხედავად იმისა, რომ ტრანსსასაზღვრო ნაკადების მოძრაობა ეფექტურად აღდგა პანდემიის ადრეულ პერიოდში, ომი მნიშვნელოვნად ამცირებს მრავალი სახის ბიზნეს აქტივობას და იწვევს ცვლილებებს ნაკადების მოძრაობის გეოგრაფიაში, მაგრამ რეალობა მაინც იმაში მდგომარეობს, რომ ეს ვერ მოახდენს საერთაშორისო ნაკადების სრულ კოლაფსს.

ადამიანური საერთაშორისო ნაკადების მოძრაობა მკაცრად შეიზღუდა პანდემიის დროს, უცხო ქვეყნებში მოგზაურთა რიცხვი 2020 წელს 73% დაეცა და კვლავ 71%-ით შემცირდა 2021 წელს პანდემიამდე არსებულ დონესთან შედარებით. პანდემიამ შეცვალა საერთაშორისო მოგზაურობის სამი ათწლეულის ზრდის ტემპი, აქვე დავძენთ იმას რომ ომი შეანელებს ადამიანური ნაკადების მოძრაობის აღდგენის პროცესს, განსაკუთრებით ევროპაში.

პანდემიამ და მისმა ფართომასშტაბიანმა ზემოქმედებამ დააჩქარა ციფრული უნარების მოთხოვნა, სხვადასხვა სექტორის ძალიან ბევრ პროფესიაში. უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტური ციფრული უნარები აძლიერებს მდგრადობას, ეხმარება მუშახელს და სრულად ორგანიზაციას ახალ რეალობასთან ადაპტაციაში. ადამიანური რესურსის მართვის კუთხით დაინერგა კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაზიარების სხვადასხვა ინსტრუმენტები, ასევე ცოდნის გაზიარებისა და გუნდის მართვის, გაჩნდა დისტანციური მუშაობის ორგანიზების ახალი შესაძლებლობები. კომპანიებმა გააცნობიერეს სამუშაო ადგილის ტრანსფორმაციის მნიშვნელობა, რომელიც ასახავს თანამედროვე სამუშაო პირობებს.

ტექნოლოგიების განვითარება გავლენას ახდენს ადამიანზე სხვადასხვა კულტურისა და სი-ცოცხლის ხანგრძლიობის სხვადასხვა ეტაპზე. დღევანდელ გლობალურ ეკონომიკაში, სამუშაო

ძალის ყოლა, რომელიც თავისუფლად ფლობს მოწინავე ციფრულ ტექნოლოგიებს, არ არის ფუფუნება.

ყურადსაღებია ის ფაქტი რომ, დღესდღეობით მოწინავე ციფრული უნარების მქონე პირთა რაოდენობა განსხვავდება ევროპის ქვეყნებში. მაგალითად, შვედეთში, დანიასა და ნორვეგიაში საშუალო ან მოწინავე ციფრული უნარების მქონე პირთა წილი 40%-ს არ აღემატება, ხოლო ბულგარეთსა და რუმინეთში 20%-ზე ნაკლებია.[4]

ძალიან მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ თუ რა გავლენა მოახდინა ტექნოლოგიურმა განვითარებამ, პანდემიამ და მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომმა ექსპატრიატ მომუშავეებზე. გასული ათწლეულის მონაცემებით, საშუალო და მსხვილი კომპანიების დიდი ნაწილი პროფესიონალი თანამშრომლების თითქმის 80% აგზავნიდა საზღვარგარეთ, ხოლო კომპანიების 45 % გეგმავდა გაეზარდა ექსპატრიატ თანამშრომელთა რაოდენობა. მაგრამ მიმდინარე პროცესებმა რადიკალურად შეცვალა რეალობა.

საქმიანი მოგზაურობა ჩვეულებრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, როგორც მრავალეროვნული ფირმების შიდა მენეჯმენტში, ასევე მათი გარე საქმიანი ურთიერთობების განვითარებაში. მაგრამ დღევანდელ რეალობაში ეს პროცესი შეიზღუდა, უნდა ითქვას, რომ არ მომხდარიყო მაგზაურობისა და ადამიანური რესურსის ნაკადების გადაადგილების შეზღუდვა, ვაჭრობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების აღდგენა შესაძლოა კიდევ უფრო მარტივად მომხდარიყო. განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ საქმიანი მოგზაურობა სრულად არ აღდგება 2025 წლამდე [5].

**საკვანძო სიტყვები:** ექსპატრიატი თანამშრომლები, ციფრული მენეჯმენტი, ციფრული უნარები, გლობალური სტრატეგიები, დიგიტალიზაცია, COVID-19 პანდემია

### **გამოყენებული ლიტერატურა**

- [1] Fang L., Michael D., Emma P. IJHRM after 30 years: Taking stock in times of COVID-19 and looking towards the future of HR research. The International Journal of Human Resource Management, 2021
- [2] Brynningsen G., "Managing Expatriates on International Assignments" Otago Management Graduate Review, 2009
- [3] Pollitt D. Abroad but not forgotten – Improving the career management of employees on international assignments. Human Resource Management Enternational Digest, 2007
- [4] European Centre for the Development of Vocational Training, 2021b
- [5] WTOUN <https://hbr.org/2022/04/the-state-of-globalization-in-2022>
- [6] Handbook of Research on Smart Management for Digital Transformation Belem Barbosa (University of Porto, Portugal), Sandra Filipe (University of Aveiro, Portugal) and Claudia Amaral Santos (University of Aveiro, Portugal) March, 2022

## ქოფირაითინგი სოციალურ მედიაში

თამილა ქარცივაძე

ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის დოქტორანტი  
ბსუ, საქართველო, ბათუმი  
[kartsivadzetamila@gmail.com](mailto:kartsivadzetamila@gmail.com)

თანამედროვე პერიოდში სოციალურ მედიაზე საუბრისას საზოგადოება მაშინვე წარმოიდგენს სხვადასხვა საძიებო სისტემებსა და სოციალურ ქსელებს, როგორცაა Google, Yahoo, Facebook, Instagram, Twitter და ა.შ. სოციალური მედია ბოლო დროს დიდი პოპულარობით სარგებლობს, განსაკუთრებით მისი მნიშვნელობა აქტუალური გახდა პანდემიურ და პოსტპანდემიურ პერიოდში, მიიჯაჭვა მსოფლიოს ინტერნეტმომხმარებელთა უდიდესი ნაწილი, რომლებიც სოციალური მედიის მუდმივ მომხმარებლებად იქცნენ. სოციალურ მედიაში აქტიურობით ბრენდები მიზნად ისახავენ ამ პლატფორმის გამოყენებას იმისთვის რომ გააგონონ, დაანახონ და შეაყვარონ რეკლამირებული პროდუქტი თუ მომსახურება მომხმარებელს, ამისთვის კი საუკეთესო იარაღს წარმოადგენს სოციალური მედიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი ქოფირაითინგი.

მარტივად რომ ვთქვათ ქოფირაითინგი არის მარკეტინგული შინაარსის ტექსტის წერა, რომელიც მიზნად ისახავს შეთავაზებული პროდუქტისა თუ მომსახურების რეალიზებას, თუნდაც ისეთ მარტივი მოქმედებისკენ მოწოდებას როგორცაა დონაცია, კონსულტაციაზე ჩაწერა და ა.შ. ქოფირაითინგის მაგალითები გვხვდება ადრეულ საუკუნეებშიც, მაგ: ძველ რომში ვაჭრებს სჭირდებოდათ დამარწმუნებელი კომუნიკაციის უნარი რათა გაეყიდათ წარმოებული პროდუქცია, სწორედ ეს კონკრეტული ქმედების განხორციელებაში დარწმუნება წარმოადგენს ქოფირაითინგის მთავარ ამოცანას.

ქოფირაითინგი არ არის მხოლოდ კონტენტ მარკეტინგის მნიშვნელოვანი ასპექტი, ის ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბრენდის მთლიანი მარკეტინგული და სარეკლამო გეგმის წარმატებაში. ქოფირაითინგი მარკეტინგული კომუნიკაციის ის მნიშვნელოვანი იარაღია, რომელიც ხელს უწყობს ბრენდის საერთო სახის, ცნობადობისა და ინტერესის ჩამოყალიბებას სამიზნე აუდიტორიისთვის. წლების განმავლობაში ქოფირაითინგმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბრენდის სოციალური მედიით მართვის წარმატებაში, მისი მეშვეობით ბრენდს აქვს ორმხრივი და ღია კომუნიკაცია სამიზნე აუდიტორიასთან, აგრეთვე ქოფირაითინგის სწორად წარმართვის პირობებში ბრენდი პოზიციონირდება და იქმნის საკუთარ, უნიკალურ სახეს საზოგადოებაში იმ კონკურენტული უპირატესობების ჩამოყალიბებით რაც გამოარჩევს მას სხვა ბრენდებისგან.

სწორად დაწერილი ქოფი ანუ მარკეტინგული ტექსტი ააქტიურებს ემოციურ კავშირს ბრენდსა და პოტენციურ მომხმარებელს შორის, რაც ხელს უწყობს შემდგომში მათ ერთგულ მომხმარებლებად გადაქცევას. ემოციური კავშირის გაძლიერებისა და კონკრეტული ქმედებისკენ ბიძგის შესაძლებლობა კი ქოფირაითინგის მხოლოდ სწორი სამიზნე აუდიტორიის შერჩევის პირობებში ეძლევა.

საუბარი ბრენდის სამიზნე აუდიტორიის მოთხოვნილებებსა და საჭიროებებზე კიდევ უფრო წარმატებულად აქცევს მარკეტინგულ სტრატეგიას, გამომდინარე იქედან რომ მომხმარებელს უჩნდება განცდა რომ ბრენდის რეალური მიზანი საზოგადოების კეთილდღეობა და მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა.

ქოფირაითინგში შესაძლოა გამოყენებული იყოს მრავალი სახის მოწოდება მოქმედებისკენ, თუმცა ეს უნდა იფარგლებოდეს წესებითა და ეთიკის ნორმებით, შესაძლოა მარკეტინგული ტექსტს ჰქონდეს როგორც მხატვრული, აგრეთვე საქმიანი სტილი თუმცა ყველა შემთხვევაში ქოფირაითინგის გამოყენების მთავარ მიზანს ქმედების განხორციელებაში დარწმუნება წარმოადგენს, იქნება ეს წმინდა მოწოდება თუ მხატვრულად შენიღბული ტექსტი.

ქოფირაითინგისთვის, როგორც დამარწმუნებელი მარკეტინგული ტექსტისთვის უმნიშვნელოვანესია, ისეთი საკვანძო სიტყვების გამოყენება, რომელიც უბიძგებს მომხმარებელს პირველ რიგში ტექსტის წაკითხვისა და შემდეგ გარკვეული ქმედებისკენ, ძლიერ დამარწმუნებელი სიტყვების გამოყენება სწორი ღილაკია მომხმარებელთა შემდგომი ქცევის განხორციელებისკენ.

თანამედროვე პერიოდში ინტერნეტმომხმარებელთა თითქმის სრულ ნაწილს აქვს ინფორმაცია ჰემთეგებზე, სწორედ ჰემთეგების სტრატეგიული გამოყენებაა კიდევ ერთი იარაღი წარმატებული ქოფის დასაწერად. ბრენდს შეუძლია თავისი უნიკალური ჰემთეგით გაეცნოს, თავი დაამახსოვროს და შეაყვაროს აუდიტორიას, რომელიც შემდგომში აღნიშნული ბრენდის უნიკალურ კოდად წარმოუდგება საზოგადოებას.

**საკვანძო სიტყვები:** სოციალური მედია, ქოფირაითინგი, მარკეტინგული ტექსტი, დარწმუნება, მოწოდება მოქმედებისკენ.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Bizadmark/digital marketing and digital advertising agency/The power of copywriting for social media success.
2. <https://www.bizadmark.com/copywriting-for-social-media/?fbclid=IwAR3xAzaNMMr8BAq2MzjWmk9UvpgRyrDOhOpHaZjbWiA0eh7MSuavLizG0-o>
3. ShaneBarker/consulting company web/what is copywriting and why does your business need it?.  
<https://shanebarker.com/blog/what-is-copywriting/?fbclid=IwAR0eQhJOOZx9mK6OcfT6j8n0eRVsaSYMSSGRHMJme5IJ4F1DTeB1IEmnD18>



## ციფრული ეკონომიკის პოლიტიკა განვითარებად ქვეყნებში

*თინათინ მშვიდობაძე*

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი  
tinikomshvidobadze@gmail.com

ციფრულ ეკონომიკას, რომელიც ძირითადად მიიღება ციფრული ტექნოლოგიებიდან და ბიზნეს მოდელებიდან, მზარდი მნიშვნელობა აქვს განვითარებადი ქვეყნებისთვის. თუმცა ციფრული ეკონომიკის პოტენციალი ამ ქვეყნებში არასაკმარისად არის გამოვლენილი, მთელი რიგი გამოწვევების გამო. ციფრული ეკონომიკის განვითარების ადამიანური შესაძლებლობების ნაკლებობას, სუსტ დაფინანსებას და ცუდ მმართველობას.

ამ გამოწვევების ახსნასთან ერთად, ნაშრომი მიმოიხილავს პოლიტიკის მიზნებსა და ზომებს, პროცესებსა და სტრუქტურებს, რომლებიც აუცილებელია ციფრული ეკონომიკის ზრდისა და განვითარებისათვის, ასევე მის წვლილს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

ციფრული ტექნოლოგიები აუმჯობესებს კაპიტალისა და რესურსების ეფექტურად გამოყენებას, რაც იწვევს ეკონომიკურ ზრდას, განსაკუთრებით განვითარებადი ბაზრებისათვის.

ხელმძღვანელებმა უნდა იცოდნენ ახალი გამოწვევების შესახებ, რომელთა წინაშეც დგას მათი ფირმები, ბაზრის იმპულსის შესაბამისად.

ნაშრომში მოცემულია მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, რომელსაც ფირმებმა უნდა გადახედონ მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში.

**საკვანძო სიტყვები:** ციფრული ეკონომიკა, ციფრული ეკონომიკა, ფირმა, კაპიტალი, პოლიტიკის მიზნები

# საკურორტო - ტურისტულ კომპლექსებში ინვესტიციების მოზიდვის შესახებ

**ანზორ დვადე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პროფესორი

Devadze.anzor@bsu.edu.ge

**ლელა დვადე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი  
devadzelela@gmail.com

საქართველოს ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე გადასვლამ სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების ღონისძიებებისა და მხარდაჭერის გარდა მოითხოვა საკურორტო-ტურისტული კომპლექსის განვითარების ეკონომიკური მექანიზმების მნიშვნელოვანი ცვლილებები.

საქართველოს საკურორტო-ტურისტულ განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის პოზიციონირებისათვის გაწეული სამუშაოების ინტენსიფიკაცია, რათა ინვესტორებმა მიიღონ გასაგები და ცნობადი ინფორმაცია სხვებისაგან განსხვავებული ქვეყნის შესახებ.

პოტენციური ინვესტორების მოზიდვის მიზნით შემოთავაზებულია ყოველი ტურისტული ქალაქისათვის შემუშავებული იქნას საკურორტო-ტურისტული კომპლექსის მდგრადი განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია, რაც შექმნის გრძელვადიანი კონკურენტული განვითარების პირობებს.

ავტორების აზრით, სასურველია განხორციელებული იქნას ისეთი სახის ღონისძიებები, რომლებიც ინვესტიციების საფუძველზე თითოეულ საკურორტო ქალაქში უზრუნველყოფენ საკურორტო-ტურისტული კომპლექსის მდგრადი კონკურენტული განვითარების შესაბამის პირობებს. ამასთან ერთად, სტრატეგიის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი უნდა იყოს ისეთი რეგიონული რეკრეაციული სისტემის შექმნა, რომელიც წარმოდგენილი იქნება როგორც ურთიერთდაკავშირებული ორგანიზაციების (სტრუქტურების) ერთობლიობა. რეგიონული რეკრეაციული სისტემის შექმნა ხელს შეუწყობს საკურორტო-ტურისტული კომპლექსის განვითარების თვისობრივად ახალი ღონის წარმოქმნას, ანუ ინვესტიციების უწყვეტი ნაკადის შემოდინების საფუძველზე გაცილებით მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებას.

პოტენციური ინვესტორების მოზიდვის მიზნით სასურველია ყოველი ტურისტული ქალაქისათვის შემუშავებული იქნას საკურორტო-ტურისტული კომპლექსის მდგრადი განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია, რაც შექმნის გრძელვადიანი კონკურენტული განვითარების პირობებს.

ტერიტორიის ასეთი განვითარების იმპერატივს წარმოადგენენ ინვესტიციები, ხოლო ინსტიტუციონალურ საფუძველს ეროვნული საინვესტიციო სისტემა. საქართველოსათვის ეროვნული რეკრეაციული ზონის სტრატეგიის შექმნა, ჩვენი აზრით, იქნება საკურორტო-ტურისტული კომპლექსის საინვესტიციო გარდევვა.

სტატიაში განხილულია ძირითადი პრინციპები, რომელთა საშუალებითაც უნდა მოხდეს საქართველოს ეროვნული რეკრეაციული ზონების საკურორტო-ტურისტული კომპლექსების საინვესტიციო პროექტების რეალიზაცია. ამასთან ერთად, დასაბუთებულია იმ ძველი მექანიზმების გაუმჯობესებისა და ისეთი ახლების შემუშავების აუცილებლობა, რომლებიც მიმართული იქნებიან ზოგადად ტურიზმის სფეროში საინვესტიციო კლიმატის გასაუმჯობესებლად.

**საკვანძო სიტყვები.** უცხოური ინვესტიციები, პოტენციური ინვესტორი, საკურორტო-ტურისტული კომპლექსი, ფინანსირების მექანიზმი, დაფინანსების წყაროები, რეკრეაციული ზონები, საინვესტიციო რისკები.

# მცირე და საშუალო საწარმოების გაძლიერება სახელმწიფო შესყიდვებით (საზღვარგარეთული გამოცდილება და საქართველო)

ია ნაცვლიშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო, [ia.natsvlishvili@tsu.ge](mailto:ia.natsvlishvili@tsu.ge)

მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოადგენს ევროკავშირის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ხერხემალს. იგი მნიშვნელოვნად ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, ეკონომიკურ ზრდას და ინოვაციებს. სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე ადვილი წვდომა მცირე და საშუალო საწარმოებს დაეხმარება მათი პოტენციალის რეალიზაციაში, რასაც ეკონომიკაზე ექნება პოზიტიური ზეგავლენა. საჯარო სექტორი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მნიშვნელოვანი ბაზარია და სახელმწიფო შესყიდვების პრაქტიკის გაუმჯობესება დაეხმარება მათ, ადვილად შეაღწიონ ამ ბაზარზე. ამრიგად, საჯარო სექტორის ბაზარზე შესაღწევად წინაღობების მოხსნა და სახელმწიფო შესყიდვებში მცირე და საშუალო ბიზნესის მონაწილეობის ზრდა წარმოადგენს საკვანძო პრიორიტეტს. აღსანიშნავია, რომ შემოსავლებში უთანაბრობა კიდევ უფრო ძლიერდება თანამედროვე მსოფლიოში. ამ უთანაბრობის აღმოფხვრაში მცირე და საშუალო ბიზნესს მთავარი როლის შემსრულებლის პოტენციალი გააჩნია. პანდემიურ პერიოდში კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ყურადღების გამახვილება ეკონომიკის სტიმულირების გზებზე, სამუშაო ადგილების შექმნასა და მცირე და საშუალო ბიზნესისთვის შესაძლებლობების შექმნაზე.

სტატიაში განალიზებულია სახელმწიფო შესყიდვების მეშვეობით მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობის საზღვარგარეთული გამოცდილება, რომელიც სხვადასხვა მიზნების მიღწევის საშუალებას იძლევა. შესწავლილია კავშირი ევროპაში სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ პოლიტიკასა და სახელმწიფო შესყიდვებში მცირე და საშუალო საწარმოების მონაწილეობას შორის. ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევები ადასტურებენ, რომ სახელმწიფო შესყიდვების რეგულირების უკეთესი ხარისხი უკავშირდება სახელმწიფო შესყიდვების გამოცხადებულ ტენდერებში მცირე და საშუალო საწარმოების უფრო ხშირად მონაწილეობას, ასევე, ამ ტენდერების მოგების უფრო მაღალ ალბათობას. 2014 წელს ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვების რეფორმის საკვანძო მახასიათებელი გახდა კონტრაქტების დაყოფა უფრო მცირე ლოტებად. ეს ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის მონაწილეობის ზრდას ტენდერებში, თუმცა, ზრდის მხოლოდ მცირე ღირებულების (25 000 ევროზე ნაკლები) კონტრაქტების მოგების ალბათობას. ამიტომ მკვლევარები ხაზს უსვამენ, რომ საჭიროა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის განსაკუთრებული პრეფერენციების მინიჭების გარეშე სახელმწიფო შესყიდვების მთლიანი პროცესის ხარისხის გაუმჯობესება.

სტატიაში განხილულია ის წინააღმდეგობები, რომელსაც საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოები აწყდებიან სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ გამოხცადებულ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მიღების დროს. ამასთან, გამოვლენილია ის განმსაზღვრელი ფაქტორები, რომელიც ტენდერებში მცირე და საშუალო საწარმოების წარმატების რისკებზე ზემოქმედებენ და განაპირობებენ მათ მარცხს. საჯარო ინსტიტუტებმა უნდა სრულად გამოიყენონ მცირე და საშუალო ბიზნესის პოტენციალი სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებისას. სტატია მიმოიხილავს საქართველოში მოქმედ საჯარო შესყიდვების სისტემას და მასში ხაზგასმულია საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების პროცესში მცირე და საშუალო საწარმოების ჩართულობის გაზრდის საჭიროება. ასევე, იდენტიფიცირებულია საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის ზოგიერთი გამოწვევა: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა, შერჩევის პროცესი, წარუმატებელი ტენდერები და პირდაპირი შესყიდვები, კონტრაქტების აღმინისტრირება, მიმდინარე ურთიერთობების მენეჯმენტი. დასკვნის სახით

აღნიშნულია, რომ არსებული სამართლებრივი ჩარჩო ართულებს სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე შესვლის მსურველ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ბაზარზე უკვე დამკვიდრებულ ძლიერ მოთამაშებთან კონკურენციის გაწევას, რაც სტიმულს უკარგავს მათ მონაწილეობა მიიღონ გამოცხადებულ ტენდერებში.

**საკვანძო სიტყვები:** სახელმწიფო შესყიდვები, მცირე და საშუალო საწარმოები, ინკლუზიური ზრდა, ეკონომიკური განვითარება, ტენდერი, კორუფციული პრაქტიკა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI), (2017). სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის აღსრულების შეფასება, [https://idfi.ge/public/upload/IDFI\\_Photos\\_2017/tppr/PPL\\_Implementation\\_Assessment\\_Georgia\\_geo.pdf](https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/tppr/PPL_Implementation_Assessment_Georgia_geo.pdf)
2. საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, (2013) საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა [https://transparency.ge/sites/default/files/post\\_attachments/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D%20%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%93%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf](https://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D%20%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%93%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf)
3. საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. (2005) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31252?publication=79>
4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 350 ხშირად დასმული შეკითხვა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (თანდართული პასუხები), <http://procurement.gov.ge/350-FAQ-NEW.pdf>
5. საჯარო სამსახურის ბიურო. საჯარო ინფორმაცია, სახელმწიფო შესყიდვები. ზოგადი ინფორმაცია <http://csb.gov.ge/navigations/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9D/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%93%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/>
6. საჯარო სამსახურის ბიურო. განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები 2022 წლის I კვარტლის მდგომარეობით (დადების ტარიფი 19.04.22) <http://csb.gov.ge/media/3347/65456.pdf>
7. ტაბატაძე მარინა, ჩხოლარია კონსტანტინე, სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ფუნქციონირების თავისებურებები საქართველოში, <http://eprints.tsu.ge/1271/1/Peculiarities%20of%20state%20procurement%20system%20functioning%20in%20Georgia.pdf>
8. Bandiera, O., Bosio, E., Spagnolo G., (2021). Discretion, efficiency, and abuse in public procurement: A new eBook 30 November 2021 <https://voxeu.org/article/discretion-efficiency-and-abuse-public-procurement-new-ebook>
9. Bosio, E., Djankov, S., Glaeser, E., Shleifer, A., (2020). Corruption in public procurement. 05 November 2020 <https://voxeu.org/article/corruption-public-procurement>
10. Clarence, E., (2019). Rethinking public procurement for SMEs: Making Spend Matter partners explore why business size does in fact matter. URBACT programme. <https://urbact.eu/rethinking-public-procurement-smes-making-spend-matter-partners-explore-why-business-size-does-fact>
11. European Commission (2021). SME NEEDS ANALYSIS IN PUBLIC PROCUREMENT - Final report Document date: 01/07/2021 - Created by GROW.C.2 - Publication date: n/a - Last update: 01/07/2021
12. Fee, R., Erridge, A., Hennigan, S. (2002), "SMEs and government purchasing in Northern Ireland: problems and opportunities", *European Business Review*, Vol. 14 No. 5, pp. 326-334. <https://doi.org/10.1108/09555340210444176>  
[https://www.emerald.com/insight/content/doi/10.1108/09555340210444176/full/html?utm\\_source=TrendMD&utm\\_medium=cpc&utm\\_campaign=New\\_Library\\_World\\_TrendMD\\_0&WT.mc\\_id=Emerald\\_TrendMD\\_0](https://www.emerald.com/insight/content/doi/10.1108/09555340210444176/full/html?utm_source=TrendMD&utm_medium=cpc&utm_campaign=New_Library_World_TrendMD_0&WT.mc_id=Emerald_TrendMD_0)

13. Flynn, A., Davis, P. (2017), "Explaining SME participation and success in public procurement using a capability-based model of tendering", *Journal of Public Procurement*, Vol. 17 No. 3, pp. 337-372. <https://doi.org/10.1108/JOPP-17-03-2017-B003> [https://www.emerald.com/insight/content/doi/10.1108/JOPP-17-03-2017-B003/full/html?utm\\_source=TrendMD&utm\\_medium=cpc&utm\\_campaign=Journal of Public Procurement TrendMD\\_0&WT.mc\\_id=Emerald\\_TrendMD\\_0](https://www.emerald.com/insight/content/doi/10.1108/JOPP-17-03-2017-B003/full/html?utm_source=TrendMD&utm_medium=cpc&utm_campaign=Journal of Public Procurement TrendMD_0&WT.mc_id=Emerald_TrendMD_0)
14. Glas, A.H., Eřig, M. (2018), "Factors that influence the success of small and medium-sized suppliers in public procurement: evidence from a centralized agency in Germany", *Supply Chain Management*, Vol. 23 No. 1, pp. 65-78. <https://doi.org/10.1108/SCM-09-2016-0334>. [https://www.emerald.com/insight/content/doi/10.1108/SCM-09-2016-0334/full/html?utm\\_source=TrendMD&utm\\_medium=cpc&utm\\_campaign=Supply Chain Management%253A An International Journal TrendMD\\_0&WT.mc\\_id=Emerald\\_TrendMD\\_0](https://www.emerald.com/insight/content/doi/10.1108/SCM-09-2016-0334/full/html?utm_source=TrendMD&utm_medium=cpc&utm_campaign=Supply Chain Management%253A An International Journal TrendMD_0&WT.mc_id=Emerald_TrendMD_0)
15. Giovanni, J. d., García-Santana, Priit Jeenas, M., Moral-Benito, E., Pijoan-Mas, J., (2022) Government procurement and macroeconomic outcomes. 15 March 2022 <https://voxeu.org/article/government-procurement-and-macroeconomic-outcomes>
16. Goderdzishvili, L., (2019), THE PARTICIPATION OF SMES IN STATE PROCUREMENT: Georgia in Focus. ISET Policy Institute. <https://gfa.org.ge/wp-content/uploads/2019/11/The-Participation-of-SMEs-in-State-Procurement.pdf>
17. Hoekman, B., Tař, B.K.O. (2022), "Procurement policy and SME participation in public purchasing", *Small Business Economics*, Vol. 58, pp. 383–402 <https://doi.org/10.1007/s11187-020-00414-z>; <https://link.springer.com/article/10.1007/s11187-020-00414-z>
18. Hoekman, B., Shingal, A., Eknath, V., Ereshchenko V., (2020). COVID-19, public procurement regimes, and trade policy. 25 November 2020. <https://voxeu.org/article/covid-19-public-procurement-regimes-and-trade-policy>
19. Namagembe, S., Ntayi Mpeera, J. and Kalid, A. (2021), "An examination of SME involvement in public procurement under bid lot sizing", *Journal of Public Procurement*, Vol. 21 No. 4, pp. 370-398. <https://doi.org/10.1108/JOPP-04-2020-0031> <https://www.emerald.com/insight/content/doi/10.1108/JOPP-04-2020-0031/full/html?skipTracking=true>
20. OECD (2018), "Executive summary", in *SMEs in Public Procurement: Practices and Strategies for Shared Benefits*, OECD Publishing, Paris, <https://doi.org/10.1787/9789264307476-2-en>.
21. OECD, (2019). Strengthening SMEs and entrepreneurship for productivity and inclusive growth : OECD 2018 Ministerial Conference on SMEs. <https://www.econbiz.de/Record/strengthening-smes-and-entrepreneurship-for-productivity-and-inclusive-growth-oecd-2018-ministerial-conference-on-smes/10012120016>
22. Parry, K., Bandiera, O., Best, M., Khan, A., Prat, A., (2020). Autonomy – not rules – may be the government’s best weapon in the fight against corruption. 13 May 2020. <https://voxeu.org/article/autonomy-not-rules-may-be-government-s-best-weapon-fight-against-corruption>
23. Sisoshvili, G., (2020) **PROBLEMS CAUSED BY THE PANDEMIC IN PUBLIC PROCUREMENT OF GEORGIA.** Globalization and Business. Published: 2020-12-28 | Pages: 278 – 286. [https://www.eugb.ge/view\\_content.php?content=content&id=314&PROBLEMS%20CAUSED%20BY%20THE%20PANDEMIC%20IN%20PUBLIC%20PROCUREMENT%20OF%20GEORGIA](https://www.eugb.ge/view_content.php?content=content&id=314&PROBLEMS%20CAUSED%20BY%20THE%20PANDEMIC%20IN%20PUBLIC%20PROCUREMENT%20OF%20GEORGIA)
24. State of New South Wales (NSW Treasury), (2021); NSW Government Small and Medium Enterprise and Regional Procurement Policy. [https://buy.nsw.gov.au/data/assets/pdf\\_file/0010/990478/0621-01\\_Procurement-Policy-Reports\\_SME-and-Regional-Procurement-Policy\\_v5a.pdf](https://buy.nsw.gov.au/data/assets/pdf_file/0010/990478/0621-01_Procurement-Policy-Reports_SME-and-Regional-Procurement-Policy_v5a.pdf)

## ერთვნული ბანკის მუშაობის ხარისხი პანდემიის პირობებში და რეგულაციების გავლენის შეფასება საბანკო სექტორში

**ირინა ვაშაკმაძე**

ასოცირებული პროფესორი  
irina.vashakmadze@bsu.edu.ge

**ირინე თავაძე**

ასისტენტ პროფესორი  
irina.tavadze@bsu.edu.ge

ბათუმი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელია საბანკო სისტემის ფუნქციონირება. სწორედ საბანკო სისტემის ფუნქციონირებისას მისი სათანადოთ წარმართვით შესაძლებელი ხდება ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირება. ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის საბანკო სისტემის ანალიზი, სხვადასხვა ბანკების წარმატებისა და წარუმატებლობის კვლევა და საბოლოოდ საბანკო სისტემის განვითარების პროგნოზირება.

პანდემიურმა კრიზისმა თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყანაზე მოახდინა გავლენა. ცენტრალური ბანკები, როგორც წესი, კრიზისის დროს რისკის აღების წინა ხაზზე დგანან. რეცესიის პირობებში მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქება სტანდარტული საოპერაციო პროცედურაა. პლანეტის თითქმის ყველა ცენტრალურმა ბანკმა მკვეთრად შეამცირა პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთები. უფრო მეტიც, რამდენიმე განვითარებადი ბაზრის ცენტრალურმა ბანკმა არა მხოლოდ შეამცირა განაკვეთები, არამედ დაიწყო აქტივების შესყიდვის პროგრამები (როგორც სამთავრობო, ისე კერძო სექტორი). ბოლო წლები იყო ძალიან რთული, როგორც საქართველოსთვის, ასევე მთელი მსოფლიოსთვის. პანდემიამ ცუდი გავლენა იქონია მსოფლიო ეკონომიკაზე და ამავდროულად საქართველოზეც.

თემის აქტუალობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ბანკებს ახალ გლობალური დონის საფრთხესთან - კორონავირუსის პანდემიასთან უწევდა გამკლავება, რომლის პრეცედენტი არ არსებობს. ფინანსური სისტემის, მათ შორის საბანკო სექტორის პანდემიაზე კოლექტიური რეაგირება საკმაოდ თვალსაჩინოა. ბანკებმა ეფექტურად განახორციელეს ტექნოლოგიების დანერგვა და გამოავლინეს უდიდესი მოქნილობა, გამძლეობა და ადაპტაციის უნარი. რაც მთავარია, მათ გადაამწყვდეს როლი ითამაშეს ეკონომიკის სტაბილიზაციაში, აგრეთვე სამთავრობო სტიმულირებისა და დახმარების პროგრამების განხორციელებაში.

პანდემიამდე ეროვნული ბანკის მიერ დამატებითი კაპიტალის დაწესებულმა მოთხოვნებმა, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების რეგულაციის ამოქმედებამ და სესხების დოლარიზაციის შემცირების მიზნით რიგი მაკროპრუდენციული ზომების გატარებამ, ხელი შეუწყო აქტივების მდგრად ხარისხსა და კაპიტალის საკმარისი ბუფერების დაგროვებას. გარდა ამისა, გასულ წლებში ლიკვიდობის გადაფარვისა (LCR) და წმინდა სტაბილური დაფინანსების (NSFR) კოეფიციენტების დაწესებამ ბანკების დაფინანსების წყაროების სტაბილურობა და ლიკვიდობის ბუფერის გაუმჯობესება განაპირობა. შედეგად 2022 წლის იანვრის მონაცემებით, ბანკები კაპიტალის და ლიკვიდობის ჯანსაღ მაჩვენებლებს ინარჩუნებდნენ, ხოლო აქტივების ხარისხი, წინა წელთან შედარებით, გაუმჯობესდა. ბანკების მომგებიანობას ხელი შეუწყო მაღალმა საკრედიტო აქტივობამ და დარეზერვების შემცირებამ, რაც, თავის მხრივ, 2020 წელს სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების წინასწარ შექმნიდა განპირობებული. გაუმჯობესებული ფინანსური მაჩვენებლების მეშვეობით,

ბანკების მნიშვნელოვანმა ნაწილმა კაპიტალის გამოთავისუფლებული ბუფერები უკვე აღიდგინა და მოსალოდნელ ახალ შოკს კაპიტალის სოლიდური ბუფერებით შეხვდა.

შესაბამისად, ბანკები პანდემიით გამოწვეულ შოკს მომზადებულები შეხვდნენ. საქართველოს ეკონომიკისთვის დამახასიათებელმა ისეთმა სტრუქტურულმა გამოწვევებმა, როგორებიცაა დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი, მიმდინარე ანგარიშის გაზრდილი დეფიციტი და საერთაშორისო ფინანსურ ნაკადებზე მზარდი დამოკიდებულება, კიდევ უფრო გაამძაფრა COVID-19 პანდემიით გამოწვეული გახანგრძლივებული საგარეო შოკების უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა. საგანგებო ნაბიჯები სხვადასხვა მიმართულებით გადაიდგა კერძოდ: ეკონომიკის სხვადასხვა სფეროსთვის ლიკვიდური ფულადი რესურსების შეუფერხებელი მიწოდება, დროებითი საზედამხედველო გეგმის შემუშავება, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ-ის) პროგრამის გაფართოება და სავალუტო ინტერვენციების ახალი მექანიზმის ამოქმედება. კომერციულ ბანკებს კაპიტალის მოთხოვნები შეუმსუბუქდათ, დროებითი საზედამხედველო გეგმა გულისხმობდა საბანკო სექტორის კაპიტალისა და ლიკვიდობის ბუფერების გამოყენებას ფინანსური სტრესის პერიოდში. ეს ნიშნავს არსებული კაპიტალისა და ლიკვიდობის მოთხოვნების შემცირებას, რაც საბანკო სექტორს საშუალებას მისცემდა ამ ბუფერების საშუალებით პოტენციური ზარალები განეიტრალებინა და განეგრძო ნორმალური ბიზნეს საქმიანობა და რეალური ეკონომიკის დაკრედიტება.

ჩვენ გვესმის, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ყურადღებით აფასებს პრუდენციული რეგულაციების სარგებელს, რეგულაციასთან შესაბამისობის ხარჯებთან და ფინანსური მომსახურების არეალის შეზღუდვის პოტენციალთან მიმართებაში. საბოლოოდ რომ ვთქვათ, ქართული ბანკები მიმდინარე რთულ გარემოში შედიან ძლიერი პოზიციით, რამაც მათ საშუალება უნდა მისცეს შეინარჩუნონ კრედიტის ნორმალური დინება. თუ ეკონომიკის აღდგენა შენელებდა, გაკოტრების და სესხის დეფოლტის შემთხვევები გაიზრდება. ამ გარემოებამ შეიძლება ზოგიერთი ბანკი კრიტიკულ ფინანსურ შედეგებამდე მიიყვანოს. ამრიგად, საქართველოს ეროვნული ბანკი მზად უნდა იყოს მნიშვნელოვანი ღონისძიებების გასატარებლად და საგანგებო ნაბიჯები უნდა გადაიდგას სხვადასხვა მიმართულებით, რომელიც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირებას.

**საკვანძო სიტყვები:** ეროვნული ბანკი, საბანკო სექტორი, საბანკო რეგულაციები, ეკონომიკის სტაბილურობა.

# სახელმწიფოს რეგულირებადი რეალ ინოვაციური პოლიტიკის განხორციელებაში

**ირმა ჩხაიძე**

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი  
საქართველო, ქ.ბათუმი  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
[Chkhaidze.irma@bsu.edu.ge](mailto:Chkhaidze.irma@bsu.edu.ge)

**ლელა დევაძე**

ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის დოქტორანტი  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
[Devadzelela@gmail.com](mailto:Devadzelela@gmail.com)

ინოვაცია, ეკონომიკაში მართვის მეცნიერებასა თუ სხვა სფეროში, ზოგადად, არის პროცესი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ახალ იდეებს და ქმნის „საზოგადოებრივ კეთილდღეობას“. კეთილდღეობის შექმნას განაპირობებს ერთის მხრივ სახელმწიფო „საერთო საზოგადოებრივი კეთილდღეობის“ შექმნის მიზნით, და მეორეს მხრივ ბიზნეს სექტორი „ინდივიდუალური კეთილდღეობის“ შექმნით ეს უკანასკნელი ეფუძვნება „პირადი კეთილდღეობის“ შექმნას და ითვალისწინებს არა მხოლოდ ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მოპოვებას ან შენარჩუნებას არამედ „საზოგადოებისათვის არაწინააღმდეგობრივი“ კეთილდღეობის შექმნის საფუძველზე მაქსიმალური მოგების მიღებას.

*ნაშრომის კვლევის მიზანია* ქვეყნებში არსებული ინოვაციების დონის შესწავლა-გაანალიზება, ინოვაციების მიმართულებით მსოფლიო ტენდენციების ჩვენება. *კვლევის მიზნიდან გამომდინარე განსახორციელებელი ამოცანებია:* შევავსოთ ქვეყნებში არსებული ინოვაციების დონე. გავაანალიზოთ ინოვაცია, როგორც: გლობალიზაციის სტრატეგიული ელემენტი და ინოვაციური სტრატეგიის თავსებადობა გლობალურ გამოწვევებთან.

ინოვაციების მიმართულებით მსოფლიო ტენდენციების შესწავლა გაანალიზება ხორციელდება 2012 წლიდან ყოველწლიურად გამოქვეყნებული ინოვაციების გლობალური ინდექსით (GII), რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია გაანალიზდეს გრძელვადიანი ზრდის, პროდუქტიულობისა და სამუშაო ადგილების ზრდის მიღწევის მაჩვენებლები. გლობალური ინოვაციის ინდექსი შვიდი კომპონენტის (1.ინსტიტუტები/ინსტიტუციური მოწყობა; 2.ადამიანური კაპიტალი და კვლევა; 3.ინფრასტრუქტურა; 4.ბაზრის განვითარების დონე; 5.ბიზნესის განვითარების დონე; 6.ცოდნა და ტექნოლოგიის წარმოება; 7.შემოქმედებითი წარმოება) გამოყენებით ეხმარება და რჩევებს აძლევს ქვეყნებს, თუ რა არის საჭირო ინოვაციების გასანვითარებლად აუცილებელი პირობების/გარემოს შესაქმნელად.

მსოფლიოს ინოვაციური ქვეყნების მსგავსად თანამედროვე გლობალურ პირობებში ინოვაციურ გამოწვევებს უერთდება საქართველო, რასაც საფუძველად შესაძლებელია დაედოს ჩვენი ქვეყნის განვითარების 2013-2030 წლის სტრატეგია, რომლის განხორციელების შედეგად ქვეყანა 2030 წლისთვის განვითარებულ ქვეყანად გადაიქცევა. რეალიზებისათვის გადაიდგა თანმიმდევრული ნაბიჯები და სახელმწიფო პოლიტიკის ამოქმედება დაიწყო სამთავრობო პროგრამების განხორციელებით. წლების მიხედვით გლობალური ინოვაციის ინდექსის კომპონენტების გაანალიზების საფუძველზე დგინდება, რომ 2013 წლიდან მოყოლებული საქართველოს ქულა მზარდი დინამიკით ხასიათდებოდა ადამიანური კაპიტალისა და კვლევის მიმართულებით. თუმცა, მიუხედავად დადებითი ტენდენციისა, აღნიშნულ კომპონენტში საქართველოს დაბალი შედეგი ქონდა. ქვეყანას სტაბილურად მაღალი შედეგი ქონდა ინსტიტუტების კომპონენტში, ხოლო ყველაზე დაბალი მერყეობით ბაზრის განვითარების კომპონენტით გამოირჩეოდა. მიუხედავად იმისა, რომ 2016



წლის მონაცემებით, ბაზრის განვითარების კომპონენტის ქულა უმაღლესია სხვა დანარჩენ კომპონენტებს შორის, აღნიშნული მაჩვენებელი ძალიან დაბალი იყო 2015 წელს.

ინოვაციების გლობალურ ინდექსში, ინოვაციების განვითარების მიმართულებით საქართველოს მაჩვენებელი 2015 წელთან შედარებით 2016, 2018 და 2019 წლებში გაუმჯობესდა და შესაბამისად რეიტინგით 64-ე, 59-ე და 48-ე ადგილს იკავებდა 130 ქვეყანას შორის, მაშინ როდესაც 2015 წელს ქვეყანა აღნიშნულ რეიტინგში 73-ე ადგილს იკავებდა. ზემოთ აღნიშნული კომპონენტებიდან, საქართველოს ძლიერ მხარეებს შემდეგი კომპონენტები წარმოადგენდნენ: ბიზნეს გარემო (მე-6 ადგილი) და ბაზრის განვითარების დონე (მე-7 ადგილი), ხოლო სუსტ მხარეებს წარმოადგენდნენ: განათლება (115-ე ადგილი), კვლევა და განვითარება (103-ე ადგილი), ინვესტიციები (86-ე ადგილი) და დასაქმებულთა ცოდნის დონე (91-ე ადგილი).

2020 წელს ინოვაციების გლობალურ ინდექსში, ინოვაციების განვითარების მიმართულებით საქართველოს მაჩვენებელი 2019 წელთან შედარებით დაეცა და რეიტინგით 63-ე ადგილი დაიკავა. აღნიშნული შედეგების გაუარესების მიზნად მკვლევარები ქვეყნისგან დამოუკიდებელ მიზეზებს ასახელებენ, მათ შორის Covid-19 გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი და ცვლილებები GII-ის მეთოდოლოგიაში. წინა წლებთან შედარებით 2020 წლისათვის გაუარესებულია საქართველოს რეიტინგი: -საბაზრო განვითარების (15-ე ადგილიდან 39-ე ადგილზე ჩამოქვეითდა), -ინფრასტრუქტურის (72-დან 81-ე ადგილზე), -ბიზნესის განვითარების (70-დან 79-ე ადგილზე), -შემოქმედებითობის (58-დან 68-ე ადგილზე) კატეგორიებში. მცირედით გაუარესებულია ცოდნა და ტექნოლოგიების მაჩვენებლები, ინსტიტუტების რეიტინგი კი შენარჩუნებულია 2019 წლის ნიშნულზე.

საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის განვითარების ხელშემშლელ პრობლემებს მიეკუთვნება: ინოვაციურ პროდუქციაზე მოთხოვნის დაბალი დონე; ფულადი სახსრების არასაკმარისი რაოდენობა; კვალიფიციური პერსონალის უკმარისობა; კომპანიების პერსონალის სიახლეებისადმი უნდობლობა; ტექნოლოგიური ბაზრის განუვითარებლობა; სახელმწიფო ბიუჯეტიდან მეცნიერების დაფინანსების დაბალი დონე; არაფორმალური ინვესტორების ქსელის განუვითარებლობა; კრედიტის დაფინანსების, როგორც ფულადი სახსრების მოზიდვის ინსტრუმენტის, გავრცელების დაბალი დონე. გამოგონებების სიმცირე.

ამრიგად, თანამედროვე საბაზო ეკონომიკის პირობებში ერთი მხრივ ინოვაციების როლი ბიზნესში უმნიშვნელოვანესია, რადგან ინოვაცია კომპანიას საშუალებას აძლევს მოიპოვოს კონკურენტუნარიანობა, შექმნას ბაზარზე შესვლის ბარიერები და სწრაფად დაიკავოს ბაზარზე მოწინავე პოზიციები. რის გამოც მოწინავე კომპანიები არ ზოგავენ დროსა და ფინანსებს საკუთარი კერძო საქმიანობის სფეროში ინოვაციების დანერგვისათვის, რაც მათი პირადი კეთილდღეობის შექმნის საფუძველია. მეორე მხრივ პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ინოვაციები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კომპანიებისათვის მოგების მიღების მიზნით არამედ ინოვაცია მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპების მიღწევისათვის და რომ ინოვაციების დანერგვა საჭიროებს სახელმწიფოსაგან წამახალისებელი ღონისძიებების გატარებას.

კვლევები ცხადყოფს, რომ ეკონომიკური განვითარებისთვის კრიტიკულია ქვეყნის ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა: საინოვაციო სისტემის განვითარების უნარი; კარგი მმართველობის უნარი; პოლიტიკური სისტემა და ეკონომიკის გახსნილობა. ამასთან, საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, მკვლევართა დასკვნებით ეკონომიკური განვითარებისთვის კრიტიკულია ბიდან საწყის ეტაპზე უმნიშვნელოვანესია საინოვაციო სისტემის განვითარების და კარგი მმართველობის უნარი. საინოვაციო სისტემის განვითარება წარმატებულ ქვეყნებში საინოვაციო პოლიტიკის საფუძველზე ხორციელდება. საქართველოსთვის ეს ფაქტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით, რადგანაც ევროპაში ეკონომიკური ზრდა, სოციალური პრობლემების გადაჭრა, სიღარიბის დაძლევა, დასაქმება და რეგიონების ჩამორჩენის აღმოფხვრა, ძირითადად, საინოვაციო პოლიტიკის გატარებითაა უზრუნველყოფილი.

მსოფლიოში საინოვაციო პროცესების შესწავლისა და საქართველოში ინოვაციის სფეროში მდგომარეობის ანალიზის შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საინოვაციო პოლიტიკის მიმართ დამოკიდებულება საქართველოში პოზიტიურია. შეიქმნილია წინაპირობები საქართველოში საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებისთვის და ხელისუფლების მიერ გადაიდგა ინოვაციური განვითარების მიმართულებით რიგი პრაქტიკული ნაბიჯები.

**საკვანძო სიტყვები:** ინოვაცია; ინოვაციური პოლიტიკა; ინოვაციების გლობალური ინდექსი, კომპანიების კონკურენტუნარიანობა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ერიკ რისი, „წარმატებული სტარტაპი“ ეკონომიკური სტარტაპის მეთოდი, თბ.,2018
2. მარკუსი ი., ანდერსონი ფ., ბლექი ა., მაჩინი დ., უტსონი ნ., „დიდი წიგნი ბიზნესზე“, თბ., 2017
3. გაი კავასაკი, „იდეიდან პირველ მილიონამდე“, რჩევები ბიზნესის გურუსგან, თბ.,2016
4. „მეწარმეობა“ – სსპ განათლების განვითარების ეროვნული ცენტრი, თბ.,2015
5. გველესიანი რ., მექვაბლიშვილი ე., გაგნიძე ი., ლეკაშვილი ე., ნაცვალაძე მ.. ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკა – „მეწარმეობის თეორიული საფუძველი“, თბ., 2009
6. სამადაშვილი ა., „სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი“, თბ.,2009
7. ბარათაშვილი ე., დათაშვილი ვ., ნაკაიძე გ. ქუთათელაძე რ., „ინოვაციების მენეჯმენტი“, თბ.,2008
8. <http://geoeconomics.ge/?p=13592>
9. [https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo\\_pub\\_gii\\_2020.pdf](https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_gii_2020.pdf)
10. <https://mail.google.com/mail/u/2/#inbox?projector=1>
11. <https://www.interbusiness.edu.ge/ebooks/07f46e80ead92bcc277071bf607cce24.pdf>
12. <https://openscience.ge/bitstream/1/264/1/samagistro%20galumashvili%20gogolashvili.pdf>
13. <https://btu.edu.ge/media/1001285/2020/03/15/1f40bae67610a6a2952b9fdb449ccb3d.pdf>
14. [https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo\\_pub\\_gii\\_2020.pdf](https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_gii_2020.pdf)

# სოციალური და მწვანე საწარმოების კონკურენტული უპირატესობა კავკასიაში (აბრუსფერტსა და სათამაშოების წარმოების ჭრილში)

ლევან კიკილაშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი  
თბილისი, საქართველო  
[l.kikilashvili@sou.edu.ge](mailto:l.kikilashvili@sou.edu.ge)

სოციალური მეწარმეობა, როგორც ბიზნეს იდეა წარმოადგენს გარკვეული სოციალური პრობლემის მოგვარების გზას. სხვადასხვა ცვლილებები თემის განვითარებისთვის, როგორცაა გარემოსდაცვა, სიღარიბის დაძლევა, სასიცოცხლო რესურსებზე წვდომა მნიშვნელოვანი წინაპირობაა სოც.საწარმოს დაფუძნებისთვის. ბოლო 2 ათწლეულის განმავლობაში, კავკასიაში სოციალური მეწარმეობა, სულ უფრო მეტად პოპულარული და მნიშვნელოვანი დარგი გახდა, რაც განაპირობა საერთაშორისო ფონდების მხრიდან, ასევე სახელმწიფო პროგრამების ჭრილში მხარდაჭერამ, რათა ეს იყო სინერგიით ბიზნესის კეთების ყველაზე ეფექტიანი გზა. სოციალურ მეწარმეობაში, ძირითადად პრინციპი დივიდენდის გატანის მდგომარეობს შემდეგში, რომ მიუხედავად, იმისა, ინდივიდი რამდენ წილს ფლობს ორგანიზაციაში, საერთო პროცენტული თანხის გატანა არ უნდა აღემატებოდეს მოგების 30%-ს, რაც გულისხმობს შემდეგს, რომ დარჩენილი 70%-ი ისევ უნდა მოხმარდეს ორგანიზაციის მხრიდან რეინვესტირების პოლიტიკის გატარებას, იმ მიმართულებებში, რომლებიც ყველაზე ფუნდამენტურია.

ავტორი თავად გახლავთ 2 სოციალური საწარმოს თანადამფუძნებელი, რაც განაპირობებს მრავალი სტრატეგიული საკითხის საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით გადაჭრას და ეს ეხმარება კონკურენტუნარიანობის გაზრდაში.

აგრო მიმართულება ძალიან საინტერესო სფეროა სოც.საწარმოს ჭრილში, რადგან ყოველი დღე იწყება შრომით, ჩართულობით, ერთმანეთის მხარში დგომით, რათა მიღწეულ იქნას დასახული მიზნები. ეს პრაქტიკა მთის ხალხშია შემორჩენილი, საქართველოს ისეთ სოფლებში, რომლებშიც გლობალიზაციამ ჯერ კიდევ ვერ მოიკიდა ფეხი, რადგან იქ შემორჩენილია ერთმანეთის უანგაროდ დახმარება და გვერდში დგომა, მაშინ როცა ეს ყველაზე მეტადაა საჭირო. სწორედ ასეთი სინერგია შეიმჩნევა, მაშინ როცა სოც.საწარმოში ყველა პარტნიორი ჩართულია, რომ გაიზიარონ საქმე და ერთად უკეთესად აკეთონ, ის რაც დამოუკიდებლად მიუღწეველია.

სტრატეგია, რომლის ქვეშაც დაიგეგმა სოციალურ საწარმოს განვითარება, ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელდა, „EU4Youth – სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარება მწვანე ზრდისთვის (SEED)“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებდა CENN, მიზანი, რომელმაც საკმაოდ დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა პარტნიორები, წარმატებით განხორციელდა, რადგან კავკასიაში პირველი, კერძოდ კი შიდა ქართლში, გორის სოფელში ქვემო ნიქოზი, 2021 წელს პირველი 500 კვ.მ-ნი მზის სათბური აშენდა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფს ბიო პროდუქტების მოყვანა-რეალიზაციას და ცივი სეზონების დროს ყველაზე უკეთესად შეუძლია სათბურში სითბური ტემპერატურის შენარჩუნება. ეს მოდელი სამხრეთ ამიერკავკასიისთვის ყველაზე ხელსაყრელია, რადგან პროდუქციის მოსაყვანად დაბალი თვითღირებულების ხარჯზე ქმნის მსოფლიო სტანდარტის ბიოლოგიურად სუფთა და ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქტს, რაც თავისთავად ქმნის ფარდობით უპირატესობას, ბიზნესებთან მიმართებით, რომლებიც სრულად აჩერებენ ცივი სეზონების დროს პროდუქციის მოყვანას, რადგან მათი დანახარჯები გათბობაში იმდენად დიდია, რომ ფიზიკურად ვერ გაყიდვიან პირველად პროდუქტს იმ ფასში, რაც სრულად დაფარავდა მათსავე ხარჯებს.

ჰორეკა ბიზნესისთვის განხორციელდა პროდუქტების შერჩევა, რომელთაც შედარებით მაღალი ფასი ჰქონდა სხვა პროდუქტთან შედარებით, მას შემდეგ რაც ბიო სერტიფიკატის აღებას შეუ-

ლებს სოც.საწარმო, პროდუქტზე ფასი კიდევ უფრო გამყარდება, დამატებითი ალიბების გამო. მომხმარებელთა სეგმენტი ფართოა, როგორებიც არიან ჯანსაღი ცხოვრების წესის მოყვარულები, მშობლები, ისინი ზრუნავენ შვილების ჯანსაღ კვებაზე და სხვ. რაც ძალიან მნიშვნელოვანი სტრატეგიაა, განსაკუთრებით დღეს, როცა ჯანსაღი კვება ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი გახდა ჯანმრთელობის ხარისხიანი წლების შენარჩუნებისთვის.

ქართული სტუმართმასპინძლობა ოდითგანვე გამორჩეული იყო, რაზეც მოწმობს დღემდე შემონახული ასობით არტეფაქტი, საქართველოს კუთხეების სილამაზე, ადგილობრივი ადათ-წესები, თამაშობანი, კერძები და სხვა ყველა ელემენტი, რომლითაც ტურისტები დღეს დიდ სიამოვნებას იღებენ სამხრეთ კავკასიის დათვალიერებით, რაშიც მნიშვნელოვანი მხარე სწორედ უნიკალური ნიმუშების შექმნას უჭირავს, როგორცაა თუნდაც ქართული ფაზლების გამოშვება, რომლებზეც მხატვართა ჯგუფის ინდივიდუალური დაკვეთით შექმნილი ნახატებია გადატანილი, საოცარი ისტორიებით. სტრატეგია, რომლის ქვეშაც დაიგეგმა სოციალური საწარმოს განვითარება, განხორციელდა ქალაქ თბილისის მერიის პროგრამის „სოციალური მეწარმობა ახალგაზრდების მხარდასაჭერად“ ფარგლებში, გუნდი რომელიც სოც.საწარმოს მართავდა შეიძინა აღჭურვილობა, ტექნიკური დანადგარების სახით, რამაც ხელი შეუწყო მრავალი ქართული მნიშვნელოვანი კულტურის ელემენტის მქონე ნივთის გამოშვებას, რომლითაც მწირი იყო ქართული ბაზარი, რადგან აღინიშნება ხარისხიანი გასართობი სათამაშოების დიდი სიმცირე. რაზეც მსხვილი სარეკლამო კომპანიები ყურადღებას არასდროს ამახვილებენ, რადგან მათ დაკვეთა საკმაოდ ბევრი აქვთ და ზარალდება ქართული სამომხმარებლო ბაზარი. ეს გახდა სოც.საწარმოსთვის გარდამტეხი ფაქტორი, რათა მთელი სინერგია მიემართა ამ კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად და თითოეულ წევრს გაეაზრებინა ის სარგებელი, რითაც მომხმარებელს მომსახურებოდა ახლა უკვე ხარისხიანი პროდუქციით, რომელთა გამოყენებაც ახალი კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას შეუწყობდა ხელს. ის არამხოლოდ ზრდასრულ ადამიანებზე მოახდენს გავლენას, არამედ თამაში და სათამაშოები ბავშვის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ განვითარებაში დიდ როლს ასრულებს. თამაშის პროცესში ყალიბდება ძირითადი პიროვნული მახასიათებლები რომლებიც დადებით გავლენას ახდენს ბავშვის აზროვნების განვითარებასა და ჩამოყალიბებაზე. ჩვენ შევქმნით ქართულ ბრენდს, რომელიც სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის შექმნის გასართობ-შემეცნებით პროდუქტს, რომელიც გაამარტივებს და გაზრდის ხელმისაწვდომობას, ამავდროულად დასწავლის და ინფორმაციის მიწოდებას: ხალისიანს, საინტერესოს და მარტივს გახდის. სწორედ ამან განაპირობა გამორჩეული სათამაშო თემატიკის მრავალფეროვნებით სავსე პროდუქციის შექმნა, რომელიც ბავშვების განვითარებასაც შეუწყობდა ხელს და ამავე დროს მათ დაეხმარებოდათ ჯანსაღ მოაზროვნე საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებაში.

**საკვანძო სიტყვები:** სოც. საწარმოების ხელშეწყობა; კონკურენტუნარიანი სოც. საწარმოები; ბიზნესის მდგრადობა; ფონდები; გლობალიზაცია.

# თანამედროვე სადეპოზიტო ბაზარი და მის სტრუქტურაზე მოქმედ ფაქტორთა ანალიზი

**ლელა ონიანი**

ბიზნესის მართვის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
[lela.oniani@bsu.edu.ge](mailto:lela.oniani@bsu.edu.ge).

**ასიე ცინცაძე**

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პროფესორი  
[asie.tsintsadze@bsu.edu.ge](mailto:asie.tsintsadze@bsu.edu.ge)

**თამარ ლოღობერიძე**

ბიზნესის მართვის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი  
[tamar.gogoberidze@bsu.edu.ge](mailto:tamar.gogoberidze@bsu.edu.ge)

საბანკო დეპოზიტები დანაზოგის საიმედოდ და დღეს უკვე უსაფრხოდ შენახვის საშუალებას და ამავე დროს სოლიდური თუ არა, არც ნაკლებად მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროს წარმოადგენენ. ეს ის პროდუქტებია, რომლებსაც თანამედრო საბანკო სისტემა განვითარების ყველა ეტაპზე სხვადასხვა ფორმითა და პირობებით გვთავაზობს. ბიზნესის განვითარება, მოსახლეობის შემოსავლების ზრდა პირდაპირ კავშირშია სადეპოზიტო ბაზრის განვითარებასთან. კომპანიებს, ფიზიკურ პირებს უჩნდებათ რა ფულადი რესურსები, შესაბამისად სადეპოზიტო ანგარიშებით სარგებლობის საჭიროებაც წარმოექმნებათ, ეს კი თავისთავად ფულადი ბაზრის ამ სეგმენტის გაფართოებისა და განვითარების პირობას წარმოადგენს.

კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს შევისწავლოთ თანამედროვე სადეპოზიტო ბაზარი და მისი კონიუქტურა, რამდენად ეფექტიანი და სანდოა თანამედროვე სადეპოზიტო პროდუქტები და განვითარების რა პერსპექტივებითა და ტენდენციურობით ხასიათდება საბანკო ბიზნესის ეს სფერო.

მიზნიდან გამომდინარე დავსახეთ შემდეგი ამოცანები:

1. შევისწავლოთ როგორი შემოთავაზებები აქვს ქართულ სადეპოზიტო ბაზარს და შესაბამისად როგორია მოთხოვნები.
2. მოვანდინოთ ქართულ სადეპოზიტო ბაზარზე არსებული დეპოზიტების კლასიფიკაცია და შევისწავლოთ მათი მოცულობების ტენდენციები დინამიკაში;
3. მოძიებული სტატისტიკური მასალების საფუძველზე შევისწავლოთ სადეპოზიტო პროდუქტების ფასების დინამიკა და გამოვავლინოთ მასზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები;
4. გავაკეთოთ გამოვლენილ ფაქტორთა ანალიზი, კერძოდ ლარის კურსის ცვალებადობის და მოკიდებულება დეპოზიტების ფასებზე;
5. თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის შედეგების ანალიზი, რაც დაგვეხმარა სადეპოზიტო ბაზრის სამომავლოდ განვითარების პროგნოზირებაში.
6. შევისწავლოთ სადეპოზიტო პროდუქტების სანდოობის განმსაზღვრელი ფაქტორები და ის რეგულაციები რომელიც ხელს შეუწყობს ამ პროდუქტებისა და ზოგადად საბანკო სისტემისადმი კლიენტთა ნდობის ამაღლებას.

*კვლევის საგანი:* დეპოზიტები და მათზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი

*კვლევის ობიექტი:* საქართველოს სადეპოზიტო ბაზარი

*კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები:* მონაცემების სისტემატიზაცია, მათი ანალიზი კორელაციური და რეგრესული მეთოდით, დეპოზიტებსა და ფაქტორებს შორის დადგენილი ურთიერთკავშირების წარმოდგენა ფორმულებით და გრაფიკებით.

*ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.* ნაშრომს აქვს როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული ღირებულება. მისი ჩართვა საბანკო რისკმენეჯმენტის სალექციო და პრაქტიკულ კურსში გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს, სტუდენტებს დაეხმარება მეცნიერული მიმართულების ჩამოყალიბების შესახებ თეორიული ცოდნის გაღრმავებაში, ბაზრის კვლევის, შეფასებისა და ანალიზის ახალი მეთოდებისა და მიდგომების შესწავლაში. გაკეთებული რეკომენდაციები პრაქტიკული თვალსაზრისით მისაღები იქნება სადეპოზიტო ბაზრის სრულყოფისა და ეფექტიანად წარმართვის სტრატეგიის შემუშავების პროცესში.

**საკვანძო სიტყვები:** *დეპოზიტი, ბაზარი, კონიუქტურა, ფაქტორები, ლარის კურსი, დაზღვევა, ციფრული ტექნოლოგიები.*

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მომზადებული სტატისტიკური მასალები და წლიური ანგარიშები-nbg.gov.ge

# ჯანმრთელობის ტურიზმი საქართველოში: გამოწვევები და შესაძლებლობები

**მაია უკლება**

აკადემიური დოქტორი, პროფესორი,  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი  
Maia.ukleba@gttu.edu.ge

UNWTO-ს თანახმად, დემოგრაფიული ცვლილებები, საზოგადოების ცხოვრების სტილის ახალი წესი, ტურისტთა ახალი სეგმენტების წარმოქმნა, პროდუქტის განვითარება, ტექნოლოგიური მიღწევები და ინოვაციები, მოთხოვნის ზრდა და შესაბამისად, მზარდი ინვესტიციები ჯანმრთელობის ტურიზმის განვითარების ძირითადი ფაქტორებია.

თანამედროვე საზოგადოება სულ უფრო მეტად აცნობიერებს ჯანმრთელობის გაუმჯობესების, აღდგენისა და შენარჩუნების მნიშვნელობას, რაც, თავის მხრივ ზრდის მოთხოვნას ამ მიზნებით მოგზაურობებისადმი. სამედიცინო, ველნეს და სპა ტურიზმზე მოთხოვნის ზრდის ტენდენცია საჭიროებს ჯანმრთელობისა და ტურიზმის სექტორებს შორის მჭიდრო მიზნობრივი ურთიერთკავშირების დამყარებას, ამ პროფილის ტურისტული დესტინაციების ინოვაციურ განვითარებას და სპეციფიკური მომსახურების ხარისხის ამაღლებას. სტატია ეხება საქართველოს სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის არსებულ მდგომარეობას, მის ადგილს ტურისტულ ინდუსტრიაში, კონკურენტულ შესაძლებლობებსა და პოტენციალს. ტურიზმის ამ მიმართულების განვითარების მთავარ ფაქტორს წარმოადგენს საქართველოს ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება, უნიკალობა და ხარისხი, რაც უნდა იქცეს ქვეყნის, როგორც სამკურნალო-გამაჯანსაღებელი დესტინაციის პოზიციონირების ერთ-ერთ მთავარ ფოკუსად. ამასთან, რამდენად არის გამოყენებული არსებული რესურსები? რამდენად არის ეს მიმართულება სწავლებისა და კვლევის ობიექტი? რამდენად მზად არის საქართველო უპასუხოს დარგის განვითარების გლობალურ ტენდენციებს? ამ კითხვებზე პასუხები საჭიროებს აკადემიური, სამეცნიერო და პრაქტიკული სფეროების წარმომადგენელთა ერთობლივ ძალისხმევას, მომავალი კვლევების მიმართულებების განსაზღვრას, მათზე დაფუძნებულ სწავლა-სწავლებას, რათა საქართველომ მოიპოვოს კონკრეტული ნიშა და გახდეს სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის ცნობადი დესტინაცია საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე.

**საკვანძო სიტყვები:** ჯანმრთელობის ტურიზმი, ველნესი, სპა, პოტენციალი, ცნობადი დესტინაცია, ინოვაციური განვითარება

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Brian Kee Mun Wong and Sarah Alia Sa'aid Hazley. The future of health tourism in the industrial revolution 4.0 era. Journal of Tourism Feature. Vol 7. No 2. 2021, pp. 267-272
2. Chris Ryan . Recreational Tourism: Demands and Impacts. The University of Waikato. 2020 [https://www.researchgate.net/publication/329068751 Recreational Tourism Demands and Impacts](https://www.researchgate.net/publication/329068751_Recreational_Tourism_Demands_and_Impacts)
3. Exploring Health Tourism – Executive Summary. World Tourism Organization (UNWTO) and European Travel Commission (ETC), 2018. <https://www.e-unwto.org/doi/epdf/10.18111/9789284420308>
4. High Level Forum on Medical and Health Tourism. UNWTO, 2019
5. 9th International Conference of the School of Economics and Business. Sarajevo Bosnia and Herzegovina
6. Factors affecting health tourism and international health-care facility choice Gökhan Aydin Department of Business Administration, Istanbul Arel University, and Istanbul Medipol University, Turkey. IJPHM 11,1. 2017.
7. “The history of medical tourism”, available at: [www.health-tourism.com/medical-tourism/history/](http://www.health-tourism.com/medical-tourism/history/) (accessed 13 April 2020)
8. Qualitative Examination of Health Tourism and its Challenges . J Travel Med Glob Health. 2016 Sep;4(3):88-91
9. Tim, W. (2018), “Health tourism today and into the future”, available at: <http://dihtf.com/wp-content/uploads/presentations/Dr.Tim/pdf.2019>.

## კომპანიის იმიჯის რთლი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში

### **გელა მამულაძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი.  
საქართველო, ბათუმი. mamuladze.gela@bsu.edu.ge

### **ნინო მამულაძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასისტენტ პროფესორი.  
საქართველო, ბათუმი. nino.mamuladze@bsu.edu.ge

ბოლო პერიოდში ბიზნეს სამყაროში ერთ-ერთი აქტუალური ცნება იმიჯი და მასთან დაკავშირებული საკითხებია. იმიჯი წარმოადგენს კომპანიის ზრდის და წარმატების აუცილებელ წინაპირობას, რომლის გარეშეც რთულია კარგი რეპუტაციის ფორმირება. იგი ასევე დიდ როლს თამაშობს მომხმარებელთა მოზიდვასა და კონკურენტული უპირატესობის უზრუნველყოფაში.

თანამედროვე კონკურენტულ გარემოში უზარმაზარი თანხები იხარჯება მიმზიდველი და სასურველი იმიჯის ფორმირებაზე. ცნობილი ადამიანები, პოლიტიკური პარტიები, სხვადასხვა ბიზნეს სტრუქტურები, ტურიზმის სექტორი, სხვადასხვა მცირე თუ დიდი ზომის კომპანიები და ა.შ. სოლიდურ ფინასებს ხარჯავენ სასურველი იმიჯის ფორმირებაში.

იმიჯის ფორმირება საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია, რომლის დროსაც მნიშვნელოვანია ეფექტური მართვის პროცესი, დაგეგმვა, კონტროლი, ორგანიზაცია, მოტივაცია და კოორდინაცია. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს იმიჯის სხვადასხვა სახეები. განვიხილოთ შიდა და გარე იმიჯი. შიდა - თანამშრომლების დამოკიდებულება და შეხედულება კომპანიასთან მიმართებაში, გარე მომხმარებლების და საზოგადოების მხრიდან კომპანიის შეფასებაა. მნიშვნელოვანია, რომ მათ შორის იყოს მჭიდრო კავშირი. თუ კომპანიის თანამშრომლები მას უარყოფითად აღიქვამენ, მაშინ მათი დამოკიდებულება აუცილებლად გადაეცემა ირგვლივ მყოფებს და ამით გარკვეულ გავლენას მოახდენს ორგანიზაციის გარე იმიჯზე. პოზიტიური გარე იმიჯი, კი ხელს უწყობს თანამშრომლებს ორგანიზაციის მიმართ ურთიერთობის გაუმჯობესებაში, რადგან ეს გავლენას ახდენს მათ თვითშეფასებაზე, ისინი აცნობიერებენ, რომ ისინი მიეკუთვნებიან ჯგუფს, რომელსაც საზოგადოება პოზიტიურად აფასებს. სწორედ მსგავსი მჭიდრო კავშირის არსებობის პირობებში არის შესაძლებელი იდეალური ბრენდის ფორმირება, იმიჯის გამყარება და შესაბამისად კონკურენტული უპირატესობის უზრუნველყოფაც.

როგორც ავლნიშნეთ იმიჯის ფორმირება საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია, რომელიც ბევრი კომპონენტის ჩართულობას მოიაზრებს. არსებობს მისი ფორმირების სხვადასხვა ელემენტები: საფირმო სტილი - უნიკალური, დასამახსოვრებელი, დადებითი ემოციების გამოძევავი; პირდაპირი და იმიჯური რეკლამა; საზოგადოებასთან ურთიერთობა და მასობრივი ინფორმაციის წყაროებთან მუშაობა - ინფორმაციული სურათის შექმნა; სოციალური ღონისძიებების ჩატარება; სოციალური პასუხისმგებლობა; ქველმოქმედება; ინტერნეტ კომუნიკაციები მომხმარებლებთან; მიმზიდველი, საინტერესო და ინფორმაციით სრულყოფილი ვებ-გვერდები; ბლოგები და ფორუმები; სოციალურ ქსელში არსებულ შეფასებებთან მუშაობა და მომხმარებლის რჩევებსა თუ პრეტენზიებზე დროული და ეფექტური რეაგირება; ღონისძიებების სპონსორობა; ურთიერთობა სხვადასხვა კომპანიებთან, ცნობილ პიროვნებებთან, სხვადასხვა პროექტებში ჩართულობა და სპონსორობა. სწორედ მოცემული გარემოებები წარმოადგენს კომპანიისათვის ეფექტური იმიჯის ფორმირების მნიშვნელოვან გარემოებებს და არა მხოლოდ.



მომხმარებელთა დამოკიდებულება კომპანიასთან მიმართებაში, ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტია დადებითი იმიჯის ფორმირებისათვის. არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებთან მიმართებაში სანდო, მეგობრული და ხელსაყრელი ურთიერთობის დამყარებით, მომხმარებლები გადაიქცევიან თქვენი ბრენდის „ადვოკატებად“. რაც უფრო მეტია მათი რაოდენობა, მით უფრო ადვილია სასურველი რეპუტაციის ფორმირება.

სასურველი და ეფექტური იმიჯის ფორმირების პროცესში შესაძლოა დავდგეთ ისეთი პრობლემების წინაშე, რომელიც კომპანიის მთელს ძალისხმევას და მისი ფორმირებისათვის გაწეულ ხარჯებს წყალში ჩაყრის. მაგალითად: მომხმარებელთა უარყოფითი გამოხმაურებები, დაბალი ხარისხის პროდუქტი, ცუდი მომსახურების თუ არაკვალიფიციური კადრების გამო და მთელი რიგი სხვა მიზეზები. თუმცა, აღმანიშნავია ისიც, რომ ხშირად მომხმარებელთან დაშვებული შეცდომა, რომელსაც თან ახლავს მომხმარებლის უკმაყოფილება და ნეგატიური დამოკიდებულება მათთან მიმართებაში სწორმა დამოკიდებულებამ, თანამშრომლების კეთილგანწყობამ და პროფესიონალიზმმა, კომპანიის მხრიდან პრეტენზიის მიღების და მისი გამოსწორების მზაობამ, შესაძლოა განმუხტოს ბევრი კონფლიქტის გამომწვევი სიტუაცია და კომპანია გადაარჩინოს იმიჯის შელახვას.

არასწორი რეკლამა, ასევე შესაძლოა გახდეს იმიჯის შელახვის წინაპირობა. მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ ამერიკული კომპანია DOVE-ის შემთხვევა. ერთ-ერთ სარეკლამო პოსტერში, კომპანიამ გამოიყენა შავ და თეთრ კანიანი ადამიანები. შავკანიანი ადამიანი კომპანიის მიერ წარმოებული შამპუნის გამოყენების შემდგომ ხდებოდა თეთრკანიანი. მოცემულმა რეკლამამ გამოიწვია დიდი უკმაყოფილება საზოგადოებაში. იგი დაადანაშაულეს რასიზმში, შეამცირა გაყიდვების მოცულობაც და მთლიანობაში, მნიშვნელოვნად შელახა კომპანიის იმიჯიც.

კომპანიის ლიდერების ქმედებებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ კომპანიის როგორც დადებით ასევე უარყოფითი იმიჯის ფორმირებაზე. განვიხილოთ უარყოფითი გავლენის შემთხვევა თიბისი ბანკის მაგალითზე. 2018 წლის 12 ივლისს პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც თიბისი ბანკის მფლობელს გარკვეული რაოდენობის თანხის გათეთრებაში ედებოდა ბრალი და ამ მიმართულებით დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება. მოცემულმა გარემოებამ მნიშვნელოვნად შელახა კომპანიის იმიჯი, რის ფონზეც საზოგადოებაში შემცირდა ნდობა მოცემულ ბანკთან მიმართებაში. მოცემულმა ფაქტმა ასევე უკმაყოფილება და უნდობლობა გამოიწვია კომპანიის უცხოელ აქციონერებშიც.

ნებისმიერ არასწორად გათვლილ ნაბიჯს შეუძლია მთელი რიგი პრობლემების წინაშე დააყენოს კომპანია და დროის მოკლე მონაკვეთში მნიშვნელოვნად შეულახოს იმიჯი. ხშირ შემთხვევაში ეს შეიძლება დროულად აღმოფხვრადი იყოს სწორად შემუშავებული პოლიტიკის ფონზე, ხშირ შემთხვევაში კი დამღუპველიც შესაძლოა აღმოჩნდეს კომპანიისათვის.

იმიჯის შელახვის რისკის წინაშე ნებისმიერი კომპანია შეიძლება დადგეს, იქნება ეს საყოველთაოდ ცნობილი, თუ ნაკლებად ცნობილი. როდესაც, კომპანია SAMSUNG-მა გამოუშვა ახალი ტელეფონი გალაქსი ნოუთ 7, პირველად საზოგადოებაში მან დიდი მოწონება დაიმსახურა, მოდელის ანონსის დღიდან მასზე მოთხოვნამ წინასწარი შეკვეთების რეკორდი მოხსნა სამხრეთ კორეაში და სხვა ქვეყნებში მიწოდების დეფიციტი შექმნა. თუმცა 2016 წელს, ინტერნეტ სივრცეში გავრცელდა კადრები, სადაც მომხმარებლები აჩვენებდნენ თუ როგორ ფეთქდებოდა მოცემული მოდელის ელემენტი. საზოგადოებაში მოცემულ ფაქტს უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა, თუმცა კომპანიამ დროულად გადადგა შესაბამისი ნაბიჯები, გამოითხოვა მოცემული მოდელი, დაზარალებულ მომხმარებლებს აუნაზღაურა ზარალი, ბოდიში მოიხადა საჯაროდ და მოცემული ნაბიჯებით შეძლო არსებული იმიჯის შენარჩუნება და უფრო მეტად წარმოაჩინა თავი, როგორც მომხმარებელზე მორგებული და მათი ინტერესების დამცველი კომპანია.

კომპანიის თანამშრომლის ქცევასაც შეუძლია კომპანიის იმიჯზე გავლენის მოხდენა. მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ ლიბერთი ბანკის შემთხვევა, როდესაც მის თანამშრომლებს

სოლიდური თანხების მითვისებაში ედებოდა ბრალი. მოცემულმა ფაქტმა საზოგადოებაში გამოიწვია უნდობლობა, რის ფონზეც გარკვეულწილად შეილახა კომპანიის იმიჯი და გაჩნდა კითხვები მის სანდოობასთან მიმართებაში, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მოსახლეობის კუთვნილ თანხებს საფრთხე არ ემუქრებოდათ.

მსგავსი შემთხვევები, რომელსაც შეუძლია ნეგატიური გავლენა მოახდინოს კომპანიის იმიჯზე, რა თქმა უნდა ასევე დიდ გავლენას მოახდენს კონკურენტულ უპირატესობაზეც. სწორედ მსგავსი გარემოებებში ხდება ბრენდის ჩანაცვლება და კონკურენტების გაძლიერებაც. ამიტომაც კომპანიის მთელი ძალისხმევა ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვისაკენ უნდა იყოს მიმართული.

არსებული გარემოების პარალელურად მნიშვნელოვანია განვიხილოთ ისეთი კომპანიები, რომლებიც თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე კარგი იმიჯით სარგებლობენ საზოგადოებაში და მუდმივად სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით ცდილობენ უკეთესი და სასურველი იმიჯის ფორმირებას და ამას წარმატებით ართმევენ თავს. მაგალითად, კომპანია Adidas, რომელიც უკვე წლებია აქტიურად არის ორიენტირებული მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებაზე, მუდმივად ითვალისწინებს მომხმარებელთა ინტერესებს, არის სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდის წევრი და პროექტების სპონსორი. თუმცა ბოლო პერიოდში მისი იმიჯის კიდევ უფრო გამყარებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ იგი აქტიურად არის ჩართული პლასტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი თანამშრომლობს კომპანია Parlay-თან, რომლის დახმარებითაც იგი ცდილობს, რომ პლასტიკური ნარჩენები აქციოს მაღალი ხარისხის სპორტულ ტანსაცმლად. გამომდინარე იქედან, რომ ეკოლოგიაზე ზრუნვა და ეკოლოგიური (მწვანე) მარკეტინგი ბოლო დროის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია, კომპანიის მოცემული ქმედება უფრო მეტად ამყარებს მის იმიჯს საზოგადოებაში.

კომპანია Roshen-ი, ერთ-ერთი მოწინავე კომპანიაა, რომელსაც ასევე კარგი იმიჯი აქვს. მიზეზები, რაც მის დადებით იმიჯს განაპირობებს მრავალფეროვანია. იგი ერთ-ერთი მსხვილი სპონსორია ლეიკემიით და გულით დაავადებული ბავშვების მკურნალობისა. ასევე მოწყობილი აქვს არაერთი გასართობი ცენტრი და სკვერი ბავშვებისათვის, სადაც პარალელურად მისი ლოგოც არის განთავსებული, არის სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდების და ობოლთა თავშესაფრის სპონსორი.

თანამედროვე კონკურენტულ გარემოში ასევე კარგი იმიჯით სარგებლობენ ისეთი წარმატებული ბრენდები, როგორცაა Nike, Puma, Starbucks, Coca-cola, Nestle, Sprite - რომლებიც ასევე აქტიურად ჩართულნი არიან მწვანე მარკეტინგის კამპანიაში, სპონსორობაში, ქველმოქმედებაში და სხვა მნიშვნელოვან აქტივობებში, რაც საზოგადოებაში მათი დადებითი იმიჯის ფორმირებას უწყობს ხელს, რაც თავისთავად კიდევ კონკურენტულ უპირატესობას ამყარებს.

მთლიანობაში, კომპანიის ზემოთ განხილული ქმედებები საზოგადოების თვალში ამაღლებს ან პირიქით ამცირებს კომპანიის ღირებულებას, რაც თავისთავად მისი დადებითი თუ უარყოფითი იმიჯის ფორმირებას უწყობს ხელს. გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია, მათი მხრიდან განხორციელდეს გააზრებული და წინასწარ განსაზღვრული ნაბიჯები, უნდა შეფასდეს რისკებიც და მოსალოდნელი საფრთხეებიც, იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ნეგატიური დამოკიდებულება და არ დავდგეთ იმიჯის შელახვის საფრთხის წინაშე.

**საკვანძო სიტყვები:** მარკეტინგი, იმიჯი, კონკურენცია, კონკურენტული უპირატესობა, კორპორატიული იმიჯი.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოტლერი 2003: Kotler P. "Marketing insights from A to Z: 80 Concepts every manager should know about", Canada 2003;
2. კოტლერი 2015: Kotler P. "Principles of Marketing" Canada 2015;
3. [https://televerde.com/about/our-model/?gclid=Cj0KCQjwio6XBhCMARIsAC0u9aGGmcl5VU0z3YtBCHk9rZY9uDyJU8UJwi0MTdRAOUo9ByItjzLy5fAaAjTdEALw\\_wcB](https://televerde.com/about/our-model/?gclid=Cj0KCQjwio6XBhCMARIsAC0u9aGGmcl5VU0z3YtBCHk9rZY9uDyJU8UJwi0MTdRAOUo9ByItjzLy5fAaAjTdEALw_wcB)
4. <https://digitalmarketinginstitute.com/blog/corporate-16-brands-doing-corporate-social-responsibility-successfully>
5. <https://netgazeti.ge/law/581583/>
6. <https://kirulanov.com/kak-sozdat-polozhitelnyj-imidzh-kompanii>
7. <https://core.ac.uk/download/pdf/38023537.pdf>
8. <https://publika.ge/jafaridze-khazaradzis-saqmeze-tbc-bankis-britaneli-aqcioneri-banks-mimartavs/>
9. [https://www.businessperspectives.org/images/pdf/applications/publishing/templates/article/assets/10320/IM\\_2018\\_01\\_Polinkevych.pdf](https://www.businessperspectives.org/images/pdf/applications/publishing/templates/article/assets/10320/IM_2018_01_Polinkevych.pdf)

# საპენსიო პროგრამების აღრიცხვა - ანგარიშგებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

**მანანა მჭედლიშვილი**

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული-პროფესორი  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ქ.თბილისი  
manana.mchedlishvili@ciu.edu.ge

დღეისათვის სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრეს მიზნად ისევ რჩება სიღარიბის შემცირება და მოსახლეობაში სოციალურად დაუცველი ფენის კეთილდღეობის დაცვა. სოციალური დაცვა წარმოადგენს სოციალური პოლიტიკის ძირითად მახასიათებელს, რომელიც გულისხმობს სოციალურად დაუცველ ჯგუფებზე სიღარიბის ზემოქმედების შემსუბუქებას ეკონომიკური ზრდის ხელისშემწყობი ბიზნეს გარემოს შექმნის მეშვეობით, და ღარიბებზე ორიენტირებული კონკრეტული პროგრამების განხორციელებას. საქართველოში არსებული საპენსიო სისტემა ბევრ პრობლემას უქმნის საქართველოს ფინანსურ მდგრადობას და განვითარების პერსპექტივებს. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენს ქვეყანაში დღის წესრიგის დგას აპრობირებული საპენსიო სისტემის ჩამოყალიბება. რომელიც ეყრდნობა დაგროვებით სქემას. რეფორმების წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელია სწორი საპენსიო პოლიტიკა, საპენსიო საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა. აუცილებელია კანონით დარეგულირდეს დასაქმებული ადამიანების უფლებები და მოვალეობები, სამუშაო დღეების გამოთვლის პრინციპები, სამუშაო გამოცდილება, შემოსავლები და ხარჯები.

საპენსიო სისტემის განვითარების ეფექტი ფინანსურ სისტემაში გულისხმობს ძალიან დიდი მოცულობის გრძელვადიანი ფინანსური და საინვესტიციო რესურსის გაჩენას, ვინაიდან თავად საპენსიო პროგრამები არის მრავალწლიანი პროგრამები და შესაბამისად გაიზრდება საქართველოს ფინანსური სისტემის სტაბილურობა და ლიკვიდურობა. კერძო ბიზნესის საპენსიო პროგრამების მართვა შეუძლებელია ფინანსური ინფორმაციის გარეშე, რომლის დამუშავება და მიწოდება ბუღალტრული აღრიცხვით ხორციელდება.

საპენსიო ფონდების შექმნისა და გამოყენების ფინანსური კონტროლისათვის უმნიშვნელოვანესია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით (ბასს) მათი სწორი აღრიცხვა და ანგარიშგება. საპენსიო ფონდების ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგებაში ასახვისათვის უნდა გამოვიყენოთ:

ბასს 19 დასაქმებულთა გასამრჯელოები-რომელიც ეხება საპენსიო უზრუნველყოფის ხარჯების განსაზღვრას იმ დამქირავებელთა ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებსაც აქვთ შესაბამისი პროგრამები და ბასს 26 საპენსიო პროგრამების ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება-რომლის მოქმედების სფერო ეხება საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამების ანგარიშგებას, სადაც ასეთი ანგარიშგება მზადდება.

შრომითი საქმიანობის დამთავრების შემდეგომი გასამრჯელოების საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამები შესაძლოა არსებობდეს: **დადგენილ შენატანიანი პროგრამა და**

## **დადგენილ გადასახდელიანი პროგრამა.**

**დადგენილ შენატანიანი პროგრამაში** საწარმოს შენატანი არის დადგენილი და იხდის მათ დადგენილ პერიოდში. ყოველი პერიოდის ვალდებულება განისაზღვრება იმ შენატანების სიდიდით, რომლის გადახდა საწარმოს ეკუთვნის. შენატანები, რომლებიც ექვემდებარება გადახდას მიმდინარე პერიოდში მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება ხარჯად, თუ სხვა ბასს არ მოითხოვს ან ნებას არ რთავს, რომ შენატანი ჩართულ იქნეს აქტივის თვითღირებულებაში. ხოლო ბალანსში აღიარდება ან ვალდებულებად ან აქტივად (წინასწარ გადახდა). ბალანსში ვალდებულება აისახება არადისკონტირებული ღირებულებით, ხოლო თუ ვალდებულება დაიფარება 12

თვის შემდეგ, მაშინ აისახება დისკონტირებული ღირებულებით (საბაზრო საპროცენტო განაკვეთით).

**დადგენილ გადასახდელიანი საპენსიო პროგრამისას** მომავალი ვალდებულებების წარმოქმნის და დაფარვის რისკი გადასულია დამქირავებელზე. საწარმო ვალდებულია ყოფილი და არსებული თანამშრომლები უზრუნველყოს შეთანხმებული გასამრჯელოებით. დადგენილ გადასახდელიანი საპენსიო პროგრამები შეიძლება არ ფინანსდებოდეს, ან ფინანსდებოდეს მთლიანად ან ნაწილობრივ საწარმოს მიერ ან ზოგჯერ მომუშავეთა შენატანებით დამოუკიდებელ ერთეულში ან ფონდში, რომელიც ანგარიშვალდებული საწარმოსაგან იურდიულად დამოუკიდებლად არსებობს და საიდანაც მომუშავეები იღებენ პენსიას. საწარმომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება თუ როგორი სახით დააფინანსოს პროგრამა, უნდა შეაფასოს თავისი ვალდებულებები და დაითვალოს ფულადი საშუალებები, რომელიც ყოველწლიურად უნდა გადარიცხოს ფონდში. დადგენილი გადასახდები გროვდება საპენსიო ფონდში, წარმოადგენს მის აქტივებს და შემდგომ გაიცემა პენსიებად. გადახდიდან გაცემამდე პერიოდში თავისუფალი სახსრები ინვესტირდება შემოსავლების მიღების მიზნით.

ამრიგად, საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამები არსებობს დადგენილ შენატანიანი და დადგენილ გადასახდელიანი, ან ცალკე ფონდის სახით, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს დამოუკიდებელი სამართლებრივი სტატუსი. ყავდეს ან არ ჰყავდეს ნდობით აღჭურვილი მესაკუთრე, რომელიც გადარიცხავს შენატანებს და რომლიდანაც გადაიხდება პენსიები, აღნიშნულ საპენსიო ფონდებზე უნდა შედგეს ფინანსური ანგარიშგება:

დადგენილ შენატანიანი პროგრამის ფინანსური ანგარიშგება უნდა შეიცავდეს ანგარიშგებას სახეზე არსებული დახმარებების წმინდა აქტივების შესახებ და ფონდის დაფინანსების პოლიტიკის აღწერას. მისი მიზანია პერიოდულად ხდებოდეს ინფორმაციის წარდგენა პროგრამისა და მისი ინვესტიციების შედეგების შესახებ.

აღნიშნული მიზნის მიღწევა, ჩვეულებრივ, შესაძლებელია ისეთი ანგარიშგების წარდგენით, რომელიც მოიცავს:

☒ საანგარიშგებო პერიოდის საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებების ნებისმიერი ცვლილებების შედეგების აღწერას, რომელიც ეხება პროგრამას, მონაწილეებს, ვალებსა და პირობებს.

☒ ანგარიშგებას საანგარიშგებო პერიოდის ოპერაციებისა და ინვესტიციების შედეგების, აგრეთვე პროგრამის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, საანგარიშგებო პერიოდის დასასრული-სათვის.

☒ საინვესტიციო პოლიტიკის აღწერას.

დადგენილ გადასახდელიანი პროგრამის ანგარიშგება უნდა მოიცავდეს:

ა) ანგარიშგებას, რომელშიც ასახული იქნება: დახმარების გაწევისათვის არსებული წმინდა აქტივები, დათქმული დახმარებების აქტუარული დისკონტირებული ღირებულება, სადაც გამიჯნული იქნება გარანტირებული და არაგარანტირებული დახმარებები, საბოლოო ნამეტი ან ლეფიციტი, ან ბ) ანგარიშგებას დახმარებების გაწევისათვის არსებული წმინდა აქტივების შესახებ, სადაც მოცემული იქნება: ანგარიშგება დათქმული საპენსიო დახმარებების აქტუარული დისკონტირებული ღირებულების შესახებ, სადაც გამიჯნული იქნება უკვე გარანტირებული და არაგარანტირებული დახმარებების თანხები, ან აღნიშნულ ინფორმაციაზე თანმხლები აქტუარული ანგარიშგების მითითება.

ამრიგად, როგორი სახითაც არ უნდა შედგეს ფინანსური ანგარიშგება, მის მომხმარებლებს უნდა მიეცეთ საპენსიო ვალდებულებების საპენსიო პროგრამის აქტივებთან შედარების საშუალება.

**საკვანძო სიტყვები:** საპენსიო პროგრამა, ბასს 19, ბასს 26, დადგენილი შენატანები, დადგენილი გადასახდელი, წმინდა აქტივები.

# საზოგადოებასთან ურთიერთობა დემოკრატიული მმართველობის ფორმირების პროცესში

მარინე კობალავა

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
marine.kobalava@tsu.ge

ნაშრომში გაანალიზებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის კომპონენტები და ფუნქციები, საზოგადოებასთან ურთიერთობა შეფასებულია როგორც მართვის მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომლის გამოყენებაც ხელს შეუწყობს დემოკრატიული მმართველობის პროცესს. დასაბუთებულია მოსაზრება, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებმა საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ურთიერთობის განვითარებისათვის უნდა შეიმუშაონ საზოგადოებრივ ინტერესებზე გათვლილი სამართლებრივი, საკანონმდებლო და სოციალური პოლიტიკა. ამასთან, ფორმირებულია ჰიპოთეზა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის მაღალი კულტურა, თავის მხრივ, განსაზღვრავს დემოკრატიის მაღალ ხარისხს ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში. ბიბლიოგრაფიული კვლევისა და შესაბამისი მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით არგუმენტირებულია დებულება, რომ დღევანდელ საქართველოში საზოგადოებასთან ურთიერთობა საზოგადოების განვითარებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშემწყობი ფაქტორია.

ნაშრომში გამოვლენილია საქართველოში საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროს განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები და შემოთავაზებულია მისი დაძლევის გზები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების მოვალეობებსა და ვალდებულებებზე, მიჩნეულია, რომ ამ სამსახურებმა საზოგადოებასთან ერთად მონაწილეობა უნდა მიიღონ სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებასა და დემოკრატიული მმართველობის ფორმირებაში. ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილია საზოგადოებაში ამაღლდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის კულტურა და გაჩნდეს მოტივაცია საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროს შემდგომი განვითარებისათვის. ასევე, საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარების ერთ-ერთ გზად შემოთავაზებულია საზოგადოების ნდობის მოპოვება სანდო ინფორმაციის გავრცელებით.

ნაშრომში შეფასებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის მნიშვნელობა კორპორატიული მმართველობის სრულყოფაში და დასაბუთებულია მისი განვითარების ვალიდური პირობები.

სტატიამში გაანალიზებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული პოზიტიური და ნეგატიური შედეგები. დასაბუთებულია, რომ კორონავირუსით გამოწვეულმა მოვლენებმა განაპირობა მომხმარებლებისა და ბიზნესის მხრიდან ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებზე მოთხოვნის ზრდა. ნაშრომში შეფასებულია დისტანციურად მუშაობის პირობებში საზოგადოებასთან ელექტრონული ურთიერთობის როლი და მნიშვნელობა.

ნაშრომში გაანალიზებულია პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების პირობებში მომხმარებლებისა და ბიზნესის მხრიდან საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების შესაძლებლობები. დასაბუთებულია, რომ ელექტრონული პიარის ფართო მასშტაბით დანერგვა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება დადებით გავლენას მოახდენს დემოკრატიულ მმართველობასა და კომპანიების საქმიანობის ეფექტიანობაზე.

გაკეთებულია დასკვნა, რომ პერსპექტივაში ინტერნეტტექნოლოგიების განვითარება გამოიწვევს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ელექტრონული პიარის მიმართ და უზრუნველყოფს დემოკრატიული მმართველობის შემდგომ განვითარებას.

**საკვანძო სიტყვები:** საზოგადოებასთან ურთიერთობა, დემოკრატიული მმართველობა, საზოგადოებასთან ურთიერთობის კომპონენტები, საზოგადოებასთან ურთიერთობის კულტურა, ელექტრონული პიარი.

## ქვევითი ეკონომიკის გამოყენება საჯარო და კერძო სექტორში

**მარინე ნაცვალაძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ეკონომიკის დოქტორი  
ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი  
[marine.natsvaladze@tsu.ge](mailto:marine.natsvaladze@tsu.ge)

Covid-19-მა პანდემიამ გამოიწვია უპრეცედენტო ცვლილებები ადამიანების სოციალურ და ეკონომიკურ ქცევაში, როდესაც ადამიანებს უწევდათ ერთდროული ბრძოლა როგორც ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის, ასევე საარსებო წყაროს საძებნელად. აღმოჩნდა, რომ ქვევითი ეკონომიკა უადრესად აქტუალურია Covid-19 პანდემიის დროს ეკონომიკური აგენტების ქცევის ასხნაში, „ახალი ნორმის“ პირობებში, რათა წარმოაჩინოს ადამიანის რეალური ეკონომიკური ქცევა.

ქვევითი ეკონომიკა თანამედროვე ეკონომიკაში მნიშვნელოვანი პარადიგმაა და მან რევოლუციური გზით შეცვალა ეკონომიკის თეორიის სტანდარტები და რაციონალური გადაწყვეტილებების ნაცვლად გვთავაზობს გადაწყვეტილებების მიღებისა და მართვის მეტად რეალისტურ ალტერნატივებს - ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს არა რაციონალურ და მათემატიკურ გათვლებს, არამედ ადამიანური ქცევის მოდელების შესწავლას, მიზეზთა ანალიზსა და იმის გათვითცნობიერებას, თუ როგორ ფიქრობენ ადამიანები და როგორ შეიძლება გადაწყვეტილების მიღების პროცესში შინაარსის თუ გარემოს ცვლილებით მოვასდინოთ ზეგავლენა მათ არჩევანზე, არჩევანის შეზღუდვის გარეშე (ქვევითი ეკონომიკის „ბიძგების“ გამოყენება - „Nudge Theory“).

Covid-19-ის პანდემიამ წამოჭრა რამდენიმე საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ რეაგირებენ ბაზრის მონაწილეები გლობალურ პანდემიაზე. Covid-19-ის პანდემიამ შეძლო სწრაფად გავრცელება მთელს მსოფლიოში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საჭირო იყო უკიდურესი ზომები მის კონტროლის ქვეშ მოქცევისთვის. მთელ მსოფლიოში მთავრობების პოლიტიკამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკაზე. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით დღის წესრიგში დადგა ბაზრის მონაწილეების ეკონომიკური ქცევის შესწავლის საკითხი პანდემიის პირობებში.

რაციონალურობაზე დაფუძნებული რეალური ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღება, როგორც ჩანს, უკიდურესად რთულია ყველა ეკონომიკური აგენტისთვის Covid-19 პანდემიის პირობებში. ამიტომ, როდესაც ეკონომიკური აგენტები აწყდებიან პანდემიის მიერ შექმნილ უკიდურესად რთულ მდგომარეობას, რაციონალური ეკონომიკური გადაწყვეტილებები, სავარაუდოდ, არაეფექტიანი ან არაქმედითუნარიანი ხდება და, შესაბამისად, ქვევითი ეკონომიკის სფეროში აღწერილი „შეზღუდული რაციონალურობის“ პრინციპი შეიძლება უმოქმედო გახდეს პანდემიის შედეგების შერბილების სტრატეგიის განხორციელებისას.

სტატიაში განხილულია „ბიძგის თეორია“ („Nudge Theory“) გამოყენება საჯარო და კერძო სექტორში ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისას სტიმულების ამოქმედებისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** ქვევითი ეკონომიკა, ეკონომიკური პოლიტიკა, „წაბიძგების თეორია“, სტიმულები, ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღება.

## ელექტრონულ მმართველობაზე მოქმედ ფაქტორთა ანალიზი და მისი განვითარების კონკრეტული მოდელის შემუშავება

**მზია კიკნაძე**

პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
m.kiknadze@gtu.ge

**დავით კაპანაძე**

პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
david@gtu.ge

**თალიკო ჟვანია**

პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
talizhvania@gtu.ge

**ლილი პეტრიაშვილი**

პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
l.petriashvili@gtu.ge

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა სახელმწიფოთა მართვის სისტემები. ტექნოლოგიურმა პროგრესმა გამოიწვია სახელმწიფოების მართვის პრინციპებში ცვლილებები. თითოეული სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა ელექტრონული მმართველობის განვითარების საკითხი. ელექტრონული მმართველობა დაფუძნებულია ინფორმაციისა და კომუნიკაციათა ტექნოლოგიების გამოყენებაზე ქვეყნის მართვის პროცესში და უკავშირდება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს.

ისევე, როგორც მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში, ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა და იდგმება საქართველოშიც. საქართველოსათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ელექტრონული მმართველობის მდგრადი სისტემის დანერგვა/განვითარება, რომელიც საშუალებას მისცემს, განხორციელდეს ეფექტიანი მმართველობა ქვეყნის მასშტაბით.

ელექტრონული მმართველობის სისტემა წარმოადგენს ძნელად ფორმალიზებად, რთულ ორგანიზაციულ სისტემას, ამიტომ მისი კვლევის პროცესში შესაძლებელია, გამოყენებული იქნეს ორგანიზაციულ-ინტელექტუალური სისტემების კვლევის მეთოდები. ნაშრომში ელექტრონული მმართველობის სისტემის კვლევისთვის სწორედ აღნიშნული მეთოდოლოგიაა გამოყენებული. რთული სისტემების ეფექტურად მართვისა და ფუნქციონირებისთვის საჭიროა, ავადგოთ სისტემის კონკრეტული მოდელი, ჩამოვყალიბოთ სისტემის ფუნქციონირების ალტერნატიული სცენარები და ამ სცენარებიდან შევარჩიოთ საუკეთესო.

ელექტრონული მმართველობის, როგორც რთული, ძნელად ფორმალიზებადი სისტემის დინამიკა დაკავშირებულია მასზე მოქმედი ფაქტორების ურთიერთქმედებასთან. ფაქტორების ზეგავლენის მიუხედავად, ელექტრონული მმართველობის სისტემამ ყოველთვის უნდა შეინარჩუნოს საკუთარი თვისობრივი მახასიათებლები, როგორც სახელმწიფოს მდგრადი განვითარების ინსტრუმენტმა.

ნაშრომში შემოთავაზებულია ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ელექტრონული მმართველობის მდგრადობაზე. აგებულია კონკრეტული მოდელი. კონკრეტული მოდელირების პროცესში განსაზღვრულია მიზნობრივი, მმართველი და გარე ფაქტორები. განსაზღვრულია კონკრეტული ანალიზისა და სიტუაციის განვითარების მოდელირების პროცესის ეტაპები, რომლებიც მოიცავს: არსებული სიტუაციისთვის სისტემის კონცეპტუალურ კვლევას, სიტუაციის კონკრეტული მოდელის აგებას, ფაქტორებს შორის ურთიერთდამოკიდებულების დადგენას და სიტუაციის სტრუქტურულ-მიზნობრივ ანალიზს.

ჩვენ მიერ აგებულ მოდელში მიზნის ვექტორის პარამეტრების ცვლილებით გამოკვლეულია სიტუაციის განვითარების სტრატეგიული მიზანი; მართვის ვექტორით შესაძლებელია მოდელში



პროცესების მართვა; ფაქტორთა ცვლილების ვექტორით განხორციელებულია მიზნობრივ-ფაქტორული ანალიზი. მმართველი სიტუაციის ძებნის ალგორითმის გამოყენებით შესაძლებელია, გათამაშდეს სხვადასხვა სცენარი და ამ სცენარებიდან აირჩეს საუკეთესო.

**საკვანძო სიტყვები:** ელექტრონული მმართველობა, კოგნიტური მოდელი, მიზნობრივ-ფაქტორული ანალიზი.

**Keywords:** e-government, cognitive model, target factor analysis.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Z.Gasitashvili, M. Kiknadze, T.Zhvania, D. Kapanadze. Factors Affecting Sustainable Development and Modelling, Publisher: Springer International Publishing Published in: Recent Developments in Mathematical, Statistical and Computational Sciences, 2021 Print ISBN 978-3-030-63590-9 Online ISBN 978-3-030-63591-6 DOI
2. A.Prangishvili, O. Namicheishvili, Z. Gasitashvili, D. Verulava, M. Kiknadze, Conceptual Approach to Regional Development of Georgia, Novapublishers, Information and Computer Technology, Modeling and Control, Chapter 32, ISBN: 978-1-53612-075-2, 2017 .
3. Myungsan J., "Blockchain Government: A next form of infrastructure for the twenty-first century", Alma, 2018, 238p.
4. Uditsky S. A.. Vladislavlev P. N. The Basics of Predesign Analysis of the Organizational Systems . M. «Finances and Statistics». 2005
5. Gasitashvili Z., Rodonaia I, Kiknadze M. Building of research model for region stable development. XII All-Russian Conference on Management Problems. 2014

# საგადასახდელო ბალანსის ელემენტების ზეგავლენა ეკონომიკაზე

**შუია შავაძე**

ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი, წმიდა ტბელ  
აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო  
Email: [m.shavadze44@gmail.com](mailto:m.shavadze44@gmail.com)

**ლამა ბერიძე**

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,  
წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტი  
საქართველოს  
Email: [lashalasha0103@gmail.com](mailto:lashalasha0103@gmail.com)

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკის კომიტეტი შეიქმნა IMF-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ 1992 წლის თებერვალში. თავდაპირველად მისი მთავარი მიზანი იყო გაეწია ზედამხედველობა და გაეცა რეკომენდაციები მსოფლიოს საგადასახდელო ბალანსის დისბალანსისა და ფინანსური ნაკადების აღრიცხვის შესახებ. კომიტეტის მანდატი წლების განმავლობაში თანდათან ფართოვდებოდა. თავდაპირველად იგი გასცემდა რეკომენდაციებს გარე სექტორის სტატისტიკის მეთოდოლოგიური სტანდარტების დადგენის შესახებ, ცდილობდა გაუმჯობესებინა საგადასახდელო ბალანსის ხელმისაწვდომობა, თანმიმდევრულობა, სანდოობა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის (IIP) სტატისტიკის წარმოება, ცდილობდა ფინანსური ურთიერთდაკავშირებისა და ბალანსის ანალიზის შესახებ მონაცემთა ხარვეზების აღმოფხვრას, ხელი შეუწყოს მონაცემთა შეგროვებისა და გავრცელების კოორდინაციას ქვეყნებს შორის და სტატისტიკის გაცვლის ხელშეწყობას.

საგადასახდელო ბალანსი არის მაკროეკონომიკური სტატისტიკური ანგარიში, რომელშიც მოცემულია ქვეყნის ყველა ტრანზაქცია, რომელიც განხორციელდა ერთ ქვეყანასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის, დროის გარკვეულ მონაკვეთში (კვარტალი, წელიწადი და ა.შ.). ბალანსში შეჯამებულია ყველა ტრანზაქცია, რომლებსაც მოცემული ქვეყნის ფიზიკური პირები, კომპანიები და სამთავრობო ორგანოები ახორციელებენ ქვეყნის გარეთ. საგადასახდელო ბალანსი გვიჩვენებს ფულად ტრანზაქციებს ქვეყანასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის. შეიძლება ითქვას, რომ ის ქვეყნის ბუღალტრული ბალანსია. იგი მოიცავს საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის იმპორტსა და ექსპორტს, ასევე სატრანსფერო გადახდებს, როგორცაა საგარეო დახმარება და ფულადი გზავნილები სხვა ქვეყნიდან.

საგადასახდელო ბალანსი და მისი ელემენტები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ეკონომიკასა და სხვადასხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებელზე, ამიტომ მნიშვნელოვანია, ზეგავლენის ფაქტორების კვლევა შესაბამისი სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტატიაში დასმულია საკითხი-ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც:

## **ჰიპოთეზა**

H<sup>0</sup>: მიმდინარე ანგარიშის ბალანსი, საგარეო ვალი და უცხოური გზავნილები გავლენას ახდენს ქვეყნის ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებაზე.

H<sup>1</sup>: მიმდინარე ანგარიშის ბალანსი, საგარეო ვალი და უცხოური გზავნილები გავლენას არ ახდენს ქვეყნის ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებაზე.

წარმოდგენილი ჰიპოთეზის გამოკვლევისათვის ჩატარებული კვლევის შედეგების განხილვა და შეჯამება მოგვცემს საშუალებას შედარებით მტკიცებით ფორმამი ვასაბუთოთ გარკვეული მოსაზრებები, რათქმუნდა აღნიშნულთან ერთად მუდმივად არის საჭირო, ქმედითი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა, რაც მიმართული იქნება საერთო ჯამში საგადასახდელო ბალანსის დადებითი სალდოს მიღებისათვის, იგივე ექსპორტის ხელშეწყობი პროექტების დაფინანსება, მეტი მომსახურების გაწევა, მეტი საინვესტიციო პროექტების შეთავაზება, ყოველივე აღნიშნული მოითხოვს, კომპლექსურ მიდგომას სახელმწიფოს და არამარტო სახელმწიფოს მხრიდან.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკის კომიტეტის 2021 წლის ანგარიშში გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, მიმდინარე ანგარიშის ასიმეტრია გაიზარდა 2020 წელს, რაც ნაწილობრივ გაუარესდა იმ გამოწვევებით, რომელთა წინაშეც დგას ეკონომიკა - განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის მქონე და განვითარებადი ქვეყნები (EMDE) - პანდემიის გამო. გლობალური მიმდინარე ანგარიშის ბალანსი (ასახავს სხვაობას მიმდინარე ანგარიშის მიღებებსა და გადახდებს შორის) თანმიმდევრულად დადებითი იყო 2014–20 წლებში. ბალანსი გაიზარდა 14,8%-ით 450,6 მლრდ აშშ დოლარამდე - 2020 წელს, 2019 წელს 392,6 მლრდ აშშ დოლართან შედარებით, ანუ გლობალური მშპ-ს 0,4-დან 0,5 პროცენტამდე. მიუხედავად იმისა, რომ ასიმეტრიამ 2020 წელს მნიშვნელოვანი შემცირება აჩვენა მოწინავე ეკონომიკებისთვის 2019 წელთან შედარებით (209,3 მლრდ აშშ დოლარამდე 363,5 მლრდ აშშ დოლარიდან), გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკებისთვის ძალიან დიდმა ზრდამ გამოიწვია უფრო დიდი გლობალური ასიმეტრია 2020 წელს. 2020 წელს (როგორც 2014 წლიდან ყოველ წელს), მთლიანი მიმდინარე ანგარიშის ბალანსის ზრდა გამოწვეული იყო საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის დადებითი ბალანსით (ექსპორტი ქარბობდა იმპორტს), ხოლო პირველადი და მეორადი შემოსავლების ნაშთები დარჩა უარყოფითი. გლობალური მიმდინარე ანგარიშის ბალანსი 2020 წელს შეადგინდა მთლიანი მიმდინარე ანგარიშის ყველა ტრანზაქციის (კრედიტებს დამატებული დებეტები) 0,8 პროცენტს, ხოლო 2019 წლის 0,6%.

წარმოვადგენთ რამოდენიმე ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის მონაცემებს. აშშ-ს საგადასახდელო ბალანსი ბოლო ათწლეულების განმავლობაში მუდმივად დეფიციტურია. ბოლო პერიოდში კი დეფიციტი განსაკუთრებით გაიზარდა. 2019 წელს საგადასახდელო ბალანსის დეფიციტმა შეადგინა 498.4 მლრდ აშშ დოლარი, რაც მკვეთრად გაიზარდა პანდემიის შემდეგ: 2020 – 1390.8 მლრდ და 2021 – 1508.7 მლრდ.

თურქეთის საგადასახდელო ბალანსი ბოლო ათწლეულების განმავლობაში მკვეთრად იცვლება, თუმცა მუდმივად დეფიციტურია. გამონაკლისი 2019 წელი იყო, როცა ბალანსის პროფიციტმა 39.303 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. მაგრამ პანდემიურმა სიტუაციამ მეტად დააზარალა თურქეთის ეკონომიკა და 110.84 მლრდ აშშ დოლარით შეამცირა საგადასახდელო ბალანსი. 2020 წელს საგადასახდელო ბალანსის დეფიციტმა 71.537 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. გასულ წელს გაგრძელდა საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის ზრდა და 77.693 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა.

საქართველოში საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკის წარმოება დაიწყო 1995 წელს და 2007 წლიდან მასზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ეროვნული ბანკი. საქართველოს საგადასახდელო ბალანსი, საერთაშორისო სავალუტო პოზიცია და საგარეო ვალი აღირიცხება ყოველ კვარტალში და ეროვნული ბანკი აქვეყნებს აღნიშნულ მონაცემებს. სამწუხაროდ, აღნიშნულ სტატისტიკაში არ არის მოცემული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მონაცემები. დღეისათვის საქართველოს საგადასახდელო ბალანსის წარმოება ხდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის "საგადასახდელო ბალანსის სახელმძღვანელო, მეექვსე რედაქციის" (BPM6) შესაბამისად.

2020 წლამდე საქართველოს საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის შემცირების ტენდენცია ახასიათებდა. 2019 წელს ბალანსის დეფიციტი შემცირდა 913.04 მლნ აშშ დოლარამდე, თუმცა პანდემიურმა სიტუაციამ გააორმაგა დეფიციტი და 2020 წელს საქართველოს საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი გახდა 1924.57 მლნ აშშ დოლარი. რაც ძირითადად მიმდინარე და ფინანსური ანგარიშების დეფიციტის ზრდით იყო განპირობებული. რაც შეეხება გასულ წელს, დეფიციტი 9%-ით შემცირდა და 1795.94 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2021 წელს საქონლის იმპორტი მკვეთრად გაიზარდა და 9297.2 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. საქონლის ექსპორტის ზრდასაც ქონდა ადგილი, თუმცა შედარებით ნაკლები მოცულობით. რამაც განაპირობა ბოლო წლებში პირველად საქონლის ბალანსის დეფიციტის ზრდა (3757.86 მლნ აშშ

დოლარი) და თითქმის გაუტოლდა 2019 წლის მაჩვენებელს. 2021 წელს საქონლის ბალანსისგან განსხვავებით მომსახურების ბალანსის მაჩვენებელი არ გატოლდება 2019 წლის მაჩვენებელს და 724.04 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა. ეს ბუნებრივიცაა რადგან პანდემიამ ყველაზე დიდი ზიანი მაინც მომსახურების სფეროს მიაყენა და 2021 წელს გარკვეული შეზღუდვები მაინც მოქმედებდა.

პირველადი შემოსავლების სტრუქტურასაც გარკვეული დამახასიათებელი დინამიკა გააჩნია, 2015 წლიდან შრომის ანაზღაურების ბალანსი ნელი ტემპით იზრდება და 2019 წელს იგი 806.6 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. თავისთავად პანდემიის დროს მკვეთრად დაეცა ეს მაჩვენებელი და თითქმის განახევრდა (488.2 მლნ აშშ დოლარი). მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელს ქვეყნის ეკონომიკამ უკვე დაიწყო გამოცოცხლება, შრომის ანაზღაურების ბალანსის შემცირება გაგრძელდა და 462.59 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. საინვესტიციო შემოსავლები მუდმივად დეფიციტურია და დროთა განმავლობაში თანდათან იზრდებოდა, 2020 წელს საინვესტიციო შემოსავლების დეფიციტი 1222.67 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა (შემცირდა 22.7%-ით). ეს კი ძირითადად განპირობებული იყო პირდაპირი ინვესტიციების დეფიციტის შემცირებით (შემცირდა 34.4%-ით). რაც შეეხება მეორადი შემოსავლების სტრუქტურას, აღსანიშნავია, რომ 2020 წელს 4%-ით გაიზარდა საქართველოდან გზავნილების მოცულობა წინა წელთან შედარებით (გაუტოლდა 247.36 მლნ აშშ დოლარს). ზრდა 2021 წელსაც გაგრძელდა და უცხოური გზავნილების მოცულობამ საქართველოში შეადგინა 2349.56 მლნ აშშ დოლარი (19.7%-ით გაიზარდა), საქართველოდან განხორციელებული გზავნილების მოცულობა კი 317.87 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 28.1%).

კაპიტალის ანაგარიში კაპიტალური ტრანსფერების ძირითადი ნაწილი ბოლო წლებში მოდიოდა სამთავრობო სექტორზე. 2019 წელს კაპიტალური ტრანსფერების კრედიტის 89.7% სამთავრობო სექტორში განხორციელდა. 2020 და 2021 წლებში ეს მაჩვენებელი შემცირდა შესაბამისად 68.5%-მდე და 71.4%-მდე.

ფინანსული ანგარიში მუდმივად დეფიციტურია და რთულია გამოკვეთო მისი შემცირების ან ზრდის დინამიკა. 2019 წელს წინა წელთან შედარებით მისი დეფიციტი შემცირდა 78.6%-ით და 957.79 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. პანდემიის დროს კი 109%-ით გაიზარდა (2001.69 მლნ აშშ დოლარი). გასულ წელს კი შემცირდა 11.4%-ით (1772.77 მლნ აშშ დოლარი).

თეორიული მასალისა და სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკური მონაცემების გაცნობის და გამოკვლევის შემდეგ, მოხდება თემის შეჯამება და წინადადების შემუშავება, საკვლევ საკითხთან მიმართებით, რომელიც გამყარებული იქნება კორელაციურ-რეგრესული ანალიზის შედეგებით.

**საკვანძო სიტყვები:** საგადასახდლო ბალანსი, ეკონომიკა, ტრანსფერები, ინვესტიციები, ექსპორტი, იმპორტი

#### გამოყენებული ლიტერატურა:

Bureau of Economic Analysis. (2020, March 19). *Bureau of Economic Analysis*. Retrieved from U.S. International Transactions, Fourth Quarter and Year 2019: [shorturl.at/btM16](https://www.bea.gov/shorturl/at/btM16)

Chen, J. (2020, March 18). *Investopedia*. Retrieved May 5, 2022, from Portfolio Investment: <https://www.investopedia.com/terms/p/portfolio-investment.asp>

Heikal, r. (2022, April 03). *Investopedia*. Retrieved April 28, 2022, from What Is the Balance of Payments?: <https://www.investopedia.com/insights/what-is-the-balance-of-payments/>

IMF. (2021, February 1). *IMF*. Retrieved from IMF COMMITTEE ON BALANCE OF PAYMENTS STATISTICS 2021 ANNUAL REPORT: <https://www.imf.org/external/pubs/ft/bop/2019/32.htm>

Kenton, W. (2020, October 14). *Investopedia*. Retrieved May 5, 2022, from Direct Investment: <https://www.investopedia.com/terms/d/direct-investment.asp>

Statistic Finlend. (2018, December 31). *Statistic Finlend*. Retrieved from Financial derivatives: [https://www.stat.fi/meta/kas/johdannaiset\\_en.html](https://www.stat.fi/meta/kas/johdannaiset_en.html)

The World Bank. (2022, March 01). *The World Bank*. Retrieved from Current account balance (% of GDP) - Turkey, Argentina, Indonesia, South Africa: [shorturl.at/fnszW](https://shorturl.at/fnszW)

Traiding Economics. (2022, March 1). *Traiding Economics*. Retrieved from Georgia Current Account: <https://tradingeconomics.com/georgia/current-account>

ლაკიბაია, ს. (2019, June 01). საქართველოს საგადასახდელო ბალანსი და ქვეყნის ეკონომიკის აქტუალური საკითხები. თბილისი, თბილისი, საქართველო. Retrieved March 09, 2022

[shorturl.at/enzLS](https://shorturl.at/enzLS)

საქართველოს ეროვნული ბანკი. (2021, December 30). *საქართველოს ეროვნული ბანკი*. Retrieved from საქართველოს საგადასახდელო ბალანსი (2021 წელი, მესამე კვარტალი): [shorturl.at/nLW57](https://shorturl.at/nLW57)

საქართველოს ეროვნული ბანკი. (2022, March 31). *საქართველოს ეროვნული ბანკი*. Retrieved from საქართველოს საგადასახდელო ბალანსი (2021 წელი, მეოთხე კვარტალი): [shorturl.at/nzFMX](https://shorturl.at/nzFMX)

საქართველოს ეროვნული ბანკი. (2022, March 31). *საქართველოს ეროვნული ბანკი*. Retrieved May 10, 2022, from სტატისტიკური მონაცემები: <https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data?title=&code=bop>

საქართველოს ეროვნული ბანკი. (2022, June 15). *საქართველოს ეროვნული ბანკი*. Retrieved June 26, 2022, from სტატისტიკური მონაცემები: [shorturl.at/aqNOX](https://shorturl.at/aqNOX) საქართველოს ეროვნული ბანკი. (2022, June 01). *საქართველოს ეროვნული ბანკი*. Retrieved June 29, 2020, from სტატისტიკური მონაცემები: <https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data>

## რისკები აგროტურიზმში

### *მურმან ცეცხლაძე*

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,  
საქართველო, ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
E-mail: murman.tsetskhladze@bsu.edu.ge

### *სალომე სულაბერიძე*

მოწვეული მასწავლებელი, დოქტორანტი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
E-mail: Salome.sulaberidze1900@gmail.com

აგროტურისტული საქმიანობა ზოგჯერ გარკვეულ რისკებთანაცაა დაკავშირებული, რომლებიც, პირობითად, შეიძლება შემდეგ სახეებად დავყოთ:

კვებასთან დაკავშირებული რისკები - საკვები უნდა იყოს ვიზიტორებისათვის გემრიელი და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო. სწორად შერჩეული სურსათი არა მარტო უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანის სიცოცხლისათვის აუცილებელ ფიზიოლოგიურ მოთხოვნებს, არამედ უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა და მიკროორგანიზმებისაგან (პარაზიტები, ბაქტერიები, ვირუსები და სოკოები) დაცული. განსაკუთრებით, როცა საქმე გვაქვს მაღალი რისკის შემცველი ისეთ საკვებ პროდუქტების გამოყენებასთან როგორებიცაა - ხორცეული: ფრინველის ხორცი, თევზი, გარკვეული სახეობის მარცვლეული და ბოსტნეული, სადაც მიკროორგანიზმები უფრო სწრაფად მრავლდება.

გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული რისკები - ჰაერის დაბინძურება, ანუ CO<sub>2</sub>-ის ემიციები იმ სატრანსპორტო საშუალებებიდან, რომლებიც მასობრივი ტურიზმის ადგილებში გამოიყენება, მაგალითად, როდესაც მთის რეგიონები, სოფლები, ეროვნული პარკები მასობრივი ტურიზმის დანიშნულების ადგილი ხდება და ტურისტული სეზონის დროს ავტომანქანების რაოდენობა პიკს აღწევს.

ჰაერის დაბინძურებამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანთა დაავადებები, ალერგიები და სხვ. ასევე, შეუძლია ზიანი მიაყენოს სხვა ცოცხალ ორგანიზმებსა და სურსათს, ბუნებრივ ანანთროპოგენურ გარემოს.

ნარჩენების არასწორად მართვასთან დაკავშირებული რისკები - ნარჩენების სუსტმა ან არასწორმა მართვამ შესაძლოა მასობრივი ტურიზმის თითოეულ ადგილს პრობლემები შეუქმნას იმ დროს, როდესაც ვიზიტორთა რაოდენობა ბევრად მეტია, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობა. იზრდება ძველი სტილის ნაგავსაყრელები, რაც უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ბუნებაზე და შესაძლოა დაავადებების გავრცელების მიზეზი გახდეს.

ფინანსურ მდგრადობასთან დაკავშირებული რისკები - ტურიზმის სფეროში მოქმედი სუბიექტებისათვის მნიშვნელოვანი ამოცანაა ფინანსური უზრუნველყოფის შენარჩუნება და შემდგომისათვის მისი მდგრადობის მიღწევა.

არსებული რისკ-ფაქტორებიდან გამომდინარე, ცხადია რომ აგროტურისტულ საქმიანობაში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია რისკების რეგულირება, რაც მოითხოვს სამი მიმართულებით ღონისძიებების შემუშავებასა და გატარებას:

1. ფერმერის მიერაქტიური და სისტემატიური საქმიანობის უზრუნველყოფას, მოსალოდნელი რისკების მინიმუმამდე დაყვანას;
2. ადგილობრივი თვითმმართველობისა და გარემოს დაცვის წარმომადგენლების ურთიერთ თანამშრომლობასა და ჩართულობას მოსალოდნელ რისკების მართვაში.
3. ვიზიტორების მიერ მოგზაურობის პროცესში გარემოს დაცვისა და დანიშნულების ადგილას არსებული ცხოვრების წესების პატივისცემას.

რისკის მართვის სხვადასხვა ვარიანტის განხილვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მოსალოდნელ ეკონომიკურ შედეგებიც. რისკის მართვის პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე, თანმიმდევრული და სრულად დოკუმენტირებული.

თემაში გაანალიზებულია არსებული რისკების მართვის თავისებურებანი და შემოთავაზებულია გასატარებელი ღონისძიებების რეკომენდაციები გურიის რეგიონის მაგალითზე.

**საკვანძო სიტყვები:** აგროტურიზმი, აგროტურისტი, რისკები, ნარჩენები, დაბინძურება, ბიოპროდუქტი.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო (2015), საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის პროექტისთვის, მოძიებულია 9 დეკემბერი, 2021, <https://rustaveli.org.ge/res/docs/78fd252e942a7fc0f6e0c5e454055c2847585656.pdf>;

2. კვარაცხელია რ., სამხარაძე ნ., კიკილაშვილი ნ. (2020), ბიომეურნეობაზე დაფუძნებული აგროტურიზმის უპირატესობები და მისი როლი ჯანდაცვის პრომოციაში, მოძიებულია 9 დეკემბერი, 2021. <https://scholar.bpengi.com/%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/2021/Special/%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%2021%20Special%20p125-p139.pdf?fbclid=IwAR0e1-CMAab1dyijDrDOGhXJdurnzuxAR9mij3jvm9QStB5zbSF9SZr1uxHY>

3. ლეთანძე ნ., ტურიზმი და ფინანსური რისკები, გლობალიზაცია და ბიზნესი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, № 4 2017, მოძიებულია 9 დეკემბერი, 2021. <https://www.eugb.ge/uploads/content/N4/4-25.pdf>;

4. საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2022 (2017), მოძიებულია 9 დეკემბერი, 2021. <https://policy.thinkbluedata.com/sites/default/files/Rural%20Development%20Strategy%20of%20Georgia%20017-2020%20%28GE%29.pdf>;

5. სურსათის უვნებლობა, <http://agriedu.ge/Uploads/images/1547460869-G%20%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A3%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90.pdf>

6. ქართველიძვილი ლ., ქურდაშვილი ლ., ხეცურიანი მ., ფანჩიძე ბ., გარემოს პირობების გათვალისწინება ტურისტულ ინდუსტრიაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო, კონფერენციები, ეკონომიკა - XXI საუკუნე. თბილისი. 2019.

7. SulaberidzeSalome, TsetskhladzeMurman, DEVELOPMENT OF AGRO-TOURISM IN GURIA REGION AND POTENTIAL FOR ITS USE Journal: "Globalization and Business" N 11 2021. p 133-138. ISSN 2449 2396. <https://doi.org/10.35945/gb.2021.11.019>. მოძიებულია 15 ივლისი, 2022. <https://www.eugb.ge/uploads/content/N11/Salome%20Sulaberidze.pdf>

## შიდა ტურიზმის რეაბილიტაციის პრიორიტეტული მიმართულებებისა და მთლიანობის სტატისტიკური კვლევა საქართველოში

### **ნინო აბესაძე**

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო  
Email: [nino.abesadze@tsu.ge](mailto:nino.abesadze@tsu.ge)

### **ნატალია რობიტაშვილი**

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი.  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო  
Email: [nato.robitchashvili@bsu.edu.ge](mailto:nato.robitchashvili@bsu.edu.ge)

### **ოთარ აბესაძე**

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი  
კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო  
Email: [o.abesadze@gmail.com](mailto:o.abesadze@gmail.com)

### **რუსუდან ქინკლაძე**

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო  
Email: [r.kinkladze63@gmail.com](mailto:r.kinkladze63@gmail.com)

**აქტუალობა.** ორწლიანი ეკონომიკური განუსაზღვრელობისა და შოკური მდგომარეობიდან თავის დაღწევის შემდეგ ტურიზმის განვითარება საქართველოში ნელ-ნელა უბრუნდება პანდემიამდე არსებულ მდგომარეობას. სახეზეა ტურისტული ნაკადების მოძრაობის მზარდი ტენდენცია, შიდა ტურისტულ ბაზარზე ოპერირებადი კომპანიების გააქტიურება და სოციალურ ქსელებში გაცხოველებული სარეკლამო საქმიანობები მრავალფეროვანი ტურისტული პაკეტებისა და სრულყოფილი მომსახურების შეთავაზების დემონსტრირებით. რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არსებობს საფრთხეები ვირუსის გააქიურებასთან დაკავშირებით. ამიტომ, გარკვეული რეგულაციების მინიმალური დოზით დაცვა იქნება აუცილებელი. აქედან გამომდინარე, რეაბილიტაციის პროცესი არ იქნება მარტივი, არც შიდა ტურიზმისთვის და არც საერთაშორისო ტურიზმისთვის. ამ მხრივ შიდა ტურიზმის განვითარების ბერკეტები თავად მოსახლეობის ხელშია, რადგან მათ სიფრთხილით ქცევაზე ბევრადაა დამოკიდებული შიდა ტურიზმის რეაბილიტაციის მასშტაბები. მიუხედავად იმისა, რომ დღეს არსებული მონაცემებით, უპირატესი განვითარება ეროვნულ ტურიზმში მაინც გამოყვან ტურიზმზე მოდის, ქვეყნის შიდა ტურისტული პოტენციალი მზარდია და მას ეფექტიანი გამოყენება სჭირდება. მით უფრო, რომ პანდემიამდე განხორციელებული შიდა ტურისტული ვიზიტების რაოდენობისა და ბოლო პერიოდში შიდა ვიზიტორების რაოდენობის ზრდის ტემპები ტურიზმისადმი პოზიტიური მოლიდინების განწყობას ქმნის. ამას ადასტურებს სხვადასხვა კვლევები და ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიც.

**მეთოდოლოგია.** კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა როგორც ზოგადი (ანალიზის, სინთეზის, ინდუქციის, დედუქციის და სხვ.), ისე სპეციფიკური სტატისტიკური მეთოდები: დაკვირვების, თავმოყრა-დაჯგუფებისა და ანალიზის: საშალო სიდიდეების, შეფარდებითი მაჩვენებლების, ვარიაციული ანალიზის, დინამიკური მწკრივების, შერჩევითი დაკვირვების და სხვ. მეთოდები. მონაცემები დამუშავებულ და მაჩვენებლები გაანგარიშებულ იქნა კომპიუტერული პროგრამა SPSS-ის საფუძველზე

**შედეგები.** კროსტაბელური ანალიზით გაირკვა, რომ შიდა ტურიზმი ქვეყანაში ძალას იკრებს, განსაკუთრებით ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობაში გაზრდილია შიდა მოგზაურობის მსურველთა რაოდენობა, შეცვლილია მოსახლეობის განწყობა მოგზაურობასთან მიმართებაში. კერძოდ, შიდა ვიზიტორებს შორის მუდმივად ჭარბობს 31-50 წლის კატეგორია. ამ ასაკის მოგზაურთა წილი კიდევ



უფრო გაიზარდა და 2021 წელს ამ კატეგორიის ადამიანების პროცენტული წილი ვიზიტორთა შორის 38.4 %-ს შეადგენს. საყურადღებოა 15-30 წლის მოსახლეობის აქტივობის შენელება და 71+ წლის ასაკობრივი კატეგორიის ვიზიტორების შიდა ტურისტული აქტივობის ზრდა.

განსხვავებულია ოფიციალური სტატისტიკისა და ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები შიდა მოგზაურობის მიზანთან დაკავშირებით. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის კვლევების მიხედვით საქართველოს მოქალაქეები მოგზაურობენ უპირატესად მეგობრების/ნათესავების მონახულებისა და შემდეგ მეორე სახლის მონახულების მიზნით, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით კი შიდა ვიზიტების მიზანს უპირატესად წარმოადგენს დასვენება, გართობა, რეკრეაცია მეგობრების/ნათესავების მონახულება.

შეიძლება ითქვას, იდენტურია და მნიშვნელოვანი განსხვავებები არ ფიქსირდება ოფიციალური სტატისტიკისა და ჩატარებული კვლევის შედეგებში რესპონდენტების განაწილებისას მონახულებადი რეგიონების მიხედვით. ცალსახად იკვეთებისა სამი მთავარი რეგიონი: თბილისი, აჭარა და იმერეთი. თუმცა, როგორც კვლევამ აჩვენა, ამ სამეულთან ახლოსაა კახეთის რეგიონის მაჩვენებელი. იზრდება ვიზიტორების მიერ გათენებული დამეების საშუალო რაოდენობა. შიდა ვიზიტებისას თანმხლებ პირებს შორის სჭარბობს ოჯახის/ნათესავები, თუმცა იზრდება მარტო მოგზაურობის სურვილის მქონეთა რაოდენობაც; განთავსების საშუალებებს შორის პოპულარულია სასტუმროები და საკუთარი სახლის დაქირავების სერვისები. იზრდება შიდა მოგზაურობისას გაწეული ხარჯების საშუალო თვიური მოცულობაც (2021 წელს ხარჯები 53.6%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და 226 მილიონი ლარი შეადგინა). თუ საქსტატის ბოლო მონაცემებით ხარჯებში ყველაზე დიდი წილი უკავია საყიდლებს (35.0%). ჩვენი კვლევის მიხედვით პირველ ადგილზეა საკვებსა და სასმელზე გაწეული დანახარჯები, შემდეგ განთავსებაზე და ტრანსპორტზე გაწეული ხარჯები. კვლევის შედეგების თანახმად, ტურისტულ პროდუქტებს შორის ყველაზე პრიორიტეტულია მთის ტურიზმი, საზღვაო ტურიზმი, ეკო და აგრო ტურიზმი. რესპონდენტების აზრით მიმზიდველია სვანეთი, აჭარის ლოკაციები, თუშეთი, ყაზბეგი, ფასანაური(ჯომარდობისთვის) და ა.შ.

**საკვანძო სიტყვები:** ტურიზმი, სტრუქტურა, ანალიზი, ტენდენცია,ლოკაცია

## ლიტერატურა

1. აბესაძე, ნ გლობალური ინდექსები და ტურიზმის განვითარება საქართველოში. სამეცნიერო გამოცემა „სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში.“ თბ., 2018. გვ. 22-35
2. ახვლედიანი ნ, ვირსალაძე, ნ. ონიანი, ი ტურიზმის სფეროს ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი და ძირითადი მიმართულებები. სამეცნიერო გამოცემა „სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში.“ თბ., 2018. გვ. 51-60.
3. აბესაძე, ნ. მინდორაშვილი, მ. ფარესაშვილი, ნ. ტურისტული ხარჯების სტატისტიკური ინდიკატორები საქართველოში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ თბ., 2015, გვ. 26-33
4. აბესაძე ნ. „ტურიზმის სტატისტიკა საქართველოში: რეალობა და პრობლემები. მეექვსე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკა და ბიზნესი“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2017, გვ. 341-346
5. აბესაძე,ნ.,აბესაძე, ო. ქინქლაძე, რ. ჩიტალაძე, ქ. ტურიზმის სტატისტიკა:მეთოდოლოგია და პრაქტიკა. თბ.2021
6. აბესაძე, ო. ტურიზმის პოსტპანდემიური მოლოდინები და განვითარების ტენდენციები. ჟურნალი ეკონომიკა. # 10-12, გვ.51-67
7. Abesadze,N., Abesadze,o., Amanova I., Trends In The Growth Of Tourist Flows From Azerbaijan To GeorgiaThe Journal Of Economic Sciences: Theory And PracticeVolume, 77 Issue 1
8. Paresashvili,M., Abesadze,N. Implementation Of The Recommendations Of The World Tourism Organisation In Determination Of Tourists Expenses In Georgia. Ecoforum Journal, volume 8 Issue 2.

9. Robitashvili N. „Tourism Statistics in Georgia“, International Journal of Innovative Technologies in Economy, Volume 2, Issue 6 (18), Pages 51-53
10. Robitashvili N., Bakhtadze E., Phalavandishvili N., „Identifying tourism market growth opportunities and risks in the Autonomous Republic of Adjara (Georgia)“ Proceedings of the 2020 International Conference "Economic Science For Rural Development" No 54, Jelgava, LLU ESAF, 12-15 May 2020, pp. 35-42
11. Robitashvili N., Bakhtadze E., Phalavandishvili N., „Value Chain Analysis of adventure tourism: a case study of Ajara Autonomous Republic (Georgia)“ 22nd International Scientific Conference "Economic Science For Rural Development" No 55, 11-14 May 2021, Jelgava, Latvia

# სოციალური მენარმეობის ინსტიტუციური ხელშეწყობის მნიშვნელობა მდგრადი განვითარებისათვის

**ნაზი ჭიკაიძე**

პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
N.Chikaidze@gtu.ge

სოციალური მენარმეობა, როგორც ახალი და ინოვაციური კონცეფცია, 90-ანი წლებიდან მზარდ ინტერესს იწვევს. სოციალური მენარმეობის აქტივობის სპექტრი ძალიან ფართოა და იგი გულისხმობს ისეთი საწარმოს შექმნას, რომელიც იქნება ფინანსურად თვითმყოფადი/თვითკმარი. სოციალური მენარმეობა არის ბიზნეს მოდელი, სადაც ბიზნეს იდეა წარმოადგენს გარკვეული სოციალური პრობლემის მოგვარების გზას. მოდელი მოსახერხებელია ნებისმიერი იდეისთვის ფართო სოციალური პრობლემატიდან მცირე თემის განვითარების პროექტამდე – სიღარიბის დაძლევა, სასიცოცხლო რესურსებზე წვდომა, ტრადიციული კულტურის გადარჩენა, გარემოსდაცვა, ჯანდაცვა, და სხვა. სოციალური მენარმე ატარებს სამოქალაქო სექტორის ან სახელმწიფო პროგრამის მსგავს სოციალურ მისიას, მხოლოდ ის საქმიანობას ადასრულებს ბიზნესის პრინციპებით. როგორც სხვა ბიზნეს მოდელის შემთხვევაში, შემოსავლის მიღება აქაც საკვანძო მომენტია, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროექტის ფინანსური მდგრადობა. ეს კი, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს სოციალური ფოკუს-პრობლემის სტრუქტურულ გადაჭრას და მისი გამომწვევი კონტექსტის შეცვლას გრძელვადიან პერსპექტივაში.

სოციალური საწარმოდ განიხილება „ორგანიზაცია ან საწარმო, რომელიც ახორციელებს სოციალურ მისიას სამეწარმეო, შემოსავლის მომტანი სტრატეგიებით“.[1]

სოციალური მენარმეობის ფორმირებისა და ჩამოყალიბების პროცესი სოციალური სამართლიანობის კონცეფციის ჩამოყალიბებას უკავშირდება. იგი წარმოადგენს თავისუფალი, სოციალური ბიზნესის მოდელს, რომელიც ეყრდნობა ბაზრის ფუნქციონირებაში ჩაურევლობის პრინციპს და ორიენტირებულია სოციუმის კეთილდღეობაზე. სოციალური მენარმეობის კონცეფციის თეორიული და პრაქტიკული მიდგომების განვითარების თვალსაზრისით მსოფლიოს ქვეყნების პირველი სამეულია ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა და ბრიტანეთი (გაერთიანებული სამეფო)[2].

არსებობს განსხვავებები დასავლეთ ევროპისა და ამერიკის კონტინენტის სახელმწიფოებში კონცეფციის განვითარების თვალსაზრისით. ეს განსხვავებები კი კიდევ უფრო კონტრასტულია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შემთხვევაში. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია უშუალოდ ეკონომიკური განვითარების განსხვავებული მაკროეკონომიკური სისტემების არსებობით, რომლებიც კონკრეტულ ეკონომიკაში აყალიბებენ მოდელს, რომლის შესაბამისადაც იღებენ გადაწყვეტილებებს საოჯახო მეურნეობები და ფირმები.

ამერიკული მოდელის მიხედვით სოციალური მენარმეობის მახასიათებლებია: სამეწარმეო საქმიანობა წარმართული სოციალური ღირებულებების შექმნის მიზნით, სოციალურ ინოვაციასთან მჭიდრო კავშირი, მმართველობითი უნარების განვითარებაზე ზრუნვა, საქმიანობისას მენარმის ინდივიდუალური შესაძლებლობებზე ორიენტირება. მნიშვნელობა არ ენიჭება ორგანიზაციის სამართლებრივ ფორმას, იმას, კომერციულია იგი თუ არაკომერციული, საჯაროა თუ კერძო. ევროპული მოდელის მიხედვით სოციალური მენარმეობის მახასიათებლებია: სამეწარმეო საქმიანობა წარმართული სოციალური ღირებულებების შექმნის მიზნით, გამოყენებადი რესურსების მრავალფეროვნება (ფინანსირების საჯარო წყაროები, ინდივიდუალური ინიციატივები, ვაჭრობა), მმართველობითი სისტემის იმგვარი სტრუქტურა რომელიც დემოკრატიული გზებით გადაწყვეტილებების მიღებას უზრუნველყოფს.

მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად აქცენტირება გლობალური პარტნიორობის განხორციელების გაძლიერებასა და დაინტერესებულ მხარეთა მიერ მაქსიმალურ ეკონომიკური, სოციალურ და გარემოსდაცვითი შედეგების მიღწევაზე კეთდება. ამ შემთხვევაში სოციალური საწარმოები, საერთაშორისო ორგანიზაციები და ეროვნული მთავრობები ის მთავარი ბერკეტია, რომელიც 2030 წლის დღის წესრიგს რეალობად აქცევს.

საქართველოს ესაჭიროება სწრაფი პროგრესი ინოვაციისა და თანამედროვე ექსპერტული ცოდნის გამოყენებით. ზოგიერთ სფეროში ასეთი პროგრესის მისაღწევად სწორედ კერძო სექტორს შეუძლია შეავსოს ის სიცარიელე თუ ხარვეზები, სადაც სახელმწიფოს დამატებით მხარდაჭერა ესაჭიროება. „სოციალური საწარმოები სწორედ ასეთი ინოვაციებისა და ურთიერთთანამშრომლობის ინსტრუმენტებად განიხილებიან[3]. ისინი შეიძლება იყვნენ ის დამაკავშირებელი ხიდები, და მნიშვნელოვანი მამოძრავებელი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრესის დაჩქარებასა და საჯარო ინტერესის სფეროში ინოვაციების შექმნას.

სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერი, საქართველოში დაფუძნებული ორგანიზაცია „სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი“ სოციალურ მეწარმეობას, განმარავს შემდეგნაირად: „ორგანიზებული სამეწარმეო საქმიანობა სოციალური ზრუნვის, სოციალური ადაპტაციის, სიღარიბის შემცირებისა და დაძლევის, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის, საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, სპორტის, გარემოს დაცვის სფეროებში, რომლის მიზანი არ არის უპირატესად მოგების მიღება და პარტნიორობა, მეპაიეთა ან აქციონერთა შორის განაწილება“ [4].

აღნიშნული განმარტება ნათელი მაგალითია იმისა, რომ საქართველოში, სოციალური მეწარმეობის კონცეფცია განიხილება მრავალგანზომილებიანი ჭრილით და არ არის კონცენტრირებული მხოლოდ დასაქმების ხელშეწყობაზე ან/და სხვა რაიმე კონკრეტულად შემოზღუდულ სოციალურ გამოწვევაზე.

სოციალური საწარმოები განსხვავდებიან იმისა და მიხედვით, თუ რამდენად ინოვაციურ პროდუქტს ან სერვისს ქმნიან. არსებობენ ინოვაციური სოციალური საწარმოები და ტრადიციული სოციალური საწარმოები, რომლებიც არ ქმნიან ინოვაციურ პროდუქტს. მათ აერთიანებთ ის, რომ ისინი იქმნებიან კონკრეტული, საზოგადოებრივი, პრობლემების მოსაგვარებლად.

სოციალური მეწარმეობისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმების შექმნა და განვითარება მნიშვნელოვანია, ვინაიდან სოციალური საწარმოები:

☑აახერხებენ ისეთი პროდუქციის წარმოებას და მომსახურების მიწოდებას, სადაც სახელმწიფო და ბიზნეს კომპანიები არაეფექტურად ფუნქციონირებენ;

☑ წარმოადგენენ სოციალური სერვისების მიმწოდებელ ოპერატორებს;

☑ საქმიანობას უდგებიან ხარჯთ-ეფექტიანად;

☑ ასაქმებენ მოწყვლადი და მარგინალური ჯგუფების წარმომადგენლებს, რომელთათვისაც დასაქმების სხვა, ალტერნატიული ფორმა ხელმიუწვდომელია;

☑ გვესახებიან სიღარიბის შემცირების და ინკლუზიურობის უზრუნველყოფის გზად;

☑ ზრუნავენ გარემოს დაცვაზე, კულტურის შენარჩუნებასა და პოპულარიზაციაზე, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობაზე.

ევროკავშირი ქმნის ხელსაყრელ ფინანსურ, ადმინისტრაციულ და ლეგალურ გარემოს იმისათვის, რომ კონცეფცია წარმატებით განვითარდეს წევრ სახელმწიფოებში.

ამ ეტაპზე, საქართველოში არ არსებობს კონკრეტული სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებიც უშუალოდ შეეხება სოციალურ საწარმოებს და მათ საჭიროებებზე იქნება მორგებული. სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე არ არის განსაზღვრული ის საფუძვლები, რომელთა გამოც სუბიექტს, რომელიც საკუთარ თავს სოციალურ საწარმოდ მიიჩნევს, შეიძლება სახელმწიფოს მხრიდან ხელი ეწყობოდეს საქმიანობის წარმართვაში. შედეგად, სოციალურ საწარმოებს არ აქვთ შექმნილი იმგვარი საარსებო გარემო, რომელიც მათ სოციალური მიზნების სრულფასოვნად

განსახორციელებლად, რესურსების სრულად ასათვისებლად და საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გამოსავლენად სჭირდებათ. ერთადერთი სახელმწიფო ინიციატივა, რომელიც სოციალური მეწარმეობისთვის სამართლებრივი გარემოს ხელშეწყობას ემსახურება, უკავშირდება საქართველოს სახელმწიფოს ახალგაზრდულ სტრატეგიასა (2020-2025) და თანმდევ სამოქმედო გეგმას.

საქართველოში სოციალური საწარმოები საქმიანობენ მათი სტატუსის სამართლებრივი აღიარების გარეშე, ა(ა)იპებისა და სამეწარმეო იურიდიული პირის (უმეტესად მპს) ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმით, იმავე სამართლებრივ გარემოში, რა გარემოშიც არსებობენ სხვა, სოციალური მიზნის გარეშე მოქმედი ორგანიზაციები თუ კომპანიები[5]

იმისათვის, რომ სოციალური მეწარმეობა განვითარდეს საქართველოში საჭიროა:

- მოწესრიგდეს სოციალური მეწარმეობის საკანონმდებლო ბაზა; მოხდეს სოციალური მეწარმეობის სამართლებრივი და პოლიტიკური აღიარება, რასაც მოსდევს სფეროს ფინანსური და ინსტიტუციური ხელშეწყობა;

- წახალისდეს კერძო ბიზნეს-სექტორის ჩართულობა სოციალურ მეწარმეობაში: ბიზნეს კომპანიებს აქვთ ცოდნა და გამოცდილება, რაც ფინანსურად მდგრადი და თვითმყოფადი ბიზნეს პროექტების განხორციელებას ესაჭიროება. გრანტის მიღების უფლება იქნება ერთ-ერთი ეფექტური ინსტრუმენტი, რაც კომპანიებს გაუჩენს მსგავსი საქმიანობის სტიმულს.

-სახელმწიფოს მხრიდან ქვეყანაში სოციალური ინოვაციისა და მეწარმეობის გრძელვადიანი და მდგრადი განვითარების ყველაზე ეფექტურ რესურსს, ამ სფეროს კვლევის, განათლების ხელმისაწვდომობისა და უნარების განვითარების მხარდაჭერა წარმოადგენს. საზოგადოებრივი ჩართულობისა და ინტერესის ზრდა, გამოიწვევს ახალი და ხარისხიანი იდეების გენერირებას. აგრეთვე, გაიზრდება შანსი მსგავს პროექტებში ჩაერთონ მაღალი პოტენციალის მქონე ახალგაზრდები, რაც მათთვის ეფექტური თვითდასაქმების საშუალებაც არის

სოციალური მეწარმეობა სოციალური ეკონომიკის ერთ-ერთი უდიდესი ინოვაციური მიმართულებაა, რომელიც ეფექტიანი ეკონომიკური მიდგომებით სოციალური პრობლემების გადაჭრაში უდიდეს როლს თამაშობს. შესაბამისად მისი განვითარება და ხელშეწყობა სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან ტენდენციას უნდა წარმოადგენდეს. სოციალური საწარმოები

გარდამტეხი მხარდამჭერი აქტორები შეიძლება იყვნენ სახელმწიფოს მიერ ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებული სოციალური ვალდებულებების მიღწევაში და საქართველოს მოქალაქეთათვის ღირსეული საცხოვრებელი გარემოს შექმნაში.

სოციალური მეწარმეობის სფეროს კვლევის სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა ამ სექტორის სწორი განვითარებისა და სახელმწიფო საჭიროებებთან სოციალური საწარმოების საქმიანობის დაახლოების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ასევე ამ სექტორის მონიტორინგი, სოციალური გავლენისა და საჭიროებების კვლევა, სახელმწიფოს შესაძლებლობას მისცემს სწორად დაგეგმოს სამომავლო პოლიტიკა და ეფექტურად ითანამშრომლოს სოციალურ საწარმოებთან კონკრეტული გამოწვევების გადაჭრაში.

**საკვანძო სიტყვები:** სოციალური საწარმო; ბიზნეს-მოდელი; ინოვაცია; საკანონმდებლო ბაზა; სოციალური სამართლიანობა; მდგრადი განვითარება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

[1] სოციალურ საწარმოთა ალიანსი (აშშ) - <https://socialenterprise.us/about/social-enterprise/> (შემოწმდა: 04.08.2022).

[2] World Economic Forum - <https://www.weforum.org/agenda/2016/09/these-are-the-best-countries-to-be-a-social-entrepreneur/> (შემოწმდა 1.08.2022)

[3] 1 Schriedeknecht, Social Innovation and Entrepreneurship Supporting the Sustainable Development Goals (SDGs)–Fostering Social Value Creation, p. 217, 2019, [https://link-springer-com.colorado.idm.oclc.org/content/pdf/10.1007/978-3-030-21154-7\\_10](https://link-springer-com.colorado.idm.oclc.org/content/pdf/10.1007/978-3-030-21154-7_10)

[4]საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/132460> (შემოწმდა 04.08.2022).

[5] სოციალური მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერა; საერთაშორისო გამოცდილება და სფეროს განვითარების ადგილობრივი პერსპექტივები; გვ.11; თბ.2022

# ადამიანური განვითარების ინდექსი საქართველოში: პრეზენტაცია და გამომწვევები

**ნათელა წიკლაშვილი**

პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
natia.tsiklashvili@bsu.edu.ge

**თამილა თურმანიძე**

ასისტ. პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
tamila.turmanidze@bsu.edu.ge

**თამარ ბერიძე**

ასისტ. პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
beridze.tamar@bsu.edu.ge

ადამიანური განვითარების ინდექსი არის მაჩვენებელი, რომელიც სამი კომპონენტს - ღირსეული ცხოვრების საშუალებას, განათლებას და ჯანმრთელობას მოიცავს. ზოგადად ადამიანური განვითარების ინდექსს ზრდის ტენდენცია აქვს. თუმცა ყოველთვის ვერ ასახავს რეალობას.

კვლევის მიზანია ადამიანური განვითარების ინდექსის (HDI) დინამიკის შესწავლა საქართველოში და მისი კომპონენტების ანალიზი.

საქართველოს HDI ინდექსის დინამიკა მზარდი აქვს, ბოლო ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვანი პროგრესი შესამჩნევია. მაგალითად, 1990 წლიდან 2017 წლამდე HDI 21.7 პროცენტით გაიზარდა, მაგრამ კვლევის პროცესში გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები, როგორც HDI -ს შემადგენელი კომპონენტების, ასევე საქართველოში არსებულ რეალობასთან დაკავშირებით. სახეზე გვაქვს ქვეყნის სასურველი პოზიცია რეიტინგების მიხედვით - მაღალი განვითარების ქვეყნების ჯგუფში, თუმცა HDI კომპონენტების ნომინალური მაჩვენებლები ვერ ასახავენ რეალურ შინაარსს. სამწუხაროდ, ზრდადი მაჩვენებლის უკან იმალება სერიოზული უთანასწორობა ქვეყნებს შორის განვითარების დონეების და გენდერული ნიშნის მიხედვით. კარგია, საქართველოს განათლებისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის მონაცემები, თუმცა, რეალურად, განათლებაზე ხელმისაწვდომობა ნაკლებად პრობლემატურია განათლების ხარისხთან შედარებით.

კომპონენტების შემადგენელი ცვლადები არ ზომავენ სისტემის ხარისხს. არადა მდგრადი განვითარების გამოწვევების ძირითადი 3 მიმართულების: ეკონომიკური განვითარების, სოციალური ჩართულობისა და გარემოს მდგრადობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი სწორედ HDI-ია.

მიუხედავად იმისა, რომ HDI მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს, მას გააჩნია ხარვეზები, როგორც შემადგენელი კომპონენტების ცვლადების განსაზღვრის და გამოთვლის, ასევე მონაცემთა ბაზის ხარისხის თვალსაზრისით. ინდექსი კომპლექსურად განსაზღვრავს ადამიანის განვითარებას, თუმცა იყენებს ძალზე მცირე რაოდენობის მონაცემს თითოეული კომპონენტის მნიშვნელობის გამოთვლისას.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ადამიანური განვითარების ინდექსის გამოთვლის მეთოდოლოგიის სრულყოფა და მისი მეტი შინაარსობრივი ანალიზით დატვირთვა.

**საკვანძო სიტყვები:** ადამიანური განვითარების ინდექსი, მდგრადი განვითარება, განათლება

## ფინანსური სექტორის განხილვა და ანალიზი პოსტპანდემიურ საქართველოში

ნათია კახნიაშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი  
საქართველო, თბილისი, თსუ  
Natia.kakhniashvili@tsu.ge

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პერიოდულად გატარებული ღონისძიებები მიმართულია ფინანსური სექტორის სტაბილურობისა და მდგრადობის შესანარჩუნებლად. რაც შეეხება რეგიონში შექმნილ რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებულ პოტენციურ საფრთხეებს, სები კაპიტალის სოლიდური ბუფერებით ხვდება. საბანკო სექტორს საკმარისი რესურსი აქვს იმისათვის, რომ ეკონომიკის დაკრედიტება შეუფერხებლად გაგრძელდეს.

უკეთესი მაჩვენებლების მიუხედავად, დოლარიზაცია ფინანსური სექტორის კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. თუმცა ბოლო პერიოდში გატარებული მაკროპრუდენციული ზომების გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ დოლარიზაციის შემცირების ტენდენცია გაგრძელდება, მისგან მომდინარე რისკები კი შემცირდება.

ფინანსურმა სექტორმა პანდემიით გამოწვეული მძიმე შოკი წარმატებით განვლო. რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გაზრდილი რისკების მიუხედავად, სტაბილურობას ინარჩუნებს. პანდემიით გამოწვეული შოკის საკმაოდ მძიმე ფაზის წარმატებით განვლის შემდეგ, 2021 წელს საბანკო სექტორის კაპიტალის ადეკვატურობის, ლიკვიდობისა და მომგებიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესება დაფიქსირდა. შედეგად, ფინანსური სტრესის ინდექსი (FSI) შემცირდა. (FSI) ფინანსური სტაბილურობის ინსტიტუტია, რომელიც ერთობლივად შეიქმნა საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკისა და საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ 1998 წელს. მისი მანდატია დაეხმაროს ზედამხედველებს მთელს მსოფლიოში მათი ფინანსური სისტემების გაუმჯობესებასა და გაძლიერებაში.

რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებულმა ომმა და რუსეთის მიმართ შესაბამისად დაწესებულმა სანქციებმა რისკები რეგიონის მაკროეკონომიკურ ტენდენციებთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გაზარდა. დაწესებული სანქციებიდან პირდაპირი სანქციები საქართველოში მხოლოდ ერთ, რუსული ბანკის შვილობილ ბანკს შეეხო და ეს პრობლემა აქტივ-ვალდებულებების ნაწილის სხვა ბანკებზე გაყიდვით მალევე გადაიჭრა. საცალო სასესხო და სადეპოზიტო პორტფელი „ბაზის ბანკზე“ გაიყიდა. „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მომხმარებელ ფიზიკურ პირებს, რომლებიც „ბაზის ბანკის“ მომხმარებლები გახდნენ, სრულად შეუნარჩუნდათ მიმდინარე პირობები და ტარიფები, ასევე არ შეცვლილა მათი ანაბრები და სასესხო ვალდებულებები. რაც შეეხებათ იურიდიულ პირებს, მათ მომსახურებას „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ განაგრძობს. რადგან ბანკს ამისთვის საკმარისი კაპიტალი და ლიკვიდობა გააჩნია.

საბანკო სექტორი მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება, თუმცა აღნიშნული ბაზარზე კონკურენციას არ ზღუდავს, რაზეც ბოლო წლებში საპროცენტო სპრედების შემცირების ტენდენციაც მიუთითებს. ზოგადად, მაღალ კონცენტრაციას შესაძლოა დაბალი კონკურენცია ახასიათებდეს, რაც ბაზარზე მაღალ საპროცენტო განაკვეთებში შეიძლება აისახოს. თუმცა, საქართველოს შემთხვევაში, ბოლო წლების განმავლობაში, საპროცენტო სპრედები შემცირებით ხასიათდება. შესაბამისად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ შედარებით მაღალი კონცენტრაცია ამ შემთხვევაში არაკონკურენტულ გარემოს არ განაპირობებს. ასევე, მნიშვნელოვანია, ბოლო წლებში ბანკების სტაბილური წილი მთლიან დაკრედიტებაში და საბანკო სექტორის ეფექტიანობის გაუმჯობესება, რაც საბანკო სისტემის მთლიანი არასაპროცენტო ხარჯებისა და შემოსავლების შეფარდების შემცირების ტენდენციაში ჩანს.



ასევე მნიშვნელოვანია ფინანსური ინოვაციების განვითარება, რაც მოსახლეობის ფინანსებზე წვდომას გაზრდის და ფინანსურ სექტორში კონკურენციას წახალისებს. ფინანსურ სექტორში ინოვაციური ტექნოლოგიების კუთხით ჯანსაღი იდეების წახალისებისა და ამ იდეების მდგრად ფინანსურ მოდელად გარდაქმნის მიზნით, ეროვნულმა ბანკმა ფინანსური ინოვაციების ოფისი შექმნა, რომელიც ფინანსური ტექნოლოგიების ინოვაციურთა საზოგადოებასა და ეროვნულ ბანკს შორის ეფექტური კომუნიკაციის საშუალებას წარმოადგენს. საგულისხმოა ისიც, რომ ეროვნულმა ბანკმა განავითარა რეგულირების ლაბორატორიის ჩარჩო, რომელიც ინოვაციური პროდუქტის ან სერვისის რეალურ რეჟიმში გამოცდის საშუალებას იძლევა. აგრეთვე, ეროვნულმა ბანკმა ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპები გამოაქვეყნა. ქართულ ფინანსურ სექტორში ციფრული ბანკის სახით ახალი მოთამაშეების შემოსვლა ციფრული ეკოსისტემებისა და ინოვაციური ბიზნეს-მოდელების განვითარებასა და თავისუფალი კონკურენციის გაზრდას შეუწყობს ხელს. ახალი ფინანსური ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობისათვის, საგადახდო სისტემის ეფექტიანობისა და ფინანსური ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით, ასევე იგეგმება ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის (CBDC), ციფრული ლარის გამოშვება. ციფრულ ლარს ექნება ელექტრონული ფორმა და მხარეებს შორის უკონტაქტო, სწრაფ გაცვლას უზრუნველყოფს. ამ ტიპის ვალუტის უპირატესობად მიიჩნევა ისიც, რომ მისი გამოშვება ცენტრალურ ბანკებს ბევრად იაფი დაუჯდებათ, ვიდრე ნაღდი ფულის.

აღსანიშნავია, რომ ციფრული ლარი უკეთესადაც მოერგება ციფრულ ეკონომიკას და მონეტარული პოლიტიკის კონტროლის შენარჩუნების საშუალებებსაც შექმნის.

**საკვანძო სიტყვები:** ბანკი, ჰანდეშია, რისკი, დოლარიზაცია, ლარი

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ფინანსური სტაბილურობის ანგარიში, საქართველოს ეროვნული ბანკი, 2022;
2. ლარიზაცია, საქართველოს ეროვნული ბანკი, თბ., 2021;
3. საქართველოს ეროვნული ბანკის საგანგებო ღონისძიებები COVID-19-თან დაკავშირებით” თბ., 2021 ;
4. Forbes Georgia - „დოლარიზაცია”, თბ. 2020 ;  
<https://forbes.ge/dolarizatsia-saqarthvelosh/>;
5. Forbes Georgia - „რისკების მართვა ახალ რეალობაში” თბ. 2020 წ;
6. Management Study Guide - „Risks faced by banks” 2021 ;
7. MPRA „Risk management process in banking industry”, Muenchen 2018,  
[https://mpra.ub.unimuenchen.de/86427/1/MPRA\\_paper\\_86427.pdf?fbclid=IwAR0jryvxtzezOs5qWgDt2kPHT72HCHCd09a5aLDQVsgqWrWQzkJ44eu46o](https://mpra.ub.unimuenchen.de/86427/1/MPRA_paper_86427.pdf?fbclid=IwAR0jryvxtzezOs5qWgDt2kPHT72HCHCd09a5aLDQVsgqWrWQzkJ44eu46o)
8. <https://businessfeed.ge/ra-aris-tsiphruili-lari/>;  
<https://vtb.ge/ge/individuals>;
9. <https://bb.ge/>

# საინვესტიციო საქმიანობა საქართველოს რეგიონებში აბრთხინების განვითარებისთვის

ნათია კოჭუაშვილი

გსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი  
საქართველო, გორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
natia7413@gmail.com

საქართველოში სოფლის მეურნეობის დარგს მდიდარი ტრადიციები გააჩნია. ეს ტრადიციები ქვეყნის ისტორიის, მენტალიტეტისა და კულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკური სიძლიერის განუყოფელი ნაწილია. ძლიერი სოფელი და განვითარებული აგრობიზნესი ნიშნავს ძლიერ ქალაქს, რაც ერთობლივად ქმნის განვითარებულ სახელმწიფოს. თუმცა, ბოლო პერიოდში მისი განვითარება საკმაოდ ჩამორჩება სხვა ეკონომიკის დარგების განვითარების ტემპებს. 2012 წლიდან საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებისთვის, რაც ამ მიმართულებებით მსხვილ სახელმწიფო ინვესტიციებში გამოიხატა. ამის გარდა განხორციელდა მრავალი გარე და შიდა საგრანტო და საინვესტიციო პროექტი. მიუხედავად ამისა, საქართველოში სოფლის განვითარება კვლავ მრავალი გამოწვევის წინაშე დგას.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომლის მე-10-ე თავის - „სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება“-ის თანახმად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება ევროკავშირის პოლიტიკის და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და დაუახლოვოს საქართველოს კანონმდებლობა ევროპულს, ასევე, ხელი შეუწყოს როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა პოლიტიკის დაგეგმვა და შეფასება შესაბამებოდეს ევროპულ ნორმებს.<sup>3</sup> ამ ხელშეკრულების გათვალისწინებით, სოფლად არსებული მდგომარეობის და სოფლის მეურნეობის სექტორის ანალიზის საფუძველზე საქართველოში შეიქმნა სტრატეგია და მასში ასახულია და შეფასებულია ადგილზე განხორციელებული და მიმდინარე პროგრამები. სტრატეგიაში გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის პრიორიტეტები და სექტორული თუ მულტისექტორული განვითარების მიმართულებები, რომლებიც კავშირშია სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებასთან. სტრატეგია შემუშავებულია საქართველოს მთავრობის „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელო“-ს მიხედვით.<sup>4</sup> სტრატეგიის მიზნებია: 1. კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები; 2. ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია; 3. სურსათის/ცხოველის საკვების უზუნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები.<sup>5</sup>

საქართველოსთვის აგრო ბიზნესში ინვესტიციური საქმიანობის ხელშეწყობა და მისი განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. აქ იგულისხმება ეფექტური ინვესტიციური პოლიტიკის შემუშავება, ინვესტორისათვის ხელსაყრელი საგადასახადო რეჟიმის და საკანონმდებლო სისტემის არსებობა, ადმინისტრაციული ბარიერების და შეზღუდვების შემცირება, სამართლიანი კონკურენციის პირობების და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურის შექმნა.

<sup>3</sup> საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება-2016 წ, X თავი, მუხლი 333

<sup>4</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტის „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ დამტკიცების თაობაზე N629, 30 დეკემბერი, 2016წ

<sup>5</sup> „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027წწ“-2019 წელი, დეკემბერი. [www.mepa.gov.ge](http://www.mepa.gov.ge).

Covid -19 პანდემიამ მსოფლიო მასშტაბით ნეგატიურად იმოქმედა ინვესტიციების მოზიდვაზე და უარყოფითი კვალი დატოვა გლობალურ საინვესტიციო ნაკადებზე, გაეროს მიზნები 2030 წლისთვის საფრთხის ქვეშ დადგა.<sup>6</sup> საქართველოშიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში ძალიან დაბალია ეკონომიკის სხვა სექტორებთან შედარებით. ბოლო ათწლეულის მანძილზე სოფლის მეურნეობის წილი საქართველოს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში მერყობდა 0.5%-დან 1.5%-მდე, ხოლო 2022 წლისთვის კი 0,9 % უკავია.<sup>7</sup> ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანას აქვს ძალიან მცირე სახნავ-სათესი ფართობები, რომლებიც განაწილებულია ძალიან ბევრ ათას მოსახლეზე. ამიტომ მსხვილმასშტაბიანი ინვესტიციების განხორციელების რესურსი აქ შეზღუდულია. ძალზედ მნიშვნელოვანია საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება. ქვეყნის აგრარული პოლიტიკა უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული, მიმართული იყოს საქართველოს სოფლების განვითარებისკენ და ისეთი ამოცანების გადაწყვეტისკენ, როგორებიცაა: სასურსათო უსაფრთხოება, გარემოს დაცვა, ეკონომიკური განვითარება, ცხოვრების მაღალი დონის შექმნა და სახელმწიფო უსაფრთხოება. საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანი წარმოებისკენ მიმართული აგრარული პოლიტიკის შემუშავება და ეკონომიკის ამ სექტორში ფინანსური რესურსების მოზიდვის ხელშეწყობა.

საქართველოში თანამედროვე ეტაპზე ხორციელდება მნიშვნელოვანი აგროპროექტები, მაგალითად:

**1. ტექნიკური დახმარების სახელმწიფო პროგრამა<sup>8</sup>** სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამებში ჩართული მონაწილეებისთვის.

**2. სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა** - პროგრამა ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 50,000,000 ლარს

**3. პროექტი საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის მხარდაჭერა (ENPARD III ).** მოიცავს საქმიანობის სამ ძირითად სფეროს; 1) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) და მისი უწყებების ტექნიკური დახმარება FAO-ს ეროვნული და საერთაშორისო კონსულტანტებისა და ტექნიკური ოფიცრების მიერ; 2) მცირე ფერმერების, სოფლის მეწარმეების, კოოპერატივების, მცირე და საშუალო საწარმოებისა და მუნიციპალიტეტებისათვის ინდივიდუალური გრანტების უზრუნველყოფა მათი კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად და 3) გაფართოების სტრატეგიის პილოტირების დონისძიებების განხორციელება, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სახის დემონსტრაციებს, ინფორმაციის გავრცელებას, ჩართულობასა და სხვა სასწავლო საქმიანობას ფერმერებისთვის.

**4. პროგრამა „დანერგე მომავალი“** ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. მის მიზანს წარმოადგენს მრავალწლოვანი ბაღების და სანერგე მეურნეობების დაფინანსება.

**5. „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა“** -ს ახორციელებს სოფლის განვითარების სააგენტო.

**6. „შელავათიანი აგროკრედიტი“** პროექტი ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

**7. აგროდაზღვევის პროგრამის განმახორციელებელია** ა(ა)იპ "სოფლის განვითარების სააგენტო".

<sup>6</sup> Richard S. Gray (2020). Agriculture, transportation, and the COVID-19 crisis.

<sup>7</sup> საქსტატი,, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უმსხვილესი ეკონომიკურისექტორების მიხედვით 2022 წლის II კვარტალი (%) წინასწარი მონაცემები"-<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiritskhour-i-investitsiebi>

<sup>8</sup> „პროექტს ჯორჯია“ ონლაინ-პლატფორმა, [https://projects.org.ge/view\\_grant.php?id=1220](https://projects.org.ge/view_grant.php?id=1220)

8. სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო უწყებაა საქართველოში, მას სოფლის მეურნეობის მიმართულებით 100 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია არის განხორციელებული.

9. პროექტი: „საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში, ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობა“.<sup>9</sup> იგი ხორციელდება საქართველოს ფერმერთა ასოციაციის, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით,

10. „მერძეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის“ სახელმწიფო პროგრამა ხორციელდება, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) ფინანსური მხარდაჭერით.

11. HEGO – ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მთავარი მიზანია ფერმერების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება სამკურნალო მცენარეების მოპოვებისა და ახალი კულტურების პოპულარიზაციის მიზნით,

12. 2019 წლიდან საქართველოს ფერმერთა ასოციაცია Land O'Lakes Venture 37-თან პარტნიორობით ახორციელებს პროექტს – ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში.

ზემოთ ჩამოთვლილი პროექტები მრავალ პრობლემას წყვეტენ და მათი წარმატებით განხორციელების მიუხედავად სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2020 წლის შემდეგ ისევ ეცემა<sup>10</sup>. აგრობიზნესის განვითარებას ხელს უშლის სხვადასხვა გარემოებები: პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, ინფლაციის მაჩვენებლის ხშირი ცვლილებები, ბაზრების განვითარების დაბალი დონე, სასურსათო ბაზრები ვერ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს, ფერმერების ცოდნის დაბალი დონე, გადამამუშავებელი საწარმოების ნაკლებობა, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაბალი ხელმისაწვდომობა, წარმოების მცირე მასშტაბები, შეზღუდული და ძვირადღირებული ფინანსური რესურსები, არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა. ძალიან მცირე რაოდენობა ფერმერების აწარმოებს ბიო პროდუქტს; ასევე ნაკლებად დაინტერესებულები არიან აწარმოონ პროდუქტი ექსპორტისათვის; აქედან გამომდინარე საქართველოში რთულია აგრობიზნესის მართვა, რადგან თითქმის არ არსებობს აგრობიზნესის კომპლექსური მართვის მექანიზმი, რომლის საშუალებით მარტივად და ეფექტურად მოგვარდება არსებული პრობლემები. აღნიშნული პროექტები ვერ აგვარებენ კომპლექსურად პრობლემებს და სახელმწიფოს როლი ამ საქმეში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რჩება.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, აგრობიზნესის პრობლემები, სოფლის მეურნეობა, საინვესტიციო პროექტები.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება. 2016 წ.
2. საქართველოს მთავრობის დადგენილება პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტის „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ დამტკიცების თაობაზე N629, 30 დეკემბერი, 2016წ
3. „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027წწ“-2019 წელი, დეკემბერი. [www.mepa.gov.ge](http://www.mepa.gov.ge).
4. საქსტატი „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უმსხვილესი ეკონომიკური სექტორების მიხედვით 2022 წლის II კვარტალი (%) წინასწარი მონაცემები“-  
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi>

<sup>9</sup> საქართველოს ფერმერთა ასოციაცია-<https://gfa.org.ge/category/ongoing-projects/>

<sup>10</sup> საქსტატი-სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში. 2021 წ.  
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba>

5. საქსტატი-სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში. 2021 წ.  
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba>
6. „პროექტს ჯორჯია“ ონლაინ-პლატფორმა, [https://projects.org.ge/view\\_grant.php?id=1220](https://projects.org.ge/view_grant.php?id=1220)
7. საქართველოს ფერმერთა ასოციაცია-<https://gfa.org.ge/category/ongoing-projects/>
8. Richard S. Gray (2020). Agriculture, transportation, and the COVID-19 crisis.

# ინოვაციური პროექტის ეფექტიანობის შეფასების აუდიტობლობა თანამედროვე პირობებში

**ნანული მახარაძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ბიზნესისა და მართვის დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი  
ბათუმი, საქართველო  
E-mail: [maxaradze.nanuli@bsu.edu.ge](mailto:maxaradze.nanuli@bsu.edu.ge)

ქვეყანაში ინოვაციური ბიზნესის განვითარების ტენდენციებისა და ქართულ ბაზარზე რეალური მდგომარეობის შესწავლისა და ინოვაციური პროექტების ეფექტიანობის შეფასების მიზნით, განხილულია ინოვაციური პროექტის შეფასების აუდიტობლობის დასაბუთება და მასთან დაკავშირებული პრობლემები. ვინაიდან ბოლო პერიოდში ქვეყანაში ადგილი აქვს ინოვაციური პროცესების გააქტიურებას და შესაბამისად, აუცილებელი ხდება ინოვაციების ორგანიზებისა და მართვის თეორიული და პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტა.

კვლევის შედეგად ყურადღება გამახვილდა საქართველოში განხორციელებულ იმ ინოვაციურ პროექტებზე, რომლებიც საქართველოს ინოვაციების განვითარების სააგენტოს დაფინანსებით ხორციელდება.

აღსანიშნავია, რომ ინოვაციური პროექტების მართვისას აშკარად არასაკმარისი ყურადღება ექცევა მარკეტინგულ ანალიზს, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს ინოვაციური პროექტების წარმატებისა ან წარუმატებლობის მიზეზები. სწორედ ამიტომ, მარკეტინგული ანალიზი უნდა იყოს პრიორიტეტული და რაც შეიძლება დეტალური. მარკეტინგის გამოყენება კომპანიის გუნდს აძლევს საშუალებას ფირმას მისცეს საშუალება მაქსიმალურად და გამართულად იფუნქციონიროს ბაზარზე გრძელვადიან პერსპექტივაში.

სასურველია ანალიზისას კომპანიები შეფასებული იქნა დარგობრივი ნიშნის მიხედვით, რათა სწორად გამოვლინდეს საქართველოში ის პრიორიტეტული ინოვაციური პროექტები, რომელთა საქმიანობა გათვლილი იქნება გრძელვადიანი პერიოდისათვის. ზოგადად ინოვაციური პროექტის ეფექტურობის შეფასება, როგორც წესი, ხორციელდება ბიზნეს გეგმის შემუშავების ბოლო ეტაპზე, რომელიც სინამდვილეში არის მისი მთავარი და მნიშვნელოვანი ეტაპი. ინოვაციური პროექტის ეფექტიანობის შეფასებისას მნიშვნელოვანია განსაზღვრა იმისა, თუ როგორი იქნება არსებული ინოვაციური პროექტების სასიცოცხლო ციკლი. კერძოდ, აუცილებელია ხარჯებისა და სარგებლის შედარებითი ანალიზი და მისი დასაბუთება, ფულის ღირებულების ცვლილების, პროექტის განხორციელების პროცესში წარმოშობილი გაურკვევლობისა და რისკების გათვალისწინება.

ვფიქრობ, საქართველოში შეინიშნება ინოვაციების მხრივ მეტი დაინტერესება თუმცა ჩანს ისიც, რომ კომპანიათა უმრავლესობა სათანადო პოპულარიზაციას ვერ უწევს თავიანთ საქმიანობას. პრობლემა ისაა, რომ ინოვაციური კომპანიებს სჭირდებათ მეტი ყურადღება სახელმწიფოს მხრიდან თუნდაც შეღავათების დაწესება გადასახადებში. პრაქტიკაში ინოვაციური პროექტების მაღალი რისკის გამო, განვითარებულ ქვეყნებში ასევე აქტიურად იყენებენ „სარისკო ფონდებს“ ან ინოვაციების სპეციალურ - სარისკო ინოვაციურ ფირმებს.

ამრიგად, ინოვაციური პროექტის ეფექტიანობის შეფასებისას აუცილებელია ინოვაციის მეცნიერული და ტექნოლოგიური არსის შერწყმა მარკეტინგთან და ფინანსურ და ეკონომიკურ ანალიზთან, რათა უზრუნველყოს ინტეგრირებული მიდგომა განხორციელების ინოვაციური პროექტი, რომლის გარეშეც ვერ მოხდება ინოვაციური პროდუქტის კომერციალიზაციის ეფექტურობის შეფასება.

**საკვანძო სიტყვები:** ინოვაციური პროექტი, პროექტის სასიცოცხლო ციკლი, ეფექტურობის შეფასება, ანალიზი, სარისკო ფონდები.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 10 სექტემბრის N1722 განკარგულება. „საქართველოს საინოვაციო კონცეფცია“.
2. <http://csrblog.ge/2019/04/11/%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%AC%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%98/>
3. [www.gita.gov.ge](http://www.gita.gov.ge)
4. <https://navigator.ge/2016/10/23/innovations-law/>
5. <http://fablab.gov.ge/geo/static/41/ra-aris-fablabi>
6. <https://www.inovdev.ge/>
7. <https://old.inovdev.ge/old/uploads/files/94261Shatberashvili-2-CD-Stat..pdf>

## ეკოპროდუქტების ბაზრის განვითარების ასპექტები საქართველოში

### **ნატო ჯაბნიძე**

ასისტენტ პროფესორი  
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი,  
საქართველი, ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწიფო უნივერსიტეტი  
ელ. ფოსტა: jabnidze.nato@bsu.edu.ge

### **ია მესხიძე**

ასოცირებული პროფესორი  
ბიზნესის აკადემიური დოქტორი,  
საქართველი, ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწიფო უნივერსიტეტი  
ელ. ფოსტა: ia.meskhidze@bsu.edu.ge

ჯანსაღი ცხოვრების წესი თანამედროვე ცხოვრებამ უფრო აქტუალური გახადა და პანდემიურმა პერიოდმა საკუთარ თავზე ზრუნვისთვის უფრო მეტი დრო მისცა ადამიანს. ლოკდაუნმა და ჩვეული აქტიური ცხოვრების წესის შეზღუდვამ სხვა აქტივობები გააჩინა ჩვენს ცხოვრებაში. საზოგადოების ნაწილი დაუბრუნდა სოფლებს და აქტიურად დაიწყო მიწის დამუშავება. ამიტომ ჯანსაღი კვება, ეკოლოგიურად სუფთა, ორგანული პროდუქცია და ჯანსაღი ცხოვრების წესი წინა პლანზე წამოვიდა.

ჯანსაღი კვება ორ ელემენტს მოიცავს - სრულფასოვნება და უსაფრთხოება. საკვების მოხმარება მთელ რიგ რისკებს უკავშირდება - პროდუქციის ქიმიურ და მიკრობიოლოგიურ დაბინძურებას, კვების პროდუქტებში საკვები ნივთიერებების არასათანადო რაოდენობით შემცველობას და ა.შ.

ბოლო პერიოდში, მოსავლის დიდი რაოდენობით მიღების სურვილით მეურნეობები ქიმიურ სასუქს ჭარბი რაოდენობით იყენებენ, თუმცა მათ გვერდით ჩნდება როგორც მცირე და საშუალო ფერმერული, ასევე საოჯახო (თვითუზრუნველმყოფი) მეურნეობები, რომლებიც ცდილობენ საკუთარი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და ბაზრისთვისაც შექმნან პროდუქცია, რომელიც სუფთაა და აკმაყოფილებს ეკოპროდუქტებისადმი წამოყენებულ ყველა მოთხოვნას. საქართველოში უკვე მნიშვნელოვნად იზრდება ქიმიური ნივთიერებების გარეშე მოყვანილ პროდუქციაზე მოთხოვნა, მოსახლეობა თანდათან ითვისებს ბიომეურნეობების განვითარების პოტენციალს. ეკონარმოება და ბიომეურნეობა წარმოადგენს ქვეყნის მდგრადი განვითარების საფუძველს. ამ პრინციპით წარმოებისადმი მწარმოებლის მიდგომა სამომავლოდ ეკოლოგიური პრობლემებისგან თავის არიდების შესაძლებლობებს იძლევა.

ეკომეგობრული, ანუ მწვანე პრინციპების გათვალისწინება ბიზნესისთვის ახალი გამოწვევაა. ფერმერული მეურნეობების ნაწილი ისედაც ცდილობდა მეურნეობა ეკომეგობრულ პრინციპებზე გადაეყვანა. ახლა კი, როცა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე მოთხოვნა იზრდება, ბიზნესისთვის ეკომეგობრული პრინციპების გათვალისწინება ახალ ტრენდად იქცა. განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე ეკოპროდუქცია ცალკე დახლებსა და მარკეტებშია წარმოდგენილი და მათზე დიდი მოთხოვნაა. სახელმწიფოების მხრიდან ფერმერებს სუბსიდირების გზით ხელი ეწყობათ წარმოების მასშტაბების გაფართოებაში, და იმედია საქართველოშიც მალე გვექნება ეს პრაქტიკა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რომელიც დახლზეა წარმოდგენილი, საქართველოში ძირითადად იმპორტირებულია, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი სოფლის მეურნეობის მხარდაჭერი არაერთი პროგრამა ხორციელდება, მაინც ბევრი შემაფერხებელი ფაქტორია წარმოების გაფართოებისთვის, დაწყებული მცირემიწიანობით, დამთავრებული აღნიშნულ პროგრამებში ჩართულობის სირთულით.



და მაინც, მთავარია მონდომება, რომელიც უკვე ჩანს ფერმერებში. უკვე გამოიკვეთა ეკოპროდუქტების მწარმოებლები და მათი რიცხვი უფრო და უფრო იზრდება. ასევე იზრდება მოსახლეობაში ამ პროდუქციის შეძენის სურვილი. სოფლის მეურნეობის სამინისტრო შესაბამისი ფერმერთა მხარდამჭერი პროგრამებით, სწავლებებით, ტრენინგებით, საინფორმაციო მასალების გავრცელებით ხელს უწყობს ამ ტენდენციის განვითარებას.

**საკვანძო სიტყვები:** ეკოპროდუქტების ბაზარი, ორგანული პროდუქცია, ეკოწარმოება, ბიომეურნეობა, ფერმერული მეურნეობები.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. პ. კოდუაშვილი, გეგა ბალათურია. სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა აგრარულ სფეროში. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი ეკონომისტი. ტომი XVII. 2021 წელი.
2. გ. თხილაიშვილი, ნ. ჯაბნიძე. ფერმერული მეურნეობების განვითარების ძირითადი ტენდენციები აჭარის აგრარულ სექტორში. ბათუმი, 2021.
3. ლეილა ცეცხლაძე, ნატო ჯაბნიძე, ია მესხიძე, „THE ROLE OF STATE PROGRAMS IN THE TRANSFORMATION OF THE AGRARIAN SECTOR IN AJARA AR“.ECONOMIC SCIENCE FOR RURAL DEVELOPMENT 2020, Proceedings of the International Scientific Conference. 12-15 May 2020 Jelgava, Latvia.
4. Leila Tsetskhladze, Nato Jabnidze, Ia Meskhidze. FOOD SECURITY PROBLEMS FOR DEVELOPING COUNTRIES I N THE CONDITIONS OF COVID-19: CASE OF GEORGIA. he journal «Economics. Ecology. Socium», Vol. 5, No.2, 2021

## ლურჯი ეკონომიკა: აკვაკულტურული მეურნეობების დახასიათება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე

*ნესტან ვარშანიძე*

ეკონომიკის მაგისტრი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ბათუმი, საქართველო

[varshnidze.nestani@gmail.com](mailto:varshnidze.nestani@gmail.com)

მოცემული კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი MR-21-1059], ხელმძღვანელი ნათია წიკლაშვილი. წინამდებარე ნაშრომში განხილულია ლურჯი ეკონომიკა, რომელიც ეხმიანება გავრცელებულ განვითარების მიზნებს (მიზანი 1; 8; 14; 15; 17). მდგრადი ეკონომიკური გადაწყვეტილებები თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევაა. მნიშვნელოვანია რომ საქართველომ, როგორც საზღვაო და მტკნარი წყლით გამორჩეულმა ქვეყანამ, შეძლოს აღნიშნული პროცესების გაცნობიერება და აქტიურად ჩაერთოს მდგრადი ლურჯი ეკონომიკის დანერგვაში. ნაშრომის მთავარი მიზანია ლურჯი ეკონომიკის ფარგლებში არსებული მდგომარეობის შესწავლა და პრობლემური საკითხების გაანალიზება, განსაკუთრებით თევზჭერისა და აკვაკულტურის მიმართულებით არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების გამოვლენა. აღწერილია საქართველოს, კერძოდ, აჭარის რეგიონის თევზისა და ზღვის პროდუქტების ბაზარი.

წყალთან არის დაკავშირებული ცივილიზაციების განვითარების ისტორიაც, წარმოადგენს მილიონობით ადამიანისათვის საარსებო და საცხოვრებელ რესურსს. ლურჯი ეკონომიკა ეხმიანება მდგრადი განვითარების მიზნებს, მათ შორის უშუალოდ არის ასახული მიზანი 14: წყალქვეშა რესურსები. ამ პროგრამის ფარგლებში საქართველოსათვის მისადაგებული არის 2 ამოცანა და 3 სამიზნე ინდიკატორი. ამ მიმართულებით არაერთი ნაბიჯი გადაიდგა, თუმცა რეალობაში ვერ აისახა მათი ეფექტურობა. (გაერო, 2022)

„ლურჯი ეკონომიკა“ დაკავშირებულია საზღვაო გარემოს ექსპლუატაციასთან და შენარჩუნებასთან და ზოგჯერ გამოიყენება როგორც „მდგრადი ოკეანეზე დაფუძნებული ეკონომიკის“ სინონიმი. პირველად ტერმინი „ლურჯი ეკონომიკა“ 1994 წელს გუნტერ პაულიმ თავის წიგნში „ლურჯი ეკონომიკა 3.0“-ში გამოიყენა. ყველაზე ხშირად ეყრდნობიან მსოფლიო ბანკის განმარტებას, რომლის მიხედვითაც ლურჯი ეკონომიკა არის საზღვაო რესურსების მდგრადი გამოყენება ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის, საცხოვრებელი პირობების და სამუშაო ადგილების გაუმჯობესებისა და ოკეანის ეკოსისტემის სიჯანსაღისთვის. მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: სანაპირო ტურიზმი, აკვაკულტურა, ლურჯი ენერჯია, ლურჯი ბიოტექნოლოგიები და მოპოვება ზღვის ფსკერზე. საქართველოსათვის ხელშესახები და მნიშვნელოვანია ლურჯი ეკონომიკის პრინციპების გატარება და დანერგვა, განსაკუთრებით სანაპირო ტურიზმისა და აკვაკულტურის მიმართულებით. (Bank, 2017)

საქართველოს თევზის ბაზარზე იმპორტირებული პროდუქციის წილი მაღალია. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევები მწირია, ასევე მცირეა ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურაც რაც დამატებით ბარიერებს ქმნის დარგის განვითარებისთვის. რეალობაში ადგილობრივი მოთხოვნის დასაკმაყოფილებელი თევზისა და ზღვის პროდუქტების კი არ გვაქვს. მსოფლიო ტენდენცია კი მზარდია თევზპროდუქტების მოხმარებისა, მათ შორის მოთხოვნა იზრდება საქართველოს ბაზარზეც. საქართველოში თევზპროდუქტებისა და ზღვისპროდუქტების მოხმარების დაბალი მაჩვენებელი ერთი მხრივ აიხსნება ქვეყანაში თევზის მოხმარების დაბალი კულტურით, მეორე მხრივ კი ქვეყანაში არსებული სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობით. ზღვის პროდუქციით უზრუნველყოფის პრობლემა დგება ტურისტულ სეზონზეც, როდესაც

ადგილობრივ მოთხოვნას ზრდის დამატებით, სეზონურად ტურისტების მოთხოვნა. (ვარშანიძე, 2022)

საქართველოში თევზის მოხმარება მთელი წლის განმავლობაში დაახლოებით 30 000 ტონას შეადგენს, რომლის 90-95 % იმპორტირებულია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, ადგილობრივი წარმოება მთლიანი მოხმარების მხოლოდ 10-15%-ის დაკმაყოფილებას ახერხებს. საქართველოს ზღვის პროდუქტების სასაქონლო ბაზარზე ძირითად იმპორტიორებს ნორვეგია და თურქეთი წარმოადგენენ. იმპორტი ღირებულება თვეების მიხედვით მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანია. ზღვის პროდუქტების ექსპორტი საგრძნობლად ნაკლებია იმპორტზე, როგორც მოცულობით, ასევე ღირებულებით. ყველაზე მეტი რაოდენობით ექსპორტი განხორციელდა სომხეთის მიმართულებით და ექსპორტირებული თევზის პროდუქციის 2% წარმოადგენდა ცოცხალ თევზს (ძირითადად, აზერბაიჯანში), 71,5% კი გაყინულ თევზს. ექსპორტის მაჩვენებლები არასტაბილურია წლების მიხედვით.

2017 წლიდან საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ატარებს კვლევას სახელწოდებით „აკვაკულტურის მეურნეობების გამოკვლევა“, სადაც ასახულია დარგის მაჩვენებლები, წყალსატევებისა და წარმოებული თევზის მოცულობები, ფასები და სტრუქტურა. სტატისტიკური ინფორმაცია აკვაკულტურის შესახებ შინაარსობრივად და მონაცემების მრავალფეროვნების მიხედვით საკმაოდ მწირია, რაც არ იძლევა სექტორის დინამიკაზე დაკვირვების საშუალებას. 2020 წლის მონაცემებით აკვაკულტურისათვის განკუთვნილმა ტბორების ფართობმა 2 448.1 ჰექტარს მიაღწია, რაც 1.0%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. აკვაკულტურის მეურნეობებში წარმოებული თევზი წინა წელთან შედარებით 16.0 %-ით შემცირდა და 2 071.5 ტონა შეადგინა. (საქსტატი, 2021)

2022 წლის პირველ ნახევარში თევზის მეურნეობების კვლევის ფარგლებში გამოკვლეულ იქნა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული მეურნეობები. რეგიონის მასშტაბით შევხვდებით თევზის მეურნეობებს, რომლებიც ძირითადად ცივი წყლის თევზის მოშენებით არიან დაკავებულნი. განსაკუთრებით გამოირჩევა ქედის მუნიციპალიტეტი. გამომდინარე იქედან, რომ ძირითადად, თევზისა და ზღვის პროდუქტებზე მოთხოვნა იზრდება ტურისტულ სეზონზე, თევზის პოტენციური წარმოების მოცულობაც დამოკიდებულია ტურისტების რაოდენობაზე, მათ დინამიკაზე. თევზის მეურნეობებში ყველაზე მეტად გავრცელებული სახეობა არის ცისარტყელა კალმახი (*Oncorhynchus mykiss*), მოსახლეობა მას ამერიკულ კალმახსაც ეძახის. (ვარშანიძე, 2022)

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში არსებული აკვაკულტურული მეურნეობების ფუნქციონირების პროცესზე მოქმედი ფაქტორები. კვლევა ჩატარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 5 მუნიციპალიტეტში, ჯამში გამოიკითხა 70-მდე მეურნეობა. გამოკითხული ობიექტების უმრავლესობა დარეგისტრირებულია ინდივიდუალური მეწარმის ან შუზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით. ამ მეურნეობების უმრავლესობა დარეგისტრირებულია 1990-იან და 2007-2010 წლებში. აღსანიშნავია რომ გამოკითხული თევზსაშენი მეურნეობების უმეტესი წილი (58%) გაჩერებული (49%) ან დროებით შეჩერებულია (9%). ძირითად მიზეზად კი სახელდება პანდემიის დროს გამოწვეული პრობლემები: რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები (გადაადგილების შეუზღუდა, ტრანსპორტის ნაკლებობა), ფინანსური პრობლემები, გაძვირებული ნედლეული (საკვები, პრეპარატები) და მათზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა (შეიზღუდა იმპორტი), დაავადებების გავრცელება და სხვა. ასევე გამოიკვეთა რომ ფერმერებს ხშირად ქვირითი, ან ლიფსიტები ჩამოაქვთ ქედიდან, გორიდან, ქარელიდან, ან თურქეთიდან. ქვირითისა და ლიფსიტების გამოსაკვები ნივთიერება იმპორტირებულია და მისი ფასი მაღალია (ხშირად ცვალებადი). ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებად გამოიკვეთა, რომ რეგიონის მასშტაბით რთულად მოსაძებნია ინტიოლოგი, რომელიც თევზის დაავადების ზუსტი დიაგნოსტიკებასა და მკურნალობას შეძლებს. საწარმოო ციკლი ამ პრობლემების გამო გახანგრძლივებულია, შედეგად უწევთ დამატებითი დანახარჯების გაწევას. გამოკითხულ მეურნეობათა უმრავლესობას არ აქვს

დათვლილი შემოსავლებისა და მოგების მაჩვენებლები, არ აქვთ სანდო სარეალიზაციო გზები, რაც ართულებს ბიზნესის მომგებიანობის გამოთვლას, შესაბამისი დასკვნების გაკეთებასა და საპროგნოზო მაჩვენებლების გათვლას. (ვარშანიძე, 2022)

**საკვანძო სიტყვები:** ლურჯი ეკონომიკა; წყლის რესურსები; აკვაულტურა; საქართველო; აჭარა.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გაერო. (2022). *მდგრადი განვითარების მიზნები*. მოპოვებულია 2022 წლის 27 ივლისს [sdg.gov.ge: https://sdg.gov.ge/goals-details-inner/14/2](https://sdg.gov.ge/goals-details-inner/14/2) - დან
2. ვარშანიძე, ნ. (2022). *ლურჯი ეკონომიკა: იმპორტშემცვლელი დარგების განვითარების პერსპექტივები ზღვისა და მდინარის პროდუქტების მაგალითზე*.
3. ვარშანიძე, ნ. (2022). *საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს სამეცნიერო ჟურნალი*. მოპოვებულია 2022 წლის 27 ივლისს ლურჯი ეკონომიკის საკვლევ მონაცემთა ბაზების ანალიზი: <https://bit.ly/3MCLUQp> - დან
4. მთავრობა, ს. (2021). *კანონი აკვაულტურის შესახებ*. მოპოვებულია 2022 წლის 27 ივლისს [matsne.gov.ge: https://bit.ly/3xG4LWt](https://bit.ly/3xG4LWt) -დან
5. საქსტატი. (2021). *აკვაულტურული მურნეობების გამოკვლევის შედეგები 2020*. მოპოვებულია 2022 წლის 27 ივლისს <https://bit.ly/3ttc29E> - დან
6. Bank, w. (2017). მოპოვებულია 2022 წლის 27 ივლისს THE POTENTIAL OF THE BLUE ECONOMY: <https://bit.ly/3ttb6SN> - დან

## IDENTIFICATION AND STRUCTURAL DIFFERENTIATION OF THE NATIONAL SYSTEM OF SUSTAINABLE MANAGEMENT

**Victoriia Mykytenko**

doctor of economic sciences, professor, chief researcher,  
Institute of Industrial Economics of the National Academy of  
Sciences of Ukraine, Ukraine, Kyiv,  
[vmikitenko@ukr.net](mailto:vmikitenko@ukr.net)

Considering, at the current stage of global economic, military-economic and geopolitical transformations, the development of the concentration of the national economic system according to the principle format of the phase space [1], which has its own phase trajectory of functioning and a certain life cycle, the duration of which is determined by the development of the institutional environment in the state, should, within the framework of a constructive model of a complex multidimensional system, work out and solve the problem of identifying measurable moments and cross-pulses in its internal environment. In this regard, according to the authors of the study, it is appropriate to take into account and use the original provisions: a) taxonomy [2] (the science of the principles and methods of classification and nomenclature of complex hierarchical systems) - in the context of ensuring the objectivity of its format as a result of the structural differentiation of elements in the internal environment of the national system of sustainable management; b) the quantum function of probability distribution [3] - to define and delineate in the internal configurational environment of the *National system of sustainable management* (NSSM) subspace of the generalized coordinates of the functioning and interaction of its elements (that is, in its configurational space). The above determines the need for structural differentiation of the NSSM, taking into account the probability of changing all its generalized coordinates during transformations, as well as the generalized impulses of the system, which are generated by the most significant external and internal factors of influence on the four basic processes for sustainable development (economic, production, social, natural resources).

In order to formalize the geometric image of the NSSM, which can be represented by a multitude of all its states, in particular, and when functioning in an aggressive environment, it is necessary to define in detail the very essence and meaning of the concept of "structural differentiation" (which was carried out based on the results of the study of revisions in the sources [4]). In the context of solving the scientific and applied task, we consider it necessary to recognize and confirm that currently, in a certain way, the quintessence of this category lacks a clear meaningful definition. To a greater extent, in scientific works it is recognized that "structural differentiation" is a specific process during which socio-political, industrial-economic, organizational activities, which were carried out by one institution, begin to be carried out by different institutions and in different directions. It is necessary to take into account the fact that differentiation determines the growing specialization of the elements of the national socio-economic system, which gives rise to great heterogeneity. From the above, it is possible to testify that a certain typical NSSM, as well as socio-economic systems, are differentiated, forming within their space a certain (specific at that time) number of subsystems (according to the authors of the study, their number should be in three: the natural-resource space; the space of behavior of a set of business entities; the space of implementation of the action of a certain number of specific mechanisms), each of which has different functions in relation to different environments, which also include other elements of subsystems. These transformation processes continue over time, leading to an increase in the number of subsystems (as well as a change in their complexity), each of which has its own structure and function. Moreover, all subsystems will be characterized by a certain tendency towards a general increase in the ability to adapt and transform. Recognizing that it is expedient to formalize in a certain phase space the functional constituent

elements of a typical national system of sustainable management according to the block principle, which was determined according to the preliminary justifications of the author on [5], we emphasize the expediency of forming exactly three autonomous blocks to build a complete conceptual and analytical model of NSSM.

*first of all:* a typical NSSM has three subsystems, according to which its identification space is formed precisely on three planes: natural resource space; the space of behavior of many business entities; space for the implementation of the action of a certain number of specific mechanisms;

*secondly:* the first subsystem (Subsystem I) is a space-simulator of the internal resources of the NSSG, its reserves and opportunities, taking into account the most important factors of external and internal influence on its functioning (economic-psychological, socio-economic, socio-political) to ensure and rationalization of the development of natural resource assets;

*thirdly:* the second subsystem (Subsystem II) is a spatial model of the NSSM functioning process based on the consequences of the choice and implementation in practice by a number of subjects of sustainable management of their behavior in its internal and external environment, the nature of this subsystem is formed taking into account the conditions existing within the NSSM and triads of the most important factors influencing sustainable development;

*fourth:* the third subsystem (Subsystem III) is the space of a collection of effective levers and regulators, formalized as a specific level of complexity of the mechanisms, as they determine and ensure the effectiveness of the implementation of the action of NSSM, in general.

At the same time, reproducing the format of the national system of sustainable management, we consider it expedient to recognize the following:

a) each of the three subsystems (according to the format of a typical NSSM) acts, when fulfilling its goals, as a propositional spatial filter (built according to the principles of string theory), according to the results of the implementation of which the directionality, nature and speed of the current are adjusted: the effects of the most significant external and internal (destructive) factors with the generation of specific impulses as a result of their interaction when affecting the four basic processes; flows of basic processes for sustainable development (economic, production, social and natural resources);

b) a quartet of turbulent flows of processes (basic for sustainable development), formed in the internal environment of the NSSM, as a whole and within the natural resource space, in particular, under the influence of the most important factors and factors of a different nature, transforming within Subsystem I (as a result of the influence and "spatial filtering" of Subsystem II - the space of behavior of a set of business entities), acquires certain signs of laminarity, thereby ensuring partial balance of the functioning of the national system of sustainable management, in general;

c) however, the following should also be pointed out: by simultaneously implementing three models of behavior (monetary-entrepreneurial (innovative), marketing-investment, adaptive-cavern cognitive model), business entities are not able to fully ensure the sustainability of the functioning of the NSSM (this is only the first level of adjusting the flow of the quartet of streams);

d) only synchronous use of the instrumental complex of the general organizational mechanism for managing the process of harmonization of sustainable management (in the composition of structural-functional, gravitational, alarm and resonance sub-mechanisms), the mechanism for forming the financial basis of the NSSM, the mechanism of state regulation and management of the development of natural resource assets, and the mechanism of state regulation and waste management - will allow to achieve the quartet of basic streams of sustainable development of laminarity, and the typical NSSM - to ensure the sustainability of its functioning;

e) adjustment within Subsystem III by spatial filters of the four mechanisms of the flow of economic, production, social and natural resource processes and will have a stabilizing effect not only on the natural

resource space subsystem itself, but also ensure equilibrium of the functioning of the national system of sustainable management, in general.

The proposed format for the construction of a typical NSSM in a three-dimensional plane - the natural resource space, the space of the behavior of a number of business entities and the space of action implementation due to the use of four effective mechanisms - allows to eliminate the weight of the influence of both individual external threats and destructive factors [6], as well as certain internal risks. So, in this regard, we note the following: a) in the external environment of a typical national system of sustainable management there are a number of geopolitical, geo-economics, military and informational factors, which, at present, significantly (destructively) affect the provision of sustainable management within our state and are currently real threats to national security; b) in the internal environment of the NSSG, a number of social and political, socio-economic, military and economic, economic and psychological and intellectual factors, which, in view of the military aggression on the territory of our state, accordingly, to a greater extent, also negatively affect sustainable management. Thus, the development of NSSM in a certain phase space according to the three-dimensional block principle, taking into account the initial provisions of string theory [7] and taxonomic identification of functionals, allows you to reproduce an objective picture of the interdependencies and interaction of flows, as well as exactly how and in what way each autonomous unit (each subsystem) manages to simultaneously perform, in addition to the target, several specific functions. And, namely, as: 1) a separate functional subsystem of sustainable management within the phase space of NSSM functioning, the activity of which involves the performance of specific tasks; 2) a translator, as well as a meter of the temporary characteristics of the force of the destructive influence of external or internal factors on NSSM, taking into account the possibility of implementing a deviation (certain elimination of the influence) at a certain angle; 3) a spatial corrective filter that stabilizes the rates and currents of the quartet of basic processes in the context of ensuring systemic homeostasis within the NSSM; 4) resonant inverter (converter) of a turbulent flow of a certain process into a laminar one; 5) two-way conductor - the action of which is carried out due to two-way conduction, which ensures the exchange of economic, production, social and natural resource processes between subsystems (blocks). At the same time, performing the functionality of a two-way conductor also allows: to reduce the active load of the influence of destructive factors (at the entrance to the subsystem); to increase the importance of the value of positive potential factor determinants to ensure sustainable management (at the exit from a certain subsystem).

Thus, the author, using the principles of string theory and the theory of dynamic systems, carried out a structural differentiation of a typical national system of sustainable management (which is formalized as a resonant inverter) on three basic planes (natural resource space, space of behavior of a set of business entities and space implementation of the action of four specific mechanisms) with: a) development of three corresponding subsystems in the closed phase space of its functioning and configurational transformation of a typical metasystem; b) interpretation and formalization: measurements and characteristics of free and adjusted flow in the internal environment of the quartet of flows basic for sustainable development of processes (economic, production, social and natural resources); directions of transformation and filtering in space and time of external and internal factors influencing sustainable management, as a result of which the aggregate state of the metasystem changes, its structure and properties in an aggressive environment, as well as pulse fluctuations. The NSSM is reproduced and detailed according to the three-dimensional block principle with an objective picture of the implementation of its action - exactly how and in what way each autonomous block (subsystem) manages to synchronously perform, in addition to the target ones, also specific functions according to five functionalities as: a) a separate functional subsystem of sustainable management, the activity of which involves the performance of targeted tasks; b) a translator and a meter of the temporary characteristics of the force of the destructive influence of external or internal factors on

NSSM, taking into account the possibility of realizing a deviation (certain elimination of the influence) at a specified angle; c) a spatial corrective filter that stabilizes the rates and currents of the quartet of basic processes in the context of ensuring system homeostasis within a typical metasystem; d) resonant inverter (converter) of turbulent flow of each of the quartet of basic processes to laminar flow; e) two-way conductor, the action of which is carried out due to two-way conduction, which ensures the exchange of economic, production, social and natural resource processes between subsystems (autonomous blocks).

The essence and content of the procedures for the implementation of the action of the two-way conductor functionality by the national system of sustainable management according to the target format of functioning in the phase space for each of the three subsystems, which form a typical multidimensional metaspace of all generalized coordinates and generalized pulses of the system and its configurational transformation, were further developed, which allows: a) to reduce the active and reactive load of the influence of multidirectional destructive factors at the entrance to a certain subsystem due to internal resistance by negative displacement and passage of a certain number of proposed spatial filters (function of "spatial filtering") incorporated into the subsystems; b) to increase the importance of the value of positive potential factor determinants to ensure sustainable management at the exit from a certain subsystem, which is due to the generation and existence of the potential of the "dilaton field", the effect of which is essential at each stage of the formation and development of a typical metasystem; c) change the density and scalarness of the interaction of the quartet of processes basic to sustainable development with internal factors of influence on sustainable management by means of the induced gravity of flows and disturbances determined by dilaton cosmology.

**Keywords:** *national system of sustainable management; structural differentiation; principles of string theory, dynamical systems, and quantum and class mechanics.*

## REFERENCES

1. Shirokov, Yu. M. (1979). Quantum and classical mechanics in the representation of the phase space. *Physics ECHAYA*. Vol. 10. No. 1. P. 5–50.
2. Malchikova, D. S. (2016). Taxonomy of regional forms of territorial organization for the needs of rural area planning. *Journal of social and economic geography*. No. 19(2). P. 13–18. <https://doi.org/10.26565/2076-1333-2015-19-02>.
3. Kartashov, M. V. (2007). Probability, processes, statistics. Kyiv: VOC Kyiv University. 504 p.
4. Boumans, M. and Davis, J. (2010). Economic Methodology. Understanding Economics as a Science. L: Palgrave Macmillan. 248 p.
5. Mykytenko, V. V. (2022). Typification of sustainable management systems and formalization of their basic models. *Science and science*. No. 3 (117). P. 21-35. <https://doi.org/10.15407/sofs2022.03.021>.
6. Mykytenko, V. V. and Koval, V. V. (2021). Sustainable management: determinants and management technologies. Odesa: PNC of the National Academy of Sciences of Ukraine and the Ministry of Education and Science of Ukraine. 156 p.
7. Parker B. (2000). Einstein's dream. In search of a unified theory of the structure of the Universe. Moscow: Amfora. 333 p.



# გიდის „შინაგანი ბიბლიოთეკის“ მოთხოვნები მანგლისის სიონის კულტურულ ტურში ჩასართავად

ნიკო კვარაცხელია

საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი

**კვლევის საგანი და რელევანტურობა:** კვლევა ეხება ქვემო ქართლის ერთადერთი კურორტის და ალგეთის ხეობის უაღრესად საინტერესო გეოგრაფიული და ისტორიული ღირსშესანიშნაობის - მანგლისის სიონის ტურისტებისათვის ჩვენების მეთოდოლოგიას. ტერმინი - „შინაგანი ბიბლიოთეკა“ პირველად იქნა გამოყენებული 2012 როგორც გიდის საგნობრივი კომპეტენციის ფორმა. „საგნობრივი კომპეტენცია გიდობის კოგნიტური საფუძველია. ყოველ გიდს გააჩნია ე.წ. „შინაგანი ბიბლიოთეკა“, რომელიც ასახავს იმ ცოდნას, რაც მას გააჩნია. გიდი დღენიადაგ უნდა ზრუნავდეს „შინაგანი ბიბლიოთეკის“ შინაარსზე. მის გასამდიდრებლად საჭიროა მონდომება და დრო.“<sup>11</sup>

მანგლისის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარი წარმოადგენს ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვან საგანძურს და მისი თავისებურებების წარმოჩენა წინამდებარე კვლევის მიზანია. კვლევის მიზანია აგრეთვე აჩვენოს მანგლისის მაგალითზე, თუ როგორ იყენებენ ტურიზმში კულტურას, ეთნოგრაფიას, არქიტექტურას დანიშნულების ადგილები, მათი პროვადიერი ტუროპერატორები და გიდები.

**ლიტერატურის მიმოხილვა:** თემის შესახებ არსებული ლიტერატურა დაჯგუფებულია სამი მიმართულებით: 1. მანგლისის ტაძრის ისტორია, რომლის შესახებაც ცნობები დაცულის „ქართლის ცხოვრებაში“, კერძოდ, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“; ვახუშტი ბაგრატიონი, „აღწერა სამეფოსასა საქართველოსა“; ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი და მეორე ტექსტი; ბოჭორიშვილი, ლევან. ალგეთის ხეობის ძველი მოსახლეობა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით (მასალა შეკრებილია 1948-49 წ.), თბ., 1956 და სხვ. 2. მანგლისის სიონის არქიტექტურა, რომელიც კარგადაა შესწავლილი კულტურის ისტორიკოსების მიერ (კალმახელიძე, თამთა, მანგლისი: (ისტორია, ეთნოგრაფია), თბ. განათლება, 2001; დოლიძე, თამთა „შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება“, ანგი. 2021; მ. დვალის. მანგლისი: თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1960 და მ. დვალის – „მანგლისის ხუროთმოძღვრული ძეგლი“. 1974 წ.; თოდრია, თენგიზ. მანგლისის ხევი. //ძეგლის მეგობარი, 1970 წ. კრ. 21, გვ.48-53; 3. ნაკლებადაა შესწავლილი ტურიზმში საჩვენებელი ობიექტების შერჩევის, მათი ჩვენების მეთოდოლოგიის პრობლემა.

## ანალიზი და დასკვნა:

ეფუძნება მანგლისის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძრის, როგორც მთავარი ღირსშესანიშნაობების ჩვენების თავისებურებებს. არქიტექტურული ანალიზის საფუძველზე ხდება განზოგადება ტაძრის არქიტექტურის თავისებურებების შესახებ. პირველ რიგში ეს თავისებურებებია:

**მანგლისის ტაძარი, როგორც უაღრესი გუმბათოვანი ნაგებობა.** ეს პოსტულატი ერთდროულად არის ტაძრის მონახულების მოტივაციაც და ერთერთი მთავარი მტკიცებულება მისი ისტორიული ღირებულების შესახებ. ასეთი შეფასება შესაძლებელია ტურისტების უმრავლესობისთვის მოულოდნელი იყოს და მან წარმოშვას გარკვეული ეჭვი გიდის ცოდნის სანდოობასთან დაკავშირებით. ამიტომ გიდის შინაგანი ბიბლიოთეკაში უნდა არსებობდეს ყველაზე სრული ორი ნაწილისაგან შემდგარი ტექსტი ამ საკითხთან დაკავშირებით: 1. ისტორიული წყარო - „ცხოვრება ქართველთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“: ლეონტი მროველის ცნობით IV საუკუნის პირველ ნახევარში მანგლისი ქალაქია და თბილისთან, უჯარმასთან, ბოლნისთან და რუსთავთან ერთად ქართლის ყველაზე მნიშვნელოვან ქალაქად ითვლებოდა. ამ გარემოებამ განა-

<sup>11</sup> ნიკო კვარაცხელია. გიდის ხელოვნება. გამომცემლობა საუნჯე 2012. გვ.63

პირობა ის, რომ როდესაც საქართველოს მეფე მირიანმა ქრისტიანობა მიიღო და კონსტანტინე კეისარმა მისი თხოვნის თანახმად მის მოციქულს ეპისკოპოსს იოვანეს წმინდა რელიქვიები გამოატანა და აგრეთვე დიდძალი განძი, მან მცხეთაში მისვლამდე გზაზე ჯერ ერუშეთს და წუნდას დაუტოვა რელიქვიების ნაწილი და განძი ეკლესიების ასაშენებლად, ხოლო იქიდან: „მოვიდა მანგლისს, და იწყო ეკლესიასა შენება; და დაუტევნა ფიცარნი იგი უფლისანი<sup>12</sup>. 2. თანამედროვე ისტორიკოსთა და ხელოვნებისმცოდნეთა კვლევის შედეგები: „მანგლისი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთი უძველესი კერა იყო. ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებისთანავე, უსეიგი IV საუკუნის ოცდაათიან წლებში, ერთ-ერთი პირველი ტაძარი სწორედ მანგლისში აიგო. VI საუკუნეში მანგლისის ტაძარი იმდენად სახელგანთქმული ყოფილა, რომ მის კარზე სალოცავად საქართველოს საზღვრებს გარედან, კერძოდ, სომხეთიდანაც დადიოდნენ. სწორედ ამიტომ, როცა ქართველ და სომეხთა ეკლესიებს შორის მომხდარი განხეთქილების შემდეგ, სომეხთა კათალიკოსმა აბრაამმა 607-8 წ. ირგვლივ მოსავლელი ეპისტოლე გამოსცა, ბრძანა, - სომეხები „მცხეთის და მანგლისის ჯვრების კარზე სალოცავად აღარ გაემგზავრნენ ხოლმეო“. ამ საბუთით ირკვევა, რომ მანგლისის ტაძარი თავიდან ჯვრის სახელობაზე იყო აგებული, ვინაიდან მისი აგებისთანავე მასში დაცულ იქნა წმინდა ჯვრის ნაწილები. VII საუკუნის დასაწყისში ბიზანტიის იმპერატორი ჰერაკლე (610-641) საქართველოს შეესია და 627 წელს თბილისიც აიღო. ჯუანშერი გოდებით მოგვითხრობს, რომ „მაშინ ერეკლე მეფემან წარიხუნა მანგლისით და ერუშეთით ფერხთა ფიცარნი და სამსჭუალნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი, რომელნი მოცემული იყვნენ კონსტანტინესგან მირიანისდა“-ო.<sup>13</sup>

ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა გიდის ცოდნის წყარო, დაფუძნებული შინაგან ბიბლიოთეკაზე. მაგრამ ექსკურსიის ჩასატარებლად აუცილებელია თითოეულმა გიდმა გარემოების გათვალისწინებით შექმნას საკუთარი საექსკურსიო ტექსტი. ადგილობრივი მოსახლეობისთვის ეს იქნება მეტად გავრცობილი, რადგან ისტორიული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა მათთვის უკეთ ნაცნობია. ხოლო უცხოელებისთვის შედარებით შემოკლებული და უფრო გამარტივებული ტექსტი.

**ტაძრის ორი საამშენებლო ფენა** - ტურისტებისთვის აუცილებლად საჩვენებელი თავისებურება: გადმოცემის თანახმად, თავდაპირველად ამ ადგილას IV საუკუნის 30-იან წლებში მირიან მეფის დროს ქვის ტაძარი აუგიათ, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. დღეს არსებულ ძეგლზე თვალნათლივ განირჩევა ორი საამშენებლო ფენა: **პირველი** - მარტივი ტეტრაკონქის გეგმის მქონე ტაძარია, რომელიც გარედან რვაწახნაგა მოხაზულობაში ეწერებოდა და გუმბათით იყო გადახურული. სავარაუდოდ, პირველი ფენა სწორედ ვახტანგ გორგასლის პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს. **მეორე ფენა** განეკუთვნება გიორგი I-ის მეფობის პერიოდს (1014-1027 წწ), როდესაც დიდწილად შეიცვალა ტაძრის არქიტექტურა. კერძოდ, ნაგებობა საფუძვლიანად გადააკეთეს და გააფართოვეს, აღმოსავლეთის აფსიდი მოშორდა გუმბათქვეშა კვადრატს და გაჩნდა ტრანსეპტი, ასევე ეკლესიას სამხრეთითა და დასავლეთით მნიაშენეს კარიბჭეები.<sup>14</sup> იმავე პერიოდში მთელი შენობა ახალ პერანგში ჩასვეს და XI საუკუნისათვის დამახასიათებელი ჩუქურთმებით შეამკეს. მანგლისის სიონი დღევანდელი სახით არ წარმოადგენს ერთი რომელიმე ეპოქის მხატვრული შემოქმედების კლასიკურ ნიმუშს. ტაძრის თავდაპირველი მთლიანობა დარღვეულია გადაკეთების შედეგად და მას არ აქვს მხატვრულად შემუშავებული სახე. მიუხედავად ამისა მანგლისის ეკლესია ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლია. ის ტეტრაკონქის ერთ-ერთი უძველესი ნიმუშია და საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ ამ ხუროთმოძღვრული ტიპის ევოლუციას. ასევე თავისმხრივ ყურადღებას იქცევს XI საუკუნის დახვეწილი ჩუქურთმები, მხატვრუ-

<sup>12</sup> <http://corpora.iliauni.edu.ge/qats/upload/1955.pdf> გვ. 71

<sup>13</sup> [https://www.dzeglbi.ge/dzeglbi/m/manglisis\\_sioni.html](https://www.dzeglbi.ge/dzeglbi/m/manglisis_sioni.html)

<sup>14</sup> <https://www.wikiwand.com/ka/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98> [ნანახია 19.07.22]

ლი ელემენტების სიმშვიდე და წონასწორობა და ამავე პერიოდის მხატვრობა, რომელიც გუმბათშია შემორჩენილი. ეს ტაძარი ასახავს სხვადასხვა ეპოქის მისწრაფებებს და დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.<sup>15</sup>

განსაკუთრებული ცვლილებები განიცადა ტაძარმა XIX საუკუნის შუა წლებში, რუსული მმართველოს პერიოდში, როდესაც ეგზარქოს ისიდორეს ინიციატივით და რუსული პოლკის ოფიცრების მცდელობით ტაძრის დაზიანებული ნაწილები შეაკეთეს. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ ტაძარში წირვა-ლოცვა აღდგა, ეკლესიის ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი საბოლოოდ დაიკარგა.

**მანგლისის ტაძრის ტრანსეპტი:** გეგმაში ტაძარი ტეტრაკონქს წარმოადგენს. საინტერესოა, რომ იგი არ იმეორებს ცნობილი ტეტრაკონქის არცერთ სახეს. მისი ნახევარწრიული მკლავებიდან სამი – სამხრეთი, ჩრდილოეთი და დასავლეთი უბემოა (*აქ შესაძლებელია ტურისტებს მცხეთის ჯვრის ბემები შევახსენოთ*) და უშუალოდ ერთვის გუმბათქვეშა სივრცეს. აღმოსავლეთ მკლავი კი წინ არის წაწეული და ცენტრალური სივრცისგან საკმაოდ განიერი **ტრანსეპტს** ჰყოფს. **ტრანსეპტი და საკურთხეველი** – სამკვეთლოთი და სადიაკვნეთი – ცენტრიდან აღმოსავლეთით არიან განვითარებული, რის გამოც გარედან, ცენტრალური მრავალწახნაგიდან აღმოსავლეთით საკმაოდ დიდ შვერილს ქმნიან.

**მანგლისის სიონის საამშენებლო მასალები და ტექნიკა:**

ტაძარი, როგორც გარედან, ისე შიგნიდან კარგად გათლილი ალგეთის რუხი ბაზალტით არის მოპირკეთებული. ერთამნეთზე მჭიდროდ მორგებული საპირის ქვები ქმნიან ჰორიზონტალურ ხაზებს. სამწუხაროდ, მოპირკეთების უდიდესი ნაწილი XIX საუკუნის რემონტის დროს გადათლილი, გადაწყობილი იქნა. ამ მხრივ გუმბათი გამონაკლისს წარმოადგენს, რომელმაც თითქმის ხელუხლებელმა მოაღწია ჩვენამდე.

**მანგლისის სიონის მოხატულობა:** ტაძარში მხოლოდ გუმბათშია შემორჩენილი **მხატვრობის** ნაშთი. ყოველგვარ გარეშეა, თავიდან მთელი ტაძარი მოხატული იქნებოდა, მაგრამ XIX საუკუნის რემონტის დროს ის ხელახლა შეუღესიათ და შეუთეთრებიათ, მთლიანდ მხოლოდ გუმბათი დაუტოვებიათ ხელუხლებლად. მხატვარმა გუმბათი თავის შემადგენლობის მიხედვით ორ ნაწილად გაყო. ეს ნაწილებია ყელი და სფერო. მათ შორის მან ფართო ლენტი გაატარა ორ პარალელურ ხაზს შორის მოთავსებული გეომეტრიული წნულით და მის ზევით და ქვევით ერთმანეთზე დამოუკიდებელი მხატვრული კომპოზიციები შექმნა.

**საკვანძო სიტყვები:** გიღის შინაგანი ბიბლიოთეკა; გიღის საგნობრივი კომპლენცია; ტურის მოშაღება; მანგლისის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარი; მანგლისის ღირსშესანიშნაობები.

<sup>15</sup> <https://angi.ge/manglisis-sioni> [ნანახია 19.07.22]

# დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის გეგმა და ინდუსტრიული პოლიტიკა საქართველოში

**ნინო გრიგოლაია**

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი  
ალტე უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო  
[nino.grigolaia@tsu.ge](mailto:nino.grigolaia@tsu.ge)

ნებისმიერი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სწრაფი ეკონომიკური ზრდა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. რაც შესაძლებელია საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის საფუძველზე, რომელიც სამუშაო ძალის დაბალპროდუქტიული სოფლის მეურნეობიდან მაღალპროდუქტიულ დამამუშავებელ მრეწველობაში გადასვლით შეიძლება განხორციელდეს. ინდუსტრიალიზაცია სახელმწიფოს აქტიური და მიზნობრივი ჩარევის შედეგად მიიღწევა.

საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს გონივრულ ინდუსტრიულ პოლიტიკას და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების გრძელვადიან გეგმას, რომელიც ქვეყანას ინდუსტრიალიზაციის სავალალო მდგომარეობიდან გამოიყვანს.

საქართველოში არის ინსტიტუტები (მაგ. „აწარმოე საქართველო“, „საპარტნიორო ფონდი“, ა.შ), რომლებიც ინდუსტრიული პოლიტიკის განხორციელებას ემსახურებიან, მაგრამ მათი საქმიანობა ამ მიმართულებით ფრაგმენტულია და არ არის საკმარისი. ინდუსტრიული პოლიტიკის ერთიანი გეგმა არ არსებობს და შესაბამისი სუბიექტების უმნიშვნელო ჩართულობა, სააგენტოებს შორის სუსტი კავშირები და მათი ფუნქციების არამკაფიო გამოკვეთილობა, ხელისშემშლელი ფაქტორია სწორი პოლიტიკის გატარებისთვის.

საქართველოს ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის ძირითადი მიზნები უნდა იყოს დამამუშავებელი მრეწველობის წილის ზრდა მშპ-ში, მუშახელის სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაში გადანაცვლება, მწარმოებლურობის ზრდა, წარმოებული პროდუქციის დივერსიფიკაცია და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა. ამ მიზნების მიღწევისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ძალისხმევა და ინტერვენცია შემდეგი საკვანძო მიმართულებებით:

- ინდუსტრიული პოლიტიკის სამიზნე სექტორების იდენტიფიცირება;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა;
- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ადამიანური კაპიტალის განვითარება;
- ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- ექსპორტის ხელშეწყობა და სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ადაპტირება.

საქართველოში მნიშვნელოვანია მოხდეს ისეთი სექტორების იდენტიფიცირება, რომელთაც მაღალი სწრაფი მოკლევადიანი ეფექტი ექნებათ, მაგალითად, ექსპორტის მკვეთრად გაზრდა და ეკონომიკური ზრდა, ასეთები შეიძლება იყოს ტექსტილის და ტანსაცმლის წარმოება, საკვების და სასმელის წარმოება, ავეჯის წარმოება, თამბაქოს პროდუქტების წარმოება და სამშენებლო მასალების წარმოება. საქართველოს ამ საქმიანობებში გააჩნია გარკვეული გამოცდილება და საჭიროა სწორედ ამ გამოცდილებაზე ახალი ცოდნისა და პოტენციალის გამოყენება სახელმწიფოს სწორი ინტერვენციების შედეგად.

აღნიშნულ დარგებში საქმიანობა შესაძლებელია განხორციელდეს ადგილობრივი საწარმოების ხელშეწყობით და დახმარებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმიანობებში შესაძლებელია და მეტად სასურველი, დიდი რაოდენობით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

ამ მიმართულებით, საქართველოს მართლაც დიდი პოტენციალი გააჩნია, თუ სახელმწიფოს მხრიდან მოხდება სწორი და გონივრული ჩარევა. მულტინაციონალური კომპანიების მოზიდვა ამ

საქმიანობებში შესაძლებელს გახდის სექტორის ტექნოლოგიურ განახლებას, ახალი პრაქტიკების დანერგვას, დასაქმების მკვეთრად გაზრდას და პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის ამაღლებას.

ამავე დროს, უნდა მოხდეს მაღალტექნოლოგიური (კაპიტალინტენსიური) დარგების განვითარება და რაც უნდა იყოს ინდუსტრიული პოლიტიკის ძირითადი გრძელვადიანი მიზანი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს განვითარების დონის მქონე ქვეყნებში დამამუშავებელი მრეწველობის დარგები უფრო მაღალ დონეზეა განვითარებული, ამიტომ კონკურენტუნარიანი წარმოების განვითარებისთვის აუცილებელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოძიება.

მართალია, არსებული ტექნოლოგიური და მუშახელის კვალიფიკაციის დონით ამგვარი ინვესტიციების მოზიდვა უფრო რთული იქნება, ვიდრე შრომატევადად დარგებში, თუმცა სათანადო ძალისხმევით ეს შესაძლებელია. იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო სწორ და მიზნობრივ ინტერვენციებს განახორციელებს განათლების დონის, მუშახელის კვალიფიკაციის, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ბიზნეს კლიმატის გაუმჯობესების კუთხით, ამ ტიპის ინვესტიციების მოზიდვაც შესაძლებელი გახდება.

**საკვანძო სიტყვები:** დამამუშავებელი მრეწველობა, ინდუსტრიული პოლიტიკა, მაღალი ტექნოლოგიები, ინდუსტრიალიზაცია, უცხოური ინვესტიციები

# ქართული ღვინის ტურიზტული პოტენციალის ეკონომიკური მნიშვნელობა

## **ნინო დამენია**

პროფესორი, ბიზნესის მართვის დოქტორი  
საქართველოს საპატრიარქოს  
წმ.ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული  
უნივერსიტეტი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო. თბილისი. [nino.damenia@tsu.ge](mailto:nino.damenia@tsu.ge)

## **მაია უკლება**


პროფესორი, აკადემიური დოქტორი  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.  
საქართველო. თბილისი.  
[maia.ukleba@gttu.edu.ge](mailto:maia.ukleba@gttu.edu.ge)

საქართველო ვაზის სამშობლოა და შესაბამისად აქ საკმაო რესურსია ღვინის ტურიზმის განვითარებისათვის. არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე (ძვ.წ. 7-6 ათას.) და ანაკლიის დინა-გუძუბაში (ძვ.წ. 6-5 ათას.) აღმოჩენილი იქნა ყურძნის წიპწები, რის შედეგად დადასტურდა, რომ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში იცნობდნენ ვაზის კულტურას და მას საკმაოდ დიდი როლი ეკავა ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებაში. ყოველივე ნიშნავს იმას, რომ გარდა ვაზის კულტურისა, მევენახეობის კულტურამ ქვეყანაში ყველა მისთვის დამახასიათებელი საფეხური გაიარა. გარდა ამისა, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ენეოლითის დროინდელი ძველისძველი მარანი, აქ ღვინის შესანახად გამოიყენებოდა უზარმაზარი, მიწით დაფარული თიხის ქვევრები. აგრეთვე აღმოჩენილია ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს ფიალები. ქართული მატერიალური მემკვიდრეობა იცნობს ყურძნის სასხლავ სპეციალურ დანებს, ღვინის დასაწურ მოწყობილობებს, თიხის და ლითონის ჭურჭელს, სხვადასხვა ფორმისა და სახის სასმისებს, ღვინის დასაყენებელ და შესანახ ქვევრებს და სხვა. ვაზის კულტურა არის დაკავშირებული ქრისტიანობის გავრცელებაც საქართველოში. როცა წმინდა ნინომ, საკუთარი თმით ვაზისგან შეკრა ჯვარი და იმით უქადაგა ქართლოსის ნათესავთ ქრისტეს რჯული. [1].

მსოფლიოში ცნობილი 2000 ყურძნის ჯიშიდან 500 ქართულია. სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით 2021 წელი მეღვინეობის დარგისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ორი მიმართულებით: ექსპორტზე გავიდა, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ყველაზე დიდი რაოდენობის ღვინო და ქვეყნის მთავარ მევენახეობის რეგიონებში, კახეთსა და რაჭა-ლეჩხუმში, დასრულდა მევენახეობის კადასტრის პროგრამა. ქართული ღვინის ბაზრების დივერსიფიკაციისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით გააქტიურდა მარკეტინგული ღონისძიებები სტრატეგიულ ბაზრებზე: აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, პოლონეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, ჩინეთი და იაპონია.

2021 წელს საქართველოდან მსოფლიოს 62 ქვეყანაში ექსპორტირებულია 107 მილიონი ბოთლი (0,75ლ) ღვინო, რაც დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდისთვის ისტორიულად მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს. ექსპორტით მიღებული შემოსავალი 250 მლნ აშშ დოლარს აღწევს, რაც ასევე რეკორდულად მაღალი მაჩვენებელია. როგორც ექსპორტირებული ღვინის რაოდენობა, ისე ექსპორტით მიღებული შემოსავალი, 2020 წელთან შედარებით 16%-ით არის გაზრდილი. ექსპორტის ზრდის დინამიკა შენარჩუნებულია სტრატეგიულ ბაზრებზე, სადაც ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტო მარკეტინგულ ღონისძიებებს ახორციელებს: პოლონეთი - 34% (7,003,031 ბოთლი), ჩინეთი - 29% (5,934,937), აშშ - 19% (1,084,278), გერმანია - 28% (892,348), ლატვია - 19% (1,900,519), ლიეტუვა - 45% (986,740), იაპონია - 12% (197,638) და დიდი ბრიტანეთი - 71% (736,391). ზრდა აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში:

კანადა - 76% (332,182 ბოთლი), შვედეთი - 76% (136,786), ჩეხეთი - 227% (148,002), ნორვეგია - 1047% (108,086), ისრაელი - 50% (480,007), ყაზახეთი - 47% (4,232,446), აზერბაიჯანი - 35% (246,635), თურქეთი - 260% (108,570), უკრაინა - 21% (12,921,321), რუსეთი - 8% (62,115,759), მონღოლეთი - 158% (484,902), ბელარუსი - 33% (4,886,393) და ა.შ. (იხ. ცხრილი).



საქართველოდან სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 441-მა კომპანიამ განახორციელა. ექსპორტირებულია 42,2 მლნ ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 30%-ით აღემატება 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ბრენდის ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა 78,3 მლნ აშშ დოლარს მიაღწია (ზრდა 19%). 2021 წელს ექსპორტირებულია 1 მილიონი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის ზრდამ 145% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავალი 2,6 მლნ აშშ დოლარს აღწევს; ზრდამ, 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 126% შეადგინა. 2021 წელს ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტის შედეგად მიღებულია 400 მლნ აშშ დოლარამდე შემოსავალი, რაც 18%-ით მეტია 2020 წლის მაჩვენებელზე [2].

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ქართული ღვინის ექსპორტმა ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველად გადააჭარბა 1 მილიონ ბოთლს. ღვინის ეკონომისტთა ამერიკული ორგანიზაციის (American Association of Wine Economists - AAWE) მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აშშ-ში საქართველოდან იმპორტირებული ღვინის 11.3%-ს ორგანული ღვინის სერტიფიკატი აქვს, რითიც პირველ ადგილს იკავებს ამერიკის ბაზარზე მთავარ იმპორტიორ ქვეყნებს შორის; მეორე ადგილზეა ავსტრია - 7.4%-ით, მესამეზე კანადა - 7.1%-ით [3]. AAWE-ს ინფორმაციით, 2012 წლის შემდეგ, აშშ-ში ქართული ღვინის იმპორტი 5-ჯერ გაიზარდა. ამერიკის სტატისტიკის ბიუროს მონაცემებზე დაყრდნობით, თუ 2012 წლის პირველ სამ კვარტალში (იანვარ-სექტემბერი) საქართველოდან აშშ-ში იმპორტირებული იყო \$627 ათასის ღირებულების ღვინო, 2021 წლის იმავე, იანვარ-სექტემბრის პერიოდში, იმპორტირებულია \$3.268 მილიონის ღირებულების ღვინო, რაც 5-ჯერ აღემატება 2012 წლის მონაცემებს. საშუალო წლიური ზრდის ტემპი 17.95%-ს შეადგენს [4].

ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, 2021 წლის სექტემბერში საქართველოს მთავრობამ „ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა“ დაამტკიცა, რომლის მიზანია საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის, კონკურენტუნარიანობისა და ცნობადობის გაზრდა, სტრატეგიული და პრიორიტეტული საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება.

UNWTO-ს ტურიზმისა და კონკურენტუნარიანობის კომიტეტის (The Committee on Tourism and Competitiveness-CTC) თანახმად ენოტურიზმი (გასტრონომიულ ტურიზმთან ერთად) ტურიზმის გამოცოცხლების, მისი დივერსიფიკაციის და ეკონომიკური განვითარების კარგი შესაძლებლობაა, რაშიც უამრავი პროფესიონალური სექტორი ერთვება და ქვეყნის (რეგიონის, ლოკალური დესტინაციის) პირველადი, წამყვანი სექტორის „ახალი გამოყენების“ პერსპექტივებს ქმნის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ღვინის ტურიზმს, გარდა ეკონომიკური სარგებლისა, შეუძლია

წვლილი შეიტანოს დესტინაციის ბრენდინგის, წინწაწევის, ადგილობრივი ტრადიციების, მრავალფეროვნების, ავთენტურობის შენარჩუნებისა და დაცვის მნიშვნელოვან საქმეში.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ღვინო, ტურისტული პოტენციალი, ღვინის ექსპორტი, კონკურენტუნარიანობა, ცნობიერება

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ქართული ღვინის ისტორია <https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/11kartuli-ghvino-da-misi-rol-i-ekonomikashi/home>
2. სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს ანგარიში, გვ. 3-4 <https://wine.gov.ge/Ge/Files/Download/14222>
3. ქართული ღვინო <https://wine.gov.ge/Ge/News/34929>
4. <https://tabula.ge/ge/news/677245-bolo-9-celshi-sakartvelodan-ashsh-shi-ghvinis>
5. Sustainable and innovative wine tourism. Success models from all around the world. R.Compez Lopez (Valencia University), G. Szolnoki (Hochschule Geisenheim University) 2021
6. Global Eno tourism Market Report 2022: Focus on Wine Tasting, Wine Festivals, Consumption, Wine Tours, & Vineyards - Forecasts to 2026 & 2031 - ResearchAndMarkets.com. Business wire: A Berkshire Hathaway company.
7. Wine tourism in Europe - statistics & facts. Published by A.M.Lopez. 2022



## სიღარიბის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების შესახებ

**ნინო მიქიაშვილი**

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი  
ასოცირებული პროფესორი  
საქართველო, თბილისი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
[nino.mikiashvili@tsu.ge](mailto:nino.mikiashvili@tsu.ge)

სოციალური სახის პრობლემები მსოფლიო დონის გამოწვევების რანგში რჩება. მიუხედავად სხვადასხვა ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციის ძალისხმევისა, მათი უმეტესობა დღემდე აქტუალურია. განსაკუთრებით მწვავეა ეკონომიკურ უთანასწორობასთან მჭიდროდ დაკავშირებული სიღარიბის საკითხი, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით გადაუჭრელია და სამწუხაროდ, მისი მასშტაბები შემცირების მაგივრად იზრდება. ამდენად, სოციალური პრობლემების მოგვარება ყოველთვის იყო და დარჩება საზოგადოებისთვის საჭირობო საკითხთა რიგში. ამიტომაც მუშავდება სოციალური პოლიტიკის პროგრამა, რომელმაც შეძლებისდაგვარად სოციალური სამართლიანობის, თანასწორობის და სოლიდარობის პრინციპებზე დამყარებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შექმნა უნდა უზრუნველყოს. მსგავსი სისტემა ხელისუფლებას საშუალებას აძლევს ადამიანის კეთილდღეობაზე დაფუძნებული სახელმწიფო პოლიტიკა გაატაროს. მსგავსი პოლიტიკა თავის მხრივ გულისხმობს რესურსების სამართლიანი გადანაწილებისთვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნას, ადამიანისუფლებების კაპიტალის განვითარებისთვის თანაბარი სასტარტო შესაძლებლობების მიცემას, პიროვნებასთან და ოჯახთან დაკავშირებული უფლებების დაცვის სისტემის განვითარებას და ა.შ. აქვე აღსანიშნავია, რომ მსგავსი მიმართულებებით საჭიროა უწყვეტი მუშაობა და მზრუნველობა.

სიღარიბის სოციალურ-ეკონომიკური და სტრუქტურული მიზეზების გამოვლენა შესაბამისი ქვეყნების, რეგიონების, ადამიანთა ჯგუფების (დაუსაქმებლების, უსახლკაროების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ლტოლვილთა, ემიგრირებულთა და ა.შ.), ან მიხედვით ან ინდივიდუალურად ხორციელდება. სახელმწიფო ორგანოები და არასამთავრობო სტრუქტურებიც ახდენენ არსებული მდგომარეობის მრავალმხრივ და სისტემურ აღწერას, საჭიროებების გამოვლენას და სხვ. სოციალური პოლიტიკის ძირითადი პრინციპებზე დაყრდნობით შესაბამისი მიზანმიმართული ქმედებები არბილებს და ხშირ შემთხვევაში აღმოფხვრის კიდევ სიღარიბის უკიდურეს გამოვლინებას, სიღატაკეს და მწვავე პრობლემების უმრავლესობას. სოციალური პოლიტიკის სრულყოფისთვის ხდება სამიზნე ჯგუფების ან პირების გაძლიერება სხვადასხვა უნარ-ჩვევებით, რაც აუმჯობესებს სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს და პიროვნული თუ საზოგადოებრივი განვითარების მეტ შესაძლებლობებს იძლევა.

სიღარიბის პრობლემა განსახილველია სოციალური პოლიტიკის პროგრამასთან მიმართებაში. თავად სოციალური პოლიტიკის ძირითადი მოქმედების არეალია: შრომის პოლიტიკა და შრომის უფლება; უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა და საცხოვრებლის უფლება; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები; მწვანე პოლიტიკა. თუმცა, შრომითი რესურსების და იძულებით გადაადგილებულთა ნაკადების გამო საკმაოდ აქტუალური გახდა ლტოლვილთა და იმიგრანტთა მიმართ გატარებული პოლიტიკა.

ღარიბი ადამიანი ან ოჯახი მოკლებულია საბაზო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას, უსახსრობის ან დაბალი შემოსავლის გამო. აბსოლუტური სიღარიბის დროს ძირითადი მოთხოვნილებები მოთხოვნად ვერ ფორმირდება, ზომიერი სიღარიბის დროს, ინდივიდის ან საოჯახო მუერნეობის შემოსავალი და მოხმარება ბევრად აღემატება სასურსათო კალათის დირეზულებას, მაგრამ ვერ აღწევს კეთილდღეობის უმდაბლეს დონეს. ხოლო ფარდობითი სიღარი-

ბის დროს ადამიანი (ოჯახი) ვერ სარგებლობს მთავრობის მიერ განსაზღვრული ცხოვრების მინიმალური დონით. ცხადია, ეს უკანასკნელი განსხვავდება ქვეყნებისადა მიხედვით. ასევე, განარჩევნ სიტუაციურ და მემკვიდრეობით, ურბანულ და არაურბანულ სიღარიბეს და სხვ.

საქართველოს შემთხვევაში სიღარიბის მაჩვენებლების შედარება დროსა და სივრცეში საკმაოდ რთულია, რადგან სიღარიბის განსაზღვრება და საარსებო მინიმუმის ზღვარი მუდმივად იცვლება. ზოგადად, სხვადასხვა ქვეყანას სიღარიბის საკუთარი დეფინიცია აქვს, თუმცა მსოფლიო ბანკი პერიოდულად აქვეყნებს დეტალურ ინფორმაციას მსოფლიოში არსებული სიღარიბის და სიღატაკის შესახებ.

სიღარიბის შესახებ ეკონომიკური ხედვიდან გამომდინარე, კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს სიღარიბის გამომწვევი მიზეზების გამოვლენა და შემდგომში მათ წინააღმდეგ ბრძოლა. როგორც წესი, სიღარიბე ფინანსურ ხელმოკლეობასთან ასოცირდება, თუმცა მასთან ერთად გასათვალისწინებელია სოციალურ-ეკონომიკური უზრუნველყოფის ისეთი მომენტები, როგორიცაა: დასაქმება, შემოსავლების სამართლიანი და ჰუმანური განაწილება, საკუთრების უფლების უზრუნველყოფა, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემისადმი წვდომა და სხვ. ობიექტური, სუბიექტური თუ ობიექტურ-სუბიექტური ხასიათიდან გამომდინარე, სიღარიბის ობიექტური მიზეზები შეიძლება იყოს: პოლიტიკური დაძაბულობა და გაურკვევლობა, სამხედრო კონფლიქტები (შიგა თუ საზღვარგარეთ), გაუმართავი ეკონომიკური სისტემა, ინფრასტრუქტურა და საკანონმდებლო ბაზა, უთანაბრობა შემოსავლების განაწილებაში, ეკოლოგიური და კლიმატური კატაკლიზმები, უთანაბრობა რეგიონულ განვითარებაში, ასევე, კულტურულ-რელიგიურ შეხედულებებში განსხვავება და სხვ. რაც შეეხება სიღარიბის სუბიექტურ მიზეზებს, მათ შორის მოსააზრებელია მენტალური, ქცევითი და პიროვნებასთან დაკავშირებული მიზეზები: შრომის უუნარობა (ასაკის ან ქრონიკული დაავადებების ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების გამო), მარჩენლის დაკარგვა, ჯანმრთელობის გაუარესება (სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის, საწარმოო ტრავმების ან პროფესიული დაავადებების გამო), განათლების დაბალი დონე, პიროვნული განვითარებისთვის ხელშემშლელი მავნე ჩვევები, დაბალი მოტივაცია და კომფორტის ზონიდან გამოსვლის სურვილის უქონლობა და ა.შ. ობიექტურ-სუბიექტურ მიზეზებს ერთი მხრივ განაპირობებს არსებული რეალობა, მეორე მხრივ კი ამძაფრებს პიროვნების სხვადასხვა თვისება. მათ შორის აღსანიშნავია: ქვეყნის ფარგლებში ხანგრძლივი დროის მანძილზე სტაბილური და ისეთი ანაზღაურების სამუშაოს ვერ მოძიება, რომელიც უზრუნველყოფს სიღარიბის დაძლევის, სოციალური კავშირების ნაკლებობა ან არარსებობა, ე.წ. „სიღარიბის მანკიერი წრის“ არსებობა და სხვ. რაც შეეხება სიღარიბის გლობალურ მიზეზებს, ძირითადად თერთმეტ მიზეზზე ამახვილებენ ყურადღებას. ესენია: უთანაბრობა; კონფლიქტები; შიმშილი, არასრულფასოვანი კვება და განვითარებაში ჩამორჩენა; ცუდი ჯანდაცვის სისტემა, განსაკუთრებით დეღებისა და ბავშვებისთვის; მცირე წვდომა ან საერთოდ, მიუწვდომლობა სუფთა წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე, კლიმატის ცვლილება, განათლების დაბალი (ზოგიერთ შემთხვევაში ნულოვანი) დონე; ცუდი საზოგადოებრივი მომსახურება და ინფრასტრუქტურა, სახელმწიფო მხარდაჭერის ნაკლებობა ან არარსებობა; სამუშაოს ან საარსებო წყაროს უქონლობა.

სიღარიბის სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებს კონკრეტული მიზეზიდან გამომდინარე, ორგანულად უნდა დაუკავშირდეს მისი აღმოფხვრის ღონისძიებები. სიღარიბის, როგორც პრობლემის დასაძლევად, ასევე, საჭიროა მისი კომპლექსური და ინტერდისციპლინური კვლევა, სხვადასხვა კონცეფციის გათვალისწინება და სიღარიბის კრიტერიუმების დადგენა.

სიღარიბესთან ბრძოლის ერთ-ერთი აპრობირებული ხერხია ქვეყანაში საშუალო ფენის ხვედრითი წილის გაზრდა, პარალელურად ან ეტაპობრივად საშუალო ხელფასისა და შემოსავლების მატება. პანდემიამდე პერიოდში (2019 წელს) საქართველოში საშუალო ფენა მთლიანი საოჯახო მეურნეობებს 27,8% იყო, რაც ათი წლის წინანდელ შესაბამის მაჩვენებელს თითქმის 4-ჯერ აღემატებოდა. პანდემიის გამო ეკონომიკური საქმიანობების მკვეთრმა შეზღუდვამ საშუალო ფენის

ზრდის დინამიკაში კორექტივები შეიტანა, თუმცა 2022 წლის ეკონომიკური ზრდის მონაცემები ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. სხვადასხვა სამოქმედო სტრატეგიის განხილვა და მათგან მოცემულ მომენტში საუკეთესოს ამორჩევა არის აქტიური ქმედების დასაწყისი, რომელიც ქვეყნის მასშტაბით პრობლემის დარეგულირების საშუალება იქნება.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური უთანასწორობა, სიღარიბე, სოციალური პოლიტიკა, კეთილდღეობა, საშუალო ფენა

### გამოყენებული ლიტერატურა

1. კაკულია, მ., კაპანაძე, ნ. (2018) საშუალო კლასი საქართველოში: რაოდენობრივი შეფასება, დინამიკა და პროფილი. ეკონომიკურ-სტატისტიკური გამოკვლევა. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. თბილისი.
2. კაკულია, მ., კაპანაძე, ნ., ქურხული, ლ. (2018) ქრონიკული სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრობა საქართველოში. ეკონომიკურ-სტატისტიკური გამოკვლევა. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. თბილისი.
3. კეპულაძე-არნანია, თ., კეპულაძე, გ. (2017) ეკონომიკური უთანასწორობა და სიღარიბე ინდივიდუალურ და გლობალურ ასპექტში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. <http://conferenceconomics.tsu.ge/>
4. კვარაცხელია, მ. (2018) სიღარიბის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები. თბილისი. *გლობალიზაცია და ბიზნესი. №6.* <https://www.eugb.ge/uploads/journal/gb-N6.pdf>
5. პაპავა, ვ. (2009) სიღარიბის შემცირება კერძო სექტორის განვითარების გზით: ქართული სინამდვილე და პერსპექტივები. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. ტომი 7. თბილისი. სიახლე
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. <http://www.geostat.ge>
7. ცარციძე, მ. (2022) უმუშევრობა და სიღარიბე საქართველოში. თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა
8. Concern Worldwide. 11 Top Causes of Global Poverty (2020) <https://reliefweb.int/report/11-top-causes-global-poverty>
9. World Bank (2016). Georgia: Recent Trends and Drivers of Poverty Reduction (FY 16 Georgia Poverty Assessments).
10. Papava, V. (2001). Trends of poverty and well-being in the 90's of Georgia. UNICEF. Background paper prepared for the Regional Monitoring Report No. 8: A Decade of Transition (2001). Tbilisi. <http://www.papava.info/publications/Georgia00pov.pdf>
11. Ravallion, M. (2016). Economics of poverty: History, measurement and policy. New York: Oxford University Press.

# არასატარაიფო ზომები და მდგრადი განვითარება - კავშირის თეორიული გაანგნება ეფექტიანი პოლიტიკისთვის

**ნინო პაპაჩაშვილი**

ეკონომიკის დოქტორი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პროფესორი,

განვითარების კვლევების ინსტიტუტის დირექტორი

საქართველო, თბილისი

n.papachashvili@sabauni.edu.ge

არასატარაიფო შეზღუდვების ზრდა განსაკუთრებით შეინიშნება საერთაშორისო ვაჭრობაში 2008 წლის საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში (პაპაჩაშვილი, 2018). მათი გავლენის კვლევა მრავალმხრივი სამეცნიერო კვლევის ობიექტივში მოექცა, რადგან ხშირად ისინი პირდაპირ არ ზემოქმედებენ ვაჭრობაზე და ზოგჯერ შეიძლება ფარული ფორმაც ჰქონდეთ.

საერთაშორისო ვაჭრობის სუბიექტებისთვის არასატარაიფო ზომები გადაიქცა ამა თუ იმ ქვეყნის ბაზარზე შესვლის და მდგომარეობის მთავარ განმსაზღვრელად და შესაბამისად, სავაჭრო ხარჯების ძირითადი წყაროდ. თუმცა მათი აღმოფხვრა (ტარიფების მსგავსად) პირდაპირ ზომებს ვერ დაუკავშირდება, რადგან რიგი მათგანი ქვეყნის შიდა რეგულაციებს წარმოადგენს. ეს შეიძლება იყოს სოციალური, გარემოსდაცვითი ან სხვა და თავისი არსით პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება მდგრად განვითარებას. ზოგიერთი არასატარაიფო ზომის იდენტიფიცირება მარტივია და ამ შემთხვევაში სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებების გატარება, მაგალითად, ჯანმრთელობასა და გარემოს დაცვაზე მიმართულ პოლიტიკასთან კოორდინირებით ეფექტიანად შესაძლებელია. სავაჭრო პოლიტიკას, რომელიც არასატარაიფო ზომების ინსტრუმენტარიუმს იყენებს ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის, უფრო გავრცელებითი (გადაღინების) ეფექტი აქვს მდგრად განვითარებაზე.

*ნაშრომის მიზანია* არასატარაიფო ზომებსა და მდგრად განვითარებას შორის რიგი კავშირების იდენტიფიცირებით საკითხის კონცეპტუალური გააზრება და თეორიული კვლევის შედეგების საფუძველზე მდგრადი განვითარების ეფექტიანი პოლიტიკის გატარებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

*კვლევის ძირითადი მეთოდია* ანალიზი და სინთეზი. ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია არასატარაიფო ზომებისა და მდგრადი განვითარების შესახებ გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურა და სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური მასალა. აღსანიშნავია, რომ რიგი კვლევების მიუხედავად არასატარაიფო ზომებისა და მდგრადი განვითარების საკითხების გადაკვეთაზე სამეცნიერო კვლევები მეტად მწირია. ნაშრომში წარმოდგენილი იქნება კრიტიკული გააზრების საფუძველზე აგებული კონცეფტუალური დიაგრამა.

გლობალური მასშტაბის საფრთხეები ქვეყნებს უბიძგებს ერთად მონახონ გამოსავალი საერთო გამოწვევებთან გასამკლავებლად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მიერ შემუშავებული მიზნებიც მდგრადი განვითარების მისაღწევად აღნიშნულის გამოვლინებაა. ისინი საერთო მომავალს ეხება და ასახავს სამომავლო ნიშნულებს, რომელთა მიღწევამ საერთო კეთილდღეობა უნდა გააუმჯობესოს ყველა ქვეყანაში.

მდგრადობის მისაღწევად მნიშვნელოვანია, ყველა სექტორმა, საზოგადოებებმა და დაინტერესებულმა მხარეებმა შეიტანონ წვლილი. საერთაშორისო ვაჭრობას ამ პროცესში, ცხადია, დიდი როლი აკისრია როგორც ეკონომიკების დამაკავშირებელს და, შესაბამისად, დიდ გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ მოვიხმართ და როგორ ვეპყრობით ჩვენს პლანეტას. ვაჭრობა შეადგენს გლობალური მშპ-ის 50%-ს, რაც მას მნიშვნელოვან ეკონომიკურ მამოძრავებელს ხდის. ეს ნიშნავს, რომ

ვაჭრობა - რომლის დაახლოებით ორი მესამედი ხორციელდება ღირებულების ჯაჭვებში - დიდ როლს თამაშობს რესურსების მოხმარების ფორმირებასა და პლანეტაზე ჩვენს გავლენაში. ვაჭრობა ასევე არის ტექნოლოგიებისა და ახალი სერვისების გავრცელების მნიშვნელოვანი საშუალება, რომელიც სასიცოცხლო მნიშვნელობის იქნება კლიმატის ცვლილების დასაძლევად და მასალების ცირკულარულობის უზრუნველსაყოფად (Botwright&Melwani, 2022). საერთაშორისო ვაჭრობა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში შეასრულებს „განხორციელების საშუალების“ როლს. „განხორციელების საშუალებები“ მოიცავს ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობს ქვეყნების პროგრესს მდგრადი განვითარებისკენ, როგორცაა საჯარო და კერძო ფინანსური რესურსები, შესაძლებლობების განვითარება და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების გადაცემა (Trading into Sustainable Development, 2016). საერთაშორისო ვაჭრობის ფუნდამენტურ მნიშვნელობაზე მიუთითებს რიო+20-ის შდეგები, სადაც აღნიშნულია, რომ საერთაშორისო ვაჭრობა თამაშობს ფუნდამენტურ როლს გრძელვადიანი, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაში, სამუშაო ადგილების შექმნაში, შემოსავლების და ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლებაში (Rio+20; Transforming our World). მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგი განსაზღვრავს საერთაშორისო ვაჭრობას, როგორც „ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის შემცირების ძრავას, რომელიც ხელს უწყობს მდგრად განვითარებას“.

დღის წესრიგი 2030-ის მიღება ავალდებულებს გაეროს წევრ ქვეყნებს, გააგრძელონ ვაჭრობის „მნიშვნელოვანი“ ლიბერალიზაციის ხელშეწყობა მომდევნო 15 წლის განმავლობაში, რათა ხელი შეუწყონ ვაჭრობის წვლილის მაქსიმიზაციას მდგრადი განვითარების დღის წესრიგის წარმატებაში. ამ კონტექსტით, მოსალოდნელია, რომ საერთაშორისო ვაჭრობა როგორც მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ერთ-ერთი საშუალება, შეასრულებს თავის როლს (SDG Topics).

არასატარიფო ზომებმა შეიძლება პირდაპირ ან ირიბად იმოქმედოს მდგრად განვითარებაზე. აღსანიშნავია მათი კავშირი მდგრადი განვითარების შემდეგ მიზნებთან: მიზანი 2: არა შიმშილს; მიზანი 3: ჯანმრთელობა და კეთილდღეობა; მიზანი 8: ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა; მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება; მიზანი 12: გონივრული მოხმარება და წარმოება; მიზანი 14: წყალქვეშა რესურსები; მიზანი 15: დედამიწის ეკოსისტემები; მიზანი 16: მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები; მიზანი 17: თანამშრომლობა საერთო მიზნებისთვის (UNCTAD, NTMs).

კვლევის საფუძველზე ვლინდება, რომ არასატარიფო ზომების დიდ უმრავლესობას სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სტანდარტები და ტექნიკური შეზღუდვები წარმოადგენს, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება მომხმარებელთა ჯანმრთელობის, ცხოველთა ან მცენარეთა სიცოცხლისა და გარემოს დასაცავად. ისინი მდგრად განვითარებასთან პირდაპირ დაკავშირებული საკითხებია, როგორცაა სურსათის ხარისხი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტები, მდგრადი წარმოების მეთოდების მოთხოვნები (TRADING INTO SUSTAINABLE DEVELOPMENT). სტანდარტების მრავალფეროვნება ხშირად ბარიერებს ქმნის სავაჭრო ურთიერთობებში და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება გლობალურ სავაჭრო სისტემაში განვითარებადი ქვეყნების ინტეგრირება, რაც ხაზგასმით აღნიშნულია მდგრადი განვითარების მე-17 მიზანში: განხორციელების საშუალებების გაძლიერება და მდგრადი განვითარებისთვის გლობალური პარტნიორობის გამოცოცხლება (SDGs, 17). მდგრადი განვითარების მე-17 მიზანი უკავშირდება ვაჭრობას. კონკრეტულად: „ვაჭრობა და მდგრადი განვითარება განხილულია დღის წესრიგის 21-ე თავში და იოჰანესბურგის განხორციელების გეგმის V და X თავებში. ვაჭრობის ლიბერალიზაციასა და გლობალიზაციას შეიძლება ჰქონდეს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენა მდგრად განვითარებაზე. მუდმივი აუცილებლობაა განვითარებადი ქვეყნების მცდელობების მხარდაჭერა მრავალმხრივი სავაჭრო სისტემაში ინტეგრირებისა და სარგებლის მისაღებად. ამავდროულად, ყურადღება უნდა მიექცეს მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის წვლილის გაზრდას მდგრად განვითარებაში. მხარდამჭერი საერთაშორისო ეკონომიკური გარემო გადამწყვეტია. „დღის წესრიგი 21“ მოუწოდებს „მხარ-

დამჭერი საერთაშორისო კლიმატის შექმნას გარემოსა და განვითარების მიზნების მისაღწევად: რომ მდგრადი განვითარების ხელშეწყობა განხორციელდეს ვაჭრობის ლიბერალიზაციის მეშვეობით; გახდეს ვაჭრობა და გარემო ურთიერთხელმეწყობი; შესაბამისი ფინანსური რესურსების მიწოდება უზრუნველყოფილი იყოს განვითარებადი ქვეყნებისთვის საერთაშორისო ვალთან გასამკვლავებლად და წახალისდეს გარემოსა და განვითარებისათვის ხელსაყრელი მაკროეკონომიკური პოლიტიკა“ (SDG Topics).

რიგი მკვლევრები მიუთითებენ, რომ არასატარიფო ზომები თუ წარსულში უპირველეს ყოვლისა ეხებოდა ადამიანის ჯანმრთელობას, უვნებლობასა და უსაფრთხოებას, გარემოს დაცვას, ცხოველთა და მცენარეთა სიცოცხლეს, განსაკუთრებით იმ საკითხებს, რომლებიც შემომდები ქვეყნების ეროვნულ საზღვრებში იყო, ამჟამად სულ უფრო ხშირად სცდება ქვეყნის ფარგლებს და ცდილობს გააკონტროლოს სავაჭრო საქონლის მთელი სასიცოცხლო ციკლი, გარემოსდაცვითი მდგრადობა და სოციალური ასპექტები, მათ შორის დაარეგულიროს პროდუქტთან დაუკავშირებელი პროცესები და წარმოების მეთოდები (Kravchenko et al., 2019).

აღნიშნულის გათვალისწინებით მეტად დიდ მნიშვნელობას იძენს ნებაყოფლობითი მდგრადობის სტანდარტების გაცნობა, ეტაპობრივად დანერგვა ან ადაპტაცია ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობასთან.

**საკვანძო სიტყვები:** არასატარიფო ზომები; საერთაშორისო ვაჭრობა; სავაჭრო პოლიტიკა; მდგრადი განვითარება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპაჩაშვილი ნ. არასატარიფო ზომები საქართველო-ევროკავშირის ვაჭრობაში სავაჭრო ნეოპროტექციონიზმის კონტექსტით, ეკონომიკა და ბიზნესი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, 2018.
2. Botwright K., Melwani N. Circular Economy and Net-Zero Transition: Can trade become more sustainable? Feb 26, 2022 <https://www.weforum.org/agenda/2022/02/trade-more-sustainable>
3. Kravchenko, Alexey; Semenova, Maria; Lee, Seul and Duval, Yann (2019). Exploring linkages between non-tariff measures and the Sustainable Development Goals: A global concordance matrix and application to Asia and the Pacific. Trade, Investment and Innovation Working Paper No. 04/19, ESCAP: Bangkok. <http://www.unescap.org/resource-series/tiid-working-papers>
4. TRADING INTO SUSTAINABLE DEVELOPMENT: Trade, Market Access, and the Sustainable Development Goals. DEVELOPING COUNTRIES IN INTERNATIONAL TRADE STUDIES, UNCTAD, 2016. <https://sdgs.un.org/publications/trading-sustainable-development-trade-market-access-and-sustainable-development-goals>
5. Rio+20 <https://sustainabledevelopment.un.org/rio20.html>
6. SDG Topics <https://sdgs.un.org/topics/trade>
7. Transforming our World <https://sustainabledevelopment.un.org/post2015/transformingourworld>
8. UNCTAD, NTMs <https://unctad.org/topic/trade-analysis/non-tariff-measures/NTMs-and-SDGs>
9. SDGs <https://sdgs.un.org/goals>

# სამუშაო ძალის მრავალფეროვნების პირობებში ორგანიზაციული დიზაინი და არსებული გამოწვევები

**ნინო ფარესაშვილი**

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო  
Email: [nino.paresashvili@tsu.ge](mailto:nino.paresashvili@tsu.ge)

**ანი ეძგვრაძე**

არქიტექტორი  
Email: [ani24edzgeradze@gmail.com](mailto:ani24edzgeradze@gmail.com)

**აქტუალობა.** მსოფლიოში მიმდინარე გლობალურმა პროცესებმა ორგანიზაციებს საკმაოდ დიდი შესაძლებლობების კარი გაუღო, თუმცადა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამის პარალელურად საკმაოდ დიდია გამოწვევებიც. სამუშაო ძალის მიგრაციული ნაკადები ზრდის ორგანიზაციებში სამუშაო ძალის მრავალფეროვნების დონეს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. არცთუ ისე მარტივია ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური და კულტურული გასხვავებების პირობებში მართო ორგანიზაცია ისე, რომ დაიცვა დემოკრატიული პრინციპები, სადაც თითოეული თანამშრომლის ფუნდამენტალური უფლება იქნება დაცული. მულტიკულტურულ გარემოში მაღალი შედეგების მისაღწევად აუცილებელია სხვადასხვა ბიზნეს კულტურის შესწავლის, მათი ძირითადი მეთოდებისა და მიდგომების საკმარისი ცოდნა; ასევე აუცილებელია იმის დასაბუთება, თუ რა გავლენას ახდენს ეროვნული ბიზნეს კულტურა კორპორატიულ კულტურაზე და ორგანიზაციის მართვის ფუნქციების შესრულებაზე.

**მეთოდოლოგია.** კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა როგორც ანალიზის, სინთეზის, ინდუქციის, დედუქციის და სხვ., ასევე დაკვირვების, თავმოყრა-დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდები.

**შედეგები.** მენეჯერთა უმეტესობისთვის დღეს უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა განსხვავებები, როგორც ორგანიზაციულ, ისე პიროვნულ დონეზე. მათ უნდა აღიარონ თითოეული თანამშრომლის უნიკალურობა, ამიტომ მათ თანამშრომელთა პროფესიონალიზმის პარალელურ რეჟიმში აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ პერსონალის მენტალური, ემოციური და სულიერი რესურსები და მოახდინონ მათი სასიკეთო დინებით გამოყენება.

მენეჯერები, ორგანიზაციული მიზნის ეფექტიანი განხორციელების პარალელურად, ახდენენ თანამშრომელთა მიზნების იდენტიფიცირებას და მათი მიზნების საერთო, ორგანიზაციულ მიზნებთან დაქვემდებარებას, შეთანაწყობას, რაც არცთუ ისე მარტივი პროცესია. ამიტომ, მენეჯერებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ორგანიზაციულ კლიმატს და მის განმსაზღვრელ ფაქტორებს. თითოეული როლი უნდა განხილულ იქნას სიტუაციური და პიროვნული ფაქტორების კომბინაციით. სიტუაციური ფაქტორები, რომელიც ემყარება სამუშაო ამოცანების მოთხოვნებს, ტექნოლოგიურ მახასიათებლებს და შესაბამისად, საკომუნიკაციო საშუალებებს, დიდწილადაა დამოკიდებული ორგანიზაციულ გარემოსა და დიზაინზე. ეს უკანასკნელი ფაქტორები საკმაოდ დიდ ზეგავლენას ახდენს თანამშრომლებზე და მათ ისეთ პიროვნულ ფაქტორებზე, როგორებიცაა პიროვნების მახასიათებლები, ღირებულებები, დამოკიდებულება, მოტივაცია და სხვა. მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად საკმაოდ კარგ შედეგს მოგვცემს მენეჯერებთან ერთად ფსიქოლოგების და დიზაინერების ჩართულობაც, რადგან კარგი ორგანიზაციული გარემო პოზიტიური მოლიდინების განწყობას ქმნის.

მენეჯერებისთვის მნიშვნელოვანია ერთიან სისტემაში იქნეს განხილული პერსონალი, სამუშაო დავალებები, ფირმის კულტურა და ორგანიზაციული ეფექტიანობა. გასათვალისწინებელია მათ შორის ურთიერთდამოკიდებულება, რადგან სწორედ თანამშრომელთა ქცევის არასწორად

შეფასებამ შეიძლება გამოიწვიოს შეუქცევადი გრძელვადიანი პრობლემები, რასაც აუცილებლად მოყვება ორგანიზაციაში სხვადასხვა ტიპის კონფლიქტები.

სხვადასხვა მეცნიერთა მიერ ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა მაიერს-ბრიგის მიერ ხუთფაქტორიანი მოდელის პიროვნების განზომილებებსა და სამუშაოს შესრულების მაჩვენებლებს შორის მჭიდრო კავშირის არსებობა. ამ საკითხის ირგვლივ ყოველდღიურად უფრო მეტი დაინტერესებაა. სხვადასხვა პიროვნული თვისებების მქონე თანამშრომელთა მხრიდან, განსხვავებული მზაობაა როგორც საბოლოო შედეგების, ასევე სხვადასხვა სირთულის ამოცანების და სამსახურში წარმატების მისაღწევად. სამუშაოთი კმაყოფილების და ემოციური ინტელექტის როლის გათვალისწინებით, აღსანიშნავია ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ თანამშრომლების ქცევაზე.

ორგანიზაციაში მმართველი აპარატისთვის ასევე მნიშვნელოვანია ემოციებთან დაკავშირებული კულტურული განსხვავებები, რომელიც საკმაოდ თვალსაჩინოა სხვადასხვა კულტურის, მაგალითად, ინდივიდუალისტურ და კოლექტივისტურ ქვეყნებში. ერთი ცხადია, რომ მზარდი მრავალფეროვანი სამუშაო ძალის მართვისთვის საჭიროა ინდივიდუალური განსხვავებების აღიარება და კულტურულ განსხვავებებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება. მენეჯერებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ ის გარემოებას, რომ ადამიანთა ემოციები სოციუმში სწორედ მათ მსოფლმხედველობას აღწერს. იბადება კითხვა: ორგანიზაციული დიზაინი ახდენს კი გავლენას თანამშრომელთა გუნება-განწყობაზე? როგორც სხვადასხვა მკვლევართა, ასევე ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიც ადასტურებს, რომ ორგანიზაციული დიზაინი საკმაოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პერსონალის გუნება-განწყობაზე, რომელიც ორგანიზაციის მაღალი საბოლოო შედეგების და თითოეული თანამშრომლის შრომის მწარმოებლურობის მისაღწევად საკმაოდ მნიშვნელოვანია.

**საკვანძო სიტყვები:** მულტიკულტურული გარემო, სამუშაო ძალის მრავალფეროვნება, ორგანიზაციული დიზაინი, პიროვნული ფაქტორები, შრომითი კმაყოფილება.

### ლიტერატურა

1. Abesadze, N; Paresashvili, N;. (2018). Gender Aspects of Youth Employment in Georgia.Ecoforum Journal, 481-488.
2. Caolyn M. Yossef, F. L. (2007). Positive Organizational Behavior in the Workplace: The Impact of Hope, Optimism, and Resilience. Journal of Managemet, 774-800.
3. Carsten K, W, De Dreu, Arne Evers, Binca Beersma Esher S. Kluwer and aukje Nauta, (2001), A theory-based measure of conflict management strategies in the workplace, Journal of Organizational Behavior, 22, pp.645-668. Journal of Organizational Behavior, 645-668.
4. Coleman, P. T., Deutsch, M., & Eric, C. M. (2014). Conflict Resolutions: Theory and Practice.
5. Dea Pirskhalaishvili, Nino Paresashvili, Tetiana Kulinich, (2021), [The gender aspects of career development and leadership in organizations](#), Journal of Eastern European and Central Asian Research (JEECAR), Volume 8, Issue 2, pg. 255-266
6. Dmitriev, A. (2002). Social conflict: general and special. Moscow: Gardariki.
7. Ekman, P. (2003). Emotions Revealed: Recognizing Faces and Feelings to Improve Communication and Emotional Life. New York: Times Books/Henry Holt and Co.
8. Gelfand, M., Leslie, L., Keller, K., & de Dreu. (2012). Conflict cultures in Organizations: How leaders shape conflict cultures and their organizational-level consequences.journal of Applies Psychology, 1131-1147. doi: <https://doi.org/10.1037/a0029993>
9. Grishina, N. V. (2008). Psychology of Conflict. Peter.
10. Kharadze, Natalia; Paichadze, Nugzar; Paresashvili, Nino; Pirskhalaishvildea;. (2019). General Trends Of Business Career Management.European Journal of Economics and Business Studies.



11. Leslie A. DeChurch, Katherine L. Hamilion, Craig Haas. (2007). Effects of Conflict Management Strategies on Perceptions of Intragroup Conflict, *Group Dynamics Theory, Research and Practice*. *Group Dynamics Theory Research and Practice*, 11, 66-78. doi:DOI: 10.1037/1089-2699
12. M. Gendron, D. Roberson, J. M. van der Vyver, and L. F. Barrett, "Cultural Relativity of Perceiving Emotion from Vocalizations," *Psychological Science* 25, no. 4 (2014): 911–20.
13. M. Gendron, D. R. (2014). Cultural Relativity of Perceiving Emotion from Vocalizations. 4, pp. 911- 920. *Psychological Science* 25.
14. McShane, S. L., Mary Ann Young Von Glinow, & McGrawHill Irwin. (2010). *Prganizational Behavior*.
15. Michele J. Gelfand, K. K. (2012). Conflict Cultures in Organizations: How Leaders Shape Conflict Cultures and Their Organizational-Level Consequences,. *Journal of AppliedPsychology*, Vol.97(6), 1131-1147.
16. N. Paresashvili, N. Okruashvili, K. Chitaladze, (2021), THE NEED FOR CROSS-CULTURAL COMPETENCIES IN A MULTICULTURAL ENVIRONMENT, *INTED2021 Proceedings*, pg. 9946-9952
17. N.G. Paresashvili, M.P. Tikishvili, N. Kharadze, K.G. Goletiani, (2021), STUDY OF RESPONDENT BEHAVIOR IN CONFLICT SITUATION BY CROSS-TABULATION ANALYSIS (SPSS), *Proceedings of the International Scientific Conference ISTSML 2021, Georgia, Batumi, 24 June, 2021*, pg.44-51
18. Nikvashvili, M. (2019). The causes of conflict and their ability to improve their management in organizations. *Economics and Business*, 2
19. Nino Paresashvili, Mzia Tikishvili, Teona Edzgeradze, (2021), [Employees discrimination issues based on the statistical analysis using SPSS \(Case of Georgia, Republic of\)](#), *Journal "Access Journal"*, Volume 2, Issue 2, pg. 175-191
20. Nino Paresashvili, Teona Maisuradze, Badri Gechbaia, Lidija Weis, Viktor Koval, (2021), [Conflict management impact on the employee productivity](#), *SHS Web Conf.*, (EECME 2021) – Sustainable Development in Modern Knowledge Society, Volume 111, article Number 01010
21. Nino Paresashvili.Nanuli Okruashvili,Teona Edzgeradze, (2020), GLOBAL CHALLENGES IN THE OF HUMAN CAPITAL FORMATION PROCESS (THE CASE OF GERGIA), *Kyiv National Economic University Named After Vadym Hetman Management: Strategic Imperatives And Trends Of Transformations Monograph*, pg.128-139
22. Paresashvili, N. (2017). Importance of Emotional Intelligencein the Tourism Industry. *Economics and Management (ICEM 2017)*.
23. Paresashvili, N., & Maisuradze, T. (2017). Mechanisms of organization conflict resolution in Georgia. *International Scientific Symposium "Economics, Business & Finance*, (pp. 70-77). *Jurmala, Latvia*.
24. Paresashvili, N., & Okruashvili, N. (2017). Modern Problems to Form Human Capital in Georgia. *III International Scientific and Practical Conference: Scientific Issues of the Modernity* (pp. 5-8). *Dubai: ROST*.
25. Paresashvili, N. (2015). Questions of the organizational behavior (OB) and labor efficiency management. *Scientific journal «Economics and finance*, 317-321.
26. Paresashvili, N. (2015). Major Mechanisms to Develop the Strategies of the labour Market in Georgia.*ICEM-2015* (pp. 574-579). *Kaunas: Elsevier*.
27. Paresashvili, Nino. (2016). Corporate Culture In Terms Of Labor Diversity. *International Conference „Smart and Efficient Economy: Preparation for the Future Innovative Economy*, (pp. 321-327 pg.). *Brno, Czech Republic*.
28. Paresashvili, Nino; Giorgobiani, Maia; Nikvashvili, Maia; Pirtskhalaishvili, Dea; Kharadze, Natalia;. (2019). Career Management Peculiarities in Educational Institutions. *European Journal of Economics and Business Studies*.
29. Robbins, S. P. (2013). *Essentials of Organizational Behaviour*, pp. 332-333.
30. Robbins, S. P., & Judge, T. A. (2018). *Essentials of Organizational Behavior*.
31. Singh, B. D. (2008). *Managing conflict and negotiation*. *India: Excel Books India*.
32. Sobolieva, Tetiana, Lazarenko, Yiliia. (2019). Intellectual Property Management in the Shift Towards Open Innovation. *Referential and Reviewed International Scientific-Analytical Journal of Ivane Javakhishvili Tbilisi State University "Economics and Business"*, Issue 2
33. Stephen P. Robbins, T. A. (2018). *Essentials of Organizational Behavior*, Fourteenth Edition.
34. Zeidner, M., Matthews, G., & Roberts, R. (2009). Zeidner, M., Matthews, G., Roberts, R.D., (2009), *What we know about emotional intelligence*. *London, England: Branford Book, The MIT Press*.

# სასტუმრო ბიზნესი კოვიდ პანდემიის და შეზღუდვების მოხსნის შემდგომი პერიოდის საქართველოში

## **ნინო ქავთარაძე**

პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი  
საქართველო, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ელ-ფოსტა: [ninokavtaradze0481@yahoo.com](mailto:ninokavtaradze0481@yahoo.com)

## **სალომე ქავთარაძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი  
საქართველო, თბილისი, ბაზისბანკი  
ელ-ფოსტა: [sallomeakavtaradze@gmail.com](mailto:sallomeakavtaradze@gmail.com)

საქართველოს ეკონომიკის გაძლიერებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს ტურიზმი წარმოადგენს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებას უნდა დაეთმოს.

სასტუმრო ინდუსტრია სასტუმრო ბიზნესის განვითარებას შესაძლებელს ხდის როგორც ლოკალურად, კონკრეტულ რეგიონში, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც შესაბამისად იწვევს რეგიონის და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

სასტუმრო ინდუსტრიაში ჩართული ბიზნესი იზიდავს მეტ დამსვენებელს, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, ასევე დხება ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას.

კოვიდ 19-ის პანდემიამ შეაფერხა და ნეგატიური გავლენა იქონია როგორც მსოფლიო ტურიზმის სფერო ასევე მასთან დაკავშირებული დარგების განვითარებაზე, განსაკუთრებით ეს შეეხო სასტუმრო ინდუსტრიას. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვნად დაზარალდნენ ტურისტული ქვეყნების ეკონომიკები. სასტუმრო ბიზნესის შემოსავლების შემცირებამ გამოიწვია სექტორში დასაქმებულ თანამშრომელთა უმეტესობის სამსახურიდან დათხოვნა. სფეროს წარმომადგენელთა აზრით, საწყის ეტაპზე დასაბრუნებლად ტურიზმის სექტორს და მასთან ერთად სასტუმრო ბიზნესს წლები დასჭირდება.

სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება უმნიშვნელოვანესია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის, ამიტომ აუცილებელია საქართველოში გატარდეს პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება საერთაშორისოდ აღიარებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, მომსახურების მაღალი ხარისხისა და სტანდარტების დანერგვაზე, რაც მიიღწევა ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველოს ეკონომიკა, ტურიზმი, სასტუმრო ინდუსტრია, კოვიდ 19-ის პანდემია, ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია

## **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. World Tourism Organization. Official Website, <https://www.unwto.org/>
2. Georgian National Tourism Organization. Official Website, <https://gnta.ge/>

# **„მენეჯმენტის განვითარების თანამედროვე ეტაპების“ ქრონოლოგიის შესახებ**

**პაატა აროშიძე**

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,  
ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ელ. ფოსტა: [aroshidze.paata@bsu.edu.ge](mailto:aroshidze.paata@bsu.edu.ge)

**თორნიკე აროშიძე**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე  
კურსის სტუდენტი, სპეციალობა: მენეჯმენტი.  
ელ.ფოსტა: [aroshidzetornike26@gmail.com](mailto:aroshidzetornike26@gmail.com)

მართვა კაცობრიობის ისტორიული განვითარების თანამდევ პროცესია. თანამედროვე მართვის მეცნიერება უძველესი დროიდან იღებს სათავეს. იცვლებოდნენ ფორმაციები, იცვლებოდა მართვის სისტემა.

მესკონის, ალბერტის და ხედორის სახელმძღვანელოში „მენეჯმენტის საფუძვლები“ მენეჯმენტის პერიოდიზაცია სრულდება 1960 წლით [3,55].

სტეფან რობინსისა და მარი კულტერის სახელმძღვანელოში „მენეჯმენტი“, თანამედროვე მიდგომებად მიჩნეულია 1960-იანი წლებიდან დასრულებული არსებული სიტუაცია [4].

პროფესორი ევგენი ბარათაშვილი აღნიშნავს - მართვის განვითარების თანამედროვე კაპიტალისტური ეტაპის მეოთხე პერიოდი, რომელიც ცნობილია, როგორც „მმართველობითი კაპიტალიზმი“, ხასიათდება კოლექტიური მართვის ფართოდ გავრცელებით (ეტაპი მოიცავს პერიოდს 1950 წლიდან დასრულებული) [1,31].

პროფესორი შალვა მაჭავარიანი თავის სახელმძღვანელოში „მენეჯმენტის საფუძვლები, თეორიები, კონცეფციები და პრაქტიკული მიდგომები“, განიხილავს რა მენეჯმენტის განვითარების თანამედროვე (მეხუთე) ეტაპს, მის პერიოდიზაციას აკეთებს გასული საუკუნის 50-60-იანი წლებიდან, ის ეყრდნობა პიტერ დრიუკერის, ელვინ ტოფლერის, სამუელ ჰანტიგტონის და დავით მაცუმოტოს ნაშრომებს. აღნიშნულია, რომ ამ ეპოქისათვის დამახასიათებელია „გლობალიზაციის პროცესების დაჩქარება და მსოფლიოში უპრეცედენტო რაოდენობის მულტინაციონალური და ტრანსნაციონალური კომპანიების ჩამოყალიბება“ [2,18].

ჰიუსტონის უნივერსიტეტის 2019 წლის გამოცემა - მენეჯმენტის საფუძვლები, მენეჯმენტის პერიოდიზაციას ასრულებს 1970 წლით. ავტორთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ გასული საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ ხდება იმ თეორიების მოდერნიზება, რომელთაც საფუძველი ჩაეყარა მეოცე საუკუნის 70-იან წლებამდე. [6,76]

როგორც ვხედავთ, მენეჯმენტის თანამედროვე ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი, რომ 1970-იანი წლებიდან დასრულებული არ შეცვლილა პერიოდიზაცია, არ დამატებია პერიოდი, მიუხედავად იმისა, რომ გლობალურ სამყაროში გასული ნახევარი საუკუნეზე მეტი ხნის პერიოდში მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ცვლილებები განხორციელდა, რაც უდავოდ აისახა მართვის სტილზე, დაგროვდა გამოცდილება და ვფიქრობთ, აუცილებელია მოხდეს მისი პერიოდიზაცია.

ჩვენის აზრით, „მმართველობითი კაპიტალიზმის“ [1], ეპოქის დასასრულად უნდა მივიჩნიოთ 1991 წელი. 1991 წლიდან, განიცადა რა სამყარომ მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ცვლილებები, შეიცვალა მართვის სტილიც, კერძოდ, ამას ხელი შეუწყო ისეთმა გეოპოლიტიკურმა ცვლილებებმა როგორც იყო საბჭოთა კავშირის დაშლა, მის შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკების ადგილზე დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბება, „ვარშავის პაქტის“ ხელშეკრულების ქვეყნების გამოყოფა და ა.შ. ამ ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა თვისობრივად ახალი მართვის სტილი, რომელიც გაჯერებული იყო „საბჭოური“ მენტალიტეტით და თან ცდილობდა მართვის „კაპიტალისტურ-

რი“ სტილის შემოტანას. ეს პერიოდი იმითაცაა აღსანიშნავი, რომ ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე შემოდის დასავლური კაპიტალი, რომელსაც ასევე დასავლური კომპანიები მართავენ. მათ გახსნეს მუდმივი წარმომადგენლობები, ფილიალები და შესაბამისად, მათ მართვის სტილში გარკვეული ცვლილებები შევიდა. ამ ეპოქის პირველ ეტაპზე (1991-1997) საჭირო გახდა ადგილობრივი კადრების გადამზადება დასავლური სტანდარტებით, რათა მათ დაეკმაყოფილებინათ ის მოთხოვნილებები, რაც უკავშირდებოდა დასავლური კომპანიების ორგანიზაციულ მართვას თუ სხვა მიდგომებს. მართვაში, ასეთი ცვლილებები უნდა განეხორციელებინათ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებმაც გახსნეს წარმომადგენლობები (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მშვიდობის საერთაშორისო ორგანიზაცია, ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია და სხვ.), საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებს (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ევრაზიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი), ტრანსნაციონალურ კორპორაციებს (BP, TEDA, NEC Corporation, შპს "ტოიოტა კავკასია", და სხვ.). ამ ორგანიზაციების გაფართოება აისახება მათი მართვის სისტემაზე და წარმომადგენს თვისობრივად ახალ ეტაპს მართვაში, რომელიც გაგრძელდა 2020 წლამდე. ამიტომ ამ ეტაპს, რიგით მეექვსეს, შესაძლებელია ეწოდოს „ტრანსნაციონალური კომპანიების მართვის გაფართოების ეტაპი“.

XXI საუკუნე, მართვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ძვრების მომტანი აღმოჩნდა, დასაწყისშივე აღმოცენებულმა გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, საწარმოები, მათ შორის მსხვილი კორპორაციები, მართვის სტილის შეცვლის აუცილებლობის წინაშე დააყენა.

„მენეჯმენტის განვითარების ქრონოლოგიის“ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბოლო პერიოდში, COVID 19 პანდემიით გამოწვეული ატიპიური ეკონომიკური კრიზისის გავლენა მართვაზე. დისტანციურმა მუშაობამ, რომელიც ფართოდ არ იყო გავრცელებული, საყოველთაო აღიარება მიიღო. ზოგიერთი სფეროს წარმომადგენელთათვის ეს ერთადერთი გამოსავალი აღმოჩნდა. დისტანციური მუშაობის პირობებში პრაქტიკულად შეიცვალა „მართვის ფუნქციების“ პარადიგმული მიდგომა. განსაკუთრებული ცვლილებები განიცადა მართვის ისეთმა ფუნქციებმა როგორცაა ლიდერობა და მოტივაცია.

ადრეული პოსტპანდემიური სიტუაციის გადასახადიდან, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ დისტანციური მუშაობის პრინციპები კიდევ უფრო დაიხვეწება და სრულიად აღმოფხვრილი არ იქნება. ეს კი აუცილებლად მოიტანს „მართვის ფუნქციების“ თანამედროვე გაგების ჩამოყალიბების აუცილებლობას, სადაც უნდა აისახოს ყველა ის სოციალური, ფსიქოლოგიური თუ მმართველობითი ზეგავლენა, რასაც გამოიწვევს დისტანციური მუშაობა. ასევე მნიშვნელოვანია მართვის ისეთ ფუნქციებში, როგორცაა ლიდერობა, მოტივაცია და კონტროლი თანამედროვე ეპოქაზე მორგებული ცვლილებები შევიდეს. ვფიქრობთ, განვლილი პერიოდი და დღევანდელი რეალობა იძლევა საშუალებას ჩატარდეს სრულფასოვანი კვლევები ამ მიმართულებით.

საბოლოოდ აღვნიშნავთ, რომ აუცილებელია, XXI საუკუნის პირველივე ოცწლეულში განხორციელებულმა ძვრებმა სათანადო ასახვა ჰპოვოს მენეჯმენტის თანამედროვე თეორიებში. მოხდეს ხელახალი ქრონოლოგიზაცია, სადაც გათვალისწინებული იქნება ზემოთ აღნიშნული ფაქტორები.

**საკვანძო სიტყვები:** მენეჯმენტი, პერიოდიზაცია, მენეჯმენტის განვითარების ქრონოლოგია, მენეჯმენტის თეორია.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი, თაკალნაძე - მენეჯმენტის საფუძვლები, თბ. 2010. გვ. 31
2. მაჭავარიანი შ. - „მენეჯმენტის საფუძვლები, თეორიები, კონცეფციები და პრაქტიკული მიდგომები“, თბ. 2014, გვ. 18
3. Mescon, Albert, Khedouri – Management, Third edition, 2009, p. 55
4. Stephen P. Robbins (Author), Mary A. Coulter (Author) – Management, 12th Edition, 2013
5. World Investment Report 2010: Investing in a Low-Carbon Economy / UNCTAD. N.Y.; Geneva, 2010.
6. Principles of Management, 2019, Rice University, გვ. 76

# ბიზნესის სტიმულირების პოსტანდემიური სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის ფორმირების ზოგიერთი საკითხი

## **რეზო მანველიძე**

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პროფესორი  
საქართველო, ბათუმი, ბსუ  
manvelidze.revaz@bsu.edu.ge

## **ლეილა ცეცხლაძე**

ბიზნესის მართვის დოქტორი  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი  
საქართველო, ბათუმი, ბსუ  
cecxladze.leila@bsu.edu.ge

### **შესავალი.**

დღეისათვის სახელმწიფოებს, სხვადასხვა სოციალურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ გაერთიანებებს, ბიზნესს გააჩნიათ არაერთი ფორმატი და შესაძლებლობა შეიმუშაონ პანდემიის პერიოდში ეკონომიკაში მიღებული დაქვეითების შემცირების ღონისძიებები. ამავ დროს, ისინი ცდილობენ ჩაწვდნენ პრობლემებსა და ტენდენციებს, რომლებიც ვლინდება ბიზნესის კორპორატიულ მართვაში, ბიზნეს ურთიერთობებში, ნაციონალური და საერთაშორისო ბიზნესის განვითარების კოორდინაციის, თანამშრომლობის სტრატეგიაში.

### **ძირითადი შინაარსი.**

საქართველოში პანდემიის დაწყებიდან ბიზნესს კიდევ უფრო გაურთულდა არსებული სიძნელეები და შეექმნა ახალი პრობლემები, რომელთა დიდი ნაწილი დღესაც გრძელდება. შეიძლება ითქვას, რომ არსებულმა გამოწვევებმა ახალი მიმართულებებიც კი შეიძინა. მათ შორისაა 2008 წლის აგვისტოს ომი, მსოფლიო ფინანსური კრიზისი, შოკური ფასები სახელმწიფო ბაზარზე, სავაჭრო ურთიერთობების მოშლა, ვალუტის კურსის სისტემატური რყევა, მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული ეკონომიკური სანქციები და სხვა არაერთი გლობალური თუ ლოკალური, ფორმალური თუ არაფორმალური ეკონომიკის ტენდენციებში ძირეული ცვლილებებით გამოწვეული პრობლემა.

პანდემიით გამოწვეულმა სხვადასხვა შეზღუდვებმა ცხადყო, რომ მისი ზეგავლენა მოსახლეობის, მათ შორის, სამუშაო ძალის ჯანმრთელობაზე სულაც არ არის უმნიშვნელო, არც შემზღუდავი, წამახალისებელი და საკომპენსაციო ღონისძიებები იყო დაბალბიუჯეტისანი. ისინი სხვა ფაქტორებთან ერთად უარყოფითად მოქმედებენ ქვეყნების ეკონომიკაზე, ბიზნესზე. ფაქტიურად მოიშალა ბიზნესის ურთიერთობების ეკოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური, საერთაშორისო საფუძვლები. ნიშანდობლივია ისიც, რომ მდგრადობის შენარჩუნებისათვის შემუშავებული მექანიზმები თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში მსგავსია. განსხვავება მხოლოდ მათ ხანგრძლივობაში, თვითკმარობასა და ეფექტურობაში ვლინდება.

### **დასკვნა.**

ბიზნესის წახალისებისა და მდგრადობის მთავარ მიმართულებებად გვესახება საკუთარი რესურსების რაციონალური გამოყენების, საწარმოო პოტენციალისა და ექსპორტ-იმპორტის ოპტიმალური დივერსიფიკაცია, დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა, სოციალური თანასწორობისათვის ზრუნვა, კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის სახელმწიფო და კერძო რესურსების ინტეგრაცია, ერთობლივი (კერძო და სახელმწიფო) პროგრამების შემუშავება, დასაქმების გაზრდა, არაფორმალურ ეკონომიკაში არსებული პრიორიტეტებისა და მოთხოვნების დროული ლეგალი-

ზება და ამ შესაძლებლობების ფორმალურ ეკონომიკაში ჩართვა, პარტნიორული ურთიერთობების გაფართოება, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ფორმირება.

**საკვანძო სიტყვები:** ბიზნესის სტიმულირება, პოსტპანდემიური პერიოდი, სტრატეგია, კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მდგრადი განვითარება.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ე. მექვაბიშვილი, კორონომიკური კრიზისის გამოწვევები მსოფლიოსა და საქართველოსთვის, ე. ეკონომიკა და ბიზნესი, #1, თბ. 2021.
2. ვ. პაპავა, COVID-19-ის პანდემიური ეკონომიკური კრიზისის და საქართველოს ეკონომიკის რეორიენტირების შესახებ, თბ. 2020. [file:///C:/Users/User/Downloads/Papava\\_COVID-19\\_GeorgianEconomy\\_Ge.pdf](file:///C:/Users/User/Downloads/Papava_COVID-19_GeorgianEconomy_Ge.pdf)
3. თ. ხორბალაძე, covid-19-ის პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე რეგიონულ ქრილში, 2020.
4. ი. არჩვაძე, კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული გლობალური ცვლილებები, თბილისი, 2020.
5. მ. კაკულია, ნ. კაპანაძე, ანტიპანდემიური შეზღუდვების და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენა დასაქმებაზე, შემოსავლებსა და სიღარიბის დონეზე საქართველოში, თბ. 2020.
6. მ. კაკულია, ნ. კაპანაძე, ანტიპანდემიური შეზღუდვების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე: ხილული და უხილავი დანაკარგი, ე. ეკონომიკა და ბიზნესი, #, თბ.2021.
7. ნ. ჩიხლაძე, მ. ხიდაშელი, გ. უგულავა, საქართველოს ეკონომიკური განვითარება covid-19-ის პირობებში, ქუთაისი, 2021.
8. ც. მარღია, მაკროეკონომიკა პანდემიის დროს: მომხმარებელთა ქცევა და შეკავების ოპტიმალური პოლიტიკა, კვლევითი ნაშრომი, 2020.
9. Alexander W. Bartika , Marianne Bertrand... The impact of COVID-19 on small business outcomes and expectations, 2020. <file:///C:/Users/User/Desktop/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90%20%E2%80%93%20%E1%83%91%E1%83%A1%E1%83%A3%20%E2%80%932022/pnas.2006991117.pdf>
10. THE COVID-19 PANDEMIC IMPACT ON MICRO, SMALL AND MEDIUM SIZED ENTERPRISES MARKET ACCESS CHALLENGES AND COMPETITION POLICY, UNCTAD, 2022. [https://unctad.org/system/files/official-document/ditccpl2021d3\\_en.pdf](https://unctad.org/system/files/official-document/ditccpl2021d3_en.pdf)

## ერთიანი ევროპული ვალუტა (ევრო) საქართველოს, უკრაინის და მოლდოვას ეკონომიკაში

*რამაზ ფუტყარაძე*

ეკონომიკის დოქტორი,  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

საერთაშორისო ეკონომიკურ ინტეგრაციაში საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას მნიშვნელოვანი და მზარდი როლის შესრულებამ, ბუნებრივია უნდა გაზარდოს ევროს, როგორც საერთაშორისო ვალუტის როლის სამივე ქვეყანაში. მითუმეტეს იმ ფონზე რომ აღნიშნული ქვეყნები აქტიურად ცდილობენ ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავებას.

აღსანიშნავია, რომ აშშ დოლარი აქტიურად გამოიყენება საანგარიშგებო და სტატისტიკის საწარმოებელ ვალუტად სამივე ქვეყანაში. ევროს როლის ზრდა შესაძლებელია სამი მნიშვნელოვანი პარამეტრით, რითაც თვითონ ევროპის ცენტრალური ბანკი სარგებლობს - ქვეყანაში ბანკებში არსებული დეპოზიტები, ბანკების მიერ გაცემული სესხები და სახელმწიფო რეზერვები.

რეზერვების კუთხით, ევროს ყველაზე დიდი როლი 2021 წლის ბოლომდე მოლდოვას ეკონომიკაში ჰქონდა, როგორც სამეულიდან ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ინტერვენციებისათვის დოლარის გარდა სხვა ვალუტას, ევროს იყენებდა. მოლდოვას ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2009 წლიდან მოყოლებული ევროთი სავალუტო ინტერვენცია მრავალჯერ განხორციელდა.


სიტუაციას ამ ეტაპზე გარკვეულწილად ცვლის უკრაინაში რუსეთის მიერ წარმოებული ომი, რადგანაც 2022 წელს ამ დიდი კრიზისის ფონზე, უკრაინის ცენტრალურმა ბანკმა დაიწყო ევროთი სარგებლობა ინტერვენციებისათვის. 2022 წლის პირველი ხუთი თვის მონაცემებით - გაყიდული უცხოური ვალუტის 20%, ხოლო შესყიდული ვალუტის 5.8% ევროზე მოვიდა, რაც მკვეთრად ჩამოუვარდება დოლარს, თუმცა წარმოადგენს მაინც დიდი მასშტაბის გადატეხას ევრო არეას გავლენის კონტექსტში.

2021 წლის მონაცემებით, საქართველოში არსებულ ფინანსურ ინსტიტუტებში 38 მილიარდი ლარის ღირებულების დეპოზიტები იყო განთავსებული, ხოლო უკრაინაში 1.5 ტრილიონი გრივნისა და 139.9 მილიარდი გრივნის ოდენობის დეპოზიტები. მონაცემებს უკეთ აჩვენებს პროცენტული პარამეტრები: საქართველოში ევროში განთავსებული დეპოზიტები მთლიანის 9.65%-ს, ხოლო უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 15.9%-ს შეადგენდა, ხოლო უკრაინაში 9.19%-სა და 27.59%. ევროს წილი დეპოზიტებში საქართველოში უფრო მაღალია, თუმცა უკრაინის შემთხვევაში ევროს უფრო მაღალი წილი უცხოური ვალუტის დეპოზიტებში აიხსნება საქართველოს ეკონომიკის უკრაინასთან შედარებით მაღალი დოლარიზებით. იმავე წელს, საქართველოს ბანკებში არსებული დეპოზიტების 60.52% უცხოურ ვალუტაში იყო, მაჩვენებელი, რომელიც 33.3%-ს უდრიდა უკრაინაში.

დიაგრამა აჩვენებს ევროს პროცენტულ წილს დეპოზიტებში საქართველოში 2006-2021 წლებში, შედარებული დოლართან. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყანაში შეიმჩნევა დოლარებში განთავსებული დეპოზიტების რაოდენობის შემცირება და ამის ფონზე ევროს როლის შედარებით მოძლიერება, აღსანიშნავია, რომ ორივე ევროკავშირთან ასოცირებულ ქვეყანაში ჯერ ჯერობით დოლარის გავლენა უფრო ძლიერია დეპოზიტების კუთხით.



## დიაგრამა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აგრეთვე, 2021 წლის დასასრულის მონაცემებით, უკრაინაში არსებულ ფინანსურ ინსტიტუტებს გაცემული ჰქონდათ 1.05 ტრილიონი გრივნისა ღირებულების სესხები, ხოლო მოლდოვაში 56.4 მილიარდი ლიეს ღირებულების. აქედან ევროში განთავსებული იყო 76 მილიარდი გრივნისა და 11 მილიარდი ლიეს ოდენობის სესხები. ამ შემთხვევაშიც უფრო ინფორმატიულია პროცენტული მაჩვენებლები: უკრაინაში ევროში დენომინირებული გაცემული სესხები მთლიანის 7.30%-ს, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების 23.7%-ს შეადგენდა, ხოლო მოლდოვაში 19.6%-სა და 73.95%-ს. ევროს წილი სესხებში მოლდოვაში უფრო მაღალია როგორც მთლიანი მაჩვენებლის, ისე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების ფონზე, განსაკუთრებით იმ ფონზე რომ სასესხო ბაზარი მოლდოვაში ნაკლებად დოლარიზებულია ვიდრე უკრაინაში

აღნიშნული 3 ქვეყნის ეკონომიკაში ევროს, როგორც ვალუტის როლის გაზომვისას ცალსახად ჩნდება, რომ მოლდოვა სავალუტო კუთხით საგრძნობლად უფრო მეტად არის ინტეგრირებული ევრო არეასთან ვიდრე საქართველო და უკრაინა, მიუხედავად იმისა, რომ ამა თუ იმ დონის ცვლილება დოლარის გავლენის შესუსტებით და ევროპული ვალუტის მოძლიერებით სამივე სახელმწიფოში სახეზეა.

ამრიგად, ევროს როლი აღნიშნული სამი ქვეყნის ეკონომიკაში მზარდაა. აღნიშნულმა ქვეყნებმა თავის მხრივ უნდა გააგრძელოს ევროკავშირთან შემდგომი ინტეგრაცია. გაზარდოს სავაჭრო-ეკონომიკური და სავალუტო თანამშრომლობა ევროკავშირთან.

**საკვანძო სიტყვები:** ევრო, საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, ეკონომიკური ინტეგრაცია.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Putkaradze R. Georgia in the European Union's Eastern Partnership Countries: Historical Aspects and Challenges. Journal, Ecoforum Journal. Volume 8, Issue 1(18), 2019.
2. European Central Bank. (2022). The international role of the euro.
3. European Commission. (2017). EU-Ukraine Association Agreement fully enters into force. [https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/IP\\_17\\_3045](https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/IP_17_3045)
4. European Commission. (2018). Deepening Europe's Economic and Monetary Union.

5. European Commission. The euro outside the euro area. [https://ec.europa.eu/info/business-economy-euro/euro-area/euro/use-euro/euro-outside-euro-area\\_en](https://ec.europa.eu/info/business-economy-euro/euro-area/euro/use-euro/euro-outside-euro-area_en)
6. European Commission. What is the Economic and Monetary Union? (EMU). [https://ec.europa.eu/info/business-economy-euro/economic-and-fiscal-policy-coordination/economic-and-monetary-union/what-economic-and-monetary-union-emu\\_en](https://ec.europa.eu/info/business-economy-euro/economic-and-fiscal-policy-coordination/economic-and-monetary-union/what-economic-and-monetary-union-emu_en)
7. National Bank of Ukraine. Statistics. <https://bank.gov.ua/en/statistic>
8. Neykov, R., & Robert, C. (2021). The Role of the Euro in the Eastern Partnership Countries. *European Economy Discussion Paper 138*.
9. საქართველოს ეროვნული ბანკი. სტატისტიკური მონაცემები. <https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data>
10. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სახელმწიფო საგარეო ვალის სტატისტიკა. [https://mof.ge/saxelmwifo\\_sagareo\\_valis\\_statistika](https://mof.ge/saxelmwifo_sagareo_valis_statistika)

## ერთვნულ ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლის კორელაციური ანალიზი

**რამინ ცინარიძე,**

ბიზნესის მართვის დოქტორი, ასოც. პროფესორი,  
შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ბათუმი, [ramin.tsinaridze@bsu.edu.ge](mailto:ramin.tsinaridze@bsu.edu.ge)

**ნინო მახარაძე,**

მაგისტრი, სპეციალობა ფინანსები და საბანკო საქმე,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ბათუმი, [nini.makharadze.98@gmail.com](mailto:nini.makharadze.98@gmail.com)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უაღრესად მზარდ მნიშვნელობაზე მიუთითებს მსოფლიოს სტატისტიკური მონაცემები და ტენდენციები. ის მოქმედებს ეკონომიკაზე და ყველა სხვა სექტორზე პირდაპირი თუ ირიბი ფორმით. გამონაკლისი არც საქართველოა, მასზე უცხოური ინვესტიცია უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს როგორც ეკონომიკური, ასევე არამატერიალური ფასეულობების (განათლების დონე, ახალ ტექნოლოგიების მიმართ ცნობადობა) განვითარების მხრივ.

საქართველოს საინვესტიციო გარემო ბოლო ათწლეულის განმავლობაში გატარებული რეფორმების შედეგად მეტად მიმზიდველი გახდა. უამრავი რეფორმათაგან მნიშვნელოვანია საბაჟო რეფორმა, რომელიც 2007 წლამდე ბევრად რთული იყო ტარიფთა რაოდენობის გამო. ასევე შრომის კოდექსი დაიხვეწა და მიუახლოვდა ევროპულ სტანდარტს, დღეს დასაქმებული მეტად დაცულია დამსაქმებლის მხრიდან უკანონო ქმედებისგან. საქართველოში ასევე შემცირდა გადასახადთა რაოდენობა, რამაც გაამარტივა ბიზნეს საქმიანობა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გადასახადების შემცირებით არა თუ შემცირდა ბიუჯეტში გადასახადებით მიღებული შემოსავლები, არამედ პირიქით გაიზარდა. პრივატიზაციის პროცესიც გამარტივებულია და უცხოელ ინვესტორებს აქვთ უფლება შეიძინონ სახელმწიფოს ქონება. საქართველოში შედარებით სუსტად მიმდინარეობს კრიმინალთან და კორუფციასთან ბრძოლის ტენდენცია. ეს პროცესი რამდენიმე წლის წინ აქტიურად უმჯობესდებოდა, თუმცა ამჟამად ეს ტემპი შენელებულია. ასევე გვაქვს სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი, გვაქვს ინფლაციის მზარდი დინამიკა, ეროვნული ვალუტა მუდმივად არასტაბილურია და ასევე არ გვაქვს განვითარებული საფონდო ბირჟა.

2020 წლის დასაწყისში ეს ყველა ნიუანსი კიდევ უფრო დამძიმდა, კოვიდ პანდემიამ შექმნა მნიშვნელოვანი ფინანსური კრიზისი და ლოგიკურია საქართველოს ეკონომიკა დააყენა დიდი გამოწვევების წინაშე. პანდემიური და რთული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ქვეყანაში შეიქმნა კრიზისი, რამაც უმუშევრობის დონე გაზარდა და ფინანსური რესურსების შემცირება გამოიწვია. უკანასკნელი ორი წელი სავალდებულო გახდა ქვეყნის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართულიყო ჯანდაცვაზე და ისეთ სოციალურ პროგრამებზე, როგორიცაა უმუშევრად დარჩენილთა კომპენსაცია, სოციალური დახმარებები და ა.შ. ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა ვალი, რაც იწვევს ქვეყნის მიმართ უცხოელ ინვესტორთა უნდობლობას. ეკონომიკური მდგრადობის არ ქონა ინვესტორს აძლევს სიგნალს, რომ ქვეყანა ფინანსური რესურსების დაბანდებისთვის მეტად რისკიანია.

სტატისტიკის მხრივ საქართველოს ტენდენცია ინვესტიციების მიმართულებით 2000 წლიდან მზარდია. ამ მაჩვენებლის მიხედვით მაქსიმალური რიცხოებრივი შედეგი არის 2007 წელს, 2008 წლის ფინანსურმა კრიზისმა და რუსეთ-საქართველოს ომმა 2009 წელს თითქმის 50% -ით შემცირდა და შემდგომ პერიოდში კვლავ გააგრძელა ზრდა. მნიშვნელოვნად მაღალ მაჩვენებელს


პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 2017 წელს მიაღწია და შეადგინა 1980.8 მლნ აშშ დოლარი. 2020 წელს 2018-2019 წელთან შედარებით სამჯერ შემცირდა, რაც გამოიწვია პანდემიურმა მდგომარეობამ და მის გამო წარმოქმნილმა ფინანსურმა კრიზისმა. 2021 წლის მაჩვენებელი კი წინა წელთან შედარებით ორჯერ მეტია, თუმცა 2019 წლის მაჩვენებელზე დაბალია.

2021 წლის მაჩვენებელი გაზრდილია სააქციო კაპიტალის, რეინვესტიციის და სავალო ვალდებულებების გაზრდის ხარჯზე. სააქციო კაპიტალი 2021 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა 28.7 მლნ-დან 174.9 მლნ აშშ დოლარამდე. რეინვესტიცია 500.5 მლნ-დან 760.5 მლნ-მდე. რეინვესტიციის წილი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2020 წელს 87.5% იყო 2021 წელს კი 66%. სავალო ვალდებულებები კი 42.8 მლნ-დან 217.4 მლნ-მდე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიცია ქვეყნების ეკონომიკის განვითარება-გაჯანსაღებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, ეს ფაქტი მას კიდევ უფრო მეტად ღირებულს ხდის და ამ მიმართულების მეტად გააქტიურებას უწყობს ხელს. სწორედ ამ უკანასკნელიდან გამომდინარე ინვესტიციები არის ერთ-ერთი მთავარი მასტიმულირებელი ბერკეტი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აქტიურად არის კავშირში მთლიან შიდა პროდუქტთან. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გლობალური ნაკადები მძიმედ დაზარალდა COVID-19 პანდემიის გამო. 2020 წელს ისინი ერთი მესამედით დაეცა 1 ტრილიონ დოლარამდე, რაც ათი წლის წინ გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ მიღწეულ ნიშნულზე გაცილებით დაბალია. განსაკუთრებით მძიმე დარტყმა „გრინფილდის“ ინვესტიციებმა მიიღო. ეს საკმაოდ რთული საკითხია, რადგან საერთაშორისო საინვესტიციო ნაკადები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარებისთვის მსოფლიოს ღარიბ რეგიონებში.

**მსოფლიოს ჯამური მთლიანი შიდა პროდუქტი (მიმდინარე, ტრლნ დოლარი)**

**დიაგრამა №1**



**წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორების მიერ მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით**

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა დიდია არა მარტო ეკონომიკურ მაჩვენებლებზე არამედ ზოგადად მოქალაქეთა ცხოვრების დონეზე. განსაკუთრებით დიდია გავლენა დასაქმებაზე, მშპ-ზე და სავაჭრო ბალანსზე. იმისათვის, რომ ნათლად დავინახოთ ამ უკანასკნელთა შორის კავშირი, საჭიროა კორელაციური ანალიზი (იხ. ცხრილი №1. ).

კორელაციური ანალიზი

ცხრილი №1

	კორელაცია	Std.dev
დასაქმება	0.655715	49.94295
მშპ	0.17248847	4630.864
ექსპორტი	0.148666006	760.3742
იმპორტი	-0.112398484	1291.036

**წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორების მიერ**

FDI-ის და დასაქმების კორელაციური კავშირი საკმაოდ მაღალია და შეადგენს 0.655715. ეს ფაქტი ნამდვილად არ არის უჩვეულო, რადგან მეტი ფინანსური რესურსი და მეტი ინვესტიცია საშუალებას იძლევა გავზარდოთ დასაქმებულთა რაოდენობა და ხელი შევუწყოთ უმუშევრობის დონის შემცირებას. წლების განმავლობაში ინვესტიციებს მხოლოდ აკავშირებდნენ დასაქმებასთან, თუმცა ეს ნამდვილად არ არის ჭეშმარიტება. ინვესტიციებს ბევრ სხვა მიმართულებებთანაც აქვს საკმაოდ მჭიდრო კავშირი.

FDI-ს და მშპ-ს კორელაციური კავშირის არსებობს თუმცა დასაქმების კორელაციურ მაჩვენებელზე ბევრად მცირეა. 0.17248847 არის კორელაციური კავშირის სიძლიერე. FDI რა თქმა უნდა ახდენს გავლენას მთლიან შიდა პროდუქტზე, თუმცა არც ისე მნიშვნელოვნად. ასევე არსებობს კავშირი FDI-ს და ექსპორტს შორის და შეადგინა 0.148666006. სადაო საკითხი სულაც არაა ამ ორი უკანასკნელის კავშირი და ეს კორელაციამაც დაადასტურა. თუმცა იმპორტთან დაკავშირებით იმავეს ვერ ვიტყვით, როგორც გამოთვლებმა აჩვენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს და იმპორტს შორის კორელაციური კავშირი არ არსებობს.

დასაქმების სტანდარტული გადახრა 49.94-ია, რაც საკმაოდ მცირეა და შესაბამისად არ ხასიათდება დიდი დიაპაზონის ცვლილებებით. დასაქმების მაჩვენებლის სტანდარტული გადახრა ბევრად უფრო ნაკლებად ცვალებადია ვიდრე ექსპორტისა და იმპორტისა. ასევე ყველაზე დიდი ცვალებადობით ხასიათდება მთლიანი შიდა პროდუქტი, რომლის სტანდარტული გადახრა 4630.864-ია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და დასაქმების მაღალი კორელაცია მიმღები ქვეყანაში ზრდის დასაქმებულთა რაოდენობას, შესაბამისად სიღარიბის დონის ცვლილებასაც იწვევს. საბოლოოდ კი ეს ყოველივე საშუალებას იძლევა მიმღები ქვეყნის ეკონომიკა გაძლიერდეს და დროთა განმავლობაში საშუალებას მისცემს საერთაშორისო ასპარეზზე წამყვანი ადგილი დაიკავოს.

ამრიგად, ეკონომიკის გაჯანსაღების ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეტი შემოდინების უზრუნველყოფა და მეტი ფინანსური რესურსის მობილიზება. FDI მოზიდვის ხელშეწყობისთვის კი აუცილებელია ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო და ინვესტორების მეტად დაინტერესება. ინვესტიციები ქმნიან დამატებით ფულად რესურსებს, ამიტომაც აუცილებელია მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა. საქართველო პანდემიამდე პერიოდში აქტიურად იზიდავდა უცხოურ ინვესტიციებს, რაც განპირობებული იყო: ბუნებრივი რესურსების, გეოგრაფიული მდებარეობის, საერთაშორისო სავაჭრო ბაზარზე გახსნილობის, კრიმინალის დაბალი დონის, ხელშემწყობ რეგულაციათა არსებობის და სხვა ფაქტორთა გამო. თუმცა დღეის მდგომარეობით კრიმინალის დონე მომატებულია და ამას პლუსს საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობის დონე შემცირებული, აქედან გამომდინარე მეტი საინვესტიციო რეფორმა

და ხელშემწყობი რეგულაციის გატარებაა საჭირო, რაც მცირედით მაინც დაეხმარება საქართველოს ეკონომიკას არსებული კრიზისული მდგომარეობიდან თავის დაღწევაში.

**საკვანძო სიტყვები:** პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, დასაქმება, კორელაცია, მთლიანი შიდა პროდუქტი, ექსპორტი-იმპორტი, ჰანდეშის გავლენა და რეგულირება.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. სიხარულიძე დ. ჭარაია ვ. „უცხოური პირდაპირი ინვესტიციები: თეორია და საქართველოს გამოცდილება“. თბ., 2018 წ.;
2. ქოქიაური ლ. „უცხოური ინვესტიციები“, თბ., 2017 წ.;
3. ცინარიძე რ., ბერიძე ლ., „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზეგავლენა დასაქმებაზე“, 2019 წ.;
4. ცინარიძე რ., ბერიძე დ., „საინვესტიციო გარემოს გამოწვევები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები“, თბ., 2018წ.;
5. ჭარანაია ვ. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის“. 2015 წ.;
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში“. 2021წ.

## „გლობალიზაციის სენსიტიურობა საქართველოსთვის რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში“

*რუსუდან სირბილაძე*

ოსუ თეორიული ეკონომიკის კათედრის ასისტენტ პროფესორი,  
ეკონომიკის დოქტორი.

საქართველო, თბილისი, ივ. ჯავახიშვილის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

21 საუკუნეში გლობალიზაცია სენსიტიური თემა გახდა, რადგან ეხება მთლიანად მთელ მსოფლიოს. გლობალიზაცია ჯერ კიდევ წინა საუკუნეებში დაიწყო და იქამდე გაგრძელდება ვიდრე მსოფლიოში მცხოვრები თითოეული ადამიანი არ იგრძნობს გლობალიზაციის შედეგებს. გლობალიზაციის შეჩერების ძალა არავის შესწევს, ამიტომ სიბრძნით და გონიერებით უნდა მოხერხდეს გადარჩენა ისე, რომ არც შევეწიროთ და არც ჩვენი თვითმყოფადობა დავკარგოთ. განსაკუთრებულ მასშტაბებს გლობალიზაცია იღებს მას შემდეგ, რაც რუსეთმა უკრაინაში ომი დაიწყო. ამან მთელ მსოფლიოში ლტოლვილების რაოდენობა გაზარდა, ეს კი იმოქმედებს მსოფლიო რესურსების განაწილებასა და მის სწორად გამოყენებაზე. საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა მიმზიდველია მსოფლიოს ქვეყნებისთვის, ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის წამოწყება გამარტივებულია სხვა ქვეყნების მოქალაქეებისთვის, და ეს ხელს შეუწყობს სხვა ქვეყნების მოქალაქეებს დაიწყონ თავიანთი საქმიანობა საქართველოში, შესაბამისად ამას მოჰყვება რესურსების დიდი რაოდენობით გამოყენება, რაც თავისთავად გაზრდის ფასებს. ვალუტის კურსის გამყარებაც იმის მიზეზია რომ დიდი რაოდენობით უცხოური ვალუტა შემოვიდა საქართველოში, თუმცა ამან ვერ შეცვალა და ზემოქმედება ვერ იქონია ფასებზე, უფრო მეტიც ვალუტის გამყარება დროებითი პროცესია. პირიქით ვხედავთ როგორ დღითიდღე იზრდება ფასები საყოფაცხოვრებო პროდუქტებზე. მსოფლიო ასევე ცვლის მოხმარების წესებს, უდიდესი მნიშვნელობა დღეს ენიჭება პროდუქციის ხარისხს, მაღალი ხარისხის და სტანდარტის პროდუქციას და არა რაოდენობას, თუმცა როდესაც ქვეყანაში დიდი რაოდენობით ლტოლვილია რაოდენობაც გასათვალისწინებელია. სწრაფი და მგრადი განვითარება ასევე გასათვალისწინებელი ფაქტორია. რაც სრულიად ცვლის ვაჭრობას. სწრაფად ვითარდებიან ისეთი წარმოებები, რომელთაც საკუთარი ტექნოლოგიები, თავისი წარმოების ფაქტორები გააჩნიათ. საქართველომ ამ პროცესში უნდა შეძლოს ქვეყნისთვის სართხეების და შესაძლებლობების შეფასება და აქედან გამომდინარე დაგეგმოს თავისი მომავალი. გლობალიზაციის საფრთხე იქამდე გახდება შესამჩნევი საქართველოსთვის ვიდრე რეგიონში ომი არ შეჩერდება.

**საკვანძო სიტყვები:** გლობალიზაცია, ომი, ლტოლვილები, რესურსები, ფასები.

# დაბრუნებადი და დაბრუნებადი სიცოცხლის დაზღვევის მდგომარეობა საქართველოში

## სოფიკო ცეცხლაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
დოქტორანტი

სადაზღვევო კომპანიების მიერ დაგროვებულ გრძელვადიან დანაზოგებს უდიდესი წვლილი შეაქვს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და უზრუნველყოფს ცალკეული სქემების მოსარგებლეთა ფინანსურ სტაბილურობას. სიცოცხლის დაზღვევის პროდუქტების მიერ მობილუზებული თანხები წარმოადგენს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში განხორციელებული გრძელვადიანი ინვესტიციების ძირითად წყაროს.

სიცოცხლის გრძელვადიანი დაზღვევა სერიოზულ მოთხოვნებს უყენებს სადაზღვევო ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას და სტაბილურობას, რადგანაც იგი ეფუძნება სადაზღვევო პრემიის კაპიტალიზაციის პროცესს. არასტაბილურობის და ფინანსური კრიზისის შესაძლებლობის შემთხვევაში, სადაზღვევო ორგანიზაციებს არ შეუძლიათ გასცენ გარანტიები გრძელვადიან პერსპექტივაში. საზოგადოების ნდობა მათ მიმართ, ისევე როგორც სხვა საფინანსო ინსტიტუტებთან საკმარისი არ არის. ჯერ კიდევ არ არსებობს კანონმდებლობითი ან ეკონომიკური ინსტრუმენტები მეწარმეების და საზოგადოების წასახალისებლად, რომ გააფორმონ სიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტები (მაგალითად, თანამშრომელთა სიცოცხლის დაზღვევა ან სიცოცხლის დაზღვევა სესხის ან იპოთეკის მიღებით).

საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის 2021 წლის მონაცემებით, სიცოცხლის დაზღვევას 9%-იანი წილი უჭირავს დაზღვევის ბაზარზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო წლების განმავლობაში ადგილი აქვს სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის გარკვეულ გამოცოცხლებას.

მიუხედავად ამ ზრდისა, სამწუხაროა, თუმცა ფაქტია, რომ საქართველოში ეს ბაზარი ჯერ-ჯერობით აუთვისებელია და მაინც, რა არის საქართველოში სიცოცხლის დაზღვევის განვითარებლობის მთვარი მიზეზი? შესაძლოა არასტაბილური ეკონომიკა და საინვესტიციო ბაზრის დაბალი დონე ან უბრალოდ სადაზღვევო კულტურის არარსებობა ჩვენში.

ქვეყნის ეკონომიკისათვის მისი ასეთი მნიშვნელობიდან გამომდინარე, კვლევის მიზანია საქართველოს სიცოცხლის დაზღვევის ბაზარზე არსებული მდგომარეობის ანალიზი მისი განვითარების სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრის მიზნით.

კვლევის ფარგლებში საჭიროა მოხდეს განვითარებადი რეგიონებისა და მეორეს მხრივ, ევროპული სიცოცხლის დაზღვევის ბაზრისთვის დამახასიათებელი ტენდენციების შესწავლა. რის ფონზეც, განხორციელდება ქართული სიცოცხლის დაზღვევის სექტორის სტატისტიკური და ფინანსური მონაცემების მრავალმხრივი ანალიზი.

**საკვანძო სიტყვები:** დაზღვევა, კაპიტალიზაცია, იპოთეკური სიცოცხლის დაზღვევა, დაზღვევის კულტურა, არასტაბილური ეკონომიკა.



# ადამიანისეული კაპიტალის ტრანსფორმაცია და ბიზნესის პოტენციალის გამოყენების ფაქტორები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

*იამზე სურმანიძე*

ასისტენტი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი  
საქართველო, ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Surmanidze.iamze@bsu.edu.ge

სტატიაში ჩამოყალიბებულია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადამიანისეული კაპიტალის ფორმირების თავისებურებები, მისი განვითარების აუცილებლობა ბიზნესის პოტენციალის გამოყენების ფაქტორებთან ერთად მდგრადი ეკონომიკის განვითარებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში ადამიანისეული კაპიტალის განვითარების პოტენციალი დიდია, მათი ეკონომიკური აქტივობის დონე მცირდება ანუ სათანადოდ არ ხდება უნარების გამოყენება, ამიტომ აუცილებელია ადეკვატური ღონისძიებების განხორციელება. გამოკვეთილია ის საშიშროებები და საფრთხეები, რაც ემუქრება ადამიანისეული კაპიტალის და მცირე და საშუალო ბიზნესის სამომავლო განვითარებას აჭარაში. კერძოდ, ეკონომიკური კრიზისის გამო კვალიფიციური შრომითი რესურსის გადინება; მოსახლეობის დაბერება და სამუშაო ძალის შემცირება; არასაკმარისი ფინანსური რესურსები კონკურენტუნარიანი კადრების უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებით მწვავედ დგას ინტელექტუალური და კვალიფიციური შრომითი რესურსის გადინების და მიგრაციის საფრთხეები აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში.

ყველა ჩამოთვლილი პრობლემა არის რეგიონული ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი, რაც თავისთავად ხელს უშლის მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას. ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას ხელს შეუწყობს მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის და ადამიანისეული კაპიტალის მომზადება. კონკურენტუნარიანი ადამიანისეული კაპიტალი, როგორც რეგიონის, ისე ქვეყნის ინოვაციური განვითარების ძირითადი რესურსია. სწორედ ადამიანისეული კაპიტალის ტრანსფორმაცია განაპირობებს ინოვაციური ეკონომიკის განვითარებას. ინოვაციური პოტენციალი ბიზნესის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორია. მზარდი კონკურენციის პირობებში, მეტად მნიშვნელოვანია ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული წარმოებისთვის მეწარმეობრივი უნარების და ინოვაციური ცოდნის ამაღლება. შესაბამისად, აუცილებელია ინოვაციურ განვითარებაზე ორიენტირებული ადამიანისეული კაპიტალის ფორმირება. ადამიანისეული კაპიტალის სტრუქტურაში ცვლილებების განხორციელების საჭირო რესურსები სამუშაო ძალას და მცირე საწარმოებს არ გააჩნიათ, ამიტომ მნიშვნელოვანია ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებაში უშუალოდ დამსაქმებლის და სახელმწიფოს ჩართულობა ადამიანისეული კაპიტალის ხარისხის გასაუმჯობესებლად. რეგიონული ბიზნესის განვითარებაში მნიშვნელოვანია ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობა. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ინვესტიციების მობილიზება მაღალპროდუქტიული, ინოვაციური კონკურენტუნარიანი საწარმოების გასახსნელად.

ადამიანისეული კაპიტალის განვითარება დამოკიდებულია დემოგრაფიულ ტენდენციებზე, თუ სამუშაო ძალის რა პოტენციალია რეგიონში, რა საფრთხეები ემუქრება მას და რა ღონისძიებები უნდა გატარდეს მისი რესურსული უზრუნველყოფისთვის. ის პრობლემები, რაც უარყოფითად აისახება დემოგრაფიულ ბალანსზე, პირდაპირ შეუშლის ხელს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, შესაბამისად მნიშვნელოვანია დემოგრაფიულ უსაფრთხოებაზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარება. ეს პოლიტიკა გულისხმობს მოსახლეობის კლების და დაბერების თავიდან აცილებას; მიგრაციული პროცესების შეჩერებას; ადამიანისეული კაპიტალის გაძლიერებას, ცხოვრების დონის ამაღლებას.

რა თქმა უნდა, დემოგრაფიული ფაქტორების გარდა, რეგიონში ბიზნეს სექტორის განვითარებას განსაზღვრავს რესურსული პოტენციალი და ბიზნეს-გარემო. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი მრავალფეროვნება, თავისი გამორჩეული ინდივიდუალურობით ქმნის რესურსულ პოტენციალს და ტერიტორიული ერთეულის კონკურენტუნარიანობის ამაღლების შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია აუთვისებელი რესურსების რაციონალური გამოყენება.

აჭარის მუნიციპალიტეტებს განსხვავებული ეკონომიკური სპექტრი აქვს. ზოგიერთი ეკონომიკური დარგი ნაკლებადაა გამოკვეთილი არსებული რესურსების სიმწირის ან შეუფერებელი ბიზნეს-გარემოს გამო. მაგალითად, მრეწველობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი, მშენებლობა მაღალმთიან აჭარაში განვითარების ყველაზე დაბალ პოზიციებზეა. ბათუმის, ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებით ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებში ბიზნესისთვის სპეციალური ინდუსტრიული ზონები, ან ბიზნესინკუბატორები არ ფუნქციონირებს. ამ მხრივ ადგილობრივი პრობლემებია: მრეწველობის დარგის განვითარების შეუსაბამობა არსებული რესურსების პოტენციალთან. აჭარის მაღალმთიანეთის ეკონომიკის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი უჭირავთ სოფლის მეურნეობას, აგროსექტორს და ტურიზმს, სადაც ძირითადად ადგილობრივები არიან თვითდასაქმებულები. სოფლის მეურნეობა ტრადიციული დარგია და ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა, მიუხედავად იმისა, რომ მაღალმთიანეთში მცირემიწიანობის და ეროზიული რისკების საფრთხეებია. აჭარის მაღალმთიანეთში ეკონომიკური განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორებად გვევლინება სამუშაო ადგილების სიმცირე, სოფლიდან ქალაქად მიგრაციის პროცესი, საკუთრების რეგისტრაციის პრობლემა, სამეწარმეო უნარების დაბალი დონე, ინფრასტრუქტურული პრობლემები, ფინანსებზე და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარის სოფლის მეურნეობას დიდი პოტენციალი აქვს, სოფლის მეურნეობის უამრავი პროდუქტი იმპორტირებულია, მაშინ როცა შესაძლებელია ადგილობრივი პროდუქციის მიწოდების გაზრდა ბაზარზე; ტურიზმის პოტენციალის ზრდა; აგროსექტორის განვითარება; მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა და შესაბამისი გარემოს ფორმირება.

პანდემიის პერიოდში განსაკუთრებული სიმწვავე იგრძნობა იმპორტდამოკიდებულ სექტორებში, ამიტომ მნიშვნელოვანია რეგიონში ადგილობრივი წარმოების გაზრდა. შესაბამისად მეტად მნიშვნელოვანია იმ ქვედარგების განვითარებაზე აქცენტის გაკეთება, რომლებსაც ყველაზე დიდი პოტენციალი აქვთ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. სოფლის მეურნეობის ისეთი მიმართულებები, როგორცაა ციტრუსის, ჩაის, თხილის, თამბაქოს, ვაზის, ხილის, თევზის წარმოება, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეცხოველეობა და სხვ. არსებული რესურსების გათვალისწინებით სავსებით შეიძლება იქცეს კონკურენტუნარიანი მიმართულებებად.

ამრიგად, კონკურენტუნარიანი ადამიანისეული კაპიტალის ფორმირების და ეფექტური გამოყენების სწორი პოლიტიკა, ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობა, ადგილობრივი რესურსული პოტენციალის ოპტიმალური გამოყენების და წარმოების მასტიმულირებელი პოლიტიკის განხორციელება არის რეგიონის განვითარების უმნიშვნელოვანესი სტრატეგია. რეგიონის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება პირდაპირ კავშირშია ადამიანისეული კაპიტალის ტრანსფორმაციასთან. მიგვაჩნია, რომ აჭარის ეკონომიკური და ადამიანური რესურსების ოპტიმალური კომპლექსური გამოყენება იქნება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბიზნესის განვითარების საწინდარი.

**საკვანძო სიტყვები:** ადამიანისეული კაპიტალი, რეგიონული ბიზნესი, ინოვაციური მეწარმეობა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე, რ. (2014). ინოვაციები-ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი. *თსუ ჰაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული "ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში"*. (გვ. 3-7). თბილისი.
2. აწარმოე საქართველოში. (2020). წლიური ანგარიში.
3. აჭარის ა.რ. 2016-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა. (2016).
4. აჭარის ა.რ. მთავრობა. (2019). აჭარის ა.რ. საშუალოვადიანი (2020-2023) სამოქმედო გეგმა.
5. ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი. (2016). *შრომის ბაზრის კვლევა*. ბათუმი: "ინტელექტი".
6. ბლექსი. (2018). აჭარის მაღალმთიანეთში შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი.
7. გეჩბაია ბ.,... (2020). ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობა და საექსპორტო ბაზრებზე გასვლის სტრატეგიები. *ეკონომიკა და ბიზნესი*, 2.
8. დელეგაციის პრესისა და ინფორმაციის გუნდი GEORGIA. (2020, 09 14). *საქართველოში პროფესიული განათლებისა და შრომის ბაზრის განვითარების მხარდასაჭერად ევროკავშირი 7 მილიონი ევროს ბიუჯეტის 9 ახალ პროექტს იწყებს*. Retrieved from ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში.
9. მანველიძე, რ. (2010). ეკონომიკის რეგიონალური თავისებურებანი. *ეკონომიკა*(8).
10. მერები ეკონომიკური ზრდისთვის. (2019). *ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმა 2020-2021*.
11. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2020). *უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა-2020*.
12. საქართველოს მთავრობა. (თ.გ.). საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020.
13. საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი. (2020). *Covid-19-ის შესაძლო გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე*. GPRC.
14. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი (2016). *აჭარის მაღალმთიანი რაიონების ბაზრის კვლევა*. ISSA.
15. სურმანიძე, ი. (2020). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი. (გვ. 351-359). თბილისი: პ. გუგუშვილის დაბადებიდან 115-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული.
16. სურმანიძე, ი. (2021). აჭარის ბიზნეს სექტორში დასაქმების დარგობრივი სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი. (გვ. 230-240). თბილისი: ალფრედ კურატაშვილის დაბადებიდან მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული.
17. ტაბატაძე, მ. (2022, იანვარი 20). ადამიანური კაპიტალის მართვა პანდემიის ტალღებს შორის-გამოწვევები და შესაძლებლობები. *Forbes*.
18. ტაკიძე, ა. (2006). აჭარის ა.რ. შრომითი რესურსების ფორმირება და გამოყენება. თბილისი: ცოდნის წყარო.
19. ქათამაძე, დ. (2016). ინოვაციური პროცესების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. *ინოვაციური ეკონომიკა და მართვა*, 1(1), 35-40.
20. ცეცხლაძე, ლ. (2016). ინოვაცია-ბიზნესის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორი. *ინოვაციური ეკონომიკა და მართვა*, 1(1), 82-86.
21. ხორბალაძე თ. (2020). COVID 19-ის პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე რეგიონულ ქრილში (თბილისი, აჭარა, იმერეთი, კახეთი, შიდა ქართლი). თბილისი.
22. Erkomaishvili, G. (2016). Small Entrepreneurship Supporting Economic Policy in Georgia. In B. a. International Conference on Economics (Ed.), 10. Paris.
23. Glonti, V., Manvelidze, R. ., & Surmanidze, I. . (2021). The Contribution of SME to Regional Economic Development: On example of Adjara Autonomous Republic. *European Journal of Sustainable Development*, 10(1), 513. <https://doi.org/10.14207/ejsd.2021.v10n1p513>
24. OECD. (2016). *Recommendations for Georgia's SME Development Strategy*. OECD Eurasia Competitiveness Program.

# საქართველო ევროკავშირის საინვესტიციო ურთიერთობები COVID-19 პანდემიის პირობებში

**რამინ ცინარიძე**

ბიზნესის მართვის დოქტორი, ასოც. პროფესორი,  
შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ბათუმი, [ramin.tsinaridze@bsu.edu.ge](mailto:ramin.tsinaridze@bsu.edu.ge)

**გიორგი რიჟვაძე**

დოქტორანტი, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ბათუმი, [giorgirijvadze@gmail.com](mailto:giorgirijvadze@gmail.com)

უცხოური ინვესტიციების ზეგავლენა მიმდები ქვეყნის ეკონომიკაზე აღიარებული და დადასტურებულია როგორც, თეორიული, ასევე პრაქტიკული მიდგომებითაც. ინვესტიციების მნიშვნელობა განსაკუთრებულია გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკებისათვის, რამეთუ მოსახლეობაში დაბალი შემოსავლები, დანაზოგების სიმცირე ვერ ასტიმულირებს ეკონომიკურ პროგრესს, რომლის დროსაც საჭიროა უცხოური კაპიტალის შემოდინება, რაც დამატებითი ფულადი რესურსების ხარჯზე ქმნის ეკონომიკურ ერთეულს (საქონელი) და აღნიშნული პროცესი თავის არსით სხვადასხვა ეფექტის მატარებელია, კერძოდ დასაქმების ზრდა, მოსახლეობაში შემოსავლების გაზრდა, მეტი გადასახადები და სხვა ეკონომიკური თუ სოციალური ეფექტი. შესაბამისად, ასეთი პროცესი საქართველოსთვის გარდაუვლად საჭიროა.

უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე მოქმედი ფაქტორები განსხვავებულია და დამოკიდებულია საერთო-ეკონომიკურ და კორპორაციულ ფაქტორებზე, რომელიც გამომდინარეობს, არამარტო ქვეყნის შიდა ეკონომიკური პოლიტიკიდან, არამედ მსოფლიო ტენდენციებიდანაც, ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა და მისი პოპულარიზაცია, ხშირად სახელმწიფოების გამოწვევად რჩება.

უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე მოქმედი ფაქტორები განსხვავებულია და დამოკიდებულია საერთო-ეკონომიკურ და კორპორაციულ ფაქტორებზე, რომელიც გამომდინარეობს, არამარტო ქვეყნის შიდა ეკონომიკური პოლიტიკიდან, არამედ მსოფლიო ტენდენციებიდანაც, ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა და მისი პოპულარიზაცია, ხშირად სახელმწიფოების გამოწვევად რჩება.

უცხოური ინვესტიციების დადებითი მოქმედება აისახება ასევე ქვეყნის სავალუტო კურსის ცვლილებაზე, რაც საქართველოს მსგავსი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია, ამიტომ თანამედროვე სამყაროში ქვეყნები ცდილობენ შექმნან ისეთი გარემო-ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფს კაპიტალის შემოდინებას დინამიკურად და მას ექნება პროგრესული ხასიათი.

უცხოური ინვესტიციები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინფრასტრუქტურის აღდგენა, განახლება და შექმნაში, რაც საქართველოს მსგავსი ქვეყნისათვის აუცილებელია.

სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორი მერსი ტემბონი საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციას აფასებს. ის ამბობს: „საქართველო მსოფლიოს ნაწილია და გარე ფაქტორები მასზე ზეგავლენას ახდენენ. მისი თქმით, მთავარია, რომ ტრენდი პოზიტიური იყოს და ეს ასეც არის. “საქართველო კუნძული არ არის, ეს არის ქვეყანა, რომელიც დაკავშირებულია მსოფლიოსთან; თუ საგარეო ფაქტორებში რაიმე ხდება, თავისთავად ამას აქვს გავლენა ქვეყანაზე. პირველ კვარტალში შეიძლება იყოს დაცემა, მეორე კვარტალში - ისევ ზრდა. მთავარი ამ შემთხვევაში არის ტრენდი. არის ის პოზიტიური? დიახ, არის და ეს არის მნიშვნე-

ლოვანი. ასე რომ, დაცემა და ზრდა, გამომდინარეობს არა კონკრეტულად საქართველოდან, არამედ მისი სამეზობლოდან, მისი სავაჭრო პარტნიორებიდან. მთავარია, იყოთ ყურადღებით და ვიცი, ქართველი ხალხი ასეც იქცევა“.

ნაშრომის ძირითადი დანიშნულებაა იმ ფაქტორების გამოკვეთა და ანალიზი, რომელიც ზეგავლენას ახდენს საქართველო ევროკავშირის საინვესტიციო ურთიერთობებზე COVID-19 პანდემიის პირობებში და მისი ეფექტების განსაზღვრა მიმდები ქვეყნის ეკონომიკაზე.

ინვესტიციები თავისთავად გულისხმობს ტექნოლოგიური ნოუ-ჰაუს შემოღინებას, კონკრეტულ სექტორთან დაკავშირებული ახალი ცოდნის და გამოცდილების შემოღინებას, რომელიც შემდგომში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინვესტიციის მიმდები ქვეყნის კადრების პროფესიონალიზმის ამაღლებაში. ბოლო წლების ტენდენციების შესაბამისად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების ზრდა დადებითად მოქმედებს გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე და მათ შორის არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს, სადაც დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან სხვადასხვა მიმართულებით მთ შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წახალისების კუთხი განხორციელებულმა რეფორმებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებას.

COVID-19-ის პანდემიის ნეგატიური შედეგების შემსუბუქებისა და ეკონომიკის პოსტპანდემიური სწრაფი აღდგენის თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ბიზნესის, მათ შორის, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერას.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა საქართველოს მსგავს ქვეყნებს საშუალებას აძლევს გავიდნენ გლობალურ ბაზრებზე, შექმნან სამუშაო ადგილები, გაზარდონ ექსპორტი და წახალისონ ახალი ტექნოლოგიებისა და ბიზნეს პრაქტიკის დანერგვა. 2017 წლიდან საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. უფრო მეტიც, COVID-19-ის პანდემიის გამო, სხვა ქვეყნების მსგავსად 2020 წელს, ინვესტიციები წინა წელთან შედარებით თითქმის განახევრდა. ახლა, პანდემიის შედეგების ფონზე, ინვესტიციების ნაკადის აღდგენა საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

„ინვესტიციების მოზიდვის სამოქმედო გეგმა მოიცავს მიზანმიმართულ რეფორმებს, რომლებიც აუცილებელია იმისთვის, რომ ქვეყნის სტრატეგია ინვესტიციების მოთხოვნებს უკეთ მოერგოს. სწორედ ეს ექსპორტზე ორიენტირებული ინვესტიციები არის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა“. განაცხადა IFC-ის რეგიონულმა მენეჯერმა სამხრეთ კავკასიაში ივანა ფერნანდეს ღუარტიმ

საინვესტიციო ნაკადების აღდგენის მხრივ საქართველოს მთავრობის მიერ 2021 – 2025 წლებისთვის შემუშავდება „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია“, რომელიც დაეფუძნება ევროპის „მცირე ბიზნესის აქტის“ უმთავრეს პრინციპს.

გაძლიერდება უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ხელშეწყობის პლატფორმა, რომლის ფარგლებშიც დამტკიცდა საინვესტიციო გრანტების სახელმწიფო პროგრამა. აღნიშნული პროგრამა გულისხმობს საინვესტიციო ვალდებულების შესრულების შემდეგ ინვესტორი კომპანიებისთვის კვალიფიციური ხარჯების ანაზღაურებას. მექანიზმი მაღალტექნოლოგიურ წარმოებას, სერვისების ექსპორტს, ლოგისტიკისა და თვითმფრინავების მომსახურების სფეროებს დაფარავს. გარდა ამისა, შეიცვალა და ახლებურად გაგრძელდება ინვესტიციებთან მუშაობისა და კომუნიკაციის პროცესი. სააგენტომ დაიწყო მუშაობა ე. წ. ლოკაციების სკაუტებთან. განხორციელდა წამყვანი ლოკაციის კონსულტანტების იდენტიფიცირება და, პანდემიის მიუხედავად, უკვე დაწყებულია მათი საქართველოში ჩამოყვანა. განხორციელდა და მომავალშიც გაგრძელდება პოტენციური ინვესტიციების პროფილირება, რომლებთანაც მიმდინარეობს პირდაპირი კომუნიკაცია მაღალი დონის პოლიტიკური ჩართულობით.

საქართველოს ეკონომიკა COVID-19-ის პანდემიის შოკიდან სწრაფად ჯანმრთელდებოდა და ზრდის მაღალ ტემპს ინარჩუნებდა რუსეთის უკრაინაში შეჭრამდე. 2021 წელს საქართველოს ეკო-

ნომიკურმა ზრდამ 10,4 პროცენტს მიაღწია. ომისა და სანქციების უარყოფითი შედეგები საქართველოს ეკონომიკასაც გადმოეცემა და 2022 წლის მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდა 3 პროცენტამდე მცირდება, მოსალოდნელი ინფლაცია იზრდება და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ღრმავდება. ეკონომიკური მდგომარეობა განსაკუთრებული გაურკვევლობით ხასიათდება. საქართველოს ეკონომიკამ წარსულში მდგრადობა გამოავლინა და, მხარდაჭერილი პროგრამის ფარგლებში გატარებული პოლიტიკის შედეგად, 2023 წლიდან ეკონომიკის ზრდის ტემპისა და სხვა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას ველით.

კოვიდ პანდემიამ ნათლად დაგვანახა, რომ მნიშვნელოვანია დაიგეგმოს და განხორციელდეს ისეთი ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლებიც ქვეყნებს მისცემს შესაძლებლობას კრიზისის პერიოდშიც შეუფერხებლად შეძლოს ქვეყანამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რომელიც ერთის მხრივ შეიძლება აკუმულირებული იყოს ერთ რომელიმე სეგმენტში მაგ: ჯანდაცვაში, რომელიც კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანი როლის მატარებელია.

აგრეთვე მნიშვნელოვანია თამამი საინვესტიციო პაკეტის შემუშავება, პანდემიამ ეკონომიკური აქტივობის მკვეთრად შენელება გამოიწვია, პანდემიამ იმგვარი ზიანი მიაყენა მსოფლიოზე, რომ ბევრისთვის ეს სრული მოულოდნელობა იყო მითუმეტეს, რომ პანდემია წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე არის განმეორებადი, ეკონომიკისთვის მაინც დამანგრეველი ეფექტის მომტანი აღმოჩნდა, მან გავლენა იქონია ცხოვრებისეულ ყველა ასპექტზე.

საერთაშორისო დონეზე პანდემიამ დააზარალა უკლებლივ ყველა სფერო, რამაც ინვესტიციები მკვეთრად შეამცირა.

**მსოფლიო ინვესტიციების ტენდენცია 2010-2020 წწ.**

**დიაგრამა №1**



**წყარო: მსოფლიო ბანკი**

აღსანიშნავია რომ უცხოური ინვესტიციების განხორციელების თვალსაზრისით 2015 წელს დაფიქსირდა პიკი, 2.75 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა. შემდეგი წლები კი კლების ტენდენციით გამოირჩევა და 2018 წელს ბოლო ათწლეულის განმავლობაში ყველაზე მცირე 927.11 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო მომდევნო წელს როდესაც წინა წელთან შედარებით ზრდის ტენდენციები დაიწყო, ამას დაერთო, covid – 19, რომელმაც კიდევ უფრო გააუარესა არსებული მდგომარეობა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2013-2022 წწ. (მლნ აშშ დოლარი)

ცხრილი №1


წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022*
სულ	1 039.2	1 837.0	1 728.8	1 654.0	1 990.5	1 351.5	1 352.2	589.8	1 241.8	922.9
I კვ	291.8	331.9	343.4	392.9	415.0	337.3	318.4	173.8	134.3	571.1
II კვ	224.1	217.6	493.2	452.6	398.1	423.3	249.6	246.4	322.5	351.8
III კვ	271.6	749.5	531.1	507.8	637.0	373.0	406.2	296.9	373.9	
IV კვ	251.6	538.0	361.0	300.6	540.5	218.0	378.0	-127.2	411.1	

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს რომ საქართველოში გატარებული რეფორმების შედეგად საქართველოში 2019 წლამდე გამოირჩეოდა უცხოური ინვესტიციების ზრდის ტემპით და შეადგინა 1352.2 აშშ დოლარი ხოლო მომდევნო წელს ისევე, როგორც მთელ მსოფლიო საქართველოს თავს დაატყდა კოვიდ პანდემია, რამაც შეაჩერა უცხოური ინვესტიციების შემოდინების დონე და შეადგინა 589.8 აშშ დოლარი. შემდგომში კვლავ გაჯანსაღების ტენდენციები მიმდინარეობს და 2021 წელს შეადგინა 1 241.8 აშშ დოლარი, ხოლო 2022 წელის ორი კვარტლის მონაცემებით კიდევ უფრო გაუმჯობესდა უცხოური ინვესტიციების შემოდინების კუთხით არსებული მდგომარეობა და ორი კვარტლის წინასწარი მონაცემებით შეადგინა 922.9 მილიონი აშშ დოლარი.

დიაგრამა №2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უმსხვილესი ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2022 წლის II კვარტალში (%), წინასწარი მონაცემებით



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წლის ბოლომდე შეიძლება გაორმაგდეს აღნიშნული მონაცემები, თუმცა უფრო მეტი სამუშაო იქნება განსახორციელებელი, რომ შევძლოთ და გადავუსწროთ პანდემიამდე პერიოდში არსებულ მონაცემებს, რომელიც თავის მხრივ დაეხმარება ქვეყნის ეკონომიკას გაჯანსაღების პროცესში. აღსანიშნავია, რომ სექტორების მიხედვით ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განხორციელდა ეკონომიკის 21.8% და უძრავი ქონების 21.5 % სექტორში.

რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებს, ისევე როგორც სხვა დანარჩენი ქვეყნებიდან შემოდინებული უცხოური ინვესტიციების ნაკადი 2020

2021 წელს მკვეთრად არის შემცირებული, თუმცა კიდევ ერთხელ საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 2022 როგორც კი ეკონომიკამ დაიწყო გაჯანსაღების პროცესი გააქტიურდა ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა და ორი კვარტლის წინასწარი მონაცემებით შეადგინა 392 476.2 მილიონი აშშ დოლარი რაც გასული ორი წლის მონაცემებს რადიკალურად აუმჯობესებს.

**ცხრილი №2**

ქვეყნები	2017	2018	2019	2020	2021	I კვ. 2022*	II კვ. 2022*
<b>სულ</b>	<b>1,990,526.4</b>	<b>1,351,529.7</b>	<b>1,352,181.7</b>	<b>589,798.1</b>	<b>1,241,821.7</b>	<b>571,114.3</b>	<b>351,772.3</b>
მათ შორის:							
<b>ევროკავშირის ქვეყნები (27)</b>	<b>566,765.1</b>	<b>423,028.5</b>	<b>433,344.0</b>	<b>339,881.1</b>	<b>354,404.5</b>	<b>276,304.7</b>	<b>116,171.5</b>
ავსტრია	6,287.3	17,361.0	15,231.2	-10,654.0	7,514.5	-1,402.6	-949.4
ბელგია	4,313.5	3,482.8	1,522.7	4,873.0	8,204.8	748.7	146.6
ბულგარეთი	4,858.7	7,426.7	5,857.0	-1,739.2	2,377.9	779.2	3,222.6
ხორვატია	467.2	2,028.2	794.0	-326.7	6.3	126.4	32.1
კვიპროსი	13,149.0	-86,382.3	24,449.7	-45,200.4	-18,224.7	-4,177.4	-2,378.4
ჩეხეთი	131,678.2	77,696.0	18,280.2	-6,340.1	80,764.2	6,135.3	26,568.7
დანია	-4,457.1	15,248.8	2,754.4	28,906.1	2,131.6	8,715.9	10,057.3
ესტონეთი	20,526.3	15,371.4	3,879.2	6,996.8	5,282.0	326.7	462.0
ფინეთი	-435.8	53.5	2,216.4	731.3	790.9	-22.2	125.2
საფრანგეთი	21,092.4	29,067.3	20,407.9	11,999.9	23,236.2	-1,919.4	4,609.5
გერმანია	-94,507.7	41,127.1	23,880.2	36,598.8	36,168.4	9,133.4	8,890.2
საბერძნეთი	675.7	1,971.7	1,286.6	2,934.2	2,036.9	295.9	783.0
უნგრეთი	2,105.7	1,465.4	2,735.9	1,369.0	3,978.8	530.7	465.6
ირლანდია	190.5	3,157.7	133,241.0	195.1	1,078.5	-91.6	192.9
იტალია	8,260.9	-3,624.6	-931.5	-272.8	1,349.7	1,200.1	263.5
ლატვია	-33,854.2	4,154.3	2,289.7	4,672.3	5,397.8	1,913.9	2,434.5
ლიეტუვა (ლიტვა)	2,506.7	956.3	3,983.7	1,021.1	234.8	24.2	393.3
ლუქსემბურგი	103,192.2	50,136.0	68,838.8	22,772.4	34,929.4	7,462.5	7,843.2
მალტა	9,984.1	25,095.8	1,201.4	45,932.9	-2,244.5	10,173.3	4,530.0
ნიდერლანდები	356,181.7	211,615.0	92,916.8	206,759.1	138,296.5	34,375.3	44,787.4
პოლონეთი	1,311.0	2,871.6	3,615.6	1,272.6	7,156.1	5,245.8	1,841.1
პორტუგალია	885.5	19.0	-154.5	-	646.6	288.9	373.6
რუმინეთი	727.3	607.1	278.6	124.4	283.3	1,587.7	169.2
სლოვაკეთი	2,753.7	3,651.8	1,937.0	16,626.8	-5,917.3	90.5	-185.7
სლოვენია	997.0	887.4	1,184.4	-6.2	34.2	-20.4	-5.2
ესპანეთი	5,835.9	-3,487.3	-3,058.9	2,937.1	14,407.9	196,059.3	1,611.6
შვედეთი	2,039.7	1,070.7	4,706.6	7,697.6	4,483.8	-1,275.6	-112.9

**წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური**

ასევე აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან განხორციელებულ ინვესტიციებს 2022 წლის წინასწარი მონაცემებით პირველ სამეულში ლიდერობენ ესპანეთი, ნიდერლანდები, მალტა და მას მოყვებიან დანარჩენი სახელმწიფოები.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ არ არსებობს ყოვლისმომცველი ინდიკატორების სია, რომლებიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას განაპირობებს, ისევე, როგორც არ არსებობს მისი ხელის შემშლელი ფაქტორების ზუსტად განსაზღვრული ჩამონათვალი. სხვადასხვა ფაქ-



ტორმა სხვადასხვა ქვეყანაში შესაძლებელია სხვადასხვაგვარი ეფექტი მოგვეცეს. ან წარმოიქმნას ისეთი ფაქტორის ან ფაქტორთა ერთობლიობა, რომელთა ზეგავლენაც საინვესტიციო გარემოზე პრაქტიკულად შეუსწავლელია. COVID-19 პანდემიის გავრცელების შეზღუდვის მიზნით მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მთავრობამ მიმართა საზოგადოებრივი ჯანდაცვის მკაცრ ზომებს. ამ ზომებმა გამოიწვია მძიმე ეკონომიკური შეფერხებები, რაც, ცხადია, გავლენას ახდენს ფირმების უცხოეთში ინვესტირების გადაწყვეტილებებზე.

საქართველო მნიშვნელოვან თანხებს ევროკავშირისგან სამთავრობო დახმარების სახით იღებს. ევროკავშირი საქართველოს მთავარი დონორია. გრანტებს და გრძელვადიან შეღავათიან კრედიტებს გვაძლევს, როგორც უშუალოდ ევროკავშირი (როგორც ინსტიტუტი), ასევე მისი წევრი ქვეყნების მთავრობები და საერთაშორისო ორგანიზაციები (მაგალითად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, EBRD).

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, როგორც კი პანდემიამ თავისი მარწუხები ცოტათი მოუშვა ეკონომიკის ყველა სექტორში შემჩნევა დადებითი ძვრები, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში განხორციელებული უცხოური ინვესტიციები სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე ხასიათდება ზრდის დინამიკით, თუმცა ეს არ უნდა გადაიზარდოს ზედმეტ ოპტიმიზმში და მთავრობა თავისი თანმიმდევრული მწყობრი ნაბიჯებით სტიმულირება უნდა გაუწიოს ევროპის სხვა ქვეყნებს თანხების აკუმულირება და ინვესტირება მოახდინონ ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, რომელიც თავის მხვრივ დადებითი ეფექტის მატარებელია ქვეყნის სოციალურ ეკონომიკური კეთილდღეობის თვალსაზრისით.

**საკვანძო სიტყვები:** COVID-19 პანდემია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საქართველო ევროკავშირი, უცხოური ინვესტიციების შემცირება, უცხოური ინვესტიციების ზრდა, კრიზისები.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაშვილი გ. არაბიძე მ. „მითითებები და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები ენერგოეფექტური პროდუქტებისა და განახლებადი ენერჯის მოწყობილობების სფეროში მომქმედი საქართველოს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის (სახელმძღვანელო), 2021წ.
2. ბერიძე ლ., რიჟვაძე გ., „ინვესტიციების როლი ეროვნულ პროდუქტთან მიმართებაში“, ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტი ჟურნალი „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“ 2019 წ.
3. თოიძე ლ. ხუსკივაძე მ. „Covid-19-ის გავლენა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკაზე“, 2021 წ.  
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhour-i-investitsiebi> ;
4. მეცხვარიშვილი ს. „მსოფლიო ბანკი ინვესტიციების შემცირებაზე „საქართველო კუნძული არ არის“, 2019 წ. <https://www.bm.ge/ka/article/msofli-o-banki-investiciebis-shemcirebaze-quotsaqartvelo-kundzuli-arisquot/35570/> ;
5. მსოფლიო ბანკი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2022წ. <https://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD?end=2020&start=1970&view=chart>
6. საქართველოს და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიას შორის მიღწეულია შეთანხმება სამწლიან, 289 მილიონ აშშ დოლარის მოცულობის ‘მხარდამჭერ პროგრამაზე’ ანგარიში (Stand-By Arrangement) PR22/101. 2022წ;
7. საქართველოს მთავრობა ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2022-2025 წლებისათვის;
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში“. 2022 წ.;

9. რიჟვადე გ. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, როგორც ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობა“, 2019 წ. (სამაგისტრო ნაშრომი);

10. IFC Georgia Primed for Investment 2022 წ.  
[https://www.ifc.org/wps/wcm/connect/news\\_ext\\_content/ifc\\_external\\_corporate\\_site/news+and+events/news/georgia-primed-for-investment-ka](https://www.ifc.org/wps/wcm/connect/news_ext_content/ifc_external_corporate_site/news+and+events/news/georgia-primed-for-investment-ka) .

## აჭარის მთიანი რეგიონების გამომწვევები, ტურიზმის განვითარების თავისებურებები პოსტპანდემიური რეაბილიტაციის პროცესში

*ცირა ცეცხლაძე*

ტურიზმის ფაკულტეტი, ასისტენტ -პროფესორი  
ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი  
საქართველო, ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
tsetskhladze.tsira@bsu.edu.ge

ტურიზმი ჩვენი ქვეყნისთვის ეკონომიკის ერთ-ერთი პერსპექტიულ დარგს წარმოადგენს. მისი პრიორიტეტულობა ეკონომიკური თუ სოციალური თვალსაზრისით, განსაკუთრებით დადებითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაზე. ყოველივე ამის ხელშემწყობი ფაქტორი კი არის ის რომ საქართველო გამოირჩევა მდიდარი მრავალფეროვანი და ამავდროულად ბევრი აუთვისებელი ტურისტული რესურსებითა და დესტინაციებით. სწორე ესაა მთავარი სავიზიტო ბარათი საერთომორისო ტურისტულ ბაზარზე. ეს პრიორიტეტული მდგომარეობა კი ტურიზმს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს, რაც მნიშვნელოვნად ნათელი გახდა კოვიდ- 19 პანდემიის მსოფლიო აფეთქების პროცესში ყველა ტურიზმის განვითარების მქონე ქვეყნებისათვის.

კოვიდ-19 პანდემიამ კაცობრობა ახალი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევების წინაშე დააყენა. 2020 წლის დასაწყისში ვირუსის გავრცელების გამო სიტუაცია ტურიზმის ინდუსტრიაში დღითიდღე დამძიმდა. დაიკეტა თითქმის ყველა ეკონომიკურად სტრატეგიული დაწესებულებები, გაუქმდა საერთაშორისო ფრენების ჯავშნები, დაიხურა რესტორნები, სასტუმროები, კაფე-ბარები, ფუნქიონირება შეწყვიტა ტუროპერატორებმა და ტურისტულმა სააგენტოებმა. პანდემიის გამო ფაქტობრივად უფუნქციოდ დარჩა ყველა ის სექტორი, რომელიც გაერთიანებული იყო ტურიზმში.

როგორც ავღნიშნე, პანდემიური პროცესების განვითარებამ ეკონომიკის მთლიან სექტორს და მათ შორის ტურიზმს მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა, რამაც მისგან მიღებული შემოსავლები საკმაოდ შეამცირა. მიმდინარე პერიოდში, როცა პანდემიასთან ერთად მსოფლიო ეკონომიკამ მასთან არსებობის ადაფტირება შეძლო, ტურიზმი როგორც ეკონომიკის სწრაფად აღდგენადი დარგი საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღების მთავარ მასტიმულირებელ ფაქტორად შეგვიძლია მივიჩნიოთ, ჩვენი აზრით პანდემიის პირობებში თუ პანდემიის შემდგომ, ყველაზე სწრაფად და მარტივად აწორედ ტურიზმმა აუწყო ფეხი რეალობას და მოახდინა ადაპტირება.

გამომდინარე აქედან, ტურიზმისადმი წაყენებულმა მოთხოვნებმა პანდემიასთან ერთად ცვლილება განიცადა, ამიტომ დღეისათვის მთიანი რეგიონები და მთის ტურიზმი სექტორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებათ გვესახება. პანდემიამ ადამიანის დასვენების ხასიათი შეცვალა და მისი ბუნებასთან სიახლოვე უფრო მჭიდრო გახდა. მთა, ბუნება და ზოგადად რეკრეციული ტურიზმი მიმდინარე და პოსტპანდემიური პროცესის მნიშვნელოვან თანმდევ ფაქტორად გადაიქცა. ამ მიმართულებით განსაკუთრებული დაინტერესება მთის ტურიზმის განვითარების კუთხით უჭირავს აჭარის რეგიონს მისი თვალმწარმტაცი ლანდშაფტითა და ტურისტული რესურსებით, რაც როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ვიზიტორების მხრიდან მნიშვნელოვან დაინტერესებას იწვევს. ამაზე მეტყველებს რეგიონში მიმდინარე განხორციელებული წარმატებული ბიზნეს იდეები საოჯახო სასტუმროებისა და კემპინგის ტიპის განთავსების ადგილების სახით, რომელმაც თავისი იდეებისა და სერვისის ხელმისაწვდომობის კუთხით მთის ტურიზმი აჭარის რეგიონში უფრო მიმზიდველი გახდა ტურისტებისთვის.

საქართველოსთვის მთიანი რეგიონები, განსაკუთრებული ტურისტულ-რეკრიაციული პოტენციალით გამოირჩევა, როგორც კლიმატური თავისებურებებით, ასევე ბალნეო-კლიმატური და ბუნებრივი მახასიათებლებით. რაც შეეხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთიანი ზონა თავისი რეკრიაციული, კულტურული და ისტორიული ღირებულებებით, ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებით ნამდვილად შეიძლება პოპულარიზაციისა და პიარით ვაქციოთ მნიშვნელოვან ტურისტული დანიშნულების ადგილებად. ამის მტკიცებულების ერთ-ერთ შესაძლებლობას გვაძლევს ისიც რომ პანდემიის პერიოდში დასვენება ბარში შეიცვალა მთაში დასვენების ტენდენციით.

სტატიაში მნიშვნელოვანი ყურადღებაა გამახვილებული იმ აუცილებელი მოტივირებადი ფაქტორების ანალიზზე, რომლების იქნება სტიმული აჭარაში განსაკუთრებით პერსპექტივაში, პანდემიის შემდგომ რეკრიაციული ტურიზმის სხვადასხვა სახით განვითარებისა. სამკურნალო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და კულტურულ-შემეცნებითი ტურისტული მიმართულებებისკენ მოთხოვნის გააქტიურება რეკრიანტებისგან, ესაა მნიშვნელოვანი სამომავლო ამაცანა პანდემიის დასაძლევად.

მოვერგოთ პანდემიის რეგულაციებს და თან ვმართოთ ქვეყანაში არსებული სხვა სოციალურ-ეკონომიკური თუ დემოგრაფიული პრობლემები მთელიმ რიგი კომპლექსური ღონისძიებების გატარებას მოითხოვს სახელმწიფოს მიერ მარეგულირებელი პოლიტიკისა და კერძო სექტორის ერთობლივი ძალისხმევით.

სწორედ ამ მიმართულებით სტატიაში მოყვანილია ის ძირითადი სურვილები და დასკვნები, რომლითაც ტურიზმი და კერძოდ რეკრიაციული ტურიზმია მიჩნეული ჩვენი რეგიონის განვითარების, მოსახლეობის კრიზისიდან გამოყვანის მშვნელოვანი საშუალებად.

საქართველო არის ქვეყანა, რომლისთვისაც ტურიზმის ბიზნესი ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ რგოლს წარმოადგენს. ეკონომიკური მაჩვენებლები, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და პირდაპირი მნიშვნელობით საარსებო პირობების, ყოველდღიურობის გაუმჯობესების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა, ვიანაიდან ტურიზმია სწორედ ის მსხვილი მომსახურების ინდუსტრიული კომპლექსი სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილია დასაქმებული.

ტურიზმის განვითარების მთავარი ბერკეტი კი მზა ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებაა, რომლითაც გამოირჩევა ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონი, ყველა გეოგრაფიული ზონა. ის კლიმატური თავისებურებები რომლითაც საქართველო გამოირჩევა, იძლევა საშუალებას სხვადასხვა საკურორტო ინდუსტრიის განვითარებისა. აქვე არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ის მინერალური წყლების სიმრავლე, რომლებიც ბალნეოლოგიური კურორტების განვითარების საუკეთესო საშუალებაა თავისი უნიკალური ღირებულებებით.

საქართველო არის ქვეყანა, რომლისთვისაც ტურიზმის ბიზნესი ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ რგოლს წარმოადგენს. ეკონომიკური მაჩვენებლები, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და პირდაპირი მნიშვნელობით საარსებო პირობების, ყოველდღიურობის გაუმჯობესების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა, ვიანაიდან ტურიზმია სწორედ ის მსხვილი მომსახურების ინდუსტრიული კომპლექსი სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილია დასაქმებული.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა თავისი ტურისტულ-რეკრიაციული პოტენციალით უდაოდ გამორჩეული რეგიონია საქართველოს ტურისტული დანიშნულების რეგიონებს შორის. ეს გამორჩეულობა კი, როგორც ვიცით პირველ რიგში განპირობებულია ერთდროულად მთის და ზღვის რეკრიაციული რესურსების სიახლოვით, ვიზიტორს აქვს შესაძლებლობა სულ რაღაც ერთი სათის სავალზე ზღვიდან წასულმა მოინახულოს მთის, ანუ მაღალმთიანი აჭარის მრავალფეროვანი ტურისტულ-რეკრიაციული დასასვენებელი თუ გასართობი ადგილები.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურისტულ ღირებულებები, რომელიც გააჩნია ესაა მნიშვნელოვანი რესურსული პოტენციალი, რომელიც ტურიზმის არაერთი მიმართულებით განვითარების შესაძლებლობას იძლევა. ზოგადად ტურიზმის განვითარების დადებითი ხელშემწყობი ფაქტორები, რომლებიც თავის შე-

დეგებს როგორც ვთქვით, ეკონომიკურ თუ სოციალურ მახასიათებლებში ავლენს, განსაკუთრებულად ღირებული ადგილობრივი მოსახლეობისთვისაა. რაც შეეხება იმას თუ რომელი ტურისტული მიმართულებებია აქტუალური და რა გვადლევს ამის თქმის საშუალებას, ჩვენის აზრით განხილვის თემად პირველ რიგში რეკრიაციული რესურსების დიდი პოტენციალი უნდა მივიჩნიოთ.

ასევე გვრდს ვერ ავუვლით აჭარას, როგორ ერთ-ერთ გამორჩეულ რეგიონს, თავისი ისტორიული, კულტურული ღირებულებებით, ტრადიციებითა და ძველი წესჩვეულებებით. რეგიონისთვის დამახასიათებელი კოლორიტული ხასიათის ფოლკლორი, ცეკვა, ტრადიციული ხელსაქმე, ადგილობრივი კერძები და რეგიონისთვის დამახასიათებელი დღესასწაულები იძლევა შესაძლებლობას სხვა დანარჩენ ბუნებრივი თუ ანთროპოგენული ტურისტულ რეკრიაციული რესურსების კომბინაციით პოსტპანდემიურ პერიოდში უფრო საინტერესო გავხადოთ მთიანი რეგიონები, კერძოდ კი აჭარა.

დასკვნის სახით შემგვიძლია თამამად გამოვხატოთ ამბიცია იმისა, რომ აჭარის ავტორრი რესპუბლიკის ტურისტულ-რეკრიაციული რესურსების მრავალფეროვნება, გვადლევს შესაძლებლობას ტურისტულ ბაზარზე შევიდეთ სხვადასხვა ინოვაციური მარშუტებით. როგორც ავღნიშნეთ კოვიდ-პანდემიის განვლილმა რეგულაციებმა ტურიზმის მიმართულებებმა სახე იცვალა და ხალხმრავალი და აქტიური ტურისტული დანიშნულების მაღალი მოთხოვნადობა ჩაანაცვლა საგარეუბნო და მთის რეგიონების ტურისტული რესურსების მოთხოვნამ. ეს კიდევ ერთი დადებითი ტენდენციაა იმისა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთიანი რეგიონების ტურისტული შესაძლებლობები კარგად მოერგება თანამედროვე საერთაშორისო თუ შიდა ტურიზმის ბაზრის მოთხოვნებს.

**საკვანძო სიტყვები:** მთის ტურიზმი, პანდემია, პოსტპანდემიური პერიოდი, რეკრიაციული ტურიზმი.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ჟ.მიქაშავიძე.ვ. მიქაშავიძე (2017) საქართველოს ტურისტული რესურსები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გვ. 15
2. საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023 (პროექტი) თბილისი. 2018 წ.
3. <https://gnta.ge/ge/publication/ტურიზმის-სტატისტიკა-2019-წლი/>
4. <https://gnta.ge/ge/publication/ტურიზმის-ინდუსტრიაში-შრო/>
5. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემები 2013-2020 წწ.

## გასტროტურიზმის ახალი გამოწვევები

თამარ გოგოლაძე

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმ. მეცნ. ფაკ. პროფესორი  
ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი

ტურიზმის სხვადასხვა სახეობათა შორის ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს გასტრონომიულ ტურიზმს, რომელიც მრავალი წლის მანძილზე როგორც მთელ მსოფლიოში, კერძოდ საქართველოში იზიდავდა ვიზიტორებსა და გურმანებს სხვადასხვა კუთხიდან.

გასტროტურიზმის განვითარების და მისი სრულყოფის გზების შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ტურიზმისათვის. აღნიშნული პროცესი შესწავლილია სხვადასხვა ტურიზმის მკვლევართა თუ ლიტერატურათმცოდნეთა მიერ, რამდენადაც მხატვრულ ტექსტებში არაერთგზის გვხვდება კულინარიის მიღწევები დაგემოვნების პროცესი, რომელიც გავლენას ახდენს პერსონაჟთა ქცევასა და ხასიათებზე.

გასტროტურიზმის პროცესების კვლევა მნიშვნელოვანია ორი თვალსაზრისით: 1. როგორც ტურიზმის შესაძლებლობათა გზების გაფართოების 2. ისე თვით კულინარიული ოსტატობის სრულყოფისათვის. ამ თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა წელს შემოთავაზებული ახალი გამოწვევა - გემოფესტი. გემოფესტი პირველად ჩატარდა კოვიდის შემდგომ პერიოდში და მოიცავდა რაჭის, ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის სამზარეულოების დემონსტრირებით ამბროლაურში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პროექტის ფარგლებში და მედიასაშუალებების ინფორმაციის შესწავლით ცხადყო შიდა ტურიზმი.

გემოფესტზე მოწვეული შეფშარეულები სწავლობდნენ ეროვნული (კერძოდ რაჭული და ქვემოსვანური) სამზარეულოების სპეციფიკას და ყოველივე ამან შექმნა შესაძლებლობა ქართულ სამზარეულო კატალოგში ახალი სახეობების დანერგვისა.

გემოფესტი მნიშვნელოვანი იქნება, ერთი მხრივ,  
ა) შიდა ტურიზმის განვითარებისათვის,

ბ) უცხოელ ვიზიტორთა მოზიდვის გაზრდის თვალსაზრისით, ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს თვით ქართველი ვიზიტორებისათვის დავიწყებული ძველი სამზარეულოს გაცნობისა და ახალ შესაძლებლობათა დანერგვისათვის როგორც ქვეყნის, ისე მსოფლიო კულინარიაში, სადაც ექსპერიმენტების ბური მიდის ეროვნულ, ტრადიციულ სამზარეულოებთან ახლის არაორგანული შერწყმის საფუძველზე. აღნიშნული საკითხის კვლევა წარმოადგენდა ჩვენი სტატიის ძირითად ამოცანას.

**საკვანძო სიტყვები:** გასტროტურიზმი, გემოფესტი, კულინარია, ახალი გამოწვევები.

# უმაღლესი განათლების როლი თანამედროვე ეკონომიკის ფორმირებაში

თამარ ფოლადაშვილი

ასისტ. პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Tamar.poladashvili@bsu.edu.ge

განათლება ყველა თვალსაზრისით ეკონომიკური კეთილდღეობის ერთ-ერთი ფუნდამენტური ფაქტორია. შეუძლებელია ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე ვისაუბროთ ადამიანურ კაპიტალში არსებითი ინვესტიციების გარეშე. განათლება აუმჯობესებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს და აფართოებს შესაძლებლობებს მეტი სარგებლის მისაღებად, რომელიც თანაბრად მნიშვნელოვანი იქნება როგორც ინდივიდისთვის, ასევე მთლიანად საზოგადოებისთვის. გარდა აღნიშნულისა, განათლებულ ადამიანებში ჩნდება მზარდი ინიციატივები შემოქმედებითი საქმიანობის, მეწარმეობის, ტექნოლოგიური განვითარების და სხვა აქტივობების. ამავდროულად, იცვლება და უმჯობესდება შემოსავლების განაწილება მოსახლეობის ჯგუფებს შორის.

კვლევის მიზანია უმაღლესი განათლების როლის შესწავლა თანამედროვე ეკონომიკის ფორმირებაში, მისი კომპონენტების გამოვლენა, შესწავლა და ანალიზი.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, მთელი რიგი რეფორმებისა და გარდაქმნების კვალდაკვალ, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სფერო განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე აყენებს განათლების ადმინისტრირების შესწავლას. ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა გახდა ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის (EHEA) და კვლევითი სივრცის (ERA) წევრი. 2005–2006 წლებში ამოქმედდა უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სისტემა; კრედიტების, ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული ჩარჩო (ECTS); შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები; შეიქმნა და ამოქმედდა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო; გაიზარდა სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მობილობის შესაძლებლობები; შეიცვალა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკტორიზაციის სტანდარტები; ცვლილება შეეხო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურებს და სხვა.

მიუხედავად მთელი რიგი პოზიტიური ცვლილებებისა, საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში პროფესიონალი კადრების ჩამოყალიბება და შემდგომ მათი სპეციალობით დასაქმება ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემად რჩება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ეკონომიკური ზრდის ინდიკატორებს.

კრიტიკას ვერ უძლებს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობისა და დასაქმების მაჩვენებლები. პრობლემა აქტუალურია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის თითქმის ყველა მონაწილისთვის. პრობლემის სიმწვავე განსაკუთრებით გამოხატულია კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობისა და დასაქმების შესაძლებლობებში.

ნაშრომში განხილულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგების ანალიზისა და გაკეთებულია დასკვნები. ამასთან, შემუშავებულია კონკრეტული რეკომენდაციები უმაღლესი განათლების პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვანწილად შეცვლის და გააუმჯობესებს თანამედროვე ეკონომიკურ გარემოს.

**საკვანძო სიტყვები:** უმაღლესი განათლება, კონკურენტუნარიანობა, ეკონომიკის ფორმირება.

# საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა და მათი გავლენის გაზომვა მთლიან შიდა პროდუქტზე და ეკონომიკურ ზრდაზე

ტარიელ გიორგაძე

ეკონომიკის დოქტორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

მთელი რიგი ეკონომისტების მოსაზრებით არ არსებობს მყარი და პირდაპირი, დადებითი კავშირი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის, უფრო მეტიც, უცხოური ინვესტიციები არ ასტიმულირებენ ეკონომიკის იმ დარგებს, რომლებიც ინვესტიციის მიმღები ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. როგორია ამ მხრივ მდგომარეობა საქართველოში? დამოუკიდებლობის მიღებიდან-2021 წლის ჩათვლით, საქართველოში განხორციელდა 23 მლრდ, დოლარამდე ინვესტიცია. ეკონომიკის რომელ სექტორში წავიდა ყველაზე დიდი წილი შემოსული ინვესტიციებისა? იყო თუ არა ეს დარგები ეკონომიკის რეალური სექტორი? და როგორ იმოქმედა ამ ინვესტიციებმა თუნდაც ისეთი მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე როგორცაა მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა და ეკონომიკურ ზრდაზე.

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის დამაბრკოლებლად სამწუხაროდ ჩვენი ქვეყნის წინაშე, არსებობს ჯერ კიდევ გადაუჭრელი გამოწვევები: 1. კაპიტალის ბაზრის და საფონდო ბირჟის განვითარებლობა; 2. მაღალი საპროცენტო განაკვეთები ფინანსურ რესურსებზე; 3. პოლიტიკური არასტაბილურობა რეგიონში და საკუთრების უფლების გარანტირებულობის პრობლემა; 4. მცირე ბაზარი, სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიციურობა და სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი;

საქართველოს გამოწვევების გარდა გააჩნია ბუნებრივი და ასევე მიღწეული უპირატესობები რეგიონში:

- სტრატეგიული ადგილმდებარეობა - ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე;

- თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება 2,3 მილიარდიან ბაზარზე: ევროკავშირი, ჩინეთი (ჰონკონგის ჩათვლით), თურქეთი, უკრაინა, დსთ და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ორგანიზაციასთან (EFTA)(ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია);

- დაბალი გადასახადები. მსოფლიოში ვართ მე-8 ქვეყანა საგადასახადო ტვირთის სიმცირით. ქვეყანაში მოქმედებს მხოლოდ 6 სახის გადასახადი. ასევე მოგების გადასახადისაგან გათავისუფლება, მოგებული თანხის რეინვესტირების შემთხვევაში;

- მსოფლიო ბანკის (World Bank Group) მონაცემებით მე-6 ადგილი მსოფლიოს (მე-2 ადგილი ევროპაში) მასტაბით: „ბიზნესის კეთების სიმარტივით“ (2005 წელს ვიყავით 112 ადგილზე);

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი უპირატესობების სწორად გამოყენების შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპის მიღწევა და შენარჩუნება სავსებით შესაძლებელია.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, ეკონომიკური ზრდა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



### გამოყენებული ლიტერატურა:

<http://www.geostat.ge>;

<http://ec.europa.eu/eurostat/data/database>

<http://data.worldbank.org/>

<https://www.worldbank.org/>

<https://www.heritage.org/>

<https://www.transparency.org>

1. ჯღანჯღავა ქ., უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე (საქართველოს მაგალითზე), სადისერტაციო ნაშრომი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ., 2013;

2. Aitken, Brian J, and Ann Harrison. 1999. Do Domestic Firms Benefit from Direct Foreign Investment? Evidence from Venezuela. *American Economic Review* 89, no.3: 605 - 18.;

3. Bayoumi, Tamim, David. T. Coe, and Elhanan Helpman. 1999. R&D spillovers and global growth. *Journal of International Economics* 47, no.2: 399 – 428.;

4. Easson, Alex. 2001. *Tax Incentives for Foreign Direct Investment*. Kluwer Law International 4.;

# THE EFFECT OF TOURISM FOREIGN DIRECT INVESTMENT ON ECONOMIC GROWTH (THE CASE OF ADJARA A. R.)

***Tinatin Zhorzholiani,***

Associate Professor at David Agmashenebi National Defense Academy of Georgia,  
Ph.D. in Business Administration,  
E-mail [zhorzholianit@yahoo.com](mailto:zhorzholianit@yahoo.com)

***Nargis Phalavandishvili***

Assistant Professor at Shota Rustaveli State university,  
Ph.D. in Business Administration,  
E-mail [phalavandishvilinargiz@gmail.com](mailto:phalavandishvilinargiz@gmail.com)

## **Abstract**

The study aims to investigate the influence of tourism foreign direct investment on economic growth in the case of Adjara Autonomous Republic for the period 2010-2021. The study attempts to answer the question: "Whether foreign direct investment flowing into the Adjara's tourism sector has served to enhance economic growth?" Using the statistical data, a dynamic vector error correction model, and catering for dynamism, the results show that tourism FDI has indeed contributed to fostering economic growth. The paper findings confirm the majority of modern literature and demonstrate a positive relationship between tourism development and economic growth, thus supporting the tourism-led growth hypothesis in Adjara Autonomous Republic.

**Keywords:** Foreign Direct Investment (FDI), economic growth, Vector Error Correction Model (VECM), tourism sector, Gross domestic product (GDP).

